# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 14 (426) ◆ 7 – 13 აპრილი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## „მე თქვენს კითხვაზე პასუხი არა მაქვს“

**ინტერვიუ აშშ-ის ელჩთან...**

საქართველოში კვლავაც მწვავე პრობლემად რჩება კორუფცია და მექრთამეობა... ყოველივე ამის შემდეგ მე თქვენს კითხვაზე პასუხი არა მაქვს, რადგან მეტის გაკეთება სუვერენული სახელმწიფოს მიმართ შეუძლებელია. გვ.3 *რიჩარდ მაილსი*

**ამერიკელი ჯარისკაცის წერილი დედას**

**ექსკლუზივი** ნათან კეტერსონის დედა აშშ-ის საელჩოში მდივნად მუშაობს...

„მინდა ისეთ ადგილას ვიყო, სადაც შხაპის მიღებიდან ნახევარ საათში ისევ ტალახიანი არ ვიქნები.“

## „არჩევნებს გაყიდიან და ისე წავლენ“



იმაზე ფიქრი, რომ საქართველო ბიზნესმენებმა უნდა მართონ, პროვინციალიზმის გამოვლინებაა... გვ.7

ოქრუაშვილი აღიზიანებს კონტროლის პალატას, იმიტომ, რომ კონტროლის პალატისგან განსხვავებით, ფულს არ იღებს. სხვათა შორის, მოლაშვილის უწყებამ შესთავაზა ოქრუაშვილს – ობიექტები და ფული გავიყოთო, მაგრამ ვერ დაიყოლიეს და ახლა გალმა ედავებიან...

## ხმა რეგიონიდან – „ურემი გადაბრუნდა“?

სად „ჯობია ყოფნა“ – ჯანდაბაში თუ ქუთაისში?! გვ.20

## გრიგოლ ხურცილავამ ჩვენება შეცვალა...

**„იმდენად უწყინარია, წარმოუდგენელია, მკვლელობა მას ჩაედინა“**

პროფესიონალების თქმით, ხურცილავა ჩვენების მიცემის დროს ხშირ შემთხვევაში მარცხნივ იცქირებოდა და იღიმებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ცრუობდა. ფსიქოლოგიაში ამას „სხეულის ენა“ ჰქვია. თუ ადამიანი იმზირება ზევით და პირდაპირ, რაღაცას იხსენებს. თუ – ზევით და მარჯვნივ – სიმართლეს იხსენებს, თუ – მარცხნივ და ზევით – მაშინ ტყუის. გვ.5



გვ.13,24

## ემუქრება თუ არა საქართველოს ატიპური პნევმონია

**ანუ რა უნდა ვიცოდეთ ჰონკონგის ვირუსზე**

**რამდენად სარწმუნოა, რომ საქართველოში ატიპური პნევმონიით დაავადებული ადამიანი არ „შემოგვეპარება“?**

„ჯერჯერობით, ეს ახალი დაავადებაა, ეტიოლოგია გარკვეული არ არის... ყველაზე ცუდია გადაცემის მექანიზმი, რომ არ იციან. ეს რომ ისე იყოს გამოკვლეული, როგორც შავი ჭირი, რა გვიჭირს, როცა არ იცი, რას ებრძვი, საშინელებაა.“

## „მიშა არც იმანუელ კანტია და არც ციცერონი“



მაშინაც ოპოზიციაში ვიყავით და დღესაც იქ დავრჩებით, თუკი საგადასახადო გარემო არ შეიცვლება.

გვ.7,13 *გოგი თოფაძე*

მომხრე ვარ, თუ არაკეთილსინდისიერად გამდიდრებულ ხალხს ამხელს ხელისუფლება. *თემურ ქყონია*

„საქართველოში მოქმედებს სიცილიური მაფიის კანონი, რომელიც დუმილის დარღვევისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. იგივე ხდება საქართველოს ენერგეტიკაში...“ გვ.6,11

## „თუ ვინმე გაბედავს და ალაპარაკდება, ბევრი თავი გაგორდება ძირს...“





**„სქოული საქართველოდან ისე წავიდა, გაკვირვებისგან წარბი აწეული დარჩა...“**

„როდესაც „ეი-ი-ეს თელასი“ შემოვიდა საქართველოში და მაიკლ სქოული ელექტროენერგიის შესასყიდად თურქეთში წავიდა, იქ „საქენერგოს“ მაშინდელ ხელმძღვანელს, ემზარ ჩაჩხიანს შეხვდა. როგორც გაირკვა, ჩაჩხიანი თურქეთში ელექტროენერგიის გაყიდვის თაობაზე ხელშეკრულების დასადებად იყო ჩასული. სქოულს გაკვირვებისაგან წარბი აწეული დარჩა – ისე წავიდა საქართველოდან, ამ „ფენომენის“ ახსნა ვერ შეძლო...

საინტერესოა, სად მიაქვთ აფხაზებს სამი მილიონი კვტ/სთ ენერგია ყოველდღიურად? ეს თანხა ხომ ჩვენს ბიუჯეტს ეწერება ვალად?

ყველაზე იოლად ამოსაღები ვალები ხელისუფლებამ რატომღაც ნუგზარ შევარდნაძის ოფისში განთავსებულ კერძო ფირმას, „ნეოგენერაციას“ გადააწერა – დაახლოებით, 167 მილიონი ლარი.“

## ბაღდადის ბედი გადაწყვეტილია

კოალიციური ჯარები დაუნანებლად ისვრიან ძალზე ძვირად ღირებულ საბრძოლო მასალას საბოლოო გამარჯვების მისაღწევად – ომის ორკვირიან პერიოდში მათ 12 ათასამდე მართვადი ბომბი და რაკეტა ესროლეს ერაყს. გვ.8,9



ბრიტანელებმა ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად ბაღდადში, უცნაური ბეტონის ნახევარტონიანი(?!) ბომბების ჩამოყრა დაიწყეს...

**ჰუსეინის ბიძაშვილი „ქიმიური ალი“ მოკლეს**

**ვერსია**

## ამიერიდან მათი დამზოგავი კაცი არ მოიძებნებოდა იმ არემარეში...

ყველანი გაჩხრიკეს. მანქანის სავარძლები დანებით დასერეს – აქ გექნებათ გადამალულიო. ძრავას დაშლა ველარ მოიფიქრეს, თორემ ალბათ არც ამაზე იტყოდნენ უარს. საბოლოოდ იმას დასჯერდნენ, რომ ოჯახის რძლებსა და მათ მეუღლეებს საქორწინო ბეჭდები წააძვრეს და სულ გინებით გაისტუმრეს – ასეთი მათხოვრები საიდან მოდიხართო. გვ.10

**გიხაროდეთ, ხარებას გილოცავთ!**

## შიდა ქართლში კრიმინალები გააქტიურდნენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ არცევში, შემზარავი მკვლელობა მოხდა — გვიან ღამით საბაშვილების ოჯახს შვიდი შეიარაღებული ნიღბოსანი დაესხა თავს. წინააღმდეგობის გაწევის გამო მომხდურებმა მამა-შვილი — 65 წლის გურამ საბაშვილი და 38 წლის შალვა საბაშვილი ადგილზე მოკლეს, მძიმე ფიზიკური დაზიანება მიაყენეს ოჯახის დანარჩენ წევრებს — მათ შორის, მცირეწლოვან ბავშვებს. თავდამსხმელებმა 3 ათასი ამერიკული დოლარი გაიტაცეს და მიიმალნენ. სოფლის აღშფოთებული მოსახლეობა აცხადებს, რომ თუ დამნაშავეებს სასწრაფოდ არ იპოვნიან, პროტესტის რადიკალურ ზომებს მიმართავენ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინ, გორის ცენტრში, სამხარეო და ქალაქის პოლიციელებს შორის შეიარაღებულ შეტაკებას ჰქონდა ადგილი — ბუნებრივია, ერთმანეთთან ბრძოლით დაკავებულ ადგილობრივ სამართალდამცველებს კრიმინალური სამყაროსთვის არ ეცლებათ.

## ჩვენი სამხედროები ახლა რუსეთის ქონებაზე გადავიდნენ?

ყოველ შემთხვევაში, ამას ირწმუნება ამიერკავკასიის რუსული სადჯარისო დაჯგუფების ხელმძღვანელობა. მათი განცხადებით, დაჯგუფების შტაბის ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის ქართული ნაწილის ოფიცრები დააკავეს, რომლებიც რუსი სამხედრო შენაერთის კუთვნილი საერთაშორისო სატელეფონო კაბელის ჩახსნას ცდილობდნენ. დაჯგუფების ხელმძღვანელობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან ოფიციალურ განმარტებას და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს.

## დავითაშვილი ამტკიცებს, რომ ადამიანია...

დაუმორჩილებელმა და საჩივრების მოყვარულმა ნაციონალისტმა ამჯერად სარჩელი პრეზიდენტის წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში შეიტანა. იგი ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის კანონიერების დადგენას მოითხოვს. თუ სასამართლომ მისი სარჩელი არ მიიღო, დავითაშვილი სტრასბურგში წასვლით იმუქრება. მისი განცხადებით, სარჩელის შეტანისას აუხსნეს, რომ პარლამენტის წევრია და, შესაბამისად, მხოლოდ ამ უფლებებით უნდა ისარგებლოს. „პიროლოგის წინაშე მსგავსება აღმოეჩინა და დაერწმუნებინა, რომ ადამიანიც ვყოფილვარ. შესაბამისად, ადამიანის უფლებებიც უნდა მქონდეს“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

## ოსი ლიდერი ქართველი ელჩის უკმაყოფილოა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა, ბორის ჩოჩიევმა სასტიკი აღშფოთება გამოთქვა ეუთოში ქართველი ელჩის, გიგა ბურდულის გამოსვლის გამო. როგორც ცნობილია, ეუთოს წევრი ქვეყნების ელჩთა დელეგაცია ცხინვალსაც ეწვია და დახურულ კარს მიღმა კოკოევსაც შეხვდა. მანამდე დიპლომატების მისიამ შეხვედრები თბილისში ჩაატარა. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, გიგა ბურდულმა მცირე ისტორიული ექსკურსი ჩაატარა და აღნიშნა, რომ დღევანდელ სამაჩაბლოში მცხოვრები ოსი მოსახლეობა ჩრდილოეთ კავკასიიდან არის ემიგრირებული.

## შალვა ნათელაშვილი გაეროს გადასწვდა“

მას შემდეგ, რაც საქართველოში „ეი-ი-ეს თელასს“ შავი დღე აყარა, ლეიბორისტების ლიდერმა გაეროს რეფორმირებისთვისაც მოიცალა. მისი განცხადებით, აუცილებელია გაეროს უშიშროების საბჭოს შემადგენლობა გაფართოვდეს და მის სრულუფლებიან წევრებად ლათინური ამერიკის ქვეყნები, გერმანია და იაპონიაც გამოცხადდნენ. ნათელაშვილი გაეროს წესდებასაც შეეხო და საერთაშორისო ორგანიზაციის უფრო ეფექტური მუშაობისთვის საკუთარი პროექტი წარმოადგინა. გერმანიის, იაპონიისა და ლათინური ამერიკის პასუხი ნათელაშვილის ინიციატივაზე, ჯერჯერობით უცნობი რჩება.

## ნეტავ, რომელ რწმენას გულისხმობდა?

საქართველოს პრეზიდენტის ტოლერანტობამ სახელი შორს გაითქვა. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ედუარდ შევარდნაძეს გულისამაჩუყებელი წერილი გამოუგზავნა. ბაპტისტური ალმსარებლობის ექსპრეზიდენტი, შევარდნაძეს ქება-დიდებას ასხამს ეკუმენისტურ წირვა-ლოცვასთან დაკავშირებით და იმედოვნებს, რომ მისი ნაბიჯი საქართველოში საყოველთაო რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. წერილის დასასრულს, კარტერი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ნაბიჯი საამაყოა ყველასთვის, ვისაც ერთი რწმენა(?) აერთიანებს.

## ოპოზიცია ვეღარ ოპოზიციონერობს...

მიუხედავად მკერდში მჯიღის ცემისა და მუქარისა, საპარლამენტო ოპოზიციამ ვერც ენერგეტიკის მინისტრის და ვერც სახელმწიფო მინისტრის გადაყენება ვერ შეძლო. პირველს, როგორც ყველასთვის საკუთარი გამოცდილებით არის ცნობილი, საქართველოს ჩაბნელებას ედავებიან, მეორეს კი, ბიუჯეტის ჩავარდნას. დაუმორჩილებელმა კანონმდებლებმა დავით მირცხულავას წინააღმდეგ მხოლოდ 38 ხმის, ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ კი სულ რაღაც 24 ხმის მოგროვება მოახერხეს.

## მაინცდამაინც, ქვანიას უნდა დაეჭიდოს?!

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვეა, ქრისტიან-დემოკრატმა გიორგი კობახიძემ მომავალი მეტოქე უკვე შეარჩია. მისი განცხადებით, მხოლოდ იმ ოლქში მიიღებს მაჟორიტარ კანდიდატად არჩევნებში მონაწილეობას, რომელშიც კენჭის ყრას გაერთიანებული დემოკრატების ლიდერი გადაწყვეტს. კობახიძის თქმით, ჟვანიას ოსტატობა ხმების გაყალბებაში მას პირიქით, აზარტსა და ბრძოლის ჟინს მატებს.

## როგორც იქნა, გაარკვიეს...

უშიშროების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც მე-10 ენერგობლოკის აფეთქების მიზეზებს იკვლევდა, გამოძიების შედეგები გამოაქვეყნა. კომისიაში უშიშროების თანამშრომელთა გარდა ქვეყანაში ენერგეტიკის ცნობილი სპეციალისტები და ექსპერტები იყვნენ გაერთიანებულნი. დასკვნის მიხედვით, ორთქლის ქვაბის აფეთქების მიზეზი ექსპლუატაციაში დაშვებული შეცდომები და მართვის სისტემაში არსებული გაუმართაობა იყო. აქედან გამომდინარე, კატასტროფის დამნაშავეებად კომპანია „სიმენსი“ და „ეი-ი-ეს თელასის“ პასუხისმგებელი თანამშრომელი გამოდიან. როგორც ცნობილია, „სიმენსმა“ მრავალმილიონიანი პროექტის საფუძველზე მე-10 ბლოკში თანამედროვე, ნახევრად ავტომატიზებული მართვის სისტემა დაამონტაჟა, თუმცა იგივე დარჩა ბლოკის დანარჩენი მექანიზმები. არსებული შეუსაბამობის გამო ორთქლის ქვაბმა დატვირთვას ვეღარ გაუძლო. თუმცა, სახიფათო სიტუაცია სპეციალურ მონიტორზეც აისახებოდა, რომელსაც „ეი-ი-ეს თელასის“ მორიგე ინჟინერი ადევნებდა თვალ-ყურს.

## კორუფციას აფხაზებიც ებრძვიან

თვითმარქვია პრემიერ-მინისტრის, გენადი გაგულიას განცხადებით, აფხაზეთში უამრავი პრობლემაა დასაძლევი, ამიტომაც ხალხი ერთ და ორ წელიწადში სიტუაციის კარდინალურ გაუმჯობესებას არ უნდა ელოდოს. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა სახალხო ყრილობაზე ანრი ჯერგენიას გამოსვლით, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა არძინბას ხელისუფლება და ეს უკანასკნელიც იძულებული გახდა, თავისი ოთხი მინისტრი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა — აქაოდა, კორუფციას ვებრძვიო. ამ მხრივ კი მან საქართველოს პრეზიდენტს ნამდვილად გაუსწრო...

## პრეზიდენტი იმუნიტეტზე უარს ამბობს...

— ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ამ ინდულგენციის ტიპის შეღავათს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსაც მოუხსნიან. ასეთი აზრი ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე იუსტიციის სამინიტროს მიერ კანონპროექტის პრეზენტაციისას წამოაყენა. ზურაბ ეზუგბაიამ მთავრობის წევრებს ევროსაბჭოს ქვეყნების ანტიკორუფციული ჯგუფის რეკომენდაციით მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი გააცნო, რომელიც ქართულ სამთავრობო სტრუქტურებში იმუნიტეტის მოხსნას ითვალისწინებს. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში იმუნიტეტით, დეპუტატების გარდა, 2500-მდე პირი — გამომძიებელი, პროკურორი, მაღალჩინოსანი, სახალხო დამცველი და დეპუტატობის კანდიდატები სარგებლობენ. იუსტიციის მინისტრის მოადგილის მიერ წარმოდგენილი პროექტით იმუნიტეტი ეზღუდება ყველას, პრეზიდენტის, დიპლომატების და დეპუტატების გარდა. პრეზიდენტმა ამ უკანასკნელთათვის იმუნიტეტის შეზღუდვის მოთხოვნით სამინისტროს პროექტი უკან დაუბრუნა და განაცხადა, რომ პარლამენტი სწორედ იმუნიტეტის წყალობით ლამის კრიმინალთა თავშესაფრად იქცეს.

## გარდაიცვალა გენერალი ეპიტაშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ცნობილი გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი. ავღანეთის ომგამოვლილი გენერალი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამაჩაბლოში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, იყო ცხინვალის კომენდანტი. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ომში ეპიტაშვილს და მის სამხედრო შენაერთს მონაწილეობა შეგნებულად არ მიუღია. ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირების პროცესში, ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი აქტიურ სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული იყო.

## სომალიდან გამოქცეულ მეზღვაურებს მინისტრი შეხვდა

მერაბ ადეიშვილმა ხანგრძლივი ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულ მეზღვაურებს ახალი პასპორტები, მეზღვაურობის დამადასტურებელი სერტიფიკატები და... დაპირებები გადასცა. თავის დროზე, ფოთელი მეზღვაურები ბერძნულ გემზე სწორედ უმუშევრობის გამო მოეწყვნენ. ამჯერად ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრმა საზღვაო დეპარტამენტს მეზღვაურები დასაქმების მიზნით მეთვალყურეობაში ააყვანინა. როგორც კი საქართველოს საკუთარი საზღვაო ფლოტი ეყოლება! მათ პირველ რიგში დაასაქმებენ...

## ნარჩემაშვილი ისტიბარს არ იტეხს...

შინაგან საქმეთა მინისტრი კვლავაც აცხადებს, რომ ქვეყანაში კრიმინალური ვითარება არათუ გაუარესდა, არამედ გამოსწორების გზაზე დგას. სამწუხაროდ, რეალობაში პირიქით ხდება — გასულ კვირაში კიდევ ერთი შემზარავი მკვლელობა მოხდა. სოფელ მუხრანში მცხოვრებ სამი შვილის მამას, გოჩა სეხნიაშვილს ცოლ-შვილის თვალწინ მძარცველებმა ყელი გამოსჭრეს, შემდეგ კი 2000 დოლარი და ოქროულობა გაიტაცეს და მიიმალნენ. უკანასკნელ პერიოდში სწორედ ამ ტიპის დანაშაულები გახშირდა. ბოროტმოქმედები უბრალო ოჯახებს ჯგუფურად ესხმიან თავს და წლების განმავლობაში, შრომით მოგროვილ ფულს უსასტიკესი მეთოდებითართმევენ. პოლიცია ტრადიციულად აცხადებს, რომ გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ იმის ახსნას არც კი აპირებენ, როგორ ახერხებს თავისუფალ გადაადგილებას 7-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი შეუმჩნევლად...

## თვითმკვლელობა მეტროპოლიტენში

საბურთალოს ხაზზე ტრაგიკული შემთხვევა მოხდა — ბაქანზე შემოსულ მატარებელს თვითმკვლელობის მიზნით 20 წლის გოგონა ჩაუვარდა. სამწუხაროდ, იგი ადგილზე გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ქალაქის პროკურატურა აწარმოებს. ჯერჯერობით, მხოლოდ თვითმხილველთა ჩვენებებია ცნობილი, რომელთა მიხედვით, ბაქანიდან გოგონა არავის ჩაუგდია. იგი მატარებელს თავისი ნებით, წინ გადაუხტა.

## 5 ათასი, 520 ათასის ნაცვლად...

თბილისის საოლქო სასამართლომ „ჭიათურმანგანუმის“ ყოფილი გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ შეყლაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა, ოღონდ ნაწილობრივ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მიტაცებისთვის მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო მიყენებული მორალური ზარალისთვის შეყლაშვილი გენერალურ პროკურატურას 520 ათასი ლარის გადახდას სთხოვდა, რადგან მის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები უსაფუძვლო აღმოჩნდა. საოლქო სასამართლომ მომჩივანის თხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და გენერალურ პროკურატურას 5 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

## ქართულ პოეზიაში ახალი ჟანრი ჩნდება...

— მას „პოლიტიკურ-ანალიტიკური მეხოტბეობა“ ჰქვია. მაგრამ არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ირაკლი წერეთელი ინგლისურს ისწავლის და ბუშს, კონდოლიზა რაისს, პაუელს და რამსფელდს პირდაპირ მათ მშობლიურ ენაზე შეასხამს ხოტბას. როგორც ჩანს, აქტიური პოლიტიკიდან წასვლამ წერეთელზე საგრძნობლად იმოქმედა — დადებითად თუ უარყოფითად, ამას მომავალი გვიჩვენებს, როდესაც იგი ერაყის სარაკეტო გარიჟრაჟზე დაწერილ ლექსებს თეთრ სახლში გაგზავნის.

## ვითომ დაიყოლიეს?

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი ავია-კომპანია „ბრიტანეთის ავიახაზების“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებით კმაყოფილია. მისი თქმით, ბრიტანელები მზად არიან საბიუჯეტო დავალიანება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაფარონ. აქამდე კომპანიის მენეჯერები გადასახადს ბრიტანული კანონმდებლობით ანგარიშობდნენ. ზაუტაშვილის თქმით, საქართველოში მოქმედი ყველა კომპანია ერთ კანონს უნდა ემორჩილებოდეს და გამონაკლისის დაშვება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

## დენის ფულს თუ ვერ იხდის, პოლიტიკაში რა უნდა?

რკინიგზის დეპარტამენტის შეფის პომპეზური ხასიათის განცხადებები საქართველოს რკინიგზის აყვავების შესახებ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა საპნის ბუშტივით გააქრო. მთავარი ენერგოუწყება რკინიგზელებს ოფიციალურად აფრთხილებს, რომ დაგროვილი 180 ათასი ლარი ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს.

## ინფორმატიკის ოლიმპიადა თბილისში

საქართველოს ინფორმატიკის დეპარტამენტისა და დემირელის კოლეჯის ორგანიზატორობით, საქართველოს მოსწავლეთა მე-15 ოლიმპიადის დასკვნითი ტურნირი ჩატარდა.

ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულმა 24 მოსწავლემ. ამ ტურნირში გამარჯვებული 4 მოსწავლე საქართველოს წარმოადგენენ ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადებზე. გასული წლის ოლიმპიადაზე გამარჯვებული ზვიად მეტრეველი, ინფორმატიკაში საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრად აირჩიეს.

## მოქალაქეთა კავშირი ძალას იკრებს

კანცელარიაში, პრეზიდენტთან გამართული ორდღიანი თათბირის შემდეგ, ახალი საარჩევნო ბლოკის შექმნა გამოცხადდა. ბლოკში „ახალი საქართველოსთვის“, სოციალისტებთან და მოქალაქეებთან ერთად, ახალდაარსებული „აბრეშუმის გზა“, ასევე ავღანელთა კავშირი და რამდენიმე არასამთავრობო (თუ „სამთავრობო“?) ორგანიოზაცია გაერთიანდება. მოვლენის სიურპრიზად ბლოკში „მრეწველთა“ შესაძლო გაერთიანება იქცა. ეს ფრაქცია ხელისუფლებასთან აქამდეც „კონსტრუქციულად“ თანამშრომლობდა, მაგრამ აქტიურად აპელირებდა თავის ოპოზიციურ წარმომავლობაზე. ბლოკის ფინანსურ უზრუნველყოფას „აბრეშუმის გზის“ მთავარი დამფუძნებელი, რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძე იკისრებს.

## უცნობი ვირუსი კვლავ მძვინვარებს




მწვავე რესპირატორული სინდრომის, ანუ „ატიპური პნევმონიის“ მსხვერპლთა რიცხვმა უკვე 80-ს მიაღწია. დაავადება ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია მოდებული. ჰონ-კონგი პანიკამ მოიცვა. ადგილობრივი ხელისუფლება კიდევ ორი საკარანტინო ბანაკის გახსნას აპირებს. მიუხედავად აქტიური პროპაგანდისა, კარანტინში მოქცეული მრავალსართულიანი კორპუსის რამდენიმე ათეულმა მცხოვრებმა გაპარვა და მიმალვა არჩია. ისინი თავს ჯანმრთელად თვლიან და შიშობენ, კარანტინში არ დაავადდნენ. საცხოვრებლები დატოვეს კორპუსის გარშემო სახლების მობინადრეებმაც. ვირუსის გამო აზიური საკონცერტო ტურნე გააუქმა როკ-ჯგუფმა „როლინგ-სტოუნზმაც“. სამაგიეროდ, მომღერლებმა ჰონ-კონგს სამედიცინო ნიღბების შესაძენად 50 ათასი დოლარი გადასცეს (იხ. გვ.13. 24).

## რუსეთის ელჩს ერაყში ცეცხლი გაუხსნეს

ავტომობილების კოლონას, რუსეთის საელჩოსა და ჟურნალისტების შემადგენლობით, ბაღდადიდან გამოსვლისას სროლა აუტეხეს. მას შემდეგ, რაც დაჭრილებს პირველი დახმარება აღმოუჩინეს, დიპლომატიურმა კოლონამ მსვლელობა განაგრძო. დაახლოებით 15 კილომეტრის გავლის შემდეგ ავტომობილს გზა სამხედრო ჯიპებმა ისევ გადაუღობეს. რუსეთის ელჩის განკარგულებით, კოლონას ერთი მანქანა გამოეყო და თეთრი დროშით მათკენ გაემართა, მაგრამ ჯიპიდან ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნეს. წინასწარი მონაცემებით დაჭრილია 5 კაცი.

მომხდარმა მოსკოვის აღშფოთება გამოიწვია. „ეს თავდასხმა ლახავს რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას და ჩვენს ნაციონალური ინტერესებს“, — განაცხადა დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი როგოზინმა, და დასძინა, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებდა, რათა არ მიეღო მონაწილეობა ერაყის ავანტიურაში, მაგრამ ვიღაცას ძალიან უნდა ჩაგვითრიოს ამ სისხლიან ომშიო. ვიცე-სპიკერის ვლადიმირ ჟირინოვსკის განცხადებით: რუსეთს მაშინ უნდა გამოეყვანა თავისი დიპკორპუსი ერაყიდან, როდესაც ეს სხვა სახელმწიფოებმა გააკეთეს. ერაყში ქაოსია და ნებისმიერ ძალას შეეძლო სროლის ატეხა, ვერც საოკუპაციო ძალები და ვერც ერაყის ადმინისტრაცია ვერ აკონტროლებენ ქვეყნის ტერიტორიას და ეს ინციდენტი, შესაძლოა, ძარცვის მიზნითაც მომხდარიყოო.

საგარეო საქმეთა სამინისტროში სასწრაფოდ დაიბარეს აშშ-ის და ერაყის ელჩები და მომხდარ ფაქტზე მკაცრად მოსთხოვეს პასუხი. კატარის სამხედრო შტაბის განცხადებით, კოალიციის სამხედრო ხელმძღვანელობამ წინასწარ იცოდა კოლონის გადაადგილების და მარშრუტის შესახებ, ამიტომაც მათი მხრიდან გაუგებრობა გამორიცხული იყო.

რუსეთის საელჩო ერაყში ბოლო დრომდე სრული შემადგენლობით აგრძელებდა ფუნქციონირებას. ელჩმა ერაყის დატოვების შესახებ განკარგულება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ბაღდადზე შეტევა რეალური გახდა.

C K

# „დღეს დეპუტატობის მთავარი არგუმენტი – დაუსჯელობის ინდულგენციაა“



## „ქართველი მშენებლები რომ მივუშვათ, ჰუსეინის სასახლეებს ლოჯიებს მიაშენებენ“

წინასაარჩევნო პერიოდში შინაპოლიტიკური ვითარების ესკალაციაზე პროგნოზებს ხშირად აკეთებენ. გამოითქმება ათასგვარი ვარაუდი, რომ პოლიტიკური მეტოქეობა შესაძლოა, შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, რომ წინასაარჩევნოდ პროცესები უმართავი გახდება და ა.შ. როგორც გასულ კვირაში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, იდეის თუ იდეოლოგიის გამო შეიარაღებული დაპირისპირება ქართველ პოლიტიკოსებს ნამდვილად არ ემუქრება?! არც პროცესები იქნება უმართავი, რადგან იდეოლოგია ქართულ პოლიტიკაში საერთოდ არ არსებულა; რაც შეეხება პროცესებს, ჯერჯერობით, სახელმწიფო კანცელარია მათ მართვას შესანიშნავად ახერხებს, ეგრეთ წოდებული ოპოზიციისგან განსხვავებით. სიტყვა „ეგრეთ წოდებულის“ გამოყენების ნებას ქართულ პოლიტიკაში განვითარებული მოვლენები გვაძლევს — „გაერთიანებული დემოკრატები“ მხურვალე თანადგომას უცხადებენ წლების მანძილზე ნაკრიტიკებ „თეზის“ (თავისუფალი ეკონომიკური ზონა) პროექტს. მიუხედავად ემოციური გამოსვლისა და მკერდზე მუშტების (თუ მიკროფონის) ბრაგუნისა, სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტისთვის სულ 38 ხელმოწერა გროვდება, ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციის გაერთიანების ფორპოსტად ცნობილი პარტია სახელისუფლებო ძალების ბლოკში ერთიანდება, ხოლო პროდასავლური ძალები კი პრორუსულ გაერთიანებასთან ერთად გეგმავენ წინასაარჩევნო კამპანიას. რბილად რომ ვთქვათ, რუსეთთან მეგობრობის მედროშე სოციალისტების ლიდერი ერაყში ამერიკის ადმინისტრაციის გენიალურ ქმედებაზე ლაპარაკობს და ახალი ერაყის ასაშენებლად ქართველ ინჟინერ-არქიტექტორებს რაზმავს... მოკლედ, როგორც ერთმა პოეტმა-პარლამენტარმა (ესეც წმინდა ქართული მოვლენაა!) სხდომაზე განაცხადა, „ვისი ვიოლინო ვის როიალშია, ვერ გაიგებ“...

სახელისუფლებო ძალების ერთიანობისა და „ორგანიზებულობის“ ფონზე, ქართველი პოლიტიკოსები გაერთიანებაზე არც ფიქრობენ — თუ თითოეული მათგანის მიერ პროგნოზირებულ, მომავალ არჩევნებში მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობას შევკრებთ, მთლიანობაში 600-700% გამოდის... სპარსეთის ყურეში ომის მსვლელობას და ამერიკისადმი აშკარა მხარდაჭერას მიმომხილველები იმედის თვალით უყურებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერს შნო და გონება უნდა — თუმცა, არათუ შორეულ ერაყში, წინასაარჩევნო

**საქართველოს მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ პირადად მე ამ თემაზე ხუმრობასაც მოვერიდებოდი. ვშიშობ, ქართველი მშენებლები რომ მივუშვათ, ერაყს ბევრად უფრო ცუდ დღეში ჩააგდებენ, ვიდრე ეს ამერიკულმა რაკეტებმა მოახერხეს... ან კი, ვის დაებადა ასეთი აბსურდული აზრი – რა, ჰუსეინის სასახლეებს ლოჯიებს მიაშენებენ?! თუ გზებს გადათხრიან და ერთი თვის შემდეგ „დალატკავენ“...**

იწილობიწილოში გართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა აფხაზეთში თავისთავად განვითარებული მოვლენებიც კი ვერ გამოიყენა ქვეყნის სასიკეთოდ...

თუ ვის მიერ არის მომზადებული ქართულ პოლიტიკაში „აჯაფსანდალი“, ან რა ფორმას მიიღებს საბოლოოდ, ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს**:

— ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ქართულ პოლიტიკაში მთავარი არის არა იდეოლოგია, არამედ პარლამენტში მოხვედრა და პოლიტიკოსობისგან მიღებული ხეირი. ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ეს პოლიტიკოსი აქტიურობდა თუ ნაფტალინში იდო. განა ნორმალური შეიძლება იყოს პარლამენტი, რომელიც ოფიციალური ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსებისგან შედგება? დღეს პარლამენტარობის მთავარი არგუმენტი, დეპუტატის იმუნიტეტი, უფრო სწორად კი, დაუსჯელობის ინდულგენცია გახლავთ. ბიზნესმენები პარლამენტში მოდიან იმიტომ, რომ საკუთარი კომერცია სამთავრობო დონეზე დაიცვან, პოლიტიკოსები კი იმიტომ, რომ შეხედულებებით სამთავრობო დონეზე ივაჭრონ. პირდაპირ ვიტყვი — ასეთი პარლამენტი გასარეკია! მთელი მისი შემადგენლობის 5-10% თუ იქნება თავისი იდეების პატიოსანი დამცველი და გამტარებელი — ისინიც, საჯაროდ გამართული ვაჭრობის მიმართ უძლურნი არიან. თუნდაც, ახლახან, „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ თემაზე განვითარებული საპარლამენტო კრიზისი ავიღოთ. დარწმუნებული ვარ, ორივე მხარის წარმომადგენელთა უმეტესობას პროექტი წაკითხულიც არ ექნება. უბრალოდ, პრინციპის ამბავი და ვაჭრობის საგანია — ზოგი გუშინ ეწინააღმდეგებოდა და დღეს მომხრეა, ზოგი პირიქით არის და ზოგი სხდომაზე სულაც საგაზეთო რებუსებს ხსნის, როცა არ სძინავს...

**ცენტრალურ ხელისუფლებას აკვიატებული აქვს, რომ თბილისში არ შეიძლება ასლან აბაშიძის მოსაზრებამ გაიმარჯვოს, ამაზე ლაპარაკიც კი დაუშვებელია. თავისთავად დამოკიდებულებაზე ვსაუბრობ, თორემ სხვა საკითხია, რამდენად სწორი შეიძლება იყოს ასლან აბაშიძის ესა თუ ის მოსაზრება, ან საერთოდ, მისი ქმედება.**

— **სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „თეზთან“ მიმართებაში სახელმწიფოებრივი მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ; რომ ასეთი კანონის მიღებით საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთს... კიდევ უფრო შესუსტდება ცენტრის გავლენის ბერკეტები რეგიონებზე და, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს საქართველოს დაშლამდე მიგვიყვანს...**

— ძალიან მიკვირს, როგორ შეიძლება დღევანდელი მთავრობის ან სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენელმა სიტყვა „სახელმწიფო“ ახსენოს, რადგან იმ უსახურ ფორმას, რაც დღეს მათი წყალობით საქართველოს აქვს, ყველაზე ნაკლებად ეს ცნება ესადაგება...

აქ „თეზი“ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ცენტრალურ ხელისუფლებას აკვიატებული აქვს, რომ თბილისში არ შეიძლება ასლან აბაშიძის მოსაზრებამ გაიმარჯვოს, ამაზე ლაპარაკიც კი დაუშვებელია. თავისთავად დამოკიდებულებაზე ვსაუბრობ, თორემ სხვა საკითხია, რამდენად სწორი შეიძლება იყოს ასლან აბაშიძის ესა თუ ის მოსაზრება, ან საერთოდ, მისი ქმედება. „თეზის“ მიღებით აფხაზეთის დაკარგვას რაც შეეხება, ვშიშობ, რომ ის უკვე დაკარგული გვაქვს, რადგან ისევ და ისევ ქართველმა ჩინოსნებმა საქართველოში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ აფხაზებს აქეთ გამოხედვის სურვილიც არ ჰქონდეთ... ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა უჭირდეს ხალხს, რომ დღევანდელ საქართველოსთან თანაცხოვრებაზე დასთანხმდეს. აქ რომ ჯანსაღი მდგომარეობა იყოს, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, გაჭირვების მიუხედავად, მორალური უფლება და საშუალება გვექნებოდა, აფხაზებისთვის მოგვეწოდებინა, — გვერდით დაგვიდექით და საერთო ქვეყანა ერთად ავაშენოთო. დღეს, სეპარატისტული რეჟიმის სიხარბისა და ყაჩაღური პოლიტიკის გამო, აფხაზეთში ლამის საერთო-სახალხო აჯანყება დაიწყოს, მაგრამ ოპოზიციის ყველა ლიდერი ხაზგასმით ამბობს, რომ მათ მიერ არძინბას კრიტიკა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს საქართველოსთან ურთიერთობის გადახედვას. როგორ ფიქრობთ, აფხაზ ხალხში ასეთი შეხედულება რომ პოპულარული არ იყოს, გამოთქვამდა მას ვინმე? სოხუმში ხომ ხელისუფლებისთვის ბრძოლა მიდის. ასეთ ვითარებაში კი ხალხის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აფხაზებთან დაახლოებისთვის, სამწუხაროდ, წლების მანძილზე არაფერი გაგვიკეთებია, თუ არ ჩავთვლით, პარტიზანული მოძრაობის გადაზრდას ქართულ-აფხაზური კრიმინალური ელემენტების დაახლოებასა და ენგურის ხიდზე კონტრაბანდისტული არხების გახსნაში.

— **არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება. დღეს არსებულ საარჩევნო კანონმდებლობას ხელისუფლებაც იწუნებს და ოპოზიციაც, თუმცა საპარლამენტო კრიზისის გამო, მასზე მუშაობა ვერ ხერხდება. არსებობს მოსაზრება, რომ სადავო საკითხის განხილვა განზრახ წამოიწია და განზრახ ყოვნდება, რათა პარლამენტი ახალი საარჩევნო კოდექსის განხილვისას ცაიტნოტში აღმოჩნდეს...**

— არასერიოზული იქნებოდა, „თეზის“ პარლამენტში წარდგენასთან დაკავშირებით აბაშიძის და შევარდნაძის წინასწარ შეთანხმებაზე გვემსჯელა. ფაქტია, რომ სახელისუფლებო ბლოკს ეშინია ამ საკითხის განხილვის დაწყებისა — მათ რომ ამის საწინააღმდეგო სერიოზული არგუმენტები ჰქონდეთ, განხილვას თავს არ აარიდებდნენ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას და მის ახალშექმნილ ბლოკს ახალი საარჩევნო კოდექსის მიღება არ აძლევთ ხელს. რაც უნდა ილაპარაკონ, ხომ უდავოა — ხალხი მათ კვლავ ხელისუფლებაში მოსვლას ხმას არაფრით მისცემს. საჭირო გახდება უწინდელი, სამარცხვინო და ტოტალური გაყალბება. რამდენი ხანია, ლომინაძე ამბობს, გადადგომა მინდაო — არსადაც არ უშვებენ. წუთითაც არ მეპარება ეჭვი მის პატიოსნებაში, მაგრამ ყველაზე კარგად მან იცის, რომ კომისიის დღევანდელი შემადგენლობით, დღევანდელი საარჩევნო კანონმდებლობით და იდენტიფიკაციის მეთოდებით, შედეგების გაყალბებას აიძულებენ და თავად ვერაფერს გახდება. ამიტომაც სურს, ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობა ჭუჭყივით ჩამოიშოროს. რაც შეეხება ასლან აბაშიძეს, პარლამენტში თავისი ძალების მოსაყვანად ახალი საარჩევნო კოდექსი მის სასიცოცხლო ინტერესებში ნამდვილად არ შედის, რადგან აჭარაში გარანტირებული ხმათა რაოდენობა აქვს — კოდექსი გინდ ძველი იყოს და გინდ — ახალი. ამდენად, ამ შემთხვევაში, უფრო სიტუაციათა თანხვედრაზე თუ იქნება ლაპარაკი, რასაც ცენტრალური ხელისუფლება პარლამენტის მუშაობის შესაფერხებლად იყენებს.

— **ბაღდადის დაცემას საქართველოში იმედით შეხვდნენ. ხელისუფლებასთან ახლად დაახლოებული სოციალისტების ლიდერი აცხადებს, რომ შევარდნაძის გენიალური პოლიტიკის წყალობით, ამერიკის მხარდაჭერა სასიკეთოდ მოგვიბრუნდება... პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე „საქართველო-ერაყის მეგობრობის ასოციაციაც“ კი შეიქმნა, რომელშიც, სხვებთან ერთად, ქართველი მშენებლებიც გაერთიანდნენ...**

— შევარდნაძის გენიალურ პოლიტიკას და ამერიკისთვის დახმარებას რაც შეეხება, ჩემში ეს განცხადება მხოლოდ ირონიას თუ იწვევს, — როცა ვფიქრობ, თუ რაოდენ აღტაცებულნი და დაიმედებულნი არიან თეთრ სახლში ამ დახმარებით. ერაყის „აღმშენებლობასთან“ დაკავშირებით: საქართველოს მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ პირადად მე ამ თემაზე ხუმრობასაც მოვერიდებოდი. ვშიშობ, ქართველი მშენებლები რომ მივუშვათ, ერაყს ბევრად უფრო ცუდ დღეში ჩააგდებენ, ვიდრე ეს ამერიკულმა რაკეტებმა მოახერხეს... ან კი, ვის დაებადა ასეთი აბსურდული აზრი — რა, ჰუსეინის სასახლეებს ლოჯიებს მიაშენებენ?! თუ გზებს გადათხრიან და ერთი თვის შემდეგ „დალატკავენ“...

ვაშინგტონისთვის მხარდაჭერის გამოცხადებისას შევარდნაძემ ისიც თქვა, ვაცალოთ ამერიკელებს, აიღებენ ერაყს და მერე აფხაზეთსაც მიხედავენო... ამერიკამ ერაყი აიღო. ახლა მადა გაეხსნა და ირანისკენ იყურება. მერე ჩრდილოეთ კორეის რიგიც დადგება... და ასე ველოდოთ ქართველები, როდის მოიცლის ჩვენთვის ამერიკა. ამასობაში კი თუ რამე დარჩა საქართველოსგან, ეს მთავრობა ბოლომდე გამოხრავს... ქართველი ჩინოსნები მოხარულნი იქნებიან, თუ საქართველო ამერიკის კოლონია გახდება. სამწუხაროდ, ვაღიარებ, რომ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ეს ჩვენთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება, რადგან უარესი ვარიანტებიც შემიძლია გითხრათ — მით უმეტეს, თუ ირანსაც ერაყის ბედი ეწევა და მისი ტერიტორიის გაკონტროლების შემდეგ ყბადაღებული ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი თეთრი სახლისთვის აზრს დაკარგავს.

ჩვენთვის საუკეთესო, უფრო სწორად, საოცნებო ვარიანტი უფრო ევროკავშირის წევრობა იქნებოდა, მაგრამ ევროპას სრულფასოვანი სახელმწიფო სჭირდება და არა მონათა პლანტაცია, რომელსაც ხარბი ზედამხედველები მართავენ, ამიტომაც ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება...

***დაჩი გრძელიშვილი***

---



### ზურაბ მჭედლიშვილი
### საკუთარი კორესპონდენტი ამერიკიდან

# გზა «საქართველოს გამოხსნისა»

10 აპრილს, დღის 12 საათისთვის, მანჰეტენზე, ბერძნულ კაფეში ლანჩზე შეკრებილი ამერიკელები და ამერიკაში მცხოვრებნი პირდაპირ ეთერში ვუყურებდით ბაღდადის ცენტრში სადამ ჰუსეინის უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლის კვარცხლბეკიდან გადმოგდების „ცერემონიალს“... სადამ ჰუსეინის ერთი ხელის დაკვრით დამხობა ამერიკაში არავის გაჰკვირვებია. მეტიც, ამას ომის დაწყებიდან 10-12 დღეში ელოდნენ და როცა დრო გაჭიანურდა, ოპონენტები მძაფრად დაესხნენ თავს პენტაგონს. ამერიკა მშვიდად შეხვდა ბაღდადის დაცემას. გამონაკლისნი მიჩიგანის შტატში მცხოვრები ერაყელი ემიგრანტები იყვნენ, რომლებმაც დეტროიტსა და სხვა ქალაქებში გრანდიოზული მანიფესტაციები გამართეს მთავარი ლოზუნგით — „სადამი მოკვდა, გაუმარჯოს ერაყს და ჯორჯ ბუშს!“ ამ გამარჯვებაში, ჩემი აზრით, უდიდესი დამსახურება ამერიკულ მასმედიას მიუძღვის, რომ არაფერი ვთქვათ, პატრიოტულ პათოსზე, რასაც ამერიკული ტელეკომპანიები შესაშური ოსტატობით აღვივებდნენ, მთელი ომის მსვლელობას პირდაპირ ეთერში უყურებდა (და უყურებს) ქვეყანა, არა იმ ომს, რასაც სხვა ქვეყნების უმრავლესობა და უწინარესად, რუსული მასმედია უჩვენებდა ჩვეული პროპაგანდისტული სარკაზმით (მარტო ერაყელი გლეხის მიერ შაშხანით ჩამოგდებული ამერიკული სამხედრო შვეულმფრენის შესახებ რუსეთის ტელევიზიაში ამტყდარი აჟიოტაჟი რად ღირს, რაზეც აქ მხოლოდ ხარხარებდნენ), არამედ პირდაპირ ეთერში გვიჩვენებდნენ ბრძოლის ველს, აბსოლუტურად ობიექტურად გვაუწყებდნენ თავიანთი დანაკარგის შესახებ. ბაღდადის ტელევიზიის ინფორმაციასა და სიუჟეტებს (რითაც სავსე იყო რუსული ტელევიზია) ალაგ-ალაგ თუ გაუშვებდნენ ხოლმე და ისიც მაყურებლის გასამხიარულებლად, იმდენად აბსურდული იყო მოწოდებული დეზინფორმაცია. ადგილობრივ პრესაში რამდენჯერმე გაიჟღერა ცნობამ რუსეთში მძვინვარე ანტიამერიკული და, ფაქტობრივად, პროისლამური პროპაგანდისტული კამპანიის შესახებ, მაგრამ ამას არანაირი რუსოფობია არ მოჰყოლია, არც ოფიციალურ პირებს გამოუთქვამთ პროტესტი, მხოლოდ ნიუიორკის რუსულენოვანი გაზეთები ლანძღავდნენ პუტინის მიერ კონტროლირებად მასმედიას და ჟურნალისტებს, რომელთა შორის ჩემი „ძველი და კეთილი ნაცნობების“ — მიხაილ ლეონტიევისა და მაქსიმ სოკოლოვის გვარები ყველაზე ხშირად ფიგურირებდა! ერაყში ამერიკელთა გამარჯვების შემდეგ, რამაც თავზარი დასცა რუსული პროპაგანდითა და დეზინფორმაციით გაბრუებულ ობივატელს, მართლაც გამოჩნდა გზა „საქართველოს გამოხსნისა“, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება განპირობებული იქნეს ნატოში საქართველოს გაწევრების ფორსირებით და დსთ-ის ქვეყნებს შორის „პიონერიც“ კი აღმოჩნდეს (ანუ დაასწროს უკრაინას, რაზეც ამერიკელი პოლიტოლოგები უკვე დაუფარავად საუბრობენ). ამჟამად ყველაზე რეალური აშშ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის პერსპექტივაა, რაც, უწინარესად, გულისხმობს საქართველოში ამერიკული სამხედრო ქვედანაყოფების განლაგებას, აქედან გამომდინარე შორსმიმავალი შედეგებით! ფაქტია, რომ ერაყის ომის შედეგები მოულოდნელ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს უქადის დსთ-ის სივრცეს, რაზეც ამერიკელი ოფიციალური პირები უკვე მიანიშნებენ მოსკოვს. თუმცა, ლაპარაკობენ აშშ-რუსეთის შესაძლო სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, მოუწოდებენ პუტინს საამისოდ. ჩანს, აშშ-რუსეთს შორის ერაყის გამო გართულებული ურთიერთობების დალაგებას შეეცდებიან ჯორჯ ბუში და ვლადიმირ პუტინი მაისის ბოლოს, რუსეთში აშშ-ის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტისას. დიდი პოლიტიკური ვაჭრობა დღითი დღე მოიკრებს ძალას, მით უმეტეს, რომ ერაყის ნავთობის განაწილების შესახებ კულისებს მიღმა ვაჭრობა მთელი ძალითაა გაჩაღებული. ამ ვაჭრობის შედეგებზეც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული როგორც გაეროს უშიშროების საბჭოსა და ნატოს მომავალი, ისე მთელი ევრაზიული სივრცის გეოპოლიტიკური ცვლილებებიც. აშშ-ის ადმინისტრაციისა და კონგრესის კულუარებიდან უკვე „ჟონავს“ ინფორმაცია, რომ ერაყში თავიანთი სანავთობე დაინტერესების გატარების სანაცვლოდ, ვაშინგტონი აუცილებლად მოსთხოვს პარიზს, ბერლინსა და მოსკოვს მხარდაჭერას „ბოროტების ღერძის“ კიდევ ორი ქვეყნის — ჩრდილოეთ კორეისა და ირანის რეჟიმების დამხობის საქმეში... არადა ვითარება გაეროში ამ მხრივ უკვე იძაბება. მთელი გასული კვირის მანძილზე უშიშროების საბჭო დახურულ კარს მიღმა განიხილავდა ამერიკელთა მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტს, რომელიც გმობს ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებიდან ჩრდილოეთ კორეის გასვლას! პარასკევს, საღამოს გაეროს პრესცენტრში შეკრებილ ჟურნალისტებს გვაუწყეს, რომ უშიშროების საბჭომ უარი თქვა ჩრდილოეთ კორეის ამ ქმედების დაგმობაზე(!) დაგმობის წინააღმდეგ გაილაშქრეს მხოლოდ რუსეთმა და ჩინეთმა, საფრანგეთმა კი „მოლაპარაკებისკენ მოუწოდა“ ვაშინგტონსა და ფხენიანს. ექსპერტთა აზრით, ამ ეტაპზე რუსეთი და ჩინეთი „მოერიდნენ“ ჩრდილოეთ კორეასთან დაპირისპირებას კიმ ჩენ ირის მუქარის გამო, რომელმაც „შემოთვალა“ — უშიშროების საბჭოს „ნებისმიერ მკვეთრ გადაწყვეტილებას შევაფასებ, როგორც ჩრდილოეთ კორეისთვის ომის გამოცხადების ფაქტსო. გაეროში აშშ-ის წარმომადგენელმა ჯონ ნეგროპონტემ კი განაცხადა, ფხენიანის ბირთვული ამბიციების „სასტიკი დაგმობის“ საქმე წინ არის და გარდაუვალიაო! ასე რომ, სადამ ჰუსეინის დამხობილ ძეგლებს მომავალში შეიძლება კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის ბრინჯაოს ქმნილებებიც მიჰყვეს. შემდეგ (შეიძლება მანამდეც) ქართველებისთვის ისტორიულად ავადმოსაგონარი „სპარსული ჩალმების“ რიგიც დადგეს...

# კოტეიას „პლეხანოველი რუსი“

## რუსთაველის თეატრიდან პროსპექტზე ღმერთები გამოდიოდნენ...



იმპერატორი ნიკოლოზ II და უფლისწული ალექსი თავის აღმზრდელთან ერთად

იგი არც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა და არც დაჭრილი და სასომიხდილი უპოვია ვინმეს გურიის ტყეში. მისი წინაპარი საკმაოდ დიდი ხნის წინ, სალ-სალამათი ჩამოსულა თბილისში და მერე წასვლაზე აღარ უფიქრია. დღეს მის მონაგარს, უკვე მეექვსე თაობას, კოტეიას „პლეხანოველ რუსს“, კინოოპერატორს, ბატონ **იგორ ნაგორნის** წარმოგიდგენთ. როგორც თავად ამბობს, — „ქართული ჩამოსხმის“ რუსი, თავისებურ ფერს ქმნის დედაქალაქში, რომელიც უსაზღვროდ უყვარს.

— ძველი კინოსტუდიის წინ, ბორჯომის ქუჩაზე დავიბადე. პლეხანოვზე გავიზარდე. სკოლაში ქართულის გაკვეთილები რომ დაგვეწყო, სულ ცუდი შეფასებებით ვბრუნდებოდი შინ. ოჯახში არავინ იცოდა ქართული, კლასშიც ყველა ქართველი რუსულად ლაპარაკობდა. მამაჩემმა სასწრაფოდ იყიდა ქართული ენის თვითმასწავლებელი და ერთად დავიწყეთ სწავლა. ჩემი აზრით, სადაც ცხოვრობ, თუ იმ ქვეყანას პატივს სცემ, აუცილებლად უნდა ისწავლო მისი ენა. სხვანაირად სულ უცხო იქნები. ენა ქართულად კარგად მაშინ გავიტეხე, როცა პლეხანოველი ბიჭების მარაქაში გავერიე. ტელევიზიაში მისვლის შემდეგ კი, როგორც იტყვიან, ქართული მეტყველება „დავამხეცე“.

— *თქვენც ქუჩაში „აბირჟავებდით“, ბატონო იგორ?*

— (ეღიმება) მკაცრად მზრდიდნენ, 14 წლამდე აივანზეც კი არ მიშვებდნენ თამამად. მაგრამ ერთ დღესაც გავწყვიტე ლაგამი და... მყისვე „მოვიწამლე“ პლეხანოვით. 15-16 წლის ბიჭები კაცობას ვიწყებდით. კინოთეატრ „ამირანის“ წინ ბირჟა გვქონდა. ვმუსიკობდით, ვმღეროდით, ვქეიფობდით. კინოს, თეატრს და კონცერტს არ ვუშვებდით უნახავს. ანსამბლ „დიელოს“ თავი, სოსო ებრალიძე იყო ჩვენი სული და გული. არტოს ბაღშიც ვიკრიბებოდით და ერთი სიტყვით, სკოლა კი საშუალო შეფასებით დავამთავრე, მაგრამ თბილისის ქუჩის აკადემიაში კაცობა ფრიადზე ვისწავლე.

— *თქვენი გვარის ქართული ვარიანტი რა შეიძლება იყოს?*

— (იცინის) დიდგორნი, მთაზედა, მწვერვალიშვილი. რა გითხრათ, აბა? ეს ბოლო მომწონს. საქართველოს ცა მიყვარს, მწვერვალი კი ახლოს არის მასთან. ახალგაზრდობისას 10 წელი ვიცხოვრე მოსკოვში. ცენტრალურ ტელევიზიაში ვმუშაობდი. აქაური ცა მენატრებოდა, იქაური პირქუში, რუხი ცა-საფარი კი გულს მიღრღნიდა. აქ როგორი ცა და მზეც არის, ხალხიც ისეთია, თბილი, ნისლგადაწმენდილი; რასაც აქ ერთი საათის განმავლობაში იგრძნობ, მერწმუნეთ, ის შეიძლება სხვაგან მთელი სიცოცხლე ვერ იპოვოთ. არ მიკვირს ჩემი წინაპრებისა, რომ სამშობლო დატოვეს და აქ დასახლდნენ, ისინიც სხვებივით მოაჯადოვა საქართველომ. ჩემი სამშობლო აქ არის, მე სხვანაირი, ქართული ჩამოსხმის რუსი ვარ, ჩემი მშობლები საბურთალოს სასაფლაოზე განისვენებენ და როცა დრო მოვა, მეც მათ გვერდით ვიქნები.

— *მშობლები ახსენეთ და იქნებ მათზეც გვიამბოთ — მამათქვენი ნიკოლოზ ნაგორნი ხომ ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება იყო, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული დოკუმენტური კინოს განვითარებაში.*

— მამა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იყო. ამ ქვეყანამ, მისმა სამშობლომ, მას საკადრისი პატივი მიაგო. მე საკუთარ თავს, საკუთარ ოჯახს ხომ ვერ შევაქებ!

— *თქვენს საოჯახო ალბომში რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის ოჯახის ფოტოები ვნახე...*

— ბაბუაჩემი იმპერატორის ვაჟიშვილის ალექსის აღმზრდელი იყო. ბაბუა მეზღვაური გახლდათ. როგორც ზრდილი და კარგი პიროვნება, მოსწონებია ნიკოლოზ II-ს და ვაჟიშვილი აღსაზრდელად ჩაუბარებია. ეს ფოტოები სწორედ მისი წყალობით შემორჩა ჩვენს ოჯახს. ვუყურებ მათ და მგონია, რომ თვითონაც ვიცნობდი იმ ტრაგიკულ ხალხს.

— *„კოტეიას რუსი“ ვინ და რატომ შეგარქვეს?*

— კოტე მახარაძესთან მეგობრობის გამო შემარქვა სოფიკო ჭიაურელმა. ჩემთვის მოუშუშებელი ტკივილია კოტე. უმტერო კაცი არ არსებობსო, — ამბობენ, მე ვამტკიცებ, რომ არსებობს. ასეთი იყო კოტე, მას მეტოქეები ჰყავდა, მტრები — არა. ყველასთან ტოლი და თანასწორი ხდებოდა და ამიტომაც უყვარდათ. თავმდაბლობის შესანიშნავი მაგალითი იყო. მე მინახავს, როგორ მუშაობდა სპექტაკლებზე — ძირისძირამდე სწავლობდა ყველაფერს.

— *მგონი, გოგლა ლეონიძესთანაც მეგობრობდით.*

— უჰ, რა თამადა იყო გოგლა! რა დამავიწყებს. პატარძეულში არც ერთი „გოგლაობა“ არ გამომიტოვებია. მგონია, იქ ისევ მას ვხვდები. მუშაობა რომ დავიწყე, მაშინ ტელევიზია ახლანდელი კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობაში იყო. რუსთაველის თეატრიდან პროსპექტზე ღმერთები გამოდიოდნენ, ვარსკვლავთცვენა იყო... მაშინ ფეხით გავლა კარგ ტონად ითვლებოდა, ვის არ ნახავდით პროსპექტზე. მე ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვს ბრწყინვალე მსახიობი ეკატერინე ჩერქეზიშვილი. ჩიხტიკოპით თავმორთული მოდიოდა და ქუჩა მოჰქონდა. საუკუნეებს აცოცხლებდა ის ქალი. სულ პატარა ლეილა აბაშიძე მახსოვს „ქაჯანას“ გადაღების დროს. მაშინ კინოსტუდიის საბავშვო ბაღიდან ვუყურებდი გადასაღებ მოედანს.

მე სხვანაირი თბილისი მახსოვს — თბილი, უშუალო. ბათუ კრავეიშვილი, ჯერ კიდევ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ჩვენს ეზოში ცხოვრობდა, ლექციების შემდეგ შინ სულ სიმღერით ბრუნდებოდა. ქალაქის ერთ-ერთი მერი, ოთარ ლითანიშვილიც ჩვენი მეზობელი იყო. თუ ეცალა, დედაჩემთან თამაშობდა ნარდს. ყველა ახლობელი და ძვირფასი იყო ერთმანეთისთვის.



იგორ ნაგორნი

— *ახლა გაქრა სიახლოვე?*

— იცით, მოსკოვში რატომ არ დავრჩი? იქ აგრესიული ხალხი ცხოვრობდა ყოველთვის, აქ კი ჩხუბიც ხელოვნების დონეზე იცოდნენ. რაღაც სხვა ჯადო ჰქონდა ამ ქალაქს. ახლა რა ხდება, არ ვიცი. აგრესია და სიცრუე მოეძალა თბილისს, მისთვის შეუფერებელი და არაბუნებრივი. ბაზარში გასვლა არ მინდა. ვეხვეწები ვაჭრებს, ხომ არ გევაჭრებით, ნუ დამაკლებთ პროდუქტს, ზუსტად ამიწონეთ-მეთქი. ოჰ, რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ, შვილებს გეფიცებითო — მარწმუნებენ და მაინც მატყუებენ. ნუ მამცირებ, ნუ შეურაცხმყოფ, დალოცვილო, ვის ატყუებ, ვისაც შენსავით უჭირს? ვეუბნები, მაგრამ არაფერი ესმით. ალბათ სიყვარული არ იციან და იმიტომ. საქართველოში მუშტრის თვალით ცქერა არ სჩვეოდათ და ამიტომ იყო და არის ეს ქვეყანა ზღაპარივით, სადაც სიკეთე მართლა სძლევდა ბოროტს და ისევ დასძლევს.

თბილისი ჩემი გულის გახსნაა.

გეფერებით ყველას — თქვენი იგორ ნაგორნი.

***ეკა ლომიძე***

P.S. *ვეცადე, ამ წერილში ჩამეტია ბატონი იგორის უსაზღვრო სიყვარული საქართველოსადმი. გული დაწყდა, ბოლომდე ვერ ვთქვი, რასაც განვიცდიო... ნეტავ მაგის მეათასედს განიცდიდნენ რუსული ჩამოსხმის რუსები.*

# თქვენთვის კარგად ნაცნობი ქართველი



იახტსმენი ნუგზარ კიკნაძე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას აპირებს — კერძოდ, თვითნაგები, მსოფლიოში უმცირესი (სიგრძე 3,27მ) კრეისერული იახტით, რომელსაც მან თავისი მონატრებული დედულეთის სახელი „აფხაზეთი“ უწოდა, დედამიწის გარშემო მარტოდმარტო მოგზაურობისათვის ემზადება. ასეთი პატარა იახტით მსგავსი ნაოსნობა ჯერ არავის უცდია...

ყველას, ვინც ქომაგობს ქართველ აფროსანს, ვიწვევთ 20 აპრილს, კვირას, 14 საათზე, თბილისის ზღვის საიალქნო კლუბში, სადაც შედგება საგანგებო პრესკონფერენცია-პრეზენტაცია და მრავალ საინტერესო ამბავსაც შეიტყობთ მარტოდმარტო მოგზაურისა და მისი მინიიახტა „აფხაზეთის“ შესახებ.

***კლუბი „გიორგი“***

**„კვირის პალიტრა“ ზურგის ქარს უსურვებს მამაც მოგზაურს (და ეცდება მოგაწოდოთ ინფორმაციები მოგზაურობის შესახებ).**

— ბეჭედი წამართვეს! — კარის გაღებისთანავე „მომახარა“ მეგობარმა და სახეზე სასოწარკვეთა აღებეჭდა. ასეთი ცნობების მოსმენისას ვიბნევი.. ახლაც ასე დამემართა. სკამიც კი ვერ შევთავაზე: შეშლილი ჰქონდა სახე — ცალკე ულონობისგან, ცალკე იმისგან, რომ ის ბეჭედი დედის ნაჩუქარი იყო და თავს ერჩივნა... როდის-როდის დაწყნარდა და დალაგებულად მომიყვა ყველაფერს: „მარშრუტკაში“ ვიჯექი. ზოოპარკთან, ორი ბიჭი ამოვიდა. კარი დახურეს და მძღოლს უთხრეს, — იარე, არ გააჩეროო. იარალი ჰქონდათ, ერთმა მძღოლს მიუშვირა, მეორემ — ჩვენ გვიბრძანა: სწრაფად მოიხსენით, რაც გიკეთიათ, ჩანთებიც თქვენი ხელით ამოატრიალეთო. ჩემ გვერდით ერთმა ახმახმა ისე სწრაფად მოიხსნა ოქროს ძეწკვი, იმის შემხედვარეს, ხმის გაღებაც არ მიფიქრია... თავისუფლების მოედნამდე გააჩერეს და ჩავიდნენო...

კაცმა რომ თქვას, გასაკვირი რა მქონდა — ამას წინათ მე თვითონ მივიტანე კარგად დაჭრილი ჩანთა შინ, იმ კვირაშივე ჩემმა დისშვილმა მითხრა, — ჯიბეში „მობილური“ მედო. ვიღაც ბიჭმა გამოიარა, მეცა და მართმევდა. არ გავატანე, თან ხაჭაპურის გამყიდველი მომეშველა და წავართვიო... ამ დღეებშივე ერთმანეთს მოჰყვა ჩემი ნაცნობებისა და ახლობლებისგან მოსმენილი ერთიმეორეზე უარესი ამბები: ერთმა — ქალიშვილთან ერთად მივდიოდი პლეხანოვზე. ჩემს შვილს ჩანთა ჩამოგლიჯეს და გაიქცნენ. ბავშვი გაეკიდა, იმ ნაძირალებმა მთელი პლეხანოვი ისე გაირბინეს, არავის გაუჩერებიაო... მეორემ: ღამით მისულს მთელი სახლი გადაქოთებული დამხვდა. ერთადერთი ოქროს ბეჭედი მქონდა, წაუღიათ, თან ვაშლიც მიურთმევიათ და წასულანო...

დარწმუნებული ვარ, სურათი ყველას ეცნო... ალბათ იტყვით, ყველაფერი ხელისუფლების ბრალია, — ხალხი დაამშია და იძულებული გახადა, ეყაჩაღაო — ასე არ არის! დამშეული, შვილებატირებული და გაჭირვებული კაცი ასე არ ყაჩაღობს — გაჭირვებული იბნევა და ჩლუნგდება (ეს მეორე საშინელებაა!), ყაჩაღობს ის, ვინც მოპარულ ოქროეულობას, ტელევიზორებს, მობილურ ტელეფონებს ნარკოტიკებისთვის ყიდის... ნამდვილად არ ვიცი, რომელი სახეობის ნარკოტიკი რა ღირს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ბინის „ავლადიდება“ საკმარისია ერთჯერადი „კაიფისათვის“.

ხელისუფლების დანაშაული ის არის, რომ ისე დაამშიეს წესრიგის დამცველები, დანაშაულის აღკვეთის თავი და სურვილი არ აქვთ. პირიქით, ბიჭებს იქით უდებენ ნარკოტიკებს, რომ ამ გზით იშოვონ ფული. სადღაც ხომ უნდა იყოს საზღვარი, სადღაც ხომ უნდა შევჩერდეთ, რომ ამ ქურდობა-ყაჩაღობამ ქვეყანა საბოლოოდ არ დააქციოს? ყაჩაღი ხომ თავისთავად დაღუპულია. ვეღარც პატიოსანი კაცი შეძლებს ამ საშინელების შემყურე, სრულ ჭკუაზე ყოფნას. აბა, რა მოუვა? — მოვა ვიღაც ნაძირალა და ერთ დღეში გაანიავებს.

ყველა „სიკეთეს“ ისიც დაემატა, რომ უკვე ეკლესიებსაც ძარცვავენ. ცოდვა-ბრალი იმათ შთამომავლობას როდის მიაკითხავს, ვინ იცის. თბილისში, ვორონცოვის მოედანთან ერთი ოჯახი ცხოვრობდა. სომხები იყვნენ. მეგობარი დაუდიოდათ. მუდოსავით ჰქონდა თავი ძირს დახრილი. ერთ დღესაც ვხედავ, ტელევიზიით აჩვენეს, — ამა და ამ კაცმა ესა და ეს ეკლესია გაძარცვაო. ისიც გავიგე, იმ ეკლესიის ხატები ამ ჩემს მეზობელთან ინახებოდა. ავად გახდა და რა „მოხელე-ნაჩალნიკი“ ვიყავი, მაგრამ მაინც ვუთხარი: ხატები დააბრუნე-მეთქი. არ მაქვსო, — იუარა... უკუღმა წავიდა იმისი საქმე — აღარც თვითონაა ცოცხალი და აღარც მისი ცოლი. ერთი ბიჭი ჰყავდათ. ჩამოვიდა ბებია სომხეთიდან და წაიყვანა.

ეს ამბავი ვინმეს შესაშინებლად არ მომიყოლია — ქურდსა და ყაჩაღს რა შეაშინებს. არც გაზეთების კითხვით მოიკლავენ მაინცდამაინც თავს... მაგრამ იმის თქმა ნამდვილად მინდა, რომ რაც გვაქვს, იმას მაინც მოვუაროთ, შევეცადოთ, ავიცილოთ ვიღაცის ბინძური ხელების ფათური ჯიბეებში, დავიბრუნოთ აყრილი ღირსება და — უბრალოდ, ვიყოთ ფრთხილად! დანარჩენი — ღვთის საქმეა. ვასწავლოთ 16-20 წლის შვილებსა და ახლობლებს, კარგად შეინახონ თავიანთი მობილური ტელეფონები, რომელიც თვითდამკვიდრების საშუალებად გაიხადეს და გვაქვს თუ არა ფული, მაინც ვყიდულობთ. გაუფრთხილდნენ სიცოცხლეს, სწორედ ეს ასაკია საშიში — ამ ასაკისთვისაა დამახასიათებელი უბრალო რაიმესთვის „გაქაჩვა“ და სიცოცხლის არაფრად ჩაგდება... სთხოვეთ მათ, იყვნენ გონიერები, რადგან შარაგზის ყაჩაღები ისეთი მშიშარა და უსუსურები არიან, სულ უბრალო ძარცვის დროს, შიშის გამო, შესაძლოა გამოუსწორებელი საშინელება ჩაიდინონ — ადამიანი მოკლან... იმის იმედიც ვიქონიოთ, რომ ერთ დღესაც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დარწმუნდებიან, რომ ჩვეულებრივი, უგალავნო სახლებისა და უბრალო ადამიანების გაძარცვის შემდეგ, ყაჩაღები იმათ ციხე-კოშკებსაც მიადგებიან...

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** ***რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.***

# წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „თუ ვინმე გაბედავს და ალაპარაკდება, ბევრი თავი გაგორდება ძირს...“ — 80 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ამიერიდან მათი დამზოგავი კაცი არ მოიძებნებოდა იმ არემარეში...“ — 76
3. **ეთერ თარიმანი** — „დღეში ცხრაჯერ გაუნათე, მზეო!..“ — 70
4. **ინგა ჯაყელი** — „ურემი გადაბრუნდა?“ — 36
5. **იზო რიკაძე** — „არჩევნებს გაყიდიან და ისე წავლენ“ — 21
6. **ირაკლი ალადაშვილი** — „ბაღდადის ბედი გადაწყვეტილია“ — 19
7. **დაჩი გრძელიშვილი** — „მე თქვენს კითხვაზე პასუხი არა მაქვს“ — 17

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტთა პირველი სამეულისათვის მიკუთვნებულ ქულებს შორის განსხვავებები უმნიშვნელოა. თქვენს პრემიას — 50 ლარს კვლავაც **ზვიად ჩაკვეტაძე** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 405-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

# ვინ მოაწყო გაქცევა აფხაზური ციხიდან

## სოხუმში პოლიტიკური ავდარია

სოხუმში პოლიტიკური ამინდი საგრძნობლად გაფუჭდა. ოპოზიცია, რომელსაც ძირითადად არძინბას ხელისუფლებაზე განაწყენებული ექსჩინოვნიკები — ანრი ჯერგენია და ალექსანდრე ანქვაბი ხელმძღვანელობენ, სოხუმში გრანდიოზული მიტინგებით იმუქრება. ხელისუფლებასთან დაპირისპირების მოტივი



მისი არასწორი ორიენტაციაა, მიზანი კი — მმართველობიდან ჩამოშორება.

რადგან „ყინული დაიძრა“, „აფხაზური პოლიტიკის“ სამზარეულოში ჩახედული ოპონენტები სასურველ შედეგს ალბათ მიაღწევენ.

აფხაზური ე.წ. ოფიციოზი განვითარებულ მოვლენებს იმით ხსნის, რომ მიმდინარეობს დემოკრატიზაცია და ამ მოტივს სიმწრის ღიმილით ახმოვანებს. ქართველებში კი გაჩნდა იმედიც და საფუძველიც საიმისოდ, რომ ამ მოვლენებში საქართველოს მეგობრების დამსახურება დაინახონ.

აფხაზების პოლიტიკურ აშლილობას დრანდის საპყრობილედან პატიმრების გაქცევაც დაერთო. გაქცეულთა შორისაა ერთი ქართველიც, აფხაზური კანონმდებლობით სიკვდილმისჯილი გერვასი ჯოლოგუა. სავარაუდოდ, ამ გაქცევასაც პოლიტიკური სარჩული აქვს.

სოხუმს ქართველი სიკვდილმისჯილის ირგვლივ ამტყდარი საერთაშორისო აჟიოტაჟი ხელს ნამდვილად არ აძლევდა. იგი ქართველებისა და დასავლეთის მოთხოვნით აფხაზურ კანონმდებლობას არ შეცვლის და სიკვდილით დასჯას ცოცხალი თავით არ გააუქმებს. შეიძლება ითქვას, რომ გამოუვალი მდგომარეობა გაქცევამ გამოასწორა. როგორც ამბობენ, გაქცევის ორგანიზატორი სოხუმის აწ გადაყენებული უშიშროების მინისტრი ზურაბ აგუმა უნდა იყოს, რასაც აფხაზური ოფიციოზი კატეგორიულად უარყოფს. არსებობს ვერსია, რომ აფხაზები გაქცეული პატიმრის „გაუვნებელყოფას“ შეეცდებიან და ჯოლოგუა ხელს აღარავის შეუშლის, მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა — ვისთვის იქცა პრობლემად 2001 წლის „ჩეჩნურ ამბებში“ გარეული ჯოლოგუა — აფხაზებისა თუ ქართველებისთვის?

შეგახსენებთ, რომ 2001 წლის ზაფხულში ჩეჩენი საველე მეთაურის, გილაევისა და რამდენიმე ქართველი პარტიზანისაგან(!) შემდგარმა შეიარაღებულმა ჯგუფმა აფხაზეთის დე ფაქტო ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. კოდორის ხეობის მოსაზღვრე აფხაზური რაიონებიდან იმდენად სპონტანური ინფორმაციები მოდიოდა, რომ ქართველმა ჩინოვნიკებმა ტელეეკრანებიდან დაიწყეს განცხადებების გაკეთება, რომ აფხაზეთის განმათავისუფლებელი ბრძოლები უკვე სოხუმში, ფუნიკულიორთან მიმდინარეობდა. ამ სასიხარულო ინფორმაციებით რამდენიმე კაცს მაშინ სტენოკარდიული შეტევაც კი დაემართა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ყოველივე ფარსი ყოფილა. პოლიტიკოსები და ზოგიერთი პარტიზანი პროვოკაციაზე ალაპარაკდნენ, მოვლენების უშუალო მონაწილენი კი — ღალატზე (ადრესატებად ქართველი ძალოვნები მოიაზრებოდნენ). პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი ამ ფაქტთან დაკავშირებით სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა კონკრეტულ პირებს. მათ შორის იყო ამჟამად დრანდის ციხიდან გაქცეული გერვასი ჯოლოგუაც. ამ თემასა და კოდორის ხეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე კომენტარისათვის **ემზარ კვიციანს** დავუკავშირდით:

**— ბატონო ემზარ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დრანდის ციხიდან გაქცეული პატიმრების კვალს კოდორის ხეობაში აფხაზეთიდან ძალოვნები შემოჰყვნენ. რა ხდება ხეობაში, მართლა ელოდებით დაუპატიჟებელ სტუმრებს?**

— აფხაზებს რომ ვუსმინოთ, ამბობენ, გაქცეულების კვალს თბილისამდე ჩამოვყვებითო, მაგრამ ჩამოჰყვებიან? ვერც ჩვენთან შემოვა ვინმე დაუპატიჟებლად.

**— დრანდის ციხიდან გაქცეულ გერვასი ჯოლოგუასთან თქვენ კონკრეტული პრეტენზიები გქონდათ და ამას საჯაროდაც აცხადებდით.**

— ღმერთმა ცოცხალი ჩამოიყვანოს აქამდე ჯოლოგუა და დღესაც მაქვს მასთან ბევრი შეკითხვა. პირველად იმას ვკითხავ, რატომ ჩაბარდა აფხაზებს აწეული თეთრი დროშით?

**— ნამდვილად იცით? ასე რომ ყოფილიყო, ციხეში იმ შეტაკებაში მონაწილე ტყვედ ჩავარდნილი ჩეჩნები პასუხს ხომ მოსთხოვდნენ? ან მათთან ერთად ხომ ვერ გაიქცეოდა?**

— ჯერ ისიც გასარკვევია, ვინ იყვნენ ის ჩეჩნები და საერთოდ ვის დავალებებს ასრულებდნენ ყველანი ერთად...

**— ხშირად ამბობთ, აფხაზეთში ბევრი მეგობარი მყავსო. ისინი რას ამბობენ ამ ფაქტზე?**

— როგორც მითხრეს, ციხის ერთმეტრიანი კედელი აუფეთქებიათ და ისე გაქცეულან. იქაურებს ველაპარაკე და აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში კედელი არ აუფეთქებიათ. იმასაც ამბობენ, რომ ეს გაქცევა ქართველების, აფხაზებისა და რუსების ერთობლივი ოპერაცია იყო.

**— ყველაფერი ეს ვის ინტერესებს ემსახურებოდა?**

— ვერ გეტყვით, ალბათ ისევ რუსების.

**— რა აზრის არიან სოხუმში მიმდინარე პროცესებზე აფხაზები?**

— აფხაზებს დიდი ხანია, ჩვენკენ მოუბრუნდათ გული. სწორედ ამიტომ გამოიყენეს 2001 წლის ზაფხულში ჩეჩნების ფაქტორი, ისევ აფხაზების შესაშინებლად. ვითომ ამოიყვანეს პარტიზანები ხეობაში ჩეჩნებთან ერთად, გზადაგზა ხალხი ხოცეს და შემდეგ ამ მიზეზით კოდორის ხეობაში შემოსვლაც მოუნდათ სეპარატისტებსა და რუსებს. ეს რუსების დაგეგმილი წმინდა წყლის პროვოკაცია იყო და ყველანაირად მათ აძლევდა ხელს.

*რუსუდან ხუბულავა*

# „რჩეულიშვილი მალე შეიძლება იქ აღმოჩნდეს, სადაც ადრე შევარდნაძეს აგზავნიდა...“



აბაშიძის ბანაკი ამაოდ ცდილობდა უკვორუმო პარლამენტში მისთვის სასურველ საკითხზე ემსჯელათ. ამის გამო განაწყენებულმა ჯემალ გოგიტიძემ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელს გაუსინჯა გემო (მასში მოთავსდა) და ლამის სხდომის წაყვანაც დააპირა... მაგრამ მიკროფონი ვერ ჩართო...

**სანდრო ბრეგაძე:**

— ეს არაორდინარული სიტუაცია პრეზიდენტის უშუალო მითითებებით შეიქმნა. სამშაბათს, 11 საათზე, კანცელარიაში გამართულ თათბირზე პრეზიდენტმა თავის გუნდს დაავალა პარლამენტის მუშაობის ბლოკირება — ხელისუფლებას არ სურდა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე მსჯელობა.

**— რატომ არ სურს ამ თემაზე ლაპარაკი პრეზიდენტს?**

— თავისუფალი ეკონომიკური ზონა არალეგალურად უკვე შექმნილია საქართველოს სხვადასხვა ადგილას — ერგნეთის ბაზრობაზე, გალში, ზუგდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე. ფოთის პორტში უკონტროლო ფული ტრიალებს და ფული, რომელიც ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა ხმარდებოდეს, რამდენიმე კლანის ჯიბეში მიდის. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღება მხოლოდ აჭარაში არ გვინდა. შეიქმნება სამეთვალყურეო საბჭო, რომლის თავმჯდომარე პრეზიდენტი იქნება. საბჭო განსაზღვრავს, სად უნდა შეიქმნას ასეთი ზონები. მაგრამ ხელისუფლებას არ სურს ამ თემაზე კრინტის დაძვრა. სახელმწიფო მინისტრი და სახელისუფლებო ძალები გასულ კვირას კანცელარიაში იყვნენ შეყუჟულები. რაკი ისინი არ მოდიან პარლამენტში, ჩვენ მივალთ კანცელარიაში მოსახლეობასთან ერთად და შევარდნაძის გადადგომას მოვითხოვთ.

**— ამ გაჭირვების ჟამს რჩეულიშვილმაც გიგანათ...**

— როდესაც „სოციალისტები“ ჩვენს ბლოკში შემოვიდნენ, ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომ თეზ-ს დაუჭერდნენ მხარს. ახლა რჩეულიშვილი ამბობს, — მხარს ველარ გიჭერთ, რადგან ხელისუფლებაში ვარო. თუ ჩვენი ყოფილი პარტნიორი ასე გააგრძელებს, მალე იქ აღმოჩნდება, სადაც რამდენიმე წლის წინ შევარდნაძეს აგზავნიდა. არ შეიძლება პოლიტიკოსი იმის მიხედვით იცვლიდეს პოზიციას, სად მეტ სარგებელს ნახავს. ქართულ პოლიტიკაში ჯიბის ინტერესი უპირველესი გახდა, ამიტომ ძნელია ნორმალური პოზიციის გატანა.

**— ითქვა, აჭარას თეზ-ი შავი ფულის გასათეთრებლად უნდაო.**

— შავი ფული ბაზრობებსა და იმ კაზინოებში თეთრდება, რომლებიც ერთი საოჯახო კლანის ხელშია. ფული უკვირთ ჩვენთან, როცა საქართველო იარაღისა და ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა, როცა ქართული ბანკები კოლუმბიელი და ჩეჩენი მაფიოზების ფულის რეცხვით არიან დაკავებულები?!

**— გჯერათ, რომ ჟვანია ამ საკითხში ბოლომდე თქვენთან იქნება?**

— არა მგონია, დემოკრატებმა პატიოსანი სიტყვა გატეხონ.

**— მაინც რა ჩაწერეთ დემოკრატებთან დადებულ ხელწერილში ამისთანა?**

— ის ხელწერილი გოგიტიძეს აქვს და საკუთარ ცოლსაც არ აჩვენებს...

*იზო რეკაძე*

**გაქცევა — ეგეც ერთი ხერხია გამარჯვებისა.**

*კალდერონი*










# „თუ ვინმე გაბედავს და ალაპარაკდება, ბევრი თავი გაგორდება ძირს..."

## „სქოული საქართველოდან ისე წავიდა, გაკვირვებისგან წარბი აწეული დარჩა..."

ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ. ჯორჯ ბუში ეუბნება შევარდნაძეს: აფხაზეთსაც დაგიბრუნებ, სამაჩაბლოსაც, ფინანსურადაც დაგეხმარები და რუსეთსაც ერთხელ და სამუდამოდ ავაღებინებ შენს ქვეყანაზე ხელს. სამაგიეროდ არაფერს გთხოვ — არც შენი ბაზები მინდა და არც სამხედრო აეროდრომები, მხოლოდ ერთს გთხოვ — რამდენიმე ხნით თქვენი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი, მირცხულავა მათხოვე. ბაგიგია, კაცო, ორი კვირაა, რაც ბაღდადს განუწყვეტლივ ვბომბავ, მაგრამ შუქი ერთი წუთით ვერ ჩავაქრეო. ამ სახელდახელო ანეკდოტს ენაკვიმატებმა გაგრძელებაც მოუნახეს, როცა გასული კვირის მიწურულს კოალიციის ჯარები ბაღდადს მიუახლოვდნენ და შუქიც ჩააქრეს, — თურმე პრეზიდენტს მირცხულავა არა, მაგრამ ყოფილი ენერგეტიკის მინისტრებისათვის ერთად მოუხვევია ხელი, ზედ „საქენერგოს" ასევე ყოფილი ხელმძღვანელიც მიუმატებია და ერაყში გაუგზავნია. ჩასულებიც არ იყვნენ ჩვენი ენერგომამები, რომ ერაყის დედაქალაქში შუქი ჩაქრაო.

ეს ანეკდოტი, შეიძლება, ვიღაცას სასაცილოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ როცა გაახსენდება, რომ ჩაბნელებულ სახლში მოუწევს მისვლა და ძლივს გადატანილი ცივი ზამთარიც მოაგონდება, არა მგონია, სიცილის გუნებაზე დადგეს.

დედაქალაქელები რა დღეშიც ვართ, მოგეხსენებათ. უარეს დღეში არიან საქართველოს სხვა რეგიონების მცხოვრებლები.

ამ დღეებში შემთხვევით იმერეთის ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, (პროფესიით ელექტროინჟინერს) შევხვდი. გამარჯობის ნაცვლად, კითხვა მივაგებე, რატომ ვართ გაუთავებლად ჩაბნელებულები. რატომ და რა მიზეზით აქვს საქართველოს ენერგოსისტემას ენერგიის დეფიციტი-მეთქი? ეტყობა, მიხვდა ჩემი ნაცნობი, მთლად წესრიგში რომ არ მქონდა ნერვები, შევებრალე და პასუხი არ დამამადლა; ოღონდ იმ პირობით, რომ მის ვინაობას არ გავამხელდით: — ჩემს რაიონში თითქმის ყველა მიცნობს. ჩემი, როგორც ენერგეტიკოსის მოსაზრებებს ანგარიშს უწევენ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ აქციონერებმა რაიონის ჰიდროელექტროსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ერთხმად ამირჩიეს. მუშაობას დიდი ენთუზიაზმით შევუდექი, მაგრამ მალე ჩემს მონდომებას ცივი წყალი გადაასხეს. მუშაობის შედეგი, ძირითადად, მიღებული მოგებით, აქციონერებზე გაცემული დივიდენდებითა და თანამშრომლებისთვის დარიგებული ხელფასებით განისაზღვრება. სამწუხაროდ, ჩვენი გამომუშავებული ელექტროენერგია საბითუმო ბაზარს მიაქვს, მაგრამ საფასურის გადახდაზე აღარ ფიქრობს. თითქმის ყოველთვე ვაგზავნით საწარმოს მთავარ ბუღალტერს, ხან ჰიდროელექტროსადგურის ხელმძღვანელები ჩამოვდივართ, მაგრამ საბითუმო ბაზრიდან კაპიკიც ვერ მიგვაქვს. გვეუბნებიან, ფული არ გვაქვს, ხალხი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ იხდისო. გვატყუებენ, მაგრამ რა ვქნათ, თავს ზემოთ ძალა არ არის. იძულებულები ვართ, სხვადასხვა მაქინაციას მივმართოთ. მაგალითად, ჩვენი ჰიდროელექტროსადგურის ენერგობლოკებს დღე-ღამის განმავლობაში, ვთქვათ, 50 მეგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია. ოფიციალურად, მხოლოდ „ოც" მეგავატს

ვყიდით, ანუ საბითუმო ბაზარში არ შეგვაქვს. კანონით, ჰიდროელექტროსადგურს ელექტროენერგიის დამოუკიდებლად გაყიდვა ბაზართან შეუთანხმებლად არ შეუძლია. ამ საქმეში ენერგეტიკის დისპეტჩერიზაცია და სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემა" გვეხმარებიან. მათ ჩვენ მიერ მოპარული ელექტროენერგია მალულად მიაქვთ მსხვილ მომხმარებლამდე, მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნამდე. ქარხანაც დიდი სიამოვნებით იღებს მოპარულ ელექტროენერგიას, — გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე ოფიციალურად გამომუშავებული და სხვადასხვა გადასახადით დაბეგრილი.

ზოგჯერ „ელექტროგადაცემა" დისპეტჩერიზაციის ხელშეწყობით საქართველოს მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას საზღვარგარეთ ყიდის. თუ მოპარული ენერგია საკმარისი არ არის, მაშინ ენერგომამები უარს არც რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერგიის სხვა ქვეყანაში, მაგალითად, თურქეთში გატანაზე ამბობენ უარს. გავიგე, ქართველმა ენერგომაფიოზებმა მომგებიანი ხელშეკრულება დადეს თურქებთანო. ხელშეკრულების მიხედვით, თურქებისთვის ელექტროენერგიის მიწოდება 20 მარტიდან უნდა დაწყებულიყო. ვარაუდობდნენ, რომ ამ დროისთვის თოვლი მთაში დნობას დაიწყებდა, მდინარეები ადიდდებოდა და ჰიდროელექტროსადგურებს კაშხალებში წყალი ექნებოდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ისე აცივდა, თოვლის დნობასა და მდინარეებში წყლის მატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხელშეკრულებას ჩაშლა დაემუქრა, ამ შემთხვევაში ქართველებს დიდი ჯარიმა ელოდებოდათ. ადგნენ და სომხეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი ელექტროენერგიის გატანა დაიწყეს თურქეთში, ხალხს კი უთხრეს, თითქოს ჯერ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი" რუსეთის ტერიტორიაზე დაზიანდა, მოგვიანებით კი ვითომ ვიღაცამ „კავკასიონის" ერთ-ერთი ანძა ააფეთქა. ისე, აფეთქება მართლაც მოხდა „კავკასიონის" ხაზზე. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები და ენერგეტიკოსები აცხადებენ, აფეთქება არაპროფესიონალის მოწყობილია, აფეთქებამ ანძა ვერ წააქცია, მხოლოდ მისი ერთი საყრდენი დააზიანაო. მე კი ვიტყვი, რომ ყველაფერი მართლაც მაღალპროფესიონალურად იყო გაკეთებული. მათ არ აძლევდათ ხელს საყრდენი ანძის წაქცევა — სადენები გაწყდებოდა და ელექტროენერგიის მოწოდება შეწყდებოდა რუსეთიდან. ანძის ერთი საყრდენის დაზიანებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს „კავკასიონით" ელექტროენერგიის მოწოდება შეწყდა. სინამდვილეში, არ შემწყდარა — ახლაც, ამ დაზიანებული ანძით, რომელიც ჯერ კიდევ არ შეუკეთებიათ, მოდიოდა და მოდის უწყვეტად ელექტროენერგია. ამ აფერამ ენერგომაფიოზებს საშუალება მისცა, მთელი საქართველო ჩაებნელებინათ, ორი-სამი დღე მოეგოთ და ელექტროენერგია თურქეთში გაეტანათ.

**— ენერგომაფიოზებიო, ამბობ და შენ თვითონ იპარავ ელექტროენერგიას.**

— მე მირჩევნია ცოტა ავიღო და პატიოსნად ვიმუშაო, მაგრამ ამის საშუალებას ზემდგომები არ გვაძლევენ. იძულებული ვართ, ასე მოვიქცეთ. ის ჰიდროელექტროსადგურები, რომ...

> როდესაც „ეი-ი-ეს თელასი" შემოვიდა საქართველოში და მისი პირველი გენერალური მენეჯერი მაიკლ სქოული ელექტროენერგიის შესასყიდად თურქეთში წავიდა, იქ „საქენერგოს" მაშინდელ ხელმძღვანელს, ემზარ ჩაჩხიანს შეხვდა. როგორც გაირკვა, ჩაჩხიანი თურქეთში ელექტროენერგიის გაყიდვის თაობაზე ხელშეკრულების დასადებად იყო ჩასული. სქოულს გაკვირვებისაგან წარბი აწეული დარჩა — ისე წავიდა საქართველოდან, ამ „ფენომენის" ახსნა ვერ შეძლო.


ელექტროსადგურის ძალოვანი აგრეგატი, რომელსაც ზოგიერთებისთვის მილიონები მოაქვს

ბოლო კილოვოლტამდე საბითუმო ბაზარს აბარებენ, შავ სიაში ჰყავთ შეყვანილი და კაპიკსაც არ აძლევენ...

ჩვენ ამ ინფორმაციის გადამოწმება დავიწყეთ. შემთხვევით ხელთ ჩაგვივარდა საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2002 წლის დეკემბრის დადგენილება, რომელიც საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობის კომპლექსურ რევიზიას ეხება. გთავაზობთ ამონარიდს: *„მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა ენერგეტიკის სფეროში. რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის ტრანზიტი და მოცულობა არ აღირიცხება, რადგან ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი" მრიცხველით აღჭურვილი არ არის(?!). საბაჟო ორგანოები აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოში იმპორტითა და ტრანზიტით თურქეთში მიმავალი ენერგიის რაოდენობის მუდმივ კონტროლს არ ახორციელებენ. აღრიცხვის არარსებობის გამო შეუძლებელია დადგინდეს, ვისი კუთვნილი 16,7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია გაიტანა თურქეთში სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემამ" 2001 წლის განმავლობაში და 2002 წლის 3 იანვრის ჩათვლით; მარტო 3 იანვარს ამ საზოგადოებამ თურქეთის რესპუბლიკას 4,9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ენერგია მიაწოდა".*

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელთა მტკიცებით, საქართველოდან ზამთრის პერიოდში არც ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია არ გაედინება სხვა ქვეყნებში. როცა სამინისტროს პრესმდივანს ვაცნობეთ, რომ ჩვენ საწინააღმდეგოს დამტკიცება შეგვიძლია, მან უარი განგვიცხადა მინისტრთან შეხვედრის ორგანიზებაზე. მიუხედავად ამისა, სხვა ენერგოკომპანიებში ვცადეთ ინფორმაციის გადამოწმება და, უპირველესად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკი) ვეწვიეთ. სემეკში არავის გაპკვირვებია, რომ საქართველოდან ზამთრის პერიოდში და წლის სხვა დროსაც გაედინება ელექტროენერგია. ერთი ამბავი გაგვახსენეს: როდესაც „ეი-ი-ეს თელასი" შემოვიდა საქართველოში და მისი პირველი გენერალური მენეჯერი მაიკლ სქოული ელექტროენერგიის შესასყიდად თურქეთში წავიდა, იქ „საქენერგოს" მაშინდელ ხელმძღვანელს, ემზარ ჩაჩხიანს შეხვდა. როგორც გაირკვა, ჩაჩხიანი თურქეთში ელექტროენერგიის გაყიდვის თაობაზე ხელშეკრულების დასადებად იყო ჩასული. სქოულს გაკვირვებისაგან წარბი აწეული დარჩა — ისე წავიდა საქართველოდან, ამ „ფენომენის" ახსნა ვერ შეძლო. სემეკში ჩვენთან საუბარი ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორმა, **ილია ნაკაშიძემ** ისურვა:

— ძალზე ძნელი და საჩოთირო საქმისათვის მოგიკიდიათ ხელი. არაფერი აგერიოთ, თორემ შეიძლება მოგედავონ. არსებობს ფირმები, მაგალითად, „ინტერსერვისი", რომელშიც ქართველები

საქმიანობენ. მას რუსეთიდან საქართველოს გავლით, ანუ ტრანზიტით გააქვს ელექტროენერგია აზერბაიჯანში და იქ ყიდის. არ იფიქროთ, ეს უკანონოდ კეთდებოდეს. მხედველობაში მაქვს ის ძველი ვალები, რომლებიც საქართველოს დაუგროვდა თურქეთიდან ადრე მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო. ახლა საქართველო იძულებულია (განსაკუთრებით, როცა ჭარბი ელექტროენერგია აქვს), თურქებს ვალი დაუბრუნოს და ამას ვაკეთებთ კიდეც. სხვა საკითხია, რამდენად სწორად ხდებოდა თურქეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის აღრიცხვა, ხომ არ არის ვალი საგანგებოდ გაბერილი და რამდენად სწორად ხდება თურქეთის ვალის მომსახურება? როგორც ვიცი, ამის შესახებ არ არსებობს ხელშეკრულება საქართველოსა და თურქეთს შორის, ლაპარაკი ზედმეტია რაიმე საკანონმდებლო აქტზეც. სხვათა შორის, ძველი ვალების მომსახურებისთვის შექმნილია სახელმწიფო კომპანია „საქენერგო 2000", მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, იგი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. რამდენიმე ხნის წინ იქ საქმეთა ვითარებაში მნიშვნელოვანი დოკუმენტები დაიკარგა... საქართველოს ენერგოსისტემის ყველაზე სუსტი წერტილი აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობა გახლავთ. როდესაც ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი" ჩართულია, ელექტროენერგია რუსეთიდან უნდა მოდიოდეს ჩვენკენ, ყოველ შემთხვევაში, იქით არ უნდა მიდიოდეს, მაგრამ „კავკასიონის" ხაზზე ამ რეჟიმის დაჭერა ძალიან ძნელია. ამის გამო ენერგოსისტემიდან მეორეში უნებლიე ელექტროენერგიის გადადინება ხდება. წლის მანძილზე შეიძლება ამ უნებლიე გადადინება-გადმოდინების დიდძალი თანხა დაგროვდეს. შეიძლება კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებაში სწორედ ეს არის ნაგულისხმები.

**— კი, მაგრამ უნებლიე გადინება რატომ ყოველთვის საქართველოდან ხდება?**

— ვერ გეტყვით, ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს. მიმართეთ „საქენერგოს" სამართალმემკვიდრეს, სახელმწიფო კომპანია „საქენერგო 2000"-ს, რომელიც ძველ ვალებს უწევს მომსახურებას და იქ გაგარკვევენ ყველაფერში...

მართლაც მივაკითხეთ „საქენერგო 2000"-ს და მის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, **ვიქტორ პაიჭაძეს** შევხვდით. „ჩვენი ორგანიზაცია ხელისუფლების დაუფინანსებელია, მიუხედავად ამისა, მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ. თითქმის ორი თვე ოფისიც კი არ გვქონდა. ყოფილი „საქენერგოს" სამართალმემკვიდრე ვიყავით, მას უზარმაზარი შენობა აქვს კოლმეურნეობის მოედანზე. სამადლოდ ხუთ ოთახში შეგვიშვეს. ახლა თითქოს სამუშაო ოთახები გვაქვს, მაგრამ მუშაობას ვერ ვახერხებთ. ყველა საბუთი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დალუქა და ვართ ასე.

**— იქნებ გვითხრათ, რამდენი აქვს საქართველოს ენერგოსისტემას დავალიანება?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. როგორც ვიცი, კრედიტი და აქტივი თანაბარია; ანუ თუ დავალიანება 400 ათასი დოლარია, ამდენივე აქვთ დასაბრუნებელი იმ საწარმოებს, რომლებმაც მოიხმარეს მიღებული ელექტროენერგია... მაგრამ აქ ერთი ნიუანსია. ჩვენი ორგანიზაცია შექმნილი იყო, როცა ყველაზე იოლად ამოსაღები ვალები ხელისუფლებამ რატომღაც ნუგზარ შევარდნაძის ოფისში განთავსებულ კერძო ფირმას, „ნეოგენერაციას" გადააწერა — დაახლოებით, 167 მილიონი ლარი. გაუგებარია, რატომ იკისრა კომერციულმა ფირმამ თუნდაც იოლად ამოსაღები ვალის თავის თავზე აღება. რაც შეეხება თურქეთის მიმართ დავალიანებას, რამდენია ვერ გეტყვით, — საბუთები დალუქულია...

> — ყველაზე იოლად ამოსაღები ვალები ხელისუფლებამ რატომღაც ნუგზარ შევარდნაძის ოფისში განთავსებულ კერძო ფირმას, „ნეოგენერაციას" გადააწერა — დაახლოებით, 167 მილიონი ლარი.

„ნეოგენერაციის" ხელმძღვანელობამ ჟურნალისტთან შეხვედრა არ ისურვა. სანაცვლოდ, შევხვდით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, „ენერგოგენერაციის" ხელმძღვანელს, **გოგა ჩოგოვაძეს**: „ჩვენი სამსახურის ძირითადი ფუნქცია ჰიდროელექტროსადგურებზე ზედამხედველობა და კონტროლი გახლავთ. იმის თაობაზე, რომ ჰიდროელექტროსადგურები გამომუშავებულ ელექტროენერგიას მალულად ყიდიან, ინფორმაცია არა გვაქვს. ვფიქრობ, ხმა საგანგებოდ გაავრცელეს, რადგან ენერგოსისტემაში ძალზე დიდი კომერციული დანაკარგები გვაქვს. თუ საქართველოში არსებული ჰიდრო და თბოელექტროსადგურები წლის მანძილზე 7 მილიარდამდე კილოვატსაათს გამოიმუშავებენ, დანაკარგი 2 მილიარდს აღემატება(?!), ანუ მესამედი იკარგება. მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა... შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ გამომუშავებული ელექტროენერგიის დანაკარგები საქართველოში ხელოვნურად არის გაზრდილი, რათა ამით კორუმპირებულმა ხელმძღვანელობამ ისარგებლოს და მოხმარებული ელექტროენერგია დანაკარგად დააფიქსიროს, მაგრამ ეს ასე არ არის. დანაკარგების ასეთი რაოდენობა იმით არის გამოწვეული, რომ სპილენძის ელექტროგადამცემი ხაზები მოსახლეობამ მოიპარა და იძულებული გავხდით, ისინი ფოლადის მავთულებით შეგვეცვალა. ბუნებრივია, დანაკარგი გაიზარდა. ოფიციალურად, დასაშვებია 40-პროცენტიანი დანაკარგებიც კი.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# თუ მუცელღმერთა პარტიები ას დოლარს შემოგთავაზებენ, ხუთასი მოსთხოვეთ...

*ზოდელავას სჯერა, რომ სინამდვილეში ერთი მტერი ჰყავს. ჰიდრას, რომელიც მას მოსვენებას უკარგავს (ბატონი მერის წარმოდგენით) ორი თავი აქვს — ლეიბორისტული და ნაციონალური...*

*ვანო ზოდელავა დარწმუნებულია, რომ ნათელაშვილისა და სააკაშვილის ურთიერთკრიტიკა მხოლოდ ხალხისთვის თვალის ახვევაა. სინამდვილეში, შალვა და მიშა მშვენივრად თანამშრომლობენო, — ასე სწამს დედაქალაქის მერს... ქართულ პოლიტიკაში მომხდარ მოვლენებზე, ბატონი ზოდელავას არგუმენტებსა და საკრებულოს თავმჯდომარის შენიშვნებზე კომენტარი ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს,* ***შალვა ნათელაშვილს*** *ვთხოვეთ:*

— უსაქმურ და დოლარყლაპია ხალხთან სალაპარაკოდ ვერ მოვცდები. კმაყოფილი ვარ, რომ საქართველოში ენერგომაფიაზე შეტევა წარმატებით დავიწყეთ. საერთაშორისო ტრანსნაციონალურ კორპორაციას ვძლიეთ, რომელიც „წაუქცეველი" და „აუღებელი" იყო. მიხარია, რომ შევაჩერეთ პრეზიდენტის ბრძანება საავადმყოფოების დაკეტვაზე (და ამის გამო გვიჩივლა პრეზიდენტმა უზენაეს სასამართლოში). გულწრფელად, ბავშვივით მიხარია, რომ 5-წლიანი ბრძოლის შემდეგ, პირველი სექტემბრიდან სკოლებს ბიუჯეტი დააფინანსებს და ბოლო მოეღება მოსწავლეებისათვის ფულის გამორთმევას. ჩვენი ოპონენტები კი ნაცვლად იმისა, საქმით გვიპირისპირდებოდნენ, ცდილობენ უხამსი ლანძღვით მიიპყრონ ჩვენი ყურადღება და რაც შეიძლება მეტი ფული მოიპარონ ბიუჯეტიდან წინასაარჩევნოდ, ქალაქის მერმა პრეზიდენტისგან უკვე მიიღო დავალება, რათა აქტიურად იმუშაოს თბილისში არჩევნების გაყალბებისათვის. სააკაშვილსაც აქვს დაკისრებული ამ ხელისუფლებისგან ფუნქცია — ითამაშოს ოპოზიციონერის როლი, ხალხს ჩვენი სიტყვებით ელაპარაკოს და წაგვართვას ამომრჩეველი, ამ გზით შეიყვანოს თავისი ხალხი პარლამენტში, რათა მერე ისევ შეუერთდეს ზოდელავას და შევარდნაძეს. ეს პრიმიტიული და გაშიფრული სქემაა...

**— დოლარყლაპიებში, კიდევ ვის გულისხმობთ?**

— იმ ოლიგარქებს, გადამხდელთა კავშირში რომ შეიკრიბნენ. სინამდვილეში, ამ „არგადამხდელთა და ბანდიტების კავშირმა" ანტილეიბორისტული ალიანსი გამოაცხადა და შევარდნაძეს ულტიმატუმი წაუყენა, — თუ ხელისუფლებას ჩვენ არ დაგვითმობ, ლეიბორისტული პარტია მოდის, რომელიც ჰესებს, სტრატეგიულ ობიექტებს, საწარმოებს, ნავთობპროდუქტების მონოპოლიას, „ბორჯომს", ღვინის ქარხნებს, ანუ იმ სიმდიდრეს წაგვართმევს, რომელშიც უკანონოდ ჩავყავით ცხვირი და ყურები გამოიფხიკეო.

**— რამდენადაც ვიცი, გადამხდელთა კავშირში ლეიბორისტები არ უხსენებიათ — ის შეკრება უფრო ანტიშევარდნაძისეულად მოინათლა. ხელისუფლებაც უკმაყოფილო დარჩა.**

> ჭყონიას 10 მლნ აქვს წაღებული თურქული კრედიტიდან და ჩვენ ვიმკით მის გადასახდელ პროცენტებს. პატარკაციშვილს იმიტომ არ მოვდივართ თვალში, რომ ვეწინააღმდეგებით კულტურის ობიექტების პრივატიზებას. ან ნიკო ლეკიშვილს ამოეღება ხმა? ქალაქის მერად რომ იყო, ნიკო „წილოსანს" ეძახდნენ, იმდენი ფული დააგროვა ჩვენი ნაშრომით. ან მამუკა ხაზარაძე როგორ ლაპარაკობს? ერთ დღეს „ბორჯომის" — ეროვნული სიმდიდრის მეპატრონედ რომ მოგვევლინა. მამამისისა იყო „ბორჯომი" თუ რა?!..

— ჩვენ როგორ გვახსენებდნენ... შემოუძახეს თავიანთ პატრონებს, — არიქა (შევარდნაძევ და ჯორბენაძევ) გადმოგვაბარეთ ხელისუფლება. მოგვეცი გარანტია, რომ ლეიბორისტული პარტია არ მოვა ხელისუფლებაში. თორემ ბიზნესის, უფრო სწორად, ფულის კეთების საშუალებას ვკარგავთო (ნეტავ, ბიზნესს აკეთებდნენ და ვინ მოედავებოდა?!). ჭყონიას 10 მლნ აქვს წაღებული თურქული კრედიტიდან და ჩვენ ვიმკით მის გადასახდელ პროცენტებს. ამ კაცს, ბუნებრივია, უნდა ხელისუფლებაში თავისი ხალხი ჰყავდეს იმიტომ, რომ, როცა ჩვენ მოვალთ, ფულს უკან მოვატანინებთ. პატარკაციშვილს იმიტომ არ მოვუდივართ თვალში, რომ ვეწინააღმდეგებით კულტურის ობიექტების პრივატიზებას. თუ ბიზნესმენია, ცირკსა და რიტუალების სასახლესთან რა უნდა, გაჩერებული ქარხანა შეისყიდოს, აამუშაოს საწარმო და რომელი მამაძაღლი მოედავება? ან ნიკო ლეკიშვილს ამოეღება ხმა? ქალაქის მერად რომ იყო, ნიკო „წილოსანს" ეძახდნენ, იმდენი ფული დააგროვა ჩვენი ნაშრომით. ან მამუკა ხაზარაძე როგორ ლაპარაკობს? ერთ დღეს „ბორჯომის" — ეროვნული სიმდიდრის მეპატრონედ რომ მოგვევლინა. მილიონები, რომლებიც ბიუჯეტში უნდა შედიოდეს, ხაზარაძესთან მიდის. ორ კაპიკს გადმოგვიგდებს და გვამადლის, — ბიუჯეტში თანხა შემაქვს, გადასახადებს ვიხდიო. მამამისისა იყო „ბორჯომი" თუ რა?!.. მზამზარეულს რომ ეცა, წავიდეს რაჭაში, ერთ ხეობაში ცხრა მინერალური წყალი ამოდის. იქ ააწყოს წარმოება და მადლობას ვეტყვით (საშელავათო გარემოსაც დავუწესებთ)... ხალხს ხორცის პროდუქცია ვერ გაუყიდია. სოფლის მეურნეობის მინისტრი (სააკაშვილ-ჟვანიას სატელიტი) ინდოეთიდან ძროხის „ლეშს" ეზიდება. სააკაშვილის სპონსორმა, გაზის მაფიოზმა ბეჟუაშვილმა მილიონები გააკეთა რუსეთში ჩალის ფასად ნაყიდი და ჩვენზე მამასისხლად მოყიდული ბუნებრივი აირით. შევარდნაძისაგან გამოყოფილი სეგმენტის ნაწილი ბიზნესსა და ფულშია გაშვებული, ნაწილი პოლიტიკაში. ყველას თავისი ფუნქცია აქვს, სხვა, უცხო რომ არ მოვიდეს ხელისუფლებაში. ან შევარდნაძის ე.წ. ბიზნესმენი ნათესავები როგორ ყოფენ გარეთ სირცხვილით თავს? მამინაცვალი არ მოექცევა გერებს ისე, რა დღეშიც მათ ქვეყანა ჩააგდეს.



„პირველად ვნახე პოლიტიკურად „დაპარალიჩებული" 235 დეპუტატი..."

თუ ხალხი არ გაერთიანდა და არ უთხრა მათ, — ხელისუფლებაში აღარ იქნებითო, უბედურება გველის. გავიგე, ახლა მოსახლეობაში დაუწყიათ ფულების დარიგება.

**— ვის?**

— ყველა ამ ოლიგარქ პარტიას 500-ლარიანი ხელფასი დაუნიშნავს აქტივისტებისათვის. ამ აქტივისტებმა ქუჩისა და კორპუსის აქტივისტები მონახეს, მათ 200-200 ლარი დაუნიშნეს და მოსახლეობისათვის დასარიგებელი ფული მისცეს. ეს კარგი პროცესია — წართმეული ქონების ნებაყოფლობითი დაბრუნების პირველი ეტაპი. ამას მივესალმებით და მოსახლეობას მოვუწოდებთ — თუ მუცელღმერთა პარტიები 100 დოლარს შემოგთავაზებენ, 500 მოსთხოვეთ. ეს იქნება ამათი განკულაკების პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი მაშინ დაიწყება, როცა პარლამენტში მოვალთ.

ხალხის განწყობა რომ იციან, ამიტომ არის აურზაური შევარდნაძის სალხინეთში, ამიტომ სთხოვენ შევარდნაძეს, — ხელისუფლება გადმოგვაბარე, გაითამაშე ელცინ-პუტინის ვარიანტიო.

**— ბიზნესმენების მეორე ჯგუფი, ე.წ. თოფაძის გუნდი, რომელიც „გადამხდელებს" გაემიჯნა, ლეიბორისტებთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობს. თქვენ თუ გადადგამთ შემხვედრ ნაბიჯებს მათკენ?**

— ჩემთვის ოლიგარქი ოლიგარქია. ბატონი გოგის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ის და სხვა ბიზნესმენები პოლიტიკაში არ უნდა იყვნენ, მათი ადგილი ფაბრიკა-ქარხნებში, ბანკებსა და სხვადასხვა სახის საწარმოშია. პოლიტიკოსების ვალია შევუქმნათ მათ ხელსაყრელი გარემო და დავიცვათ კორუფციისა და ზეწოლისაგან. თუ ბიზნესმენებმა და პოლიტიკოსებმა ფუნქციები არ გავიყავით, საქართველო კოლუმბიის ან პანამის დონეზე იქნება.

**— მაგრამ ფაქტია, მათ ურჩევნიათ თავად დაიცვან საკუთარი ინტერესები და ამიტომაც ილტვიან ხელისუფლებისაკენ.**

— ეს იმიტომ, რომ მათი ინტერესების დაცვისათვის ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალები ფულს სთხოვდნენ. „მოქალაქეთა კავშირმა", როცა ხელისუფლებაში მოვიდა, დაუძახა ბიზნესმენებს და უთხრა, — ახლა „მხედრიონი" და გვარდია აღარ არის, ფული ჩვენთან უნდა მოიტანოთო. სანამ ბიზნესმენები და ოლიგარქები იქნებიან პოლიტიკის განმსაზღვრელები, ქვეყანაში სიღატაკეს ბოლო არ მოეღება. მდიდარს ჰგონია, ყველა კარგად არის. კაცს, რომელსაც შინ გაციება-გათბობის სისტემა აქვს, სახლის წინ 100-ათასდოლარიანი მანქანა უდგას, ღამით კაზინო და რესტორანი არ აკლია, შაბათ-კვირას კი უიქენდი ელოდება ვენის ტბაზე, ბუნებრივია, ხალხის მდგომარეობას ვერ მიხვდება. ხალხმა თავის წარმომადგენელი უნდა აირჩიოს პარლამენტში...

**— ნაციონალებისა და ლეიბორისტების გაერთიანების მოსურნე ხალხს რატომ აწბილებთ, იქნებ ასე უფრო გამოვიდეს სასიკეთო საქმე.**

— ხალხს ასარჩევი ორი პოლუსი აქვს — ან ლეიბორისტული პარტია და ან შევარდნაძის სისტემა, რომლის ნაწილი არიან ნაციონალები. ჩვენი პოზიცია კარგად იციან მათ და მხოლოდ პიარისთვის უნდათ ეს თემა, — ჩვენ კონსტრუქციულად ვართ განწყობილნი და ლეიბორისტები არ ერთიანდებიან ჩვენთანო. მეტი რაღა კონსტრუქციულობა უნდათ, კაცი საკრებულოს თავმჯდომარედ ავირჩიე და მეორე დღეს კოალიცია გამიკეთა შევარდნაძის დანიშნულ დედაქალაქის მერთან. ჩვენ თუ ერთად ვიქნებით, მეც შევარდნაძის ნაწილი გავხდები, მისი ოლიგარქების, მისი ფინანსების და მისი ფინანსისტების დამცველი. ჟვანია და სააკაშვილი დღესაც ცდილობენ შევარდნაძეს როგორმე დაუმტკიცონ, რა საჭიროები არიან მისთვის. პარლამენტის თვენახევრიანი დებატები ხელფასების 500%-ით გაზრდაზე ამ მიზანს ემსახურებოდა. ამით შევარდნაძეს უთხრეს, — გადმოგვხედე, ისევ ჩვენ ვართ პარლამენტში. ისევ ჩვენ გერჩივნოთ შენს უსუსურ უმრავლესობასო.

**— პოლიტიკოსებს უნდობლობის ჭია ღრღნით და ამიტომაც გიჭირთ ალიანსები. სააკაშვილს თქვენი მხარდაჭერა სულაც არ მიუღია კეთილ ჟესტად, — აცხადებს, ნათელაშვილს ეგონა, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ჩავფლავდებოდი და მხარი იმიტომ დამიჭირაო.**

— არ მიფიქრია, რომ სააკაშვილი ჩაფლავდებოდა და არც იმას ვიფიქრებდი, რომ ქალაქის კორუმპირებულ მერთან შექმნიდა კოალიციას, რომლის მოხსნის პროგრამითაც მოვედით საკრებულოში. ვერც იმას წარმოვიდგენდი, მიშა წყლის გადასახადს არ გაანახევრებდა და ვერც იმას, რომ მე-5 კლასამდე მოსწავლეებზე სახელმძღვანელოების გაცემისაგან თავს შეიკავებდა (მარტო პირველ კლასს დააფინანსებდა) და თანხას 200 მამასახლისის დასანიშნად გადადებდა, რომელთა მოვალეობა მისი პარტიის პროპაგანდა და ადგილებზე არჩევნების გაყალბება უნდა იყოს. სააკაშვილმა თვითონ დაუგო მახე საკუთარ თავს. შესანიშნავი სასტარტო პოზიცია მივეცი ასაფრენად, ამას საკუთარ შვილსაც არ გავუკეთებდი...

**— იმდენი ურთიერთბრალდებები ისმის პოლიტიკოსებისაგან, ძალიან ჭირს მტყუან-მართლის გარჩევა. რამდენიმე კვირის წინ ახალი სახელისუფლებო ალიანსი ვიხილეთ — „ახალი საქართველოსთვის".**

— ეს საშოვრისთვის შეკრებილთა ჯგუფია. ამ ალიანსის ლოზუნგია, — „შევარდნაძის გზით უშევარდნაძეოდ". შევარდნაძის გზით სიარული ნიშნავს, რომ აკაკი ჩხაიძის საკუთრებაში იქნება რკინიგზა, ვანო ზოდელავას პრივატიზებული ექნება თბილისი, ლევან მამალაძე კი ქვემო ქართლის მარადიულ გუბერნატორად დარჩება... როდესაც რკინიგზის, თამბაქოს და სხვა დარგების შეფები დამისხდებიან პარლამენტში, არ მომცემენ საშუალებას ხალხისთვის წართმეული ქონება, რომელიც დღეს მხოლოდ 5%-ის ხელშია, დანარჩენ 95%-ს დავუბრუნო.

**— გასულ კვირას მორიგი საპარლამენტო ქაოსის მომსწრენი გავხდით. ურთიერთჭიდილში განსახილველი 60-მდე საკითხი კანონმდებლებს არც გახსენებიათ...**

— აქამდე ვიცოდი, რომ დამბლა ინდივიდუალური მოვლენა იყო. ახლა კი პირველად ვნახე პოლიტიკურად „დაპარალიჩებული" 235 დეპუტატი. ხალხი ორი დღე დაობდა დღის წესრიგის მიღებაზე და რომელი კანონების მიმღებნი არიან ეგენი? ჩვენს წინაპრებს შესანიშნავი გამოთქმა აქვთ, — ცოდვა შვიდ თაობაზე გადადისო. ეს პარლამენტი ცოდვიანად, გაყალბების გზითაა მოსული. დღევანდელი დეპუტატები სხვის ადგილებზე სხედან და ცოდვამ უწიათ, არ აპატია ღმერთმა. ტყუილს კი არ ამბობს ჯორბენაძე — არჩევნები გაყალბდაო. ცალკეული კლანებისგან დასმული დეპუტატები იმას ფიქრობენ, როგორ გააყალბონ არჩევნები, რომელი რაიონი იყიდონ, რათა პარლამენტში ისევ მოხვდნენ. ღმერთო დაგვიფარე, ასეთი პარლამენტისგან.

ის, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ხდება, არ ექვემდებარება არანაირ პოლიტიკურ და მორალურ ექსპერტიზას. ესაა შეუთავსებელთა შეთავსების წინასწარ განწირული მცდელობა, რაც გარდაუვალად დამთავრდება მსხვრევით მომავალი პარლამენტის პირველსავე სხდომაზე.

**— რას იტყვით სახელისუფლებო ბლოკში ედპ-ის შესვლაზე?**

— სულ მალე ედპ-ის გარდა, კიდევ მრავალ ყოფილ ოპოზიციურ ძალას ვიხილავთ ამ ბლოკში.

# გიორგი ჭანტურიას „პირმშოს" დღეიდან შევარდნაძის სახელის ტარება მოუწევს



წინასაარჩევნო უცნაურობებისა და მოულოდნელობების წითელი ლენტი ედპ-მ გაჭრა სახელისუფლებო ბლოკში შესვლით. დღევანდელი ოპოზიციისგან დევნილი ერთ დროს №1 ოპოზიციური ძალა წინასაარჩევნო სახელისუფლებო კოქტეილში ითქვიფება. გიორგი ჭანტურიას „პირმშოს" დღეიდან შევარდნაძის სახელის ტარება მოუწევს.

შევარდნაძესთან მისული ირინა სარიშვილი საკუთარ ნაბიჯს ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით ამართლებს. ისევ მაკიაველისეული მიდგომა (მიზანი ამართლებს საშუალებას) და ამ დიდი მოაზროვნის ქართველი მიმდევრები ყველა საშუალებით ილტვიან ზემოთ, ძალაუფლებისაკენ. პოლიტიკა უცნაური რამ არის — ყოფიერების დოგმებისგან განზე მდგომი. იქ პარტნიორების ხშირი ცვლა ღალატთან არასოდეს ასოცირდება და ყველაზე უარესი იარლიყი, რაც სხვადასხვა პირთან ხშირ-ხშირი ჩახუტების გამო შეიძლება მოგეწეროს — მერყევი პოლიტიკოსის იმიჯია. თუმც ესეც არ არის კატასტროფა, არაერთი პარტიის ლიდერი ამ იარლიყითაც მშვენივრად გრძნობს თავს, რაკი მუდმივად ფლობს პარლამენტარის გარანტირებულ მანდატს.

> **ჩვენ გვინდა ხელისუფლებაში მოსვლა ჩვენთვის მეტ-ნაკლებად მისაღები გზით. საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც პრეზიდენტი და მისი გუნდი ახორციელებენ, ჩვენთვის მისაღებია, თუმც საშინაო პოლიტიკის საკითხებში ჩვენსავე პოზიციაზე ვრჩებით.**

რამ აიძულა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომ დაუძინებელ მტერს (მისივე სიტყვებით) ხლებოდა კარზე და მისთვის საკუთარი თავი შეეთავაზებინა. ამ კითხვაზე პასუხი **ირინა სარიშვილის** ნათქვამში იკითხება:

— პრეზიდენტს დავუკავშირდი და შეხვედრა ვთხოვე. ვუთხარი, რომ სახელისუფლებო ბლოკთან ვითანამშრომლებდით, თუ ზოგიერთ საკითხში ჩვენს პოზიციას გაიზიარებდნენ. შემდეგ პირისპირ ვესაუბრე სახელმწიფო მინისტრს და ამის შემდეგ მივიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება, — ედპ სახელისუფლებო ბლოკს „ახალი საქართველოსთვის" უერთდება. ჩვენ გვინდა ხელისუფლებაში მოსვლა ჩვენთვის მეტ-ნაკლებად მისაღები გზით. საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც პრეზიდენტი და მისი გუნდი ახორციელებენ, ჩვენთვის მისაღებია, თუმც საშინაო პოლიტიკის საკითხებში ჩვენსავე პოზიციაზე ვრჩებით.

**— რატომ ვერ მონახეთ თქვენი ადგილი ოპოზიციურ გაერთიანებაში?**

— არ მოხერხდა ოპოზიციასთან მოლაპარაკება, ვერ გავერთიანდით. დანაწევრებულ ოპოზიციასთან ურთიერთობა არაფრის მომტანია. თუ აქამდე ჩვენ ვუშლიდით ხელს ოპოზიციის გაერთიანებას, ახლა აღარ შევუშლით. ვუსურვებ მათ, გაერთიანებულიყვნენ და დაეძლიოთ ის გადაულახავი ბარიერები, რომლებიც დღემდე ხელს უშლიდათ. პარლამენტში შესული ძლიერი ოპოზიცია საჭირო ძალა იქნება საშინაო ვითარების ძირეულად შესაცვლელად. ოღონდ მან უნდა მოახერხოს იმ ხალხისგან გაწმენდა, რომელთაც არა აქვთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკის და არც იმის უფლება, რუსული იმპერიალიზმის პოლიტიკის შესახებ აკეთონ განცხადებები, სინამდვილეში კი მას ემსახურონ.

***გვერდი მოამზადა***
***იზო რიკაძემ***

**ვინც პირველ ღილს ცუდად შეიკრავს, იმას მთელი შესაკრავი ღილები აერ-დაერევა**

*გოეთე*



„აბრამსზე“ „ამხედრებული“ კოალიციის ჯარისკაცები ბაღდადის ცენტრში

# რატომ ჩაჰბარდა ბაღდადი უბრძოლველად...

## ერაყის რესპუბლიკური გვარდიის მეთაურმა ბაღდადი ამერიკელებს მიჰყიდა?!

ამერიკელთა სასიხარულოდ, არ გამართლდა ვარაუდი — ბაღდადში ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართებაო. ერაყის დედაქალაქი თითქმის უბრძოლველად ჩაჰბარდა კოალიციურ ჯარებს. თუმცა მას ბოლომდე ვერც ამერიკელები აკონტროლებენ და ვერც ინგლისელები — ღამის ბაღდადი (ისევე, როგორც დღისით) ადგილობრივ მაროდიორებს ეკუთვნით.

საერთოდ, მაროდიორობა ყველა ომში ხდება, განსაკუთრებით იმ გარდამავალ მომენტში, როდესაც ძველი რეჟიმი დამხობილია, ახალი კი გამარჯვების ეიფორიაში იმყოფება. ამერიკელი სამხედროები ჯერჯერობით თავს მაინცდამაინც არ იწუხებენ მაროდიორობის მზარდი ტალღის აღსაკვეთად (მათ ისევ ბაღდადელთა რაზმები ებრძვიან), რაც არც არის გასაკვირი — ამ ეტაპზე პენტაგონისთვის აუცილებელია ადგილობრივ მცხოვრებთა თვალში იმიჯი შეიქმნას. დანაყოფების მიერ პოლიციური ფუნქციების განხორციელების დაწყება კი ახალ შეიარაღებულ შეტაკებებს გამოიწვევს, რასაც თავს არიდებენ კოალიციური ჯარები.

მაროდიორობის ტალღა ცოტა ხანში თავადვე ჩაცხრება, მაგრამ ვინ უპასუხებს კითხვას — რატომ დათმო სადამ ჰუსეინმა თითქმის უბრძოლველად ბაღდადი?

ომის დაწყებისთანავე არავის ეეჭვებოდა, რომ მთავარი ბრძოლა სწორედ ბაღდადის მისადგომებთან და, კერძოდ, მის ქუჩებში გაიმართებოდა, რადგან ვარაუდობდნენ, რომ ჰუსეინის არმიას არ ეყოფოდა ძალა, მრავალკილომეტრიანი თავდაცვის ზღუდე მოეწყო სტრატეგიულ მიმართულებებზე იერიშის მოსაგერიებლად.

მაგრამ ასე არ მოხდა. მცირე ბრძოლების შემდეგ კოალიციურმა ჯარებმა ბაღდადი აიღეს. შეიძლება ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდეს; თუმცა ბოლო ხანს ერთ-ერთი არაბული საინფორმაციო საშუალება ამტკიცებდა, ბაღდადზე იერიშის დაწყების წინ ამერიკულმა გენერალიტეტმა ერაყის რესპუბლიკური გვარდიის მეთაურობას შესთავაზა — თუ ბაღდადს ჩაგვაბარებთ, პირად უსაფრთხოებას გპირდებითო.

ძნელია ამ ინფორმაციის შემოწმება, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობდა სხვა ობიექტური მიზეზებიც, რის გამოც ერაყის არმიამ სრული კრახი განიცადა.

ეს მიზეზები შემდეგია: 1991 წლის „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის შემდეგ მართალია, შემორჩა სადამ ჰუსეინის რეჟიმი, მაგრამ ერაყს გაეროს მკაცრი სანქციები დაეკისრა. ერაყელმა გენერლებმა ვეღარ განაახლეს საბრძოლო ტექნიკა. არადა განვლილ 12 წელიწადში პენტაგონმა „ჭკვიანი“ იარაღის გაუმჯობესებაში და, რაც მთავარია, მის მასობრივ წარმოებაში უდიდეს წარმატებას მიაღწია. ფაქტობრივად, ერაყის ომში 21-ე საუკუნის იარაღი დაუპირისპირდა მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების იარაღს.

კოალიციურმა ძალებმა ომის დაწყების პირველსავე საათებში ერაყის არმიას გაუნადგურეს ჯარების მართვის ტექნიკური საშუალებები, ხოლო დარჩენილი რაციები და სატელეფონო გადაცემები იხშობოდა ამერიკელთა ძლიერი, სპეციალური რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემებით. უმართავად დარჩენილმა ერაყულმა საბრძოლო დანაყოფებმა ვეღარ შეძლეს ოპერატიულად შეესრულებინათ ბაღდადის ბრძანებები.

კოალიციური ძალების გამანადგურებლების ერაყის საჰაერო სივრცეში გაბატონებამ ჰუსეინს საშუალება მოუსპო, საპასუხო საჰაერო დარტყმები მიეყენებინა იერიშზე გადმოსული სატანკო კოლონებისთვის. საჰაერო სივრცეს მუდმივად აკონტროლებდნენ ადრეული რადიოლოკაციური აღმოჩენისა და დამიზნების E-3A და E-8 ტიპის ამერიკული „მფრინავი ლოკატორები“, ნებისმიერი ჰაერში აფრენილი ერაყული გამანადგურებელი ან შვეულმფრენი ამერიკული „არწივების“ ლუკმა ხდებოდა (ერთეული თვითმფრინავები მიწისქვეშა საცავებშია გადამალული, მათ ამერიკული დაზვერვა ალბათ მალე აღმოაჩენს).

რატომღაც ერაყელმა სამხედროებმა ფართოდ არ გამოიყენეს თავდაცვის ყველაზე ეფექტური და შედარებით იაფფასიანი საშუალებები — გზების, მისასვლელების, ხიდების დანაღმვა, ტანკსაწინააღმდეგო თხრილების მოწყობა, სავალი გზების ჩახერგვა და ა.შ., გზების გასწვრივ, თხრილებში ჩასხმული ნავთის აალებამ მხოლოდ დროებითი ეფექტი მისცა ერაყელებს, რადგან ცეცხლი მალე ჩაქრა, ნავთის ნაწილი კი მიწაში გაიჟონა. აუფეთქებელი ხიდებით ამერიკულმა ჯავშანკოლონებმა სწრაფად გადალახეს ტიგრი და ევფრატი.

ერაყის არმიის მწარე დამარცხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მისი პირადი შემადგენლობის დაბალი საბრძოლო სულისკვეთებაც იქცა. თუკი რესპუბლიკურ გვარდიაში, ასე თუ ისე, მაინც იყო დისციპლინა, სხვა რეგულარული ნაწილები ხშირად უბრძოლველად ტოვებდნენ პოზიციებს. შეიძლება ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ ჩვეულებრივ სამხედრო ნაწილებში ძალით გაწვეულ ერაყელ გლეხებს თუ მუშებს გულის სიღრმეში სადამ ჰუსეინის რეჟიმი უფრო სძულდათ, ვიდრე თვით ჯორჯ ბუშს. ამასთან, გამოჩნდა, რომ ერაყელი მებრძოლი არც ავლანელს ჰგავს და არც ჩეჩენს. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ბოლო წლების განმავლობაში დასავლურ კულტურას ნაზიარები, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ერაყელები არ გამოირჩევიან სხვა მუსლიმანებისთვის დამახასიათებელი ფანატიზმით. როგორც ახლა ირკვევა, ქ. ბასრასთან გამართულ, მართლაც რომ მძაფრ ბრძოლებში ინგლისის ელიტარულ ნაწილს — „უდაბნოს ვირთხებს“ — მედგარ წინააღმდეგობას ძირითადად ეგვიპტელი, პალესტინელი, მაროკოელი თუ ტუნისელი ფანატიკოსი მოხალისეები უფრო უწევდნენ, ვიდრე ერაყის რეგულარული ნაწილები; მაგრამ რაც საკვირველია, ამერიკელებმა თვით ჩეჩენი მებრძოლებიც კი დააკავეს.

სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქის,



ამერიკელი რეინჯერები სადამ ჰუსეინის სასახლეში მისსავე სავარძლებზე ნებივრობენ

თიქრითისთვის ბრძოლაში ერაყელებმა შეიძლება უკანასკნელად გამოაჩინონ „კლანჭები“. ამას კოალიციური ძალების მთავარ შტაბშიც ხვდებიან, ამიტომაც ქალაქზე იერიშის დაწყებამდე მიმდინარეობს მისი მასირებული დაბომბვა, როგორც ჰაერიდან, ისე ხმელეთიდან.

გაზეთის ამ ნომრის გამოსვლისთვის ქ. თიქრითი კოალიციურ ძალებს შეიძლება უკვე აღებული ჰქონდეთ, მაგრამ ამას ისინი ბაღდადივით იოლად ნამდვილად ვერ მოახერხებენ.

# რუსულმა კრეისერებმა დაიგვიანეს ერაყში



რუსული კრეისერი „მოსკვა“ ერაყის სანაპიროსკენ მიისწრაფვის, მაგრამ მას უკვე დააგვიანდა...

„კვირის პალიტრა“ ჯერ კიდევ ორი თვის წინ წერდა, რომ რუსეთის ფედერაციის წყნარი ოკეანის ფლოტში სამ სამხედრო ხომალდს ამზადებდნენ სპარსეთის ყურეში გასაგზავნად. ამ ინფორმაციას იმეორებდნენ დასავლეთის წყაროები, თუმცა მოსკოვი ყველაფერს უარყოფდა.

მაგრამ გასულ კვირას არაბეთის ზღვისკენ გეზი აიღო რუსული სამხედრო-საზღვაო ხომალდების ორმა ჯგუფმა. არაბეთის ზღვიდან კი, მოგეხსენებათ, სპარსეთის ყურემდე ერთი ხელის გაწვდენაა.

მოსკოვს სურს, როგორმე დაიბრუნოს ის გავლენის სფეროები, რაც ჰუსეინის რეჟიმის დროს ერაყში გააჩნდა, მათ შორის სტრატეგიული პორტის — უმ-კასრის — სანავთობე ტერმინალების ნაწილის სახით. ზოგიერთი რუსი სამხედრო ექსპერტი სულაც არ გამორიცხავს, რომ სპარსეთის ყურისკენ მიმავალი საზღვაო დაჯგუფების დიდი სადესანტო ხომალდიდან („ცეზარ კუნიკოვი“) საზღვაო ქვეითთა ასეულის გადასხმაც კი სცადონ უმ-კასრის სანაპიროზე, რომელსაც დღეს კოალიციური ძალები აკონტროლებენ. სხვათა შორის, კრემლის საიდუმლო გეგმა — საზღვაო ლაშქრობა სპარსეთის ყურისკენ — მაშინ უფრო გაიშიფრა, როდესაც რუს საზღვაო ქვეითთა დანაყოფს ტროპიკული სამხედრო ფორმები დაურიგეს.

შავი ზღვიდან ეს არმადა ჯერ ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს გაივლის, შემდეგ სუეცის არხს, წითელ ზღვაში გავა და მიუახლოვდება საბრძოლო მოქმედების ზონას. ვლადივოსტოკიდან გამოსული ორი რუსული სარაკეტო კრეისერი და ერთი ტანკერი ინდოეთის ოკეანის გავლით ჩავლენ სპარსეთის ყურეში.

მაგრამ საკითხავია, გააკარებენ კი ერაყის სანაპირო ზოლს ამერიკელი ავიამზიდები რუსულ კრეისერებს? ალბათ არა.

რა თქმა უნდა, ამერიკელი და რუსი სამხედრო მეზღვაურები საზღვაო ბრძოლებს არ გამართავენ სპარსეთის ყურეში (სხვა თუ არაფერი, ძალები ნამდვილად არათანაბარია, რადგან ამერიკულ საავიამზიდო დაჯგუფებას რამდენიმე წუთში შეუძლია ჩაძიროს სამივე რუსული კრეისერი და მათი დამხმარე ხომალდები). პრეზიდენტ პუტინის ეს ნაბიჯი ელცინის ცნობილ ქმედებას წააგავს: როდესაც იუგოსლავიის ომის დროს რუსი მედესანტეები ბოსნიიდან კოსოვოს პრიშტინაში ელვისებური სამარშო სვლით ჩავიდნენ. ამ ფაქტით დაკმაყოფილებულ იქნა „ველიკოდერჟავული“ პატივმოყვარეობა, თუმცა კრემლის სურვილი, მონაწილეობა მიეღო სინამდვილეში დაშლილი იუგოსლავიის ბედის განსაზღვრაში, ვაშინგტონმა შორს დაიჭირა.

ეტყობა, ასე მოხდება ამჟამადაც. საბრძოლო მოქმედებების ზონის სიახლოვეს თავისი სამხედრო ხომალდების გაგზავნით კრემლი ეცდება, მსოფლიოს თუ არა, თავის მოქალაქეებს მაინც, დაანახვოს (არადა არჩევნები რუსეთშიც მალე იქნება), რომ რუსეთის ფედერაცია კვლავ ზესახელმწიფოა და სპარსეთის ყურეში იცავს თავის სტრატეგიულ ინტერესებს. რეალურად კი, ერაყის ბედს ვაშინგტონი და, ნაწილობრივ, ლონდონი განსაზღვრავს და რუსეთს კი არა, თვით გაეროსაც ახლოს არ გაიკარებს.

P.S. სანამ რუსული სამხედრო ხომალდები სპარსეთის ყურეში გამოჩნდებიან, შესაძლოა სადამ ჰუსეინის საიდუმლო დოკუმენტები უკვე მოსკოვში აღმოჩნდეს. ერთ-ერთი ვერსიით, გასულ კვირას, რუსი დიპლომატების ავტოკოლონას, რომელიც ბაღდადიდან გამოღწევას ცდილობდა და გეზი სირიისკენ ეჭირა, ცეცხლი სწორედ ამ დოკუმენტების გამო გაუხსნეს. უცხოელი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ რუსი დიპლომატები ცდილობდნენ, ჩუმად გამოეტანათ სადამ ჰუსეინის საიდუმლო დოკუმენტები და შეიძლება თვით სადამ ჰუსეინიც კი გამოეყვანათ! კოლონის დაცხრილვისას რამდენიმე რუსი დიპლომატი დაიჭრა, თუმცა მოსკოვში ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ამ კოლონის თავში მდგარი ორი მანქანა მთლიანად განადგურდა — მათში მხოლოდ ერაყელები ისხდნენ. ვაშინგტონი ჯერ კიდევ ცდილობს, თავი დაიძვრინოს ამ ინციდენტიდან და ყველაფერი ერაყელ სამხედროებს გადააბრალოს, მაგრამ არ არის გამორიცხული, კოლონის შეჩერებით და მისი ახლო მანძილიდან ფარულად დათვალიერების შემდეგ ამერიკული სპეციალური ოპერაციების ერთ-ერთი ჯგუფი (რომელმაც, სავარაუდოდ, ეს ჩასაფრება მოაწყო) საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსი დიპლომატების მანქანებში ულვაშებიანი სადამი არ იჯდა. ასე რომ, ამერიკელმა სპეცრაზმელებმა თავიანთი ამოცანა შეასრულეს.

# ქართველები ერაყში — მითი თუ სინამდვილე?

## სხვა ქვეყნებში მშვიდობის დამყარების ნაცვლად, ჯობდა ჩვენი არმიის საბრძოლო მომზადების სრულყოფაზე გვეფიქრა



ბოლო დღეებში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ცოტა ხანში ქართველ „კომანდოსებს“ ერაყში გაგზავნიან, მაგრამ არა საბრძოლველად, არამედ სამშვიდობო მისიის შესასრულებლად.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ამ ცნობას უარყოფენ, მაგრამ არ გამორიცხავენ, რომ ქართველი „კომანდოსები“ კი არა, სამხედრო ინჟინრები ან ექიმები მართლაც მოხვდნენ ერაყში, ამ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, ამერიკაში, ფლორიდის შტატში, სადაც აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ოპერატიული მართვის ცენტრია განთავსებული, უკვე იმყოფება საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან წარგზავნილი მეკავშირე ოფიცერი, პოლკოვნიკი გიორგი გიორგობიანი, რომლის საშუალებითაც ამერიკული მხარე შეგვატყობინებს, თუ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს ზემოთ აღნიშნულის თაობაზე.

თავად აზრი, რომ ქართველი სამხედროები სამშვიდობო მისიით გაიგზავნონ ამა თუ იმ კონფლიქტურ ზონაში, ცუდი სულაც არ არის, მით უმეტეს, თუკი ძირითად ხარჯებს რომელიმე მეგობარი ქვეყანა გაიღებს.

მეზობელი თურქეთის დახმარებით, ეს რამდენიმე წელია, კოსოვოში იმყოფება ქართული სამშვიდობო ოცეული (მისმა პირადმა შემადგენლობამ როტაცია რამდენჯერმე განიცადა), მალე გერმანელთა დახმარებით პრიშტინაში ჩადგება ქართული სამშვიდობო ასეული. ქართველ სამხედრო სპეციალისტთა მცირე კონტინგენტი ორ თვეში შეიძლება ერაყშიც გაიგზავნოს.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ რამდენად წარმოადგენს ქართული არმიის აღმშენებლობის პროცესში სხვადასხვა ქვეყანაში სამშვიდობო დანაყოფების გაგზავნა პრიორიტეტულ მიმართულებას? ამ სამშვიდობო ოპერაციების მონაწილეებს ხელფასს კარგად უხდიან (მათ შორის თურქეთი და გერმანია) და ხშირად საქმეს „აწყობენ“ კიდეც ამ სამშვიდობო დანაყოფში მოსახვედრად.

მაგრამ ამაღლებს კი ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობას ასეთი სამშვიდობო დანაყოფები? სამწუხაროდ, ბევრი ვერაფრით. ამ სამშვიდობო ოცეულებს თუ ასეულებს კონფლიქტის ზონაში ძირითადად სპეციფიკური დავალების შესრულება უწევთ — საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მორიგეობა, ავტომანქანების დათვალიერება, საბუთების შემოწმება, საცხოვრებელი სახლების ჩხრეკა და ა.შ. ყოველივე ეს დამხმარე სახის მოვალეობას უფრო განეკუთვნება, ვიდრე წმინდა საბრძოლო მოქმედებებს, როგორიცაა: დაზვერვა, იერიშის მიტანა ფლანგებიდან ათეულის, ოცეულის, ასეულის შემადგენლობით, სნაიპერის, მეტყვიამფრქვევისა და ყუმბარმტყორცნელის მოქმედება, სატანკო იერიშის მოგერიება, გადამღობი საზენიტო ცეცხლის წარმოება, დანაღმვა-განაღმვა და ა.შ.

თუ თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ უცხო ქვეყნებში პრაქტიკამიღებული ქართველი სამხედროები ჩვენთან, საქართველოში, გამოგვადგებიან კონფლიქტის ზონებში ჩასაყენებლად, ეს კარგია, მაგრამ რაღაც არ ჩანს, რომ კოსოვოდან დაბრუნებული ახალგაზრდები შემდეგ მასობრივად წასულიყვნენ ცხინვალის რეგიონში მდგარი შერეული სამშვიდობო კონტინგენტის ქართულ სამშვიდობო ბატალიონში. ამასთან, ძნელი დასაჯერებელია, კოსოვოგამოვლილი სამხედროებისგან ახალი ქართული სამშვიდობო ბატალიონი რომც ჩამოყალიბდეს, იგი აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განთავსდეს.

ხომ არ აჯობებდა, ენერგია და, რაც მთავარია, სახსრები რეალური და ეფექტური საბრძოლო მომზადებისთვის დახარჯულიყო (რომელიც პრიორიტეტული უნდა გახდეს ქართული არმიის ცხოვრებაში) და არა ასე მოდურად ქცეულ სამშვიდობო კონტინგენტებზე.

# რუსეთი საქართველოს ჰბაძავს და პროფესიონალური არმიის შექმნას ცდილობს



რუსეთი პროფესიონალური არმიის შექმნას საქართველოს მოქალაქეთა ხარჯზედაც აპირებს?!

## იმსახურებენ თუ არა რუსულ პროფესიონალურ ჯარში დაქირავებული აფხაზები და ოსები?

რუსეთის იმპერიაში ყოველთვის ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ჯარში ყველა მამაკაცს უნდა ემსახურა. მაგრამ დღეს, რუსეთის მოქალაქეებიც, ჩვენი არ იყოს, ათასნაირი ხერხით არიდებენ თავს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდას.

თანამედროვე ომებმა თვალნათლივ დაანახვეს თვით ყველაზე „უდრეკ" რუს გენერლებსაც კი, რომ ამერიკის პროფესიონალურ არმიას რუსი ახალწვეულები თუ მობილიზებული „პარტიზანები" ვერ გაუმკლავდებიან. ამიტომაც ცდილობს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, მუდმივი მზადყოფნის ძალები მაინც გადაიყვანოს კონტრაქტით სამსახურზე. ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი უფრო შორს მიდის და მოითხოვს, საერთოდ აიკრძალოს ჯარში სავალდებულო სამსახური და რუსეთის არმია მთლიანად მეკონტრაქტეებით დაკომპლექტდეს. ამის სასტიკი წინააღმდეგია რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი კვაშნინი.

როგორც რუსმა ექსპერტებმა დაიანგარიშეს, შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამსახურზე გადაყვანის პროცესი ქვეყანას ყოველწლიურად 15-20 მლრდ რუბლი დაუჯდება. ამდენი თანხა კი რუსეთის ფედერაციას ბიუჯეტში არ გააჩნია.

ამის გამო, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო გარკვეულწილად ჰბაძავს ამერიკულ-ქართულ ერთობლივ „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას და პირველ რიგში პროფესიონალურ საფუძვლებზე გადაჰყავს მუდმივი მზადყოფნის ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზია.

ამ დივიზიის დაქირავებული ჯარისკაცი ყოველთვიურად მიიღებს 5.300 რუბლს (რაც კურსით — 371 ლარია), სერჟანტი — 6.000-ს (420 ლარი), ლეიტენანტი — 7.900-ს (553 ლარი), კაპიტანი — 8.700 რუბლს (609 ლარი), ხოლო ბატალიონის მეთაური — 9.900-ს (693 ლარი).

საოცარია, მაგრამ თითქოს რუსებმა ამაშიც მოგვბაძეს — „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში კონტრაქტით მონაწილე ქართველი ჯარისკაცი ყოველთვიურად 375 ლარს იღებს, სერჟანტი — 410-420 ლარს, ლეიტენანტი — 450 ლარამდე, ხოლო ბატალიონის მეთაური — 620 ლარზე მეტს.

როგორც ჩანს, პოსტსაბჭოურ სივრცეში სულ რაღაც 150-200 დოლარადაა შეფასებული პროფესიონალური მებრძოლის სამსახური, მაშინ, როდესაც ნორმალურ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 10-20-ჯერ მეტია.

ჩვენ, როგორც რუსეთის ფედერაციის სამხრეთელმა მეზობელმა, ყოველთვის გაფაციცებით უნდა ვადევნოთ თვალი, თუ რა ხდება მეზობლის შეიარაღებულ ძალებში, რა ცვლილებებია იქ მოსალოდნელი.

საქართველო ვერ ჩაერევა რუსეთის შინაურ საქმეებში — თუ სურს, დაე, ჰყავდეს პროფესიონალური არმია, თუმცა, სამწუხაროა, რომ ამ თავისი პროფესიონალური ჯარის შექმნის მცდელობით რუსეთი თავად ერევა საქართველოს და დსთ-ის სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ძალიან სერიოზულად ამუშავებს კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, რუსულ არმიაში კონტრაქტით სამსახური შეეძლებათ დსთ-ის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს. თუ ბელორუსიაში, ტაჯიკეთში და მით უმეტეს, სომხეთში, ამას უდიდესი სიხარულით შეხვდებიან, იგი მიუღებელი იქნება საქართველოსთვის, რადგან თბილისისგან გაუკონტროლებელი ტერიტორიების (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) მცხოვრებნი რუსეთის არმიაში კონტრაქტით ჩაეწერებიან.

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დისლოცირებულ რუსულ ბაზებში ისედაც მსახურობს ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, მაგრამ მათ რუსულ ნაწილში მოსახვედრად ჯერ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღება დასჭირდათ.

ახალი ჩანაფიქრით კი, ყველაფერი დიამეტრულად იცვლება — თუკი დსთ-ის მცხოვრები სამი წელი კონტრაქტით იმსახურებს ჯარში, მას უფლება ექნება გახდეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ეს კი ერთგვარი აგრესიული ქმედებაა სხვა ქვეყნის მოქალაქეების გადასაბირებლად, თანაც 150-დოლარიანი „სატყუარაც" თავის საქმეს ჩინებულად გააკეთებს. მაგრამ რჩება ერთი გარემოება, რაც გააძნელებს რუსეთის ჯარში დსთ-ის ქვეყნების მოქალაქეების მასობრივად სამსახურს — ჯერ კიდევ მიმდინარე ჩეჩნეთის ომი ბევრს დააფიქრებს, წავიდეს თუ არა მეომარი ქვეყნის არმიაში.

არსენალი

# ქვემეხთა „მამა" — გერმანელების სუპერიარაღი

## ჰიტლერმა „გუსტავი" გააკეთებინა, შევარდნაძემ კი ნაჩუქარი „პიონი" ვერ აამოქმედებინა

სადამ ჰუსეინი მეზობელ ქვეყნებს (შეიძლება საქართველოსაც) აშინებდა, — თქვენს წინააღმდეგ ოპერატიულ-ტაქტიკურ („სკადი") და საშუალო სიშორის („ალ-ჰუსეინი", „ალ-აბასი") ბალისტიკურ რაკეტებს გამოვიყენებო.

თუმც „გრძელი ჯოხით" მეზობლების დაშინება ახალი არ არის. მას შემდეგ, რაც პირველყოფილი ადამიანები ქვის სროლიდან ისრის სროლაზე გადავიდნენ, სროლის მანძილისა და კალიბრის გაზრდას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სუპერქვემეხები გერმანიამ პირველად პირველ მსოფლიო ომში გამოიყენა ფრანგების წინააღმდეგ, თუმცა ფაშისტური გერმანიის სათავეში მოსულ ჰიტლერს აღარ აკმაყოფილებდა „დიდი ბერტას" (420 მმ კალიბრის ქვემეხი) შესაძლებლობები. მან დაათვალიერა ცნობილი მეწარმის, კრუპის ქარხნები და მანამდე არნახული, 800 მმ კალიბრის სუპერქვემეხის დამზადება შეუკვეთა.

ჰიტლერს განზრახული ჰქონდა, ამ იარაღით ნაცარტუტად ექცია ფრანგების ნაქები, მაჟინოს თავდაცვის ზღუდე, მაგრამ სუპერქვემეხის უზარმაზარი ლულის დამზადება ყოვლისშემძლე კრუპსაც კი გაუჭირდა, ამიტომ გერმანიის არმიამ მის გარეშე გადალახა მაჟინოს ხაზი და პარიზიც აიღო. ჰიტლერს არ დავიწყებია შეკვეთილი. მას მხოლოდ 1942 წელს მიართვეს ეს გრანდიოზული ქვემეხი. უფრო სწორად, ფიურერი თავად ჩავიდა რიუგენვალდის პოლიგონზე, ბალტიის ზღვის სანაპიროზე, თორემ სუპერქვემეხი ბერლინში არ „შეეტეოდა". მისმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა, რის შემდეგაც მას, კრუპის პატივსაცემად, „გუსტავი" უწოდეს.

ეს იყო მანამდე მართლაც არნახული გეომეტრიული ზომის სასროლი იარაღი. 800მმ კალიბრის ქვემეხის ლულის სიგრძე 29მ-ს აღწევდა და 7,1-ტონიან ჭურვს ისროდა (ამდენს იწონიდა ბეტონსანგრევი ჭურვი, ფუგასურის მასა კი 4,8ტ იყო)! სროლის მაქსიმალური მანძილი 47კმ-ს აღემატებოდა. მაგრამ, რაც მთავარია, ქვემეხთა „მამა" მთლიანად 1350ტ-ს იწონიდა. ბუნებრივია, ამ გრანდიოზულ მასას ვერც ერთი მუხლუხებიანი და, მით უმეტეს, ბორბლებიანი შასი ვერ გაუძლებდა. ამიტომაც გერმანელმა კონსტრუქტორებმა „გუსტავი" 40-ღერძიან სარკინიგზო პლატფორმაზე დადგეს. თანაც ეს პლატფორმა ორ, ერთმანეთის პარალელურ სარკინიგზო ხაზზე მოძრაობდა და მას ორი ათასი სამხედრო და მუშა ემსახურებოდა. „გუსტავი", მართალია, მობილურ საარტილერიო დანადგარად ითვლებოდა, მაგრამ მარტო მის დაშლას 3 კვირა სჭირდებოდა.



უზარმაზარი „დორასგან" ეს 800 მმ კალიბრის ქვემეხის ლულაღა დარჩა

„გუსტავმა" საბრძოლო ნათლობა საბჭოთა კავშირთან ომში მიიღო, როდესაც სტალინი ჰიტლერს არაფრის დიდებით არ ანებებდა ალყაში მოქცეულ სევასტოპოლს. ფიურერის ბრძანებით, დაშლილი „გუსტავი" ყირიმში ჩაიტანეს და სევასტოპოლიდან 16კმ-ში ააწყვეს. „გუსტავმა" სევასტოპოლს 48 ცალი 4 და 7-ტონიანი ჭურვი ესროლა (ერთი ჭურვი მიწისქვეშა არსენალს მოხვდა) და ქალაქი ნანგრევებად აქცია. საგულისხმოა, რომ მაშინ სევასტოპოლის დამცველთა რიგებში მრავლად იყვნენ საქართველოდან გაწვეული ჯარისკაცები.

სევასტოპოლი დაეცა. თავისი „საქმის" წარმატებით შესრულების შემდეგ „გუსტავი" ისევ გერმანიაში, კრუპის ქარხანაში, დააბრუნეს, სადაც ლულა ხელახლა გამოჩარხეს.

სევასტოპოლთან „გუსტავის" ადგილი კი მისმა „უმცროსმა დამ" — „დორამ" დაიკავა (ასე ერქვა „გუსტავის" მთავარი კონსტრუქტორის, მიულერის მეუღლეს), მაგრამ მალე საბჭოთა არმიამ კონტრიერიში წამოიწყო სევასტოპოლის გასათავისუფლებლად და „დორაც" სასწრაფოდ გერმანიაში გააქანეს, რათა სტალინს არ ჩავარდნოდა ხელში.

მოგვიანებით, „გუსტავი" და „დორა" ლენინგრადისა და ვარშავის მიმართულებით მოქმედებდნენ, მაგრამ უკან დახეულმა ვერმახტმა თავისი სათაყვანებელი ქვემეხთა „მამა" და „დედა" უპატრონოდ მიაგდო. „დორას" ნაწილები ლაიფციგთან აღმოაჩინეს მოკავშირეთა ჯარებმა, „გუსტავის" — ბავარიაში, ხოლო მესამე, დაუმთავრებელი სუპერქვემეხისა კი — ესენთან.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სუპერქვემეხები თავისი უზარმაზარი ჭურვებით თავზარს სცემდნენ მოწინააღმდეგეს, ჰიტლერის ეს წამოწყება ჩაფლავდა. თითოეული სუპერქვემეხი 7მლნ რაიხსმარკა ჯდებოდა. მისი მომსახურება რთული და ძვირი საქმე იყო, აქედან გამომდინარე, ამ თავზარდამცემი იარაღის საბრძოლო ეფექტურობაც მკვეთრად ეცემოდა.

საგულისხმოა, რომ ჰიტლერის „გუსტავის" სროლის სიშორის მსგავსი საარტილერიო დანადგარი შევარდნაძის არმიასაც ჰყავს. რუსების მიერ დატოვებული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С7 Пион-იც, „გუსტავივით", 47კმ-ზე ისვრის, ოღონდ 102კგ-იან და ისიც 203მმ კალიბრის აქტიურ-რეაქტიულ ჭურვს. მაგრამ რად გინდა! გიჟებისა არ იყოს, თუ კარგად მოიქცევით, აუზში წყალსაც ჩაგისხამთო, Пион-ი კი გადმოგვცა მოსკოვმა, მაგრამ თან ჭურვები არ მოუყოლებია. ჩვენს ხელისუფლებას კი ამ 5 წელიწადში არაფერი გაუკეთებია ქართული არმიის ამ ყველაზე შორსმსროლელი საარტილერიო საშუალების საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად.

Пион-ით თავდაცვის სამინისტრო მხოლოდ აღლუმებზე იწონებს თავს...



ჰიტლერის „გუსტავი" დღემდე მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზულ ქვემეხად რჩება

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ჩეჩნეთში პარტიზანული ომი არ ჩამცხრალა



როგორც ცნობილია, 15 აპრილს, ხანკალასთან, ნაღმით აფეთქდა რუსი ფედერალების ავტობუსი, რის გარშემოც დებატები არ ცხრება. ამ დივერსიული აქტის ამსახველი კადრების ჩეჩნების მიერ ინტერნეტში გაშვების შემდეგ, რუსეთის მასმედია ხელისუფლებას პასუხს სთხოვს, ეს ფაქტი რატომ მიჩქმალეო.

სხვათა შორის, ამ ფაქტს ეხმაურება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნია დივერსიული აქტების გაგრძელება ჩეჩნეთში და მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას; რაც ძალიან აღიზიანებს იმ ჩეჩნებს, რომლებიც განაგრძობენ რუსი ფედერალების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას.

რუსმა პილოტებმა ჩეჩნეთში ახალი ტაქტიკის გამოყენება დაიწყეს. მათი შვეულმფრენების ხანკალას აეროდრომზე დაშვებამდე, სადაც ფედერალური ძალების მთავარი შტაბია განლაგებული, გარშემო სპეციალური მოწყობილობებიდან კვამლს უშვებენ. ამ მეთოდის აზრი ის არის, რომ აეროდრომთან „სტრელით" ხელში ჩასაფრებულმა ჩეჩენმა ველარ დაინახოს დასაშვებად წამოსული შვეულმფრენი და რაკეტა ააცდინოს. მარტო ჩეჩნეთის მეორე ომში რუსეთმა ამ რეგიონში 40-მდე შვეულმფრენი დაკარგა.

## ჩრდილოეთ კორეა იმუქრება

საკვირველია პირდაპირ — სადამ ჰუსეინი იფიცებოდა, — მასობრივი განადგურების იარაღი არა მაქვსო, მაგრამ ბუშმა არ დაუჯერა და დაარტყა, ჩრდილოეთ კორეა კი ამაყად აცხადებს, ერთი ატომური ბომბი უკვე ხომ გავაკეთე, მალე კიდევ რამდენიმეს დავამზადებ და თანაც მიწისქვეშა გამოცდასაც მოვაწყობო, მაგრამ აშშ ყურსაც არ ათხოვებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ან ფხენიანს მართლაც აქვს ატომური იარაღი და ამერიკელებს აფრთხილებს — არაფერი მიჰქაროთ, ერაყი არ გეგონოთ, ჩემკენ ავად არ გამოიხედოთო, ანდა არავითარი ატომური ბომბი არ გააჩნია, ხოლო კორეელი კომუნისტები დიდ ვაბანკზე მიდიან — ატომური იარაღის პროგრამის შეწყვეტის სანაცვლოდ სურთ, ვაშინგტონს დიდი თანხა დასტყუონ.

ასეა თუ ისე, ფხენიანის პოზიციამ ძალიან შეაშფოთა მეზობლები — სამხრეთ კორეა, იაპონია და თვით ჩინეთიც კი. არც ერთ მათგანს არ სურს, რომ არაპროგნოზირებად ფხენიანს ასეთი გამანადგურებელი იარაღი გააჩნდეს.

## მაროდიორები თუ სუვენირების მოყვარულნი?!

ერაყის ომში გამარჯვებული ამერიკა ახალი, და შეიძლება არც ისე მოულოდნელი, პრობლემის წინაშე აღმოჩნდა — ჯარისკაცები, რომლებსაც ბაღდადში ცვლა ჩამოუვიდათ, ახლა შინ ბრუნდებიან. მათ თან დიდი რაოდენობით სუვენირები მიაქვთ, თუმცა ამ ნივთებს სუვენირებსაც ვერ დაარქმევთ — უკვე დაკავებული არიან მე-3 მექანიზებული დივიზიის ის ჯარისკაცები, რომლებსაც სამშობლოში არც მეტი და არც ნაკლები... РПГ-7 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები მიჰქონდათ. მიამიტ ამერიკელ ჯარისკაცებს ყუმბარსატყორცნები გოლფის ჯოხების ჩასადებ ჩანთებში ეწყოთ. ზოგიერთი ჯარისკაცი უფრო „მაღალი" გემოვნებისა აღმოჩნდა და ერთმეტრიანი რკინის მილების ნაცვლად, სადამისეული იარაღის წაღება მოინდომა, ოღონდ არა ჩვეულებრივის, არამედ... ოქროსგან დამზადებულისა. თავისი მმართველობის პერიოდში სადამს არაერთი სუფთა ოქროს „კალაშნიკოვის" ავტომატი, სნაიპერული შაშხანა თუ МП5 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი უძღვნეს „თაყვანისმცემლებმა". ამერიკელი „სუვენირების" მოყვარულთა ნუსხა იმ სამმა ოფიცერმა დახურა, რომლებმაც ჰუსეინის სასახლის საიდუმლო საცავიდან რამდენიმე მლნ დოლარი აწაპნეს. სულ დღეისთვის სადამის ურიცხვ სასახლეთა სამალავებიდან 760 მლნ დოლარის ოდენობის ნაღდი კუპიურაა ამოღებული. არ არის გამორიცხული, ამ თანხის ნაწილი თავად ამერიკელებმა გადაუხადეს იმ ერაყელ გენერლებს, რომლებმაც წინააღმდეგობა აღარ გაუწიეს იერიშზე გადასულ კოალიციურ ძალებს, მაგრამ ველარ მოასწრეს მიღებული ფულის უსაფრთხოდ გადამალვა.

აშშ-ის სპეცსამსახურებმა, წინასწარი შეთანხმებით, დააკავეს ჰუსეინის მთავრობის ერთადერთი ქრისტიანი წევრი — ვიცე-პრემიერი ტარიკ აზიზი. იმედი აქვთ, რომ იგი გაამჟღავნებს სადამ ჰუსეინის მმართველობის ბოლო წუთების საიდუმლოს...

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ამიერიდან მათი დამზოგავი კაცი არ მოიძებნებოდა იმ არემარეში...

ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ სახლ-კარის ერთ საათში დატოვება თუ მოუწევდა, ვერ წარმოიდგენდა. ჯერ კიდევ დილით არწმუნებდნენ — რუსულ მხარესთან შეთანხმებული ვართ, გაგრა არ დაეცემაო. ახლა კი ვიღაცამ ამბავი მოიტანა, რუსული ტანკები უკვე „გრებეშოკს" გამოსცდნენ და ძველ გაგრაში ქართველებს ხოცავენო. ჯერ არ უნდოდა ამის დაჯერება ბესარიონს, მაგრამ როცა ავტომატის კაკანი მის ეზოსთან მოისმა, შავი დღისათვის გადანახული ფული და ძვირფასეულობა სამგზავრო ჩანთაში ჩაალაგა, ცოლ-შვილი მანქანაში ჩასვა და ისე გავარდა ეზოდან, ჭიშკარიც არ დაუკეტავს, ან რა აზრი ჰქონდა.

შეძლებული ოჯახი ჰქონდა ბესარიონს. რაც თავი ახსოვს, სულ შრომაში იყო. [illegible]

— გადაგვწყვეტ თუ ვერა? — ეს ერთადერთი კითხვა აწვალებდა ახლა ოჯახის უფროსს. გზა ერთიანად გაჭედილიყო. [illegible]

[illegible] ბესარიონის გონება მხოლოდ იმაზე იყო გადართული, როგორმე [illegible] შავი დღისათვის [illegible] გადაერჩინა. ამ [illegible] შეხედავს. აკი [illegible] გაკეთება. ბესარიონმა მანქანა გზიდან გადააყენა, ძრავას სახურავი ახადა, საჰაერო ფილტრს თავი მოაძრო, იქვე ბუჩქებში მოისროლა და მთელი ავლადიდება შიგ ჩატენა. ძლივსღა დაიქოქა ბებერი „ვოლგა" და თუხთუხით გააგრძელა გზა. ბესარიონი კმაყოფილი იყო — სულ თუ არ გაჩერდა, სამშვიდობომდე ბევრი აღარ დარჩაო, ფიქრობდა თავისთვის. როცა ის იყო, იფიქრა, განსაცდელს გადავურჩითო, ქართველების კორდონს გადაეყარა. გზა ისე გადაეკეტათ, გავლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ბრძანება გვაქვს, ვერ გაგატარებთო, აცხადებდნენ და ავტომატებს ისე ატრიალებდნენ, ეტყობოდათ, არც სროლაზე იტყოდნენ უარს.

— ნოდარა არ ხარ, ბიძიკო, შენ? ჩემი ბიძაშვილის, თენგიზის ბიჭი? თქვენთან მოვდივარ ჩემი ჯალაბით ოჯახში, ბიძიკო, და რავა, უკან მაბრუნებ თუ? — ერთ წვერმოშვებულ, პერანგამოჩაჩულ ყმაწვილს მიეჭრა ბესარიონი და იმ წუთში იქ მყოფთაგან მასზე ბედნიერი არავინ იყო. ნოდარა, ეს უდღეური, რაქიტიანი ბიჭი ახლა ავტომატით რომ ყოყლოჩინობდა, მისთვის ამ წუთში ალექსანდრე მაკედონელი, გნებავთ, ჯუზეპე გარიბალდი გახლდათ, რადგან სწორედ მასზე იყო დამოკიდებული მისი ოჯახის გადარჩენა. დამხვედურები ხალხს უკან გაბრუნებას აიძულებდნენ. უკან კი აშკარა სიკვდილი იყო — რუს, აფხაზ, ჩეჩენ ბოევიკთა სახით. ვიღაცამ იღრიალა, გინდა ამათ ჩავუხოცივართ და გინდა ჩეჩნებს. ჯობია, უკან დავბრუნდეთ და კოდორის ხეობით სვანეთში გადავიდეთო. უმეტესობამ წყევლა-კრულვით იბრუნა უკან პირი. ბესარიონი კი კვლავაც ნოდარას იმედზე იყო. იცოდა, უღელტეხილზე ვერც მისი ჯანგამოცლილი მეუღლე, ვერც ბავშვები ვერ გააღწევდნენ. აქ კი ნოდარა აქეთ მიდგა, იქით მოდგა და როგორღაც გააპარა ბესარიონის მანქანა. ის იყო, შვებით ამოისუნთქეს, როცა მანქანას ახალი კორდონი გადაუდგა წინ.

— ფული და ოქროულობა უნდა ჩაგვაბაროთ, დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის გვჭირდება, — სიტყვა ქირქილით ჩაამთავრა კბილებდაჭიანებულმა ჯარისკაცმა, რომელსაც წოდების შესაფერისი მხოლოდ ავტომატი ჰქონდა, სხვა არაფერი.

ყველანი გაჩხრიკეს. მანქანის სავარძლები დანებით დასერეს — აქ გექნებათ გადამალულიო. ძრავას დაშლა ვეღარ მოიფიქრეს, თორემ ალბათ არც ამაზე იტყოდნენ უარს. საბოლოოდ იმას დასჯერდნენ, რომ ოჯახის რძლებსა და მათ მეუღლეებს საქორწინო ბეჭდები წააძვრეს და სულ გინებით გაისტუმრეს — ასეთი მათხოვრები საიდან მოდიხართო.

## უხეირო ნათესავი

უხეირო ნოდარას საკბილო რომ შემოელია, მასთან შეფარებულ სისხლით ნათესავებს, ბესარიონსა და მისი ოჯახის წევრებს დაადგა თვალი. სტუმრის ერთ-ერთ ვაჟს ისიც წამოაცდენინა, რა ეშმაკობა იხმარა მამამისმა, ფული და ძვირფასეულობა რომ გადაერჩინა. მერე ადგა და თავის მეგობარ შარაგზის ყაჩაღებს მოელაპარაკა — ხვალ მამა და მისი ვაჟები მამაჩემთან ერთად ხობში მიდიან სატირალში. შინ მარტო ქალები და ბავშვები იქნებიან. როგორც კი შეღამდება, თავს დაგვესხით, მე გამთოკეთ, ქალები ბავშვების დახოცვით შეაშინეთ და ფულსა და ოქროს გამოაჩენენ, სახლიდანაც აიღეთ რამდენიმე ნივთი. მერე კი ჩემი წილი ფულით ამინაზღაურეთ. ნურაფერს მოერიდებით, მეზობლები ისე არიან დაშინებულები, არც ერთი არ გამოიხედავს გარეთ.

თქვენს მტერს, რაც იმ საღამოს იქ დატრიალდა. ქალებმა არც ისე იოლად დათმეს შავი დღის ლუკმა. ყაჩაღებმა იატაკზე დაყარეს შიშველი ბავშვები, მერე კარ-ფანჯრები გამოაღეს და ერთბაშად ისეთი ნესტიანი სიცივე შემოიჭრა სახლში, ერთიანად რომ ატანდა ძვალსა და რბილში. ნოდარას მოხუცი დედა, მისი და და სტუმარი ქალებიც გაკოჭილები ეყარნენ იატაკზე. ვეღარ გაუძლო ბესარიონის უფროსმა რძალმა პატარების საცოდაობას და მომხდურებს შეევედრა:

— ყველაფერს მოგცემთ, რაც გვაბადია, ამნაირ სიკვდილს ისევ ჯობია, შიმშილით აღმოგვხდეს სული, — მერე ერთ-ერთი ნიღბიანი ეზოში გაიყვანა, ბოსტნის კვალში ხელით მოჩიჩქნა მიწა და მოზრდილი მინის ქილა ამოათრია, — ამის იმედით წამოვედით გაგრიდან. ღმერთმა ისე მოგახმაროთ, როგორც იმსახურებთო, — დაუგდო და შინ შებრუნდა. არავის მიუქცევია ყურადღება მისი წყევლისათვის. გახარებულმა ყაჩაღებმა ქილას ხელი წამოავლეს და

ყველანი გაჩხრიკეს. მანქანის სავარძლები დანებით დასერეს — აქ გექნებათ გადამალულიო. ძრავას დაშლა ვეღარ მოიფიქრეს, თორემ ალბათ არც ამაზე იტყოდნენ უარს. საბოლოოდ იმას დასჯერდნენ, რომ ოჯახის რძლებსა და მათ მეუღლეებს საქორწინო ბეჭდები წააძვრეს და სულ გინებით გაისტუმრეს — ასეთი მათხოვრები საიდან მოდიხართო.

სახლიდან აღებულ ბროლის რამდენიმე ნივთთან ერთად ტომარაში უკრეს თავი.

სპეტაკი კაცი იყო ნოდარას მამა ბოჩია. სულ კედელს ურტყა თავი — ეს რა დამემართა, სტუმრები ვერ დავიცავი საკუთარ სახლშიო. სტუმრებზე დარდობდა და ერთხელაც არ წამოსცდენია, მისი ხანდაზმული მეუღლე და ავადმყოფი გოგო ისტერიულად რომ ცახცახებდნენ განცდილის გამო. იცოდა, რა ხვითოც იყო მისი უგერგილო ვაჟიშვილი, მაგრამ ისიც გაკოჭილი და ნაცემი რომ ნახა, გული დაიმშვიდა — რას გააწყობდა ხუთ შეიარაღებულ კაცთანო. თუმცა საფლავში ისე ჩავიდა, მაინც ვერ მოინელა ეს სირცხვილი. მით უმეტეს, როცა ამ საქმეში ნოდარას ავკაცობაც გამჟღავნდა. აი, როგორ მოხდა ეს:

ერთ-ერთი მორიგი ყაჩაღობის დროს ნოდარას ერთი თანამოსაქმე სახლის პატრონმა დაჭრა. ნოდარამ ერთხანს ჩაის პლანტაციებში ათრია დაჭრილი, მაგრამ განა სიბრალულით აკეთებდა ამას. უფრო იმის შიში ჰქონდა, დაზარალებულის ხელში რომ მოხვდეს, მეც ჩამიშვებსო. მერე, როცა დარწმუნდა, საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა, დაჭრილს თითიდან ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი წააძრო და იქვე წამოიცვა მარცხენა ხელის არათითზე. მეორე დღეს, მოგვიანებით, როცა წინა ღამის „ბრძოლა" გადატანილმა ნოდარამ გაიღვიძა და ჩვეულებისამებრ, ბესარიონის ერთ-ერთი შვილიშვილი მოიხმო, წყალი დამისხიო, ბავშვმა მის თითზე მბრწყინავ ბეჭედს დაადგა თვალი და გულუბრყვილოდ იყვირა — დედა, მამას ბეჭედი, ნოდარა ბიძიას უპოვია, ნახე, დედა, ნახე! — ნოდარამ წამსვე წაიძრო ბეჭედი.

— ჰო, მართლა, ეზოში ვიპოვე. ალბათ ყაჩაღებს დაუვარდათო იმ ღამით, — თქვა და ბესარიონმა თითქოს დაუჯერა, მაგრამ ბოჩია ყველაფერს მიხვდა. ნასადილევს შვილი გვერდზე გაიხმო და მტკიცე, შეუვალი ხმით უთხრა:

— იცოდე, დღეის შემდეგ სადმე რომ გადაგეყარო, ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს. ახლა კი ამას თუ არ ვაკეთებ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდა ოჯახს თავი მოეჭრას შენი სიგლახის გამო. ამ წუთში დატოვე აქაურობა და გიმეორებ, არსად გადამეყარო, თორემ ჩემი ხელით სიკვდილი არ აგცდება.

ნოდარამ იცოდა, მამამისი ამის გამკეთებელი იყო. განა იმიტომ, რომ ოდესმე ვინმე გაუკვირვებია თავისი სისასტიკით, პირიქით, ბოჩია უპირველესად თავისი გულმოწყალებით იყო ცნობილი, მაგრამ როცა ოჯახის ღირსებაზე მიდგებოდა საქმე, შეუვალი იყო. ნოდარაც ადგა და აღმოსავლეთ საქართველოში გადმოინაცვლა. აქაც ძარცვა-გლეჯით ირჩენდა თავს. აქეთაც დიდი ქაოსი იყო იმ წლებში. პოლიცია გარეთ ვერ გამოდიოდა. დაუცველი ადამიანები შეიარაღებული ბანდიტების პირისპირ დარჩნენ. მოსახლეობა რომ გაძარცვეს, მერე საკოლმეურნეო ფერმებს მიადგნენ. ნოდარას ჯგუფმა, რომელსაც ბნელი წარსულის მქონე ვინმე ავგია ხელმძღვანელობდა, ბარის მეურნეობიდან მთაში არეკა საქონელი და იქიდან ჩალის ფასად ამარაგებდნენ აზერბაიჯანულ მოსახლეობას. მერე, როცა მეურნეობის რესურსებიც ამოიწურა, მოსახლეობის საქონელს მიჰყვეს ხელი. სოფლის მენახირეებს ხეებზე აბამდნენ და საქონელს მაღლა, იალაღებზე მიერეკებოდნენ. იქ თავს სრულ ბატონ-პატრონად გრძნობდნენ ნოდარა და ძმანი მისნი. მათი შიშით ვერავინ ბედავდა საძოვარზე ასვლას. კარგა ხანს გრძელდებოდა ასე, მერე ნელ-ნელა პოლიციაც გამოვიდა გარეთ და თანდათან იწყეს მოთარეშე ბანდების ალაგმვა.

ხუთი პოლიციელი ფეხით შეუყვა იმ ღამით იალაღებზე მიმავალ ბილიკს. გამთენიისას კი გაირკვა, რომ გზა არეოდათ და სულ სხვა მხარეს წასულიყვნენ. მთელი დღე სასურველი ბილიკის ძებნას შეალიეს. საღამოს კი დაღლილ-დაქანცულებმა მეცხვარის ცარიელ ქოხს შეაფარეს თავი. დილამდე ძალღონე უნდა მოეკრიბათ. ახლა დანამდვილებით იცოდნენ, აქედან შორს აღარ იყო ძროხიპარია ბანდიტების სამყოფელი და ხუთივემ მიიძინა. მესამე დღეს თავისიანების საძებრად წასულმა პოლიციელების სამკაციანმა ჯგუფმა, მათი ხუთივე კოლეგა იქვე, იმავე ქოხში, ყელგამოჭრილი იპოვა.

რა იყო ეს — გამოწვევა, აბუჩად აგდება, დაცინვა? თუ უფრო სხვა რამ მნიშვნელოვანი იმალებოდა ბანდიტების ამ საქციელის მიღმა. ჩვეულებრივ, ბოროტმოქმედები ისევე ერიდებიან პოლიციელებს, როგორც ნადირი მონადირეს. ამ საქციელს კი ვერა და ვერ მოუძებნეს ახსნა. პოლიციელთა ინფორმაციით, ბანდიტების ამ ჯგუფს მანამდე მკვლელობაში ბრალი არ ედებოდათ. ახლა კი ისე დაიმძიმეს მდგომარეობა, ჭიქა წყალსაც არავინ მიაწვდიდა. თუ მანამდე ზოგი შიშით, ზოგიც თავისი ბედოვლათობით იფარავდა, ამიერიდან მათი დამზოგავი კაცი აღარ მოიძებნებოდა იმ არემარეში.



## სისხლი სისხლის წილ, სიკვდილი სიკვდილის სამაგიეროდ

ხუთი თვე ეძებეს მკვლელები. ხუთი თვე არ უძინიათ დაღუპულთა თანამებრძოლებს, თითქოს იმედიც გადაეწურათ. ფიქრობდნენ, ალბათ აქაურობა დატოვეს ან საერთოდ გავიდნენ საქართველოს საზღვრებს გარეთო, მაგრამ ერთ დილას ჩიტმა ამბავი მოიტანა:

— იალაღების საპირისპირო მხარეს, ნამეშვარის მთის გადაღმა, მდინარეზე ჩამავალი ხრამის პირზე რომ დიდი ხნის წინ მიტოვებული მწყემსის პატარა ქოხია, იქ უნახავთო მკვლელები. მხოლოდ სამმა კაცმა იცოდა დღის ბოლოს ეს ამბავი — თვითონ ამბის მომტანმა, პოლიციის უფროსმა და მისმა მოადგილემ.

ამბის მომტანის თქმით, ქოხს სამი მხარე ერთიანად მოშიშვლებული ჰქონდა, რაც ბანდიტებს იმის საშუალებას მისცემდა, ეს მონაკვეთი გაეკონტროლებინათ. ხევის მხრიდან მიახლოება კი თითქმის გამორიცხული იყო. ხეობის ორივე მხარე გაუვალი ჯაგნარით იყო დაფარული. წყალალმა სიარულიც არ მოხერხდებოდა რთული რელიეფის გამო. ზემოდან კი იქნებ მოეხერხებინათ დაშვება, მაგრამ ამისათვის ერთი დღის სავალზე უნდა მოევლოთ, თანაც ორ კაცზე მეტის წასვლა არ ივარგებდა. გაჭირდებოდა მოზრდილი ჯგუფის შენიღბვა. ორ კაცს კი მეცხვარის ტყაპუჭებს გადააცმევდნენ და ხელში კომბლებს მისცემდნენ.

ასეც მოიქცნენ. ზურგზე საგზალაკიდებული ორი „მეცხვარე" გამთენიისას შეუყვა ნამეშვარის მთის ციცაბო ბილიკებს. მილიციის უფროსი და მისი ოთხი ხელქვეითი კი გამთენიისას მოშიშვლებული ვაკობის იმ ტყიან ნაპირზე იდგნენ, რომლის მეორე მხარეს მწყემსის ქოხი იდგა. ახლა გუშინ დილით წასულების ქოხთან ხევის მხრიდან მიახლოებას უნდა დალოდებოდნენ.

მზე ის იყო, ამოიწვერა, როცა ქოხიდან ჯერ ერთი შავწვერა გამოძვრა, მერე მეორე, მესამე და მეოთხე. კედელთან მიდგმული დოქით დააბანინეს ერთმანეთს ხელ-პირი და იქვე მდელოზე გაშალეს ალბათ წუხანდელი ვახშმის ნარჩენები. მერე ერთმა მათგანმა ქოხიდან შავთეთრი ჭედილა გამოათრია, ჰაერში ცალი ხელით რაღაც უცნაური მოძრაობა გააკეთა, რაც პირჯვარის გადასახვას სულაც არ ჰგავდა და ცხვარს ხანჯლით გამოსჭრა ყელი.

— მასპინძელიც ამას ჰქვია, — ხუმრობა სცადა ტყეში ჩასაფრებულთაგან ერთ-ერთმა. არავის გაღიმებია. დანარჩენებს კი მათი კოლეგების დახოცვის სურათი წარმოუდგათ თვალწინ. სწორედ ასე გამოჭრეს ყელი ხუთივე მათგანს იმ საბედისწერო ღამეს. ახლა მთავარი ის იყო, როგორმე უსისხლოდ აეყვანათ ეს ოთხეული. იცოდნენ, ხანჯლის გარდა, ბანდიტებს ავტომატებიც ჰქონდათ და პისტოლეტებიც. ადვილი შესაძლებელი იყო აბგაში ხელყუმბარებიც ჰქონოდათ და ამდენად, ამ ღია მინდორზე შებმა უარეს მდგომარეობაში აგდებდა აქეთა მხარეს, რადგან სასროლ მანძილზე რომ მიახლოებოდნენ (თუ ეს საჭირო იქნებოდა), აუცილებლად მინდორზე უნდა გამოსულიყვნენ და ეს იმ დროს, როცა მოწინააღმდეგეს ქვითკირის კედელი ფარავდა. მზე საშუადღეოზე რომ გასწორდა, მილიციის უფროსმა ხმის გამაძლიერებელი ჩართო და ბანდიტებს დანებება მოსთხოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ხევისკენ დახევა არც კი უცდიათ. იცოდნენ, იქით ვერ გააღწევდნენ, სამაგიეროდ, შენობის კედლების იმედი ჰქონდათ — ზურგგამაგრებულები ამ გაშლილ ველზე დიდ უპირატესობას ფლობდნენ.

— ფეხებსაც ვერ მოგვჭამთ. ვიდრე ცოცხლები ხართ, გირჩევნიათ, გაბრუნდეთ, თორემ თქვენი ძმაკაცების გზას გაგიყენებთ!

— ნეტავ სად არის ანზორი? — ამოიოხრა მილიციის უფროსმა, რომელსაც ამ სიტუაციაში თავის თავსა და დანარჩენებზე მეტად ახლა მოადგილე ეიმედებოდა. თუ ხევის მხრიდან უყელა, მარტოდმარტო, ზურგიდან, ისეთ რისხვას დასცემდა, ნადირივით მიუდენიდა მკვლელებს ხეებს ამოფარებულ პოლიციელებს. თუმცა, მოლაპარაკების თანახმად, თუ ცეცხლის გახსნაზე მიდგებოდა საქმე, პირველებს ამათ უნდა გაეხსნათ.

— მაშ, არ გვნებდებიან, არა, ბიჭებო? გამაფრთხილებელი ჯერი გაუშვით ჰაერში, ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ! — ხუთმა ავტომატმა ზედიზედ დაიკაკანა. წამით სიწყნარე ჩამოდგა, თუმცა მხოლოდ წამით... ქოხიდან ერთბაშად ტყვიების ისეთი წვიმა წამოვიდა, ხეების უკან ამოფარებულებს იქით გახედვის საშუალებასაც აღარ აძლევდა.

— აქედან ვერაფერს დავაკლებთ. შორსაა და კედელიც იცავს ამ გარეწრებს. ოდნავ მარცხნივ უნდა გავხოხდეთ, სარკმლის მხარეს. იქნებ ამ ერთადერთი წერტილიდან შეაღწიოს ჩვენმა ნასროლმა ქოხის შიგნით, თორემ სულ ტყუილად დავხარჯავთ ვაზნებს! — გადასძახა პოლიციის უფროსმა თავისიანებს და მინდორში პირველი გაიჭრა. მალე მას მეორე მიჰყვა და ორივენი მინდორს გაერთხნენ, მაგრამ ვიდრე ავტომატების სამიზნეს გაუსწორებდნენ, იქიდან ისეთი დააყარეს, ცოტაც და, ჯერ მილიციის უფროსს გაასალა წარბი ტყვიამ, მერე მის ხელქვეითს მოხვდა მხარში და დარტყმის ძალამ გულაღმა ამოატრიალა მთასავით კაცი. დანარჩენი სამი დაჭრილების საშველად მიიწევდა.

მილიციის უფროსი მიხვდა, ყველას ამოხოცავდნენ ბანდიტები და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა:

— დაგვხოცავენ, უკან დაბრუნდით, უკან!

ბიჭებმა უკან დაიხიეს, ქოხიდან კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა ცეცხლი. დაჭრილების გადარჩენის შანსი აღარ იყო. ამ წუთებში აღარც მტრის ზურგში მოჩალიჩე ანზორი ახსოვდა ვინმეს, მაგრამ მან თავი თვითონ გაახსენა თავისიანებს და ზუსტად მაშინ, როცა ეს ყველაზე აუცილებელი იყო... ერთბაშად ხელყუმბარის ჯერ ყრუ, მერე კი ისეთი მჭექარე ზათქი გაისმა, მეორე მხარეს მიწაში თავჩარგულმა პოლიციელებმა როცა თავი ასწიეს, ქოხის სახურავი ჰაერში მიფრინავდა.

მიხვდნენ, ანზორს ემარჯვა და ზურგიდან წამოეპარვოდა ბანდიტებს, ოთხივე მათგანი უსულოდ ეყარა ქოხის ნანგრევებს შიგნით. ოთხივეს გველის გამხმარი თავები ეკიდა ყელზე.

— შავი მაგია! ახლა გასაგებია, რატომაც დახოცეს ჩვენი ბიჭები და ისიც, ცხვრის დაკვლისას უცნაური მოძრაობა რომ გააკეთა ერთმა მათგანმა. ასეთების სიცოცხლეს ისევ სიკვდილი სჯობია. თუმცა სხვა შემთხვევაში მაინც ცოცხალად აყვანას ვამჯობინებდი, — თავისიანებს გადაულაპარაკა, ნაიარევ წარბზე თუთუნი დაიდო და ზედ ცხვირსახოცი მიიფარა მილიციის უფროსმა. მხარში დაჭრილისათვის უკვე მიეხედათ ბიჭებს.

*P. S. მსგავსი რამ საქართველოს რამდენიმე რაიონში მოხდა ამ ბოლო წლებში. არ გვინდოდა, გარდაცვლილთა ჭირისუფლებისათვის ამ ამბის გახსენებით ტკივილი მიგვეყენებინა (გვარ-სახელები შეცვლილია). გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას არ ვაკონკრეტებთ.*

*და კიდევ, ნოდარა იქვე დამარხეს. ბოჩიამ უარი თქვა შვილის ცხედარი საგვარეულო სასაფლაოზე დაეკრძალა.*

**ვაჟა გავაშელი**

ქართულ ავიაბიზნესში სკანდალი გრძელდება. ამჯერად ყურადღების ცენტრში თურქული ავიაკომპანია „თურქიშ ეარ ლეინზი“ და ინგლისური „ბრიტიშის“ შვილობილი ავიაკომპანია „ბრიტიშ მედითერიანი“ აღმოჩნდნენ. შეიძლება ითქვას, საქართველოს მთავრობამ თავისი არსებობის მანძილზე, პირველად გამოიჩინა პრინციპულობა და უცხოურ კომპანიებს კუთვნილი ადგილი მიუჩინა. საქმე ის არის, რომ წლების მანძილზე ორივე ავიაკომპანია საქართველოს ტერიტორიის გავლით დაფრინავდა სტამბოლისა და ლონდონის მიმართულებით ისე, რომ გადასახადს არ იხდიდა. მათ სრულად აითვისეს ქართული ბაზარი, საკუთარი წარმომადგენლობაც გახსნეს და, შესაბამისად, გადასახადებიც უნდა გადაეხადათ; გაუგებარია, რატომ მიენიჭათ ასეთი შეღავათები. დაახლოებით ერთი თვის წინ, საქართველოს მთავრობა დაინტერესდა ავიაბიზნესში შექმნილი მდგომარეობით. გაირკვა, რომ მათ ბიუჯეტში შესატანი აქვთ დავალიანება დაახლოებით 13 მლნ ლარი. ჩანს, საქართველოს მთავრობამ როგორღაც მოახერხა მათთვის თანხის დაფარვა მოეთხოვა. გარდა ამისა, პარლამენტის დადგენილებით, ორივე კომპანიას კომერციული ხელშეკრულების გასაფორმებლად და პარიტეტული ურთიერთობის დასარეგულირებლად ქართულ ავიაკომპანიასთან 15 აპრილამდე მიეცა ვადა. გასულ კვირას „თურქიშსა“ და „აირზენას“ შორის ამ ტიპის მოლაპარაკება ჩაიშალა. თურქული მხარე შეეცადა, შეენარჩუნებინა ძველი პოზიცია და პრობლემა ჯორბენაძესთან მოეგვარებინა. „ბრიტიშმა“ დუმილი ამჯობინა. ასე რომ, ამ კვირიდან „თურქიში“ და „ბრიტიში“ საქართველოს ტერიტორიაზე ვეღარ იფრენენ. სავარაუდოდ, თვის ბოლოდან იმავე რეისებს „აირზენა“ შეასრულებს. ამ საკითხებთან დაკავშირებით „კვირის პალიტრა“ „აირზენას“ პრეზიდენტს, **თამაზ გაიაშვილს** ესაუბრა:

— **ბატონო თამაზ, როგორ შევიტყვე, ავიაკომპანია „თურქიშ ეარ ლეინზის“ წარმომადგენლობას „აირზენას“ ოფისში შეხვდით. რაზე ისაუბრეთ?**

— ეს იყო საქმიანი შეხვედრა. აქამდე თურქეთის მხარე ცალმხრივად დაფრინავდა და საქართველო რეისებს არ ასრულებდა.

— **თურქული მხარე წინააღმდეგია, რომ თქვენც შეასრულოთ რეისი?**

— არა. მათ შემოგვთავაზეს, პარიტეტი სამი-სამზე ყოფილიყო, მაგრამ კვირაში ექვსი რეისი რეალურ მოცულობას არ შეესაბამება — 1000 მგზავრის გაშვება წარმოუდგენელია. ჩვენი პირობით პარიტეტი უნდა ყოფილიყო

## საქართველოს მთავრობა უცხოეთის ავიაკომპანიებს მაგრად დაუდგა...



„უკვე ოთხი წელია ამაზე ვყვირი და როგორც იქნა, მივაღწიე“

2X2-ზე, ანუ ოთხი რეისი. არ დაგვთანხმდნენ. პრაქტიკულად, სამთავრობო ხელშეკრულების შესრულებაზე უარი განაცხადეს. შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა და, შესაბამისად, არც კომერციული ხელშეკრულება დადებულა.

— **შეიძლება ითქვას, რომ ეს ნიშნავდა მათთვის რეისების შეჩერებას. რატომ თქვეს უარი ხელშეკრულების დადებაზე?**

— იმედი ჰქონდათ, თურქეთის ელჩის მეშვეობით საქართველოს მთავრობა დაუტოვებდა იმ პრივილეგიებს, რაც აქამდე ჰქონდათ, ამიტომ აღარ გააგრძელეს მოლაპარაკებები. მეორე დღესვე ეწვივნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, პარლამენტს, შეხვდნენ ტრანსპორტის მინისტრს, სახელმწიფო მინისტრს. თურქეთის ავიაკომპანიამ ერთ დღეში მოიარა საქართველოს ყველა სამთავრობო უწყება! გაითვალისწინეთ, რომ პარალელურად თურქეთიდან ჩამოსული იყო ავიაკომპანიის საერთაშორისო განყოფილების უფროსი. ჩვენი განყოფილების უფროსი კი არა, მე და ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე რომ ჩავიდეთ თურქეთში, ალბათ, ყველაზე დაბალ რგოლსაც ვერ შევხვდებით იქაურ ავიაკომპანიაში, პრემიერ-მინისტრის დონეზე შეხვედრა ხომ გამორიცხულია. ალბათ, ერთი წელი დაგვჭირდება ასეთი ტიპის აუდიენციების მისაღწევად.

**ჩვენი განყოფილების უფროსი კი არა, მე და ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე რომ ჩავიდეთ თურქეთში, ალბათ, ყველაზე დაბალ რგოლსაც ვერ შევხვდებით იქაურ ავიაკომპანიაში, პრემიერ-მინისტრის დონეზე შეხვედრა ხომ გამორიცხულია. ალბათ, ერთი წელი დაგვჭირდება ასეთი ტიპის აუდიენციების მისაღწევად.**

ჩვენ შევთავაზეთ, რომ საერთაშორისო მოთხოვნების თანახმად, 15 აპრილიდან ფრენები პარიტეტული ყოფილიყო. უარი მივიღეთ — თურქეთის მხარე არ აპირებს ჩვენი პირობის გათვალისწინებას და სურს, კვლავ გააგრძელოს კვირაში სამი გაფრენა თბილისი-სტამბოლის მიმართულებით.

— **რა გადაწყდა ჯორბენაძესთან შეხვედრის შემდეგ?**

— სახელმწიფო მინისტრმა სწორი პოზიცია დაიჭირა — ჯორბენაძემ მათ საგადასახადო პრობლემები შეახსენა. თურქებს საქართველოში რეგისტრირებული აქვთ წარმომადგენლობა, ამიტომ უნდა დაექვემდებარონ საქართველოს კანონებს. ისინი „აირზენასა“ და სხვა ავიაკომპანიების მსგავსად უნდა იხდიდნენ გადასახადებს.

— **რამდენადაც ვიცი, მათ დადებული აქვთ სამთავრობო ხელშეკრულება, რომელიც ორმხრივი დაბეგვრის თავიდან აცილებას ითვალისწინებს...**

— დიახ, ეს უთხრეს ჯორბენაძესაც, მაგრამ რადგან საქართველოში აქვთ რეგისტრირებული წარმომადგენლობა, გადასახადი უნდა გადაიხადონ.

— **თავიდანვე რატომ დაუწესდათ შეღავათები?**

— კანონის მიხედვით, შეღავათი არ უნდა ჰქონდეთ. როგორც ჩანს, ეს ჩინოვნიკებთან სიტყვიერი შეთანხმებით ხდებოდა. შვიდი წელი, როგორც მოესურვებოდათ, ისე დაფრინავდნენ. ჯორბენაძეს შესჩივლეს, „აირზენასთან“ ვერ ვთანხმდებით, რადგან ორ-ორი რეისის შესრულებას გვთავაზობენ ჩვენი და მათი მხრიდან. ჩვენ კი მარტო გვინდა ფრენაო. რა გამოდის? ქართულმა მხარემ არ უნდა იფრინოს? რასაკვირველია, ჯორბენაძისგან ელოდნენ დადებით პასუხს და 15 აპრილის შემდეგაც გააგრძელებდნენ ფრენას, ქართული მხარე კი კვლავ იზოლაციაში დარჩებოდა. ჯორბენაძემ შესთავაზა „თურქიშს“, ჩვენთან მოლაპარაკება განეახლებინა და პასუხი ეცნობებინათ. თუ ხელშეკრულების პირობებს არ შეასრულებთ, იძულებული ვიქნებით, თქვენს პრეზიდენტს მივწეროთ, რომ თქვენს ავიაკომპანიას არ სურს ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებაო, უთხრა სახელმწიფო მინისტრმა.

— **თუ დაგიკავშირდათ ამის შემდეგ „თურქიშ ეარ ლეინზის“ მხარე?**

— არა. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ შვიდი წლის მანძილზე ხელშეკრულებას არღვევდნენ და გადასახადებს არ იხდიდნენ. ამიტომ მათ შეუჩერდებათ რეისები — როცა მოვილაპარაკებთ, მაშინ განახლდება ფრენები.

— **რატომ აქამდე არ გააკეთა ეს ქართულმა მხარემ, ვინ დგას მათ უკან?**

— ვერ გეტყვით... უკვე ოთხი წელია, ამაზე ვყვირი და როგორც იქნა, მივაღწიე, — დასრულდა თურქეთის ავიაკომპანიის პარპაში. საქართველოს მთავრობამ რეალური ნაბიჯი გადადგა. აქ არ არის ლაპარაკი „აირზენას“ დაინტერესებაზე. რასაკვირველია, რაც უფრო ბევრი რეისი ექნება „აირზენას“, მით მეტი თვითმფრინავი ეყოლება. ერთ დამატებით თვითმფრინავზე კი მინიმუმ 100 კაცის დასაქმება შესაძლებელი. ჩვენ სოლიდური გადასახადები შეგვაქვს ბიუჯეტში, წელიწადში დაახლოებით 6 მილიონი.

— **თუ დაეთანხმეთ მათ, ანუ პარიტეტი იყოს 3X3-ზე, მაშინ...**

— მაშინ კვირაში დაახლოებით 980 სავარძელი გამოდის. კარგად ვიცით, რომ კვირაში 980 კაცი სტამბოლში არ წავა. მხოლოდ თურქეთის მიმართულებით, წელიწადში ეს 50 ათას მგზავრს უდრის. „ბრითიშ“-ის 6 ფრენას თუ დავამატებთ, უკვე 100 ათას მგზავრს ნიშნავს. ამ დროს თბილისის აეროპორტიდან ყველა ავიაკომპანიას ერთად გაჰყავს 120 ათასი მგზავრი. მაშინ მარშრუტები თბილისი-პარიზი, ამსტერდამი, პრაღა, ათენი და ა.შ. უნდა გაგვეჩერებინა და მარტო სტამბოლის მიმართულებით გვეფრინა?! ეს ხომ აბსურდია! ამიტომაც არის ხელშეკრულებაში ჩადებული ფრაზა — „რეალური მოცულობიდან გამომდინარე“.

— **ბატონო თამაზ, ცოტა გაუგებარია, უცხო ქვეყნის ავიაკომპანია ხელშეკრულებას არღვევდეს და მას ქართული ლობი არ ჰყავდეს...**

**ქართველები ყოველთვის ცდილობენ უცხოელებს პატივი სცენ, მაგრამ ბიზნესში ეს პრინციპი არ გამოდგება. ბიზნესი კარგად რომ წარიმართოს, თავისი პრინციპები უნდა დაიცვას. თურქებსაც და ინგლისელებსაც ჰგონიათ, ბანანის რესპუბლიკა გვაქვს და ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც მოესურვებათ.**

— იცით, საქართველოში თვით სიტყვა „უცხოელს“ მივანიჭეთ პრივილეგია. ის უცხოელია და განსაკუთრებულად ვეპყრობით. ამ ფაქტორმა რამდენადაც კარგად იმუშავა, იმდენად ნეგატიური ზეგავლენაც იქონია და ქართული ინტერესები შეილახა. მეორე მხრივ, ამ სფეროს ჩინოვნიკებიც რომ მფარველობდნენ, ესეც ცხადია. გულახდილად გითხრათ, არ ვიცი, კონკრეტულად, ვინ... ქართველები ყოველთვის ცდილობენ უცხოელებს პატივი სცენ, მაგრამ ბიზნესში ეს პრინციპი არ გამოდგება. ბიზნესი კარგად რომ წარიმართოს, თავისი პრინციპები უნდა დაიცვას. თურქებსაც და ინგლისელებსაც ჰგონიათ, ბანანის რესპუბლიკა გვაქვს და ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც მოესურვებათ.

— **რით ახსნით მთავრობის ახლანდელ მხარდაჭერას?**

— 1992 წლიდან 2000 წლამდე ბევრი ცდილობდა ავიაკომპანიის შექმნას, თუმცა ვერ შეძლეს. ეს დარგი ძალზე სპეციფიკურია. ამ გაუთავებელი ლაპარაკის წყალობით, ბევრმა გაათვითცნობიერა პრობლემის არსი და მათ შორის ჯორბენაძემაც. მან იცის, რა არის წამგებიანი და რა — მომგებიანი ქვეყნისთვის. მიხარია, რომ საქართველოს მთავრობა და პარლამენტი მხარში ამოუდგა ქართულ ბიზნესს.

***მარინა მამისაშვილი***








## „კვირის პალიტრა“ და შპს „ელვასერვისი“ გთავაზობთ

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემებიდან ნებისმიერი სამის 6 თვით გამოწერის შემთხვევაში, საჩუქრად მიიღებთ თქვენი სურვილის შესაბამისად ვაჟა გავაშელის წიგნს — „ვერსია“ („კვირის პალიტრის“ რუბრიკა — „ვერსიის“ რჩეულ კრებულს) ან საბავშვო სერიალის „ბუთქუნა და მეგობრების“ ერთ წიგნს, ხოლო ერთი წლით ან 6 გამოცემის 6 თვით გამოწერის შემთხვევაში, საჩუქრად ორივე წიგნს გიძღვნით.

შეავსეთ აღნიშნული ქვითარი, მონიშნეთ თქვენ მიერ შერჩეული გამოცემები და გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით ან დაგვიკავშირდით ტელეფონზე — 33-26-73

### გამოცემების დასახელება

☐ „კვირის პალიტრა“ ☐ „ბომონდი“ ☐ „ოჯახის მკურნალი“

☐ „სიტყვა და საქმე“ ☐ „რეიტინგი“ ☐ „მსოფლიო სპორტი“

☐ „გზა“ ☐ „კარუსელი“ ☐ „ფილთაქვა“

სახელი, გვარი ..........

მისამართი ..........

ტელეფონი ..........

მსურს მივიღო საჩუქრად ☐ ბუთქუნა და მეგობრები  ☐ ვერსია 

# „მილიონიც რომ მოგცენ, ერთი ფურცელიც არ გაიმეტო!..“ – ეს რჩევა ვერ შევასრულე

## ქართველი თვითნასწავლი მხატვარი ფლორენციაში მიიწვიეს


მედეა კეიდია

„დიალოგი ცივილიზაციათა შორის“ — ასეთი სახელით არის ცნობილი იტალიის ქალაქ ფლორენციაში დაგეგმილი თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე, რომელშიც 54 ქვეყნის 600-მდე მხატვარი მიიღებს მონაწილეობას, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ღონისძიებაა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ წინა ბიენალეს თვით პრინცი ჩარლზი პატრონაჟობდა. მაშინ, ორი წლის წინ, ფლორენციაში საკუთარი ნამუშევრებით პროფესიონალი მხატვარი ლევან ჭოლოშვილი გაემგზავრა. წელს კი ბიენალეს კომიტეტმა ქართველი თვითნასწავლი მხატვარი მედეა კეიდია მიიწვია. გია ბუღაძის პროგნოზით, მედეა კეიდიას ფლორენციაში წარმატება ელოდება. საინტერესოა ბატონი გიას, როგორც პროფესიონალის და სამხატვრო აკადემიის რექტორატის წარმომადგენლის რეცენზია, რომელშიც ვკითხულობთ: „მართალია, მედეას პროფესიული განათლება არა აქვს, მაგრამ ნამდვილად აქვს საკუთარი, განსაკუთრებული ხედვა, რომელიც დაკავშირებულია შინაგან, ინტუიციურ ხილვებთან. მის შემოქმედებას გარკვეულწილად წინასწარმეტყველური ნიშანი დაჰკრავს, განსაკუთრებით გამოვყოფდი ფერთა ჰარმონიას, რაც მის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს...“


„კომპოზიცია“

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში თვითნასწავლი მხატვრები ყურადღებით არიან განებივრებული. მხატვრობა, როგორც ბიზნესი, ჩვენთან ჯერ კიდევ უცხო ხილია. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით უმჯობესია თავად მედეა კეიდიასთან ინტერვიუ შემოგთავაზოთ:

**— ქალბატონო მედეა, დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ მიგიწვიეს ასეთ მნიშვნელოვან გამოფენაზე მხატვარი, რომელიც სამშობლოში „სამხატვრო ასპარეზზე“ თითქმის არ გამოჩენილხართ?**

— მეგობარმა მირჩია, ჩემი ნახატები ინტერნეტში შემეტანა. ცნობილ ფოტოხელოვანს იური მეჩითოვს ვთხოვე ფოტოების გადაღება, იგი, მართალია არ დამზარდა, მაგრამ სკეპტიკურად მითხრა, რომ ამ საქმიდან დიდი არაფერი გამოვიდოდა... თუმცა, ნახატების ფოტორეპროდუქციები მაინც შევიტანე ინტერნეტში. სულ ცოტა ხანში იმეილით ფლორენციიდან თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო კომიტეტის მოწვევა მივიღე. ისეთი მოულოდნელი სიხარული იყო, თანაც რამხელა საზრუნავი გამიჩნდა. წარმოიდგინეთ, ფლორენციაში 12 ნახატის ჩატანა, იქ მთელი 10 დღე ცნობილი მხატვრების გარემოცვაში ტრიალი... თავი სიზმარში მგონია...

**— როგორც ვიცი, ხატვა სრულიად მოულოდნელად დაიწყეთ.**

— დიახ. 1986 წელს სამი დღე და ღამე ერთსა და იმავე სიზმარს ვნახულობდი. იხსნებოდა ჯადოსნური ყუთი და იქიდან ფანტასტიკური ფერების ფეირვერკი იღვრებოდა. ეს იყო ლენინგრადში. ამის შემდეგ ხელში ავიღე ფუნჯი და საღებავები და სრულიად დამოუკიდებლად ვხატავ და ვხატავ. იმასაც გეტყვით, რომ 9 აპრილის მოვლენები ერთი კვირით ადრე გასაოცარი სიზუსტით, შეიძლება ითქვას თავისთავად დაიხატა. მაშინ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ მსგავსი მოვლენები დღემდე გრძელდება. ჩემი ნახატები არცთუ ისე იშვიათად, მნიშვნელოვან მოვლენებს წინასწარ „მანიშნებენ“...

**— რჩევისთვის ან დახმარებისთვის თუ მიმართეთ რომელიმე პროფესიონალ მხატვარს?**

— ერთადერთხელ, მეგობრის დაჟინებული თხოვნით ცნობილ მხატვართან ალბერტ (დილბო) დილბარიანთან მივედით. ათამდე ნამუშევარი წავიღეთ. ბატონმა ალბერტმა თავიდან უინტერესოდ ჩამომართვა ნახატები, თავის სახელოსნოში სხვადასხვა ადგილას დააწყო და უხალისოდ დაუწყო თვალიერება. ხუთი წუთის შემდეგ მხატვარი საგრძნობლად შეიცვალა, ემოციებს ველარ ფარავდა... ეს სულ შენ დახატეო? — მერამდენეჯერ ჩამეკითხა. მე კი ჩუმად ვიჯექი და მისი ნახატებით ვტკბებოდი, მხატვარს ჩემი მეგობარი პასუხობდა. ბოლოს იქვე ტაბლაზე სახელდახელო სუფრა გაიშალა: პური, ყველი, კომბოსტოს მწნილი და დოქით წითელი ღვინო მოიტანა მხატვარმა. მლოცავდა და თან რჩევა-დარიგებებით მავსებდა. ... არავის გაეკარო, ისე ხატე დღე და ღამე. ნუ შეაჩერებ, რაც მოდის, ხატე და ხატე. ამ სასწაულის ფასს შენ მერე, გვიან გაიგებ, ახლა კი, გაფრთხილებ, მილიონიც რომ მოგცენ, ერთი ფურცელიც არ გაიმეტოო... ამით, შეიძლება ითქვას, რომ მან გზა დამილოცა. თუმცა, მისი გაფრთხილება ვერ შევასრულე, ჩემი ნახატები ახლა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია..

**— ქალბატონო მედეა, იქნებ უფრო კონკრეტულად მითხრათ ამის შესახებ. გამოდის, რომ თქვენი ნახატები საზღვარგარეთ პირველად არ გადის.**

— დიახ, ჩემი პირველი ნამუშევარი საზოგადოება „ფიროსმანმა“ შეარჩია გამოფენისათვის „მოსკოვი-ჩიკაგო“ და იგი ამერიკელმა ბიზნესმენმა შეიძინა. რამდენიმე ნახატმა გერმანიაში (მარტინ ბაუერთან), იტალიაში (მწერალ გაბრიელა ენცოსთან), ინგლისში (ელჩ მაიკლ ჰენკოკთან), რუსეთში (სანკტ-პეტერბურგელ მხატვარ იური ლატუტოვთან), ინდოეთში (კონსულ სანჯეი რანასთან) დაიდო ბინა. იცით, გული მწყდება, ისინი ასე შორს რომ მეგულება. ამიტომ, ამ ბოლო დროს სიხარულით ვჩუქნი ხოლმე ჩემს ნახატებს, უსაყვარლეს ადამიანებს. მათი შეძენა ხომ აქ ყველას არ შეუძლია... აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ ჩემს კატალოგში ის ნახატი შევიტანე, „კომპოზიცია“, რომელიც მხატვარ ალბერტ დილბარიანს ძალიან მოეწონა. ამით შევეცადე მისდამი მადლიერების გრძნობა გამომეხატა... სხვა რამ აღარ დამცალდა, რადგანაც იგი, სამწუხაროდ, მალე ტრაგიკულად დაიღუპა (საკუთარ სახლში, ყიფშიძეზე, შემთხვევით აივანს მიაწვა და... გადავარდა... არადა, მისი სახით საქართველოზე შეყვარებული კიდევ ერთი ხელოვანი კაცი გამოგვაკლდა. ალბერტ დილბარიანი თბილისელობდა, უფრო მეტიც, ქართველობდა. — რ.ხ.).

**— თქვენ განსხვავებული სამყარო გაქვთ. თანაც, თქვენს შემოქმედებაში ეტყობა, ახალი ეტაპი გაჩნდა. საითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან ყვავილებია...**

— ჩემო კარგო, დაიმახსოვრე ერთი რამ: გარეთ არაფერი ხდება! ყველაფერი, რაც ხდება (თუ საერთოდ ხდება), თვით ადამიანში ხდება. ამიტომ ყველამ საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ საკუთარი გზა. მე დიდი ძიების შემდეგ ვიპოვე ჩემი გზა...

***რუსუდან ხუბულავა***


„ფრენა“


„სევდა“

## რას გვეტყვი, მამაო?

**— მართლმადიდებელი ეკლესიის შეფასებით, რა შეიძლება ჩაითვალოს ცოდვად?**

— ყოველი საქმე, რომელიც აზიანებს ადამიანს, ადამიანურ ურთიერთობებს და ადამიანის შრომის შედეგს; ღვთის საწინააღმდეგო ყოველგვარი მოქმედება არის ცოდვა.

**— კომუნისტების დროს მოვნათლე გოგონა, ისე, რომ თვითონ არ ვიყავი მონათლული. ვითვლები თუ არა ნათლიად და როგორ მოვიქცე?**

— რასაკვირველია, ჯობდა ნათლობის საიდუმლოს აღსრულებამდე გაგერკვიათ თქვენი მდგომარეობა, მაგრამ ახლა, როცა უკვე საიდუმლო აღსრულებულია და ნათლობა შესრულებული, გოგონა მონათლულად ითვლება. იმედი გვაქვს, თქვენც მოინათლეთ. მოიქეცით ისე, როგორც ნათლია, იზრუნეთ ნათლულზე.

**— ლოცვის დროს, როდესაც უფალს მივმართავთ, რომელი გვყავს მხედველობაში: მამა, ძე თუ სულიწმიდა?**

— მამა, ძე და სულიწმიდა არის განუყოფელი, ერთი. ამიტომ ლოცვებშიც ერთარსად მოვიაზრებთ.

**— რამდენად საჭიროა გარდაცვალების დღის აღნიშვნა?**

— საჭიროა. ამ დღეს აღვავლენთ გარდაცვლილის სახელზე პანაშვიდს და ვლოცულობთ, გავცემთ მოწყალებას. ახლობლებისგან გარდაცვლილის გახსენება მისთვის ლოცვის გაგრძელებაა. ისინი ევედრებიან უფალს მისი სულისთვის, ხოლო უფალი ბრძანებს: სადაც ერთი ან ორი შეიკრიბოს ჩემი სახელით, მეც მათთან ვიქნებიო.

**— გთხოვთ, ამიხსნათ, სად იმყოფება იმ ადამიანის სული, რომელიც გონზე არ არის, მაგრამ მაინც სუნთქავს, რომელი ლოცვები წავუკითხოთ ამ დროს?**

— იმ ადამიანის სული, რომელიც სუნთქავს, მაგრამ გონზე არ არის, იმყოფება ადამიანის სხეულშივე. სულის გასვლა სხეულიდან ნიშნავს ადამიანის გარდაცვალებას. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სულს უჭირს სხეულიდან გასვლა და ადამიანი იტანჯება, მოძღვარი კითხულობს სპეციალურ ლოცვას. ჭირისუფალს მხოლოდ ის ევალება, პირნათლად მოუაროს ავადმყოფს და, როგორც ქრისტიანს შეეფერება, ჩვეულებრივი ყოველდღიური ლოცვებით შეეწიოს.

**— ჯვართან ერთად კისერზე ჩამოკიდებული მაქვს მგლის კბილი. ძალიან მაინტერესებს, ხომ არ მოახდენს ის რაიმე ნეგატიურ გავლენას ჩემზე?**

— ადამიანი ატარებს იმას, რასაც სასოებს, რაც უყვარს. რა შუაშია და რა მიზნითაა საჭირო მგლის კბილის ტარება? ამის არანაირი ქრისტიანული ტრადიცია არ არსებობს, არც სამკაულად გამოდგება. თუ მას რაიმე თილისმის, საკრალური ნიშნით ატარებთ, ეს უკვე ცოდვაა და, რასაკვირველია, თქვენზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ჯვართან ერთად მხოლოდ ხატი ან ფსალმუნი უნდა ატაროთ.

**— ერთ-ერთი ტელეარხით მოვისმინე გადაცემა წმინდა ილია მართალზე. მისი ბიოგრაფიიდან ისეთ ფაქტებს იხსენებდნენ, რომ წმინდანის ცხოვრებას არ შეეფერება. ამბობდნენ, დაუნდობელი იყოო. ძალიან შევწუხდი. გთხოვთ განგვიმარტოთ, შეიძლება თუ არა წმინდანზე ასეთი ლაპარაკი?**

— ილია ჭავჭავაძე მეუდაბნოე მამა არ ყოფილა. მას სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ამაღლებით უნდოდა თავისი ხალხი ქრისტიანულ ფესვებზე დაებრუნებინა, ეროვნული სული გაეღვიძებინა. თუკი დაუნდობელი იყო, დაუნდობელი გახლდათ ყველაფერ იმისადმი, რაც მის ხალხს ამ ფესვებს აშორებდა. ექიმიც დაუნდობელია სნეულების მიმართ და როცა რაიმის ამოკვეთაა საჭირო ადამიანის სხეულიდან, კვეთს. ილია სიტყვებით კვეთდა ჩვენს უბედურებას — აი, რა უნდა გავითვალისწინოთ, როცა წმინდა ილია მართალზე ვსაუბრობთ. შესაძლოა ხსენებულ გადაცემაში მართლაც იდო სიმართლე, მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, დედამიწაზე უცოდველი ადამიანი არ არსებობს. მით უმეტეს, ილია არ იყო ასკეტი და თუკი მას რაიმე ცოდვა ჰქონდა, მოწამებრივი სისხლით გამოისყიდა.

**— შესაძლებელია თუ არა ტაძართან ჩავლისას, ტაძრისაგან ტრანსპორტში ზურგშექცევით მჯდომმა ადამიანმა პირჯვარი გადაიწეროს?**

— უფალი ყველგან არის და პირჯვრის გადაწერა ყველგან, ყველა მდგომარეობაში შეიძლება. მით უმეტეს ტაძართან ჩავლისას — ის ხომ ღვთის სახლია. აბა, მგზავრი ავტობუსის ტაძრისკენ შემობრუნებას ხომ ვერ შეძლებს? ქრისტიანობისთვის წამებულ წმინდანებს ხანდახან წაბილწულ ორმოებში აგდებდნენ და იქაც იწერდნენ პირჯვარს, ზოგჯერ ბორკილებიანი ხელებითაც.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

## რეპლიკა

### გაზეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 7-13 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ ზვიად ჩაკვეტაძის წერილი სათაურით: „თუ ვინმე გაბედავს და ალაპარაკდება, ბევრი თავი გაგორდება...“, რომელშიც მცირე ადგილი უჭირავს ავტორის თხოვნით ჩემ მიერ მიცემულ ზოგიერთ განმარტებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროდ ვთვლი განვაცხადო, რომ ბატონ ზვიად ჩაკვეტაძისთვის არანაირი თანხმობა არ მიმიცია ჩემი განმარტებების პრესაში გამოქვეყნებაზე. კორესპონდენტის განცხადებით, ის აპირებდა ენერგეტიკაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ჟურნალისტურ გამოძიებას. მის მიერ დასახელებულ საკითხთა შორის ჩემი ყურადღება მიიქცია მისმა კატეგორიულმა მტკიცებამ, თითქოს შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ხდებოდა ელექტროენერგიის ფარულად გაყიდვა მეზობელ ქვეყნებში, რაც მე არ გავიზიარე და შევეცადე ამეხსნა მისთვის ზოგიერთი ტექნიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხი, დაკავშირებული ელექტროენერგიის იმპორტსა, ექსპორტსა და ტრანზიტთან. გარდა ამისა, რაიმე მამტკიცებელი ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე არ მიმიწოდებია და ვერც მივაწოდებდი, რადგან ეს სცილდება ჩემს კომპეტენციას.

თუმცა, ამ ეტაპზე თავს ვიკავებ მთლიანობაში სტატიის შეფასებისგან, ერთს მაინც აღვნიშნავ — ბატონი ჩაკვეტაძის ნებით ჩემს განმარტებებად წარმოდგენილი ინფორმაცია ისეთივე წონისა და ღირებულებისაა, როგორიც წარბაწეული ბატონი მაიქლ სქოულის თურქული ვარაუდები, ანუ არავითარი ღირებულება არ გააჩნია.

წინასწარ მადლობას გიხდით ამ წერილის თქვენი გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნებისთვის.

***პატივისცემით***
***ილია ნაკაშიძე***
***სემეკის ელექტრო-ენერგეტიკული დეპარტამენტის დირექტორი 10.04.03***

## კომენტარი

*მართალი გითხრათ, გამაკვირვა ბატონი ილია ნაკაშიძის ამ წერილმა — მან ხომ ყველაფერი ჩემთან ინტერვიუში თავისივე ნებით განაცხადა. თვითონვე ისურვა ჟურნალისტთან შეხვედრა. რაც შეეხება მის ნათქვამს იმის თაობაზე, რომ „ბატონი ჩაკვეტაძის ნებით ჩემს განმარტებებად წარმოდგენილი ინფორმაცია ისეთივე წონისა და ღირებულებისაა, როგორიც წარბაწეული ბატონი მაიკლ სქოულის ვარაუდები, ანუ არავითარი ღირებულება არ გააჩნია“, პატივცემულ რესპონდენტს მოვახსენებ, რომ ჩვენი ჩინოვნიკების გადამკიდე (რომლებიც ხშირად უარს აცხადებენ სულ რამდენიმე დღის წინ ნათქვამზე) ჭკუა ვისწავლე და ყველა აუდიოჩანაწერს რამდენიმე წლით ვინახავ. თუკი ბატონი ილია მოისურვებს თავისივე ნათქვამის მოსმენას, მობრძანდეს რედაქციაში და ჩანაწერის მოსმენას არ დავამადლით.*

*ჩვენ დავინტერესდით, რამ აიძულა ბატონი ილია ნაკაშიძე უკან წაეღო თავისი სიტყვები. სემეკის პრესცენტრთან საუბარში გაირკვა შემდეგი: „არ გეწყინოთ, ილია ნაკაშიძე პატიოსანი კაცია, მაგრამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ვიღაცებმა კაცი გაამწარეს და აიძულეს ყველაფერი უარეყო. როგორც ჩანს, გულზე მოხვდათ“... ალბათ კომენტარი ზედმეტია.*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ქართული კრიმინალური ვენდეტის პირველი პრეცედენტი

როცა ეს ამბავი მოხდა, თბილისში ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ბაკქანალიები უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. აღნიშნული კი ანალოგიური შემთხვევებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ პირველი პრეცედენტი იყო ქართული კრიმინალური ვენდეტისა.

ყველაფერი ასე დაიწყო: 1994 წლის დეკემბერში დღემდე დაუდგენელმა პირებმა „ჯორჯიანტრანზოილის“ პრეზიდენტის, ავთანდილ (ავთო) საყვარელიძის ძმა — ირაკლი საყვარელიძე გაიტაცეს, გატაცების კვალი სამხრეთ ოსეთში მიდიოდა.

„ჯორჯიანტრანზოილი“ იმ დროისათვის საკმაოდ პერსპექტიულ კომერციულ სტრუქტურად მოიაზრებოდა. იგი, ძირითადად, ქალაქის დასუფთავებით იყო დაკავებული. ფირმის პრეზიდენტი ავთო საყვარელიძე, რომელიც „მხედრიონის“ წევრი გახლდათ, მკლავჭიდის ფედერაციის სპონსორადაც ითვლებოდა. სწორედ მისი წყალობით მოხერხდა შვედეთში გამართულ მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატზე ქართული ეროვნული ნაკრების გამგზავრება (შვედეთიდან ქართველმა მკლავჭიდელებმა 9 ოქროს მედალი ჩამოიტანეს)...

მომხდარის შესახებ ავთო საყვარელიძემ ძალოვან უწყებებს განცხადებით მიმართა. გარდა ამისა, „მხედრიონი“ საკუთარი ძალებით განაგრძობდა დაკარგული ირაკლი საყვარელიძის ძებნას.

რამდენიმე დღის შემდეგ მხედრიონელები საყვარელიძის ახლობლებთან ერთად მანქანით

**ცოცხალ-მკვდარი ლერი საღლიანი ძლივს გადაურჩა სიკვდილს, იგი ნათესავებმა სასწრაფოდ სვანეთში, ცხუმარში წაიყვანეს, რათა სიკვდილისგან ეხსნათ. საღლიანის ცემის ფაქტთან ერთ საინტერესო დეტალს იხსენებენ — ერეკლე გურჩიანის ძმის, ვოლტერ გურჩიანის თქმით, როდესაც ლერის სცემდნენ, გიგა გელაშვილს უთქვამს: მარჯვენა არ დაუზიანოთ, მარჯვენა ხელით საქართველოს ღირსებას იცავდაო.**

ცხინვალს გაემგზავრნენ ირაკლის გამოსახსნელად.

ქალაქის შესასვლელთან მათ უცნობებმა ცეცხლი გაუხსნეს ტყვიამფრქვევით — ორმხრივი სროლა მანქანაში მყოფი მხედრიონელების დაჭრით დამთავრდა.

ამ შემთხვევას „მხედრიონის“ ლიდერი **ლონგი ჭელიძე** ასე იხსენებს: „იმ დღეს დამირეკეს, თორნიკე ქურდაძე დაჭრეს ცხინვალის შესასვლელთანო. ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით. ჯანდაცვის მინისტრი მაშინ ავთო ჯორბენაძე იყო. როგორც კი მომხდარის შესახებ ვუამბე, სასწრაფოდ ექიმების ბრიგადა და რეანიმობილი მომცა. ოპერატიულად ჩავედით გორში, სადაც დაჭრილები მიეყვანათ. მე თან ივა კუზანოვი და ექიმი გია ნიშნიანიძე მახლდნენ. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მხედრიონელი, ზურა დათიკაშვილი ოპერაციის შემდგომ საავადმყოფოშივე გარდაიცვალა. იგივე ბედი ეწია ავთო საყვარელიძის ბიძაშვილს. ისიც საყვარელიძე იყო, სახელი აღარ მახსოვს. თორნიკე კი თბილისში წამოვიყვანეთ, მაგრამ ნატახტარის პოსტთან ისიც გარდაიცვალა“.



**რიყეზე, საავტომობილო გვირაბში არსებულ ერთ-ერთ ოთახში ხშირად უსწორდებოდნენ არასასურველ პირებს.**

როგორც შემდეგ გაირკვა, ცხინვალში წინასწარ სცოდნიათ მხედრიონელების შესაძლო ჩასვლის და მიზეზის შესახებაც და ის ორმხრივი შეტაკებაც ამის შედეგი იყო.

„მხედრიონი“ შურისძიებისათვის ხელსაყრელ დროს ელოდა. ხმა გავრცელდა, ირაკლი საყვარელიძის გატაცების საქმეში მკლავჭიდელების ხელი ურევიაო და „მხედრიონსაც“ ბევრი აღარ უფიქრია...

**სოსო ჯაჭვლიანი**, მკლავჭიდის ფედერაციის გენერალური მდივანი:

„ავთო საყვარელიძემ მაშინ რამდენიმე ტურნირი დაგვიფინანსა. ირაკლი (მისი ძმა) ხშირად მოდიოდა ჩვენთან, სპორტსმენი არ ყოფილა, მაგრამ ტანად წარმოსადეგი და ღონიერი ბიჭი იყო, მკლავის გადაწევაშიც ვარჯიშობდა.

შვედეთიდან რომ დავბრუნდით, სწორედ მაშინ გავიგეთ, ირაკლი რომ დაკარგული იყო. რას წარმოვიდგენდით, თუ ეჭვი ჩვენებზე ჰქონდათ. ასეთი რამ ფიქრადაც არასოდეს მოგვივიდოდა არც მე და არც ფედერაციის პრეზიდენტს, ვახტანგ მუსელიანს. მოგვიანებით გავიგე, რომ ეჭვი ჯიმი მერაბიშვილზე ჰქონდათ, არადა როგორც მახსოვს, ირაკლი სწორედ ჯიმი მერაბიშვილთან, ლერი საღლიანსა და ერეკლე გურჩიანთან მეგობრობდა. როცა ეს ჭორი გავრცელდა, ჩვენთვის, ჩემთვის და ვახტანგისათვის, რაიმე ხომ უნდა ეკითხათ, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს...“

...1994 წლის დეკემბრის დილას ეკა ბეჟანიშვილის ქუჩაზე სპეცდანიშნულების რაზმი „ომეგა“ გამოჩნდა. ომეგელები გაფრთხილების გარეშე შევიდნენ საცხოვრებელ ბინაში და ჯიმი მერაბიშვილი (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში) და მასთან სტუმრად მყოფი ბესო ციხიშვილი სახლიდან გაიყვანეს. ოპერაციას „ომეგას“ ორი ჯგუფი ატარებდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპეცდანიშნულების რაზმი მხოლოდ უშიშროების მინისტრის წინაშეა ანგარიშვალდებული, სავარაუდოდ, რაზმი უშუალოდ მინისტრის, იგორ გიორგაძის ბრძანებას ასრულებდა.

დაკავებულები უშიშროების სამინისტროში მიიყვანეს, მოგვიანებით ორივე რატომღაც „მხედრიონის“, კერძოდ, გიგა გელაშვილის ხელში აღმოჩნდა.

თავდაპირველად ისინი, ვაკეში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში მიიყვანეს. გიგა გელაშვილმა და გოჩა თედიაშვილმა (სავარაუდოდ, იქ გოჩა გელაშვილიც უნდა ყოფილიყო) მერაბიშვილი სასტიკად სცემეს. თითქმის მთელი დღე აწამებდნენ, რის შედეგადაც ჯიმი გარდაიცვალა. დაუნდობლად იყო ნაცემი ბესო ციხიშვილიც. მერაბიშვილის გვამი კვალის ასარევად ბორჯომში წაიღეს, ხოლო მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი ბესო ციხიშვილი საავადმყოფოში მიიყვანეს, მერე კი მის მშობლებს დაურეკეს და შვილის ადგილსამყოფელი აცნობეს.

როგორც ციხიშვილის დედა იხსენებს, საავადმყოფოში მისული შვილის სანახავად არ შეუშვეს: „რეანიმაციულ განყოფილებასთან იარაღიანი ხალხი იდგა. იძულებულნი გავხდით, მეზობელ პალატაში გაგვეთია ღამე. მეორე თუ მესამე დღეს დერეფანში იარაღიანი ხალხი აღარ ირეოდა. ამჯერად, შვილის ნახვის უფლება მომცეს, მაგრამ უკვე მკვდარი იყო.“ ბუნებრივია, „იმ იარაღიანებს“ ხელს არ აძლევდათ, მომაკვდავს ახლობლებისთვის მოეთხრო, თუ რა მოხდა სინამდვილეში...

„მხედრიონი“ შურისძიებას განაგრძობდა. ამჯერად მათი მსხვერპლი მკლავჭიდში ევროპის ჩემპიონი ლერი საღლიანი აღმოჩნდა. ისიც სასტიკად უცემიათ. როგორც მოგვიანებით გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მხედრიონელი გოჩა თედიაშვილი აღნიშნავს, — საღლიანი, ალთუნაშვილი და, სავარაუდოდ, ერეკლე გურჩიანი რიყეზე, საავტომობილო გვირაბში არსებულ ერთ-ერთ ოთახში სცემეს. სხვათა შორის, ამ ოთახში სხვა დროსაც არაერთხელ გასწორებიან თურმე არასასურველ პირებს.

ცოცხალ-მკვდარი ლერი საღლიანი ძლივს გადაურჩა სიკვდილს, იგი ნათესავებმა სასწრაფოდ სვანეთში, ცხუმარში წაიყვანეს, რათა სიკვდილისგან ეხსნათ. საღლიანის ცემის ფაქტთან ერთ საინტერესო დეტალს იხსენებენ — ერეკლე გურჩიანის ძმის, ვოლტერ გურჩიანის თქმით, როდესაც ლერის სცემდნენ, გიგა გელაშვილს უთქვამს: მარჯვენა არ დაუზიანოთ, მარჯვენა ხელით საქართველოს ღირსებას იცავდაო.

დაუნდობლად ნაცემი ალთუნაშვილი კი კარგა ხანს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა.

და მაინც, მონაწილეობდნენ თუ არა მკლავჭიდელები საყვარელიძის გატაცების საქმეში?

**ლონგი ჭელიძე:** „ამ ამბის დეტალები ნამდვილად არ ვიცი. იმდენად შოკირებული ვიყავი თორნიკე ქურდაძის მკვლელობით, აღარაფრის გაგება აღარ მინდოდა. იმას კი ამბობდნენ, — იცოდნენ, საყვარელიძე მკლავჭიდელების სპონსორი რომ იყო. იფიქრეს, ბევრი ფული ექნება და მისი ძმის გატაცებით ფულის გამოძალვას შეეცადნენ. ვითომ გატაცებაში ერთი ბობოლა პოლიციელიც მონაწილეობდა ოსური წარმოშობის პირთან ერთადო.“

მერაბიშვილის მკვლელობის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა არავინ დაუკავებიათ. ირაკლი საყვარელიძე კი დღემდე დაკარგულად ითვლება. „ჯორჯიანტრანზოილი“ აღარ არსებობს. რაც შეეხება ავთო საყვარელიძეს, როგორც სოსო ჯაჭვლიანი აცხადებს, მას მკლავჭიდელებთან ურთიერთობა აღარ ჰქონია. „ირაკლის დაკარგვის შემდეგ რა სინდისით უნდა მივსულიყავით. თვითონ კი ინიციატივა აღარ გამოუჩენიაო“, — დასძინა მან.

ჩანს, ეგრეთ წოდებული მკლავჭიდელების სისხლის სამართლის საქმე კიდევ კარგა ხანს იქნება თაროზე შემოდებული.

***ნინო ბურჭულაძე***



# პატარკაციშვილმა შევარდნაძეს უგანა



ედუარდ შევარდნაძე ახალი წინასაარჩევნო ბლოკის, „ახალი საქართველოსთვის“, მეთაური ხდება. ბლოკში შევლენ: „მოქალაქეთა კავშირი“, „სოციალისტები“ და „დიდი აბრეშუმის გზა“. მათი საშუალებით აპირებს პრეზიდენტი გამარჯვების მიღწევას საშემოდგომო საპარლამენტო არჩევნებში.

„მოქალაქეთა კავშირის“ რეიტინგის დაცემა 2001 წელს იქიდან ახალი თაობის ამბიციური ლიდერების — მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას გამოსვლით დაიწყო.

სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, არჩევნები ახლა რომ ტარდებოდეს, „მოქალაქეთა კავშირი“ 7 %-იან ბარიერსაც ვერ გადალახავდა. ახალი მოკავშირეებით თავისი რიგების შევსება შევარდნაძეს ოპოზიციის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა გადააწყვეტინა — ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენებმა მოითათბირეს და განაცხადეს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მათ წინააღმდეგ საინფორმაციო ტერორი გაძლიერდა. ამ შეხვედრაში ამჯერად საქართველოში მოღვაწე ოლიგარქი ბადრი პატარკაციშვილიც მონაწილეობდა, რომელსაც სხვადასხვა პროექტში, მისივე ფონდის მონაცემებით, დაახლოებით 30 მლნ დოლარი აქვს ჩადებული. შეკითხვაზე, თუ ვის ნახვას ისურვებდა საქართველოს ხელისუფლებაში, პატარკაციშვილმა ოპოზიცია „ახალი მემარჯვენეები“ და „გაერთიანებული დემოკრატები“ დაასახელა, რომელსაც შევარდნაძის უპირველესი მტერი ზურაბ ჟვანია მეთაურობს. ქართულ მედიაში გაჩნდა ვერსიები, რომ სწორედ ამ ორ პარტიას დაეხმარება ფინანსურად ოლიგარქი. ყოველივე ამან განაპირობა ახალი ბლოკის შექმნის საჭიროება, თუმცა პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ თვითონ არ აპირებს პოლიტიკაში ჩარევას და ყველაფერს გააკეთებს, რათა შევარდნაძის მიერ აღებული კურსი გაგრძელდეს.

ახალი პოლიტიკური ძალის გაჩენამ ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ლეიბორისტთა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“, „დოლარის ბლოკი“ უწოდა: — ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, ის არის, რომ არჩევნების წინ ამომრჩევლებს თითო ხმაში თითო დოლარი დაურიგონო.

„გაერთიანებული დემოკრატების“ წარმომადგენელმა მიხეილ მაჭავარიანმა კი შენიშნა, — ძალიან კარგია, რომ ამ ბლოკში სწორედ ისინი გაერთიანდნენ, რომლებიც ხალხს სინათლეს, გაზს, პენსიას და ხელფასს არ აძლევდნენ. ამომრჩეველს უფრო გაუადვილდება ძველის და ახლის გარჩევაო.

***ვრემია ნოვოსტეი***

# „ამას რუსეთის ჯინაზე აკეთებენ“...



„საქართველოს ხელისუფლებამ აშშ-თან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების შესახებ გადაწყვეტილება რუსეთის ჯინაზე მიიღო, — თვლის რფ-ის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე გენადი სელეზნიოვი, — „სიტყვით თბილისი რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას იქადის, საქმით კი ყველაფერი პირიქითაა. ეტყობა, საქართველომ უფრო ძლიერი მოკავშირე იპოვა“.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მიერთების პერსპექტივებთან დაკავშირებით, სელეზნიოვმა განაცხადა, — „ნატო ძალიან ძვირად ღირებული ორგანიზაციაა, მასში შესასვლელად ძლიერი სამხედრო ბიუჯეტია საჭირო, საქართველო საამისოდ მეტისმეტად სუსტია და საერთოდ, მისი ყოველი ნაბიჯი, ყველანაირი გეგმა საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო მშენებლობაში, უშუალოდ რუსეთის ინტერესებს ეხება. სხვა თუ არაფერი, ჩვენ მეზობელი სახელმწიფოები ვართ. დღეს ამერიკელები მშვიდად დაფრინავენ ჩვენს საერთო საზღვარზე იმიტომ, რომ საქართველო აძლევთ ამის ნებას. ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა ჩვენ ხელს არ გვაძლევს“.

***როს ბალტი***

# აფხაზეთის მთავრობა გადადგა

სოხუმის იზოლატორიდან 9 მსჯავრდებულის გაქცევამ აფხაზეთის აუღიარებელ რესპუბლიკაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია — რესპუბლიკის მთავრობამ გადადგომაზე გააკეთა განცხადება, მაგრამ ვლადისლავ არძინბამ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მათი თხოვნა: რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები ჯერ თავ-თავის ადგილებზე რჩებიან. ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბას ცნობით, მხოლოდ ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს გადააყენებენ.

რასაკვირველია, ამ ამბავს მაშინვე გამოეხმაურა ოფიციალური თბილისი. ეროვნული უშიშროების საბჭოში ქართველ ძალოვანთა დახურული თათბირი შედგა. სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ იზოლატორიდან ტუსაღების გაქცევა აფხაზეთის მთავრობის გადადგომის მხოლოდ საბაბია და ყველაფერი შეიძლება სერიოზული კრიზისით დამთავრდეს — საქართველოს სპეცსამსახურის მონაცემებით, ამ ბოლო დროს არძინბას გარემოცვაში დაძაბულობას და წინააღმდეგობებს აქვს ადგილი.

სოხუმის მოვლენები საქართველოს პარლამენტმაც განიხილა და დეპუტატებმა გადაწყვიტეს, აფხაზ ხალხს მიმართვა გაუგზავნონ, სადაც მოუწოდებენ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის განახლებას. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ამ მიმართვაში კონფლიქტის მოგვარების კონკრეტული გზები იქნება დასახული. ედუარდ შევარდნაძემ განმარტა, — ერაყის ომის დამთავრებამდე უხერხულია ჯორჯ ბუშს აფხაზეთის ამბებში ჩარევა ვთხოვოო.

ამასობაში, აფხაზეთში სიტუაცია მწვავდება. მთის სოფელ ლიხნიში გავლენიანი ოპოზიციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის წევრების — ქართულ-ახაზური ომის ვეტერანების — ყრილობა შედგა, სადაც პირველად იქნა გამოქვეყნებული აფხაზეთის ახლანდელი მთავრობის გადადგომის მოთხოვნა.

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# გაქცეულებმა კედელში გაიარეს

## ქართველმა სპეცსამსახურებმა მცველები მოისყიდეს



სოხუმის იზოლატორიდან გაქცეულ ცხრა ტუსაღთა შორის ყველაზე მთავარი ფიგურაა ქართველი, გალელი გერვასი ჯოლოგუა, რომელსაც 2002 წელს აფხაზეთის სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა.

ჯოლოგუა თავისი ხუთი თითივით იცნობდა სვანეთის ყოველ კუთხე-კუნჭულს და მთის ბილიკებით მეგზურობა გაუწია გელაევის რაზმს. 2002 წლის თებერვალში, დატუსაღებულმა ჯოლოგუამ გაზეთის კორესპონდენტს დაწვრილებით უამბო, როგორ წაიყვანა „ბოევიკები“ პანკისიდან აფხაზეთის კოდორის ხეობაში. თანაც ამტკიცებდა, რომ მისი მიზანი გელაეველების საქართველოდან შორს გატყუება იყო და არც ქართულ სპეცსამსახურებთან კავშირს უარყოფდა.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ასლანბეი კჩაჩი აცხადებს, რომ გააჩნია შემდეგი ინფორმაცია: ჯოლოგუა საქართველოს შინაგანი დაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი იყო. 2002 წლის დეკემბერში, ჩეჩენმა ბოევიკებმა და მათმა ქართველმა „პარტნიორებმა“ სოფელ ანარიაში მცხოვრები აფხაზები შეიპყრეს ბოევიკებსა და ჯოლოგუაზე გასაცვლელად. ეტყობა, სწორედ მაშინ გადაწყდა გაქცევის მოწყობა ორმაგი აგენტის გამოსახსნელად. გაქცეულთაგან სამი — ორი ჩეჩენი და ერთი ყაბარდოელი, რომელთაც 12, 13 და 15 წელი ჰქონდათ მისჯილი, ჩანს, ამ ავანტიურაში შეიტყუეს, რადგან ერთ-ერთმა კორესპონდენტს უთხრა, — ასე გვითხრეს, ჩეჩნეთში მივდივართო.

აფხაზეთის შსს-ს განცხადებით, კიდევ ორი პატიმარი — ჩეჩენი და აფხაზი — ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის იური ვორონინის მკვლელობის საქმეში გადიან. დანარჩენი გაქცეულები სხვადასხვა დანაშაულში არიან მხილებულნი. ტუსაღებმა ციხის საკნის კედელი გაანგრიეს და ასე გააღწიეს სამშვიდობოს. ყველანი უიარაღონი იყვნენ.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ძირითადი ვერსიაა — წინასწარი დაკავების საკნის თანამშრომელთა დანაშაულებრივი ქმედება.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსმა გივი აგრბამ განაცხადა, რომ დაცვა მოსყიდული იყო.

უწყების ოთხი თანამშრომელი დაპატიმრებულია.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №76***

# წვრილ-წვრილი ამბები

**საქართველო** მონაწილეობს ანტიერაყული კოალიციის ქვეყნების წარმომადგენელთა კონსულტაციებში, რომელიც ფლორიდაში მიმდინარეობს. საქართველოს მხრიდან თათბირს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე გიორგი გიორგობიანი ესწრება. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა დოლონაძემ განაცხადა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ საქართველო ერაყის დემოკრატიულ აღმშენებლობაში მიიღებს მონაწილეობას, რისთვისაც თბილისში ას სამხედრო მოსამსახურეს ამზადებენ. სამხედრო კონტინგენტის გარდა, საქართველო ერაყში მშენებლებს, ინჟინრებს, მედიკოსებს და სხვა სპეციალისტებს გაგზავნის.



***როს ბიზნეს კონსალტინგი***

**2004 წლის** მეორე კვარტალში შეუდგებიან 690 კმ-იანი გაზსადენი მილის — ბაქო-თბილისი-ერზრუმის მშენებლობას, რათა 2006 წლის მესამე კვარტალში დაიწყოს გაზის ექსპორტი შაჰდენიზიდან თურქეთში, იქედან კი — საბერძნეთში.

თურქეთი, პირველ ეტაპზე, 15 წლის მანძილზე, საშუალოდ წელიწადში 6,3 მლრდ კუბმეტრ გაზს მიიღებს. აზერბაიჯანთან მოლაპარაკების თანახმად, საქართველო 0,8 მლრდ კუბმეტრს; აზერბაიჯანს კი, პირველ ეტაპზე, შაჰდენიზის 1,5 მლრდ კუბმეტრი გაზი ერგება.

***როიტერი***

**აფხაზეთის მთავრობა** არ იზიარებს ომის ვეტერანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „ამცახარას“ თვალსაზრისს, რომ „არძინბას ხელისუფლება სამართლებრივ და პოლიტიკურ ვაკუუმშია, დაცემულია ცხოვრების დონე, ხალხი ლატაკი და უმუშევარია“. შეშფოთებულმა ვლადისლავ არძინბამ თანამემამულეებს მიმართა: „გარკვეული პირები (გვარებს არ ასახელებს), რომლებიც ქართულ-აფხაზური ომის დაწყების წინ ქადაგებდნენ, ქართველები „გადაგვივლიანო“, ახლა თავის ჭკუაზე ათამაშებენ მათ, ვინც იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს“.

არძინბა მოუწოდებს აფხაზებს, სიფხიზლე და პაუხისმგებლობა გამოიჩინონ. მხარი დაუჭირონ მის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსს, — თუ არა და, რაღა აზრი ექნება სახელმწიფო მეთაურად ჩემს ყოფნასო, — ამბობს აუღიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტი.

***(იბეჭდება შემოკლებით) გაზეტა რუ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***






ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაცაწიები გინიოხოზენ

**პატარა ანა სულაკაურის** დედა ორი კვირით მივლინებაში გააგზავნეს:
— მამიკო, ისე მომენატრა დედიკო, ისე მომენატრა, რომ სიცილით მოვკვდები, — უთხრა ერთ დილას ანამ მამას.

***

**4 წლის გიორგი ნოზაძემ** მაგიდიდან მობილური აიღო და თამაში დაიწყო. მამამ გამოართვა.
— ეს ჩემი ძმობილურია, მომეცი, — ატირდა გიორგი.

***

— იმეცადინე, — უთხრა დედამ **მეორეკლასელ თათია მუკბანიანს.**
— არ მინდა.
— როგორ შეიძლება მეცადინეობაზე „არ მინდა“ თქვა?
— მაშინ ვერ მინდა, — იპოვა გამოსავალი თათიამ.

***

**4 წლის გოგი ფხალაძემ** „კვირის პალიტრის“ საბავშვო გვერდში დაბეჭდილ გამოცანის კითხვაზე, თუ რომელი ნივთები სჭირდება მხატვარს, ნახატზე მოცემულ ნივთებს შორის მიუთითა მსხალზე. კითხვაზე, რატომ მსხალი? — პასუხობს:
— შეჭამს.

***

**3 წლის დათა თადუმაძე** შოკოლადის ფილას აწვდის ბებიას.
ბებია უარს ეუბნება, — მარხვას ვინახავო.
გაკვირვებული დათა ეკითხება:
— ბებო, სად ინახავ მარხვას?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „მღრღნელია და წრუწუნა, მას მტერი ჰყავს ფისუნა“.

**IV**






ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

**II**




გაიარე ლაბირინთი ყველაზე მოკლე გზით და წაიკითხავ რაჭაში მდებარე ისტორიული ძეგლის სახელს (მინიშნება: პასუხში ყველა ასო არ გამოიყენება)




გამოიცანი, რომელ კონვერტში რომელი მცენარის თესლია

## I ანა, გამოიცანი

**1. რომელი ქალღმერთი იშვა ზევსის თავიდან?**
ა) ჰერა; ბ) ათენა; გ) აფროდიტე; დ) არტემიდე.

**2. რას უწოდებენ მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმულ აზრს?**
ა) ლაკონიურს; ბ) მინიატურულს; გ) ორიგინალურს; დ) კლასიკურს.

**3. ჩამოთვლილთაგან რომელია წყლის საღებავი?**
ა) პასტელი; ბ) გუაში; გ) აკვარელი; დ) ტემპერა.

**4. რომელი არ არის თავის ნაწილი?**
ა) თხემი; ბ) ყვრიმალი; გ) კეფა; დ) ლავიწი.

**5. რა ჰქვია გრძელ, მსხვილ ნემსს?**
ა) მახათი; ბ) ჩხირი; გ) მახვილი; დ) ყაისნალი.

**6. რა ჰქვია სვანეთში უხუცესს, ხელმძღვანელს?**
ა) მამასახლისი; ბ) ბელადი; გ) მახვში; დ) ბატონი.

**7. რომელი სიტყვა არ ნიშნავს ადამიანთა გაერთიანებას?**
ა) გვარი; ბ) თემა; გ) თემი; დ) ტომი.

**8. ვინ მოსტაცა ღვთიური ცეცხლი ზევსს და ამით გადაარჩინა კაცთა მოდგმა?**
ა) ჰეფესტომ; ბ) ჰერაკლემ; გ) პრომეთემ; დ) ჰერმესმა.

**9. რომელი არ არის კლავიშებიანი საკრავი?**
ა) არღანი; ბ) ორგანი; გ) კლავესინი; დ) აკორდეონი.

**V**




იპოვე ორი ერთნაირი პეპელა



იპოვე განსხვავებული ჩიტი, ფუტკარი, ბაყაყი და ყვავილი

## III რებუსი






| ოთახი მატარებელში | პირი რუსულად | შინაური ფრინველი | „ბებერი ... ხნავენო“ | რქანიცა (ანდ.) | ნოტი | მუსიკოს-შემსრულ. ... რცხილაძე | ბაბილონი, კოშკი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| ფიგურა ჭადრაკ. | მეზღაპრე შარლ ... | დიდი გუბურა | თხელი გამყოფი კედელი | ბილეთების შესაძენი ადგილი | ეგზოტიკური ხილი | დასარტყამი ინსტრუმენტი | |



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მაქუკა ხუციშვილმა

**ყოველთვის მეგონა, რომ კინომსახიობთა თეატრში განსაკუთრებული ურთიერთგაგება და სიყვარული სუფევდა. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და მიხეილ თუმანიშვილის შექმნილი სახელოსნოს აქამოსფერო ჯადოსნურ ზღაპრად მეჩვენებოდა. იმ ზღაპარში ბევრი კეთილი პერსონაჟი მეგულებოდა, საწყავარ ნივთებს კიდობანში რომ ინახავდნენ და ახალ წელს ერთად ხვდებოდნენ, სცენაზე საინტერესო ამბებს აასახიერებდნენ და სცენის მიღმა კიდევ უფრო საინტერესოდ ცხოვრობდნენ. მათ შორის იყო გია აბესალაშვილიც.**

**ახლა, როცა უკვე გავიზარდე და სხვა თვალით ვუყურებ ყველაფერს, მაინც ისევ ის ბავშვური განცდა მიმყვება, როცა გია აბესალაშვილთან შესახვედრად მივდივარ.**

**— გია, კინომსახიობთა თეატრი შენობის გარეშე ბუდემოშლილ ჩიტს მაგონებს...**

— ასეა, მაგრამ რემონტი დამთავრდება და თეატრი გარეგნულადაც უკეთესი იქნება, შიგნითაც გამართული. ძველი თითქმის აღარაფერი დარჩება. რომელ კედელსაც ხელი ახლეს, ყველა დაიშალა. ახლა თეატრს თავიდან აშენებენ. ისე აირ-დაირია ცხოვრება, მარტო ჩვენთან კი არა, მსოფლიოში სხვაგანაც აღარ არის ადვილი გადაადგილება. მხოლოდ საქართველოს მასშტაბით ვმოგზაურობთ. ცოტა ხნის წინ თელავსა და ქუთაისში ვიყავით. მომთაბარე ცხოვრებას ვეწევით. ხან თავისუფალ თეატრში ვატარებთ სპექტაკლს, ხან მარჯანიშვილის თეატრში. ეს საკმაოდ რთულია, ყველა სცენას თავისი სპეციფიკა აქვს. ზოგან უფრო ხმამაღლა უნდა ილაპარაკო, ზოგან — პირიქით...

**— თეატრის რემონტი საშვილიშვილო საქმეა. მე ერთ რამეზე მწყდება გული, როგორც გავიგე, მიხეილ თუმანიშვილის ოთახიც ჩამონგრეულა.**

— ჰო, ის კედლები აღარ არის...

**— თქვენი ნახატებიც დაიკარგა, თეატრში რომ იყო?**

— ბატონი მიშას ოთახში რომ იყო, ის ნახატი წამოვიღე, შენახული მაქვს.

**— თაზო თოლორაიას პროფილი კედელზე, რა თქმა უნდა, აღარ დაგვხვდება. საინტერესოა, ახლა თუ ხატავთ?**

— ვხატავ ჩემთვის. როცა ვერთობი, ან როცა ვინმეს ვუსმენ, როცა ვსაუბრობ, მაშინაც კი. სკოლაში ამის გამო, პრობლემები მქონდა. მერხზე ვხრაპნიდი და მერე ღებავდნენ ხოლმე.

**— ისე, სკოლაში თუ გქონდათ წარმოდგენა მომავალ პროფესიაზე?**

— არანაირი. მე სუხიშვილების ცეკვის სტუდია დავამთავრე. ანსამბლში გადამიყვანეს და დადგა დრო, რომ უნდა მეზრუნა მომავალ პროფესიაზე. უნივერსიტეტს სჭირდებოდა მოცეკვავეთა ანსამბლი და მეც მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. მერე მოხდა ისე, რომ ქუჩაში გამაჩერეს და ფილმში გადასაღებად დამპატიჟეს. თემურ ფალავანდიშვილი



# იკითხეთ „ვეფხისტყაოსანი“ დილით, უზმოზე, — *გია აბესალაშვილი*

იღებდა ფილმს „წერილები ბამიდან“. გადაღებები ნია-გრუზინსკაიაში იყო, მეც ასე ამოვყავი თავი ციმბირში...

**— გაუციმბირებიხართ და ეგ არის! საშინელი სიცივეა ციმბირში.**

— პირიქით, სიცივე კარგი იყო. როცა ცხელოდა, მაშინ იყო ცუდი, თავს ზემოთ ქინქლების გუნდი დაგყვებოდა. ზოგიერთ ადგილას პირბადეები ეკეთათ. სექტემბერში პირველი თოვლი მოვიდა და ქინქლებიც გაქრა. მერე დაიწყო ყინვები — 40 გრადუს ცელსიუსზე და ცოტა მეტზეც ვყოფილვარ. 19-20 წლისა ვიყავი. როცა გადაღებები არ გვქონდა, სამხერხაოში ვმუშაობდი. უსკუტში არის ციხე — შორეულ აღმოსავლეთში რომ ხალხს აგზავნიდნენ, იქ მიჰყავდათ. ჩვენ იმ უსკუტსაც გავცდით. მთაგორიანი ლანდშაფტია, თითქმის ჭიუხები. ერთ ადგილს „სიდედრის ენას“ ეძახდნენ. საერთოდ, ციხიდან გაპარვა და იმ ადგილების გავლა შეუძლებელი იქნებოდა. 500-500 კმ-ით არის დაშორებული დასახლებული პუნქტები. ზაფხულში დათვი შეჭამდა კაცს, ზამთარში გაიყინებოდა. ჩვენებმა მოკლეს ერთი დათვი... დათვი რომ სუსტია და ბუნაგიდან გამოაგდებენ, გარეთ რჩება, დაწრიალებს. მას „მიშკა-შატუნს“ ეძახიან და ის ესხმის თავს ადამიანს. წავიდნენ ჩვენი ოპერატორები ლერი მაჩაიძე და სხვა ბიჭები და მოინადირეს ეს დათვი.

**— როცა პირველი გადაღება ასეთი საინტერესო იყო, რა თქმა, უნდა მსახიობობას გადაწყვეტდით.**

— ჩამოვედი და რეზო ჩხეიძის რეკომენდაციით, კინომსახიობთა თეატრში დავიწყე სცენის მუშად თუ რეკვიზიტორად მუშაობა. სტაჟისთვის მჭირდებოდა.. გამიმართლა. ერთ წელიწადში თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. იმ წელს აიყვანა მიხეილ თუმანიშვილმა ჯგუფი... სტუდენტობაში ვმონაწილეობდი სპექტაკლებში კინომსახიობთა თეატრში. „დონ ჟუანი“ ბატონმა მიშამ ოპერაშიც დადგა. იქაც გვათამაშა თემურ გვალია, ლევან აბაშიძე და მე. დონა ელვირას ძმები ვიყავით, ვფარიკაობდით. სპექტაკლში პაატა ბურჭულაძე, ნაირა გლუნჩაძე მღეროდნენ. გასტროლებზეც წავედით. კინომსახიობთა თეატრი კიევში იყო. იქიდან დავბრუნდით და ჩვენ სამნი მოსკოვში 1-ელ ნოემბერს ოპერის თეატრის გასტროლებზე ჩავედით. „დონ ჟუანი“ 14 ნოემბერს გადიოდა. მივედით პაატა ბურჭულაძესთან. გვითხრა: აგერ თქვენი სასტუმროს ნომერი, მეც აქ ვარ და თუ დაგჭირდეთ, დაგეხმარებითო. გვმფარველობდა.

**— მოსკოვური ამბებიდან რა გახსოვთ ყველაზე სახალისო?**

— მე და ლევან აბაშიძე დაგვიჭირეს. ერთხელ მე, ლევანმა და თემურმა გადავწყვიტეთ უცხოური სიგარეტები გვეყიდა. თემური ფრთხილია, არ წამოგვყვა. ჩვენ სასუტმრო „ნაციონალის“ წინ მძღოლებთან შევიძინეთ ნაირ-ნაირი სიგარეტი. ციოდა. ლევანს ვახუშტი კოტეტიშვილის დუბლიონკა ეცვა. იმ დუბლიონკას ვახუშტიმ რომ თბილისიდან გაატანა, ხან ერთი ვიცვამდით, ხან მეორე, ხან მესამე. სიცივისაგან აბუზულები ვიყავით. უცებ ერთი კაცი ამოგვიდგა გვერდით, გაგვაფრთხილა, პიჯაკით იყო ისეთ სიცივეში. „Давайте ребята, следуйте за мной“-ო გვითხრა. მივხვდით დაგვიჭირეს. შეგვიყვანა „ნაციონალში“. გვითხრა: ამ ოთაში ძერჟინსკი ცხოვრობდა, აქ — ლენინი, აქ მე ვზივარ და დააწყვეთ თქვენი სიგარეტებიო... მოკლედ, რომ გითხრათ, მას ჩვენი დაჭერა აზრად არ ჰქონდა, გაგვიშვა კიდეც, ოღონდ გაგვაფრთხილა. გამოვედით და სასწრაფოდ მძღოლები გავაფრთხილეთ: ასე მოხდა, დაგვიჭირეს, ფრთხილად იყავითო. მოკვდნენ სიცილით, ნუ დარდობთ, ეგენი დღეში სამჯერ გვიჭერენო.

**— ერთხელ თაზო თოლორაიამ მითხრა თქვენზე: მე და გია დაკარგული ძმებივით ვართო. გაკვირვება რომ შემატყო, ამიხსნა — პროფილს ვგულისხმობო.**

— ედინბურგში ვიყავით ფესტივალზე. თაზო, მე და რუსიკო ბოლქვაძე კაფეში ვისხედით. იქ იყვნენ ინგლისის ნაციონალური თეატრის მსახიობებიც. მათ ჩვენ ერთი ოჯახის წევრები ვეგონეთ. რუსიკო კარგად ლაპარაკობს ინგლისურად და „აუხსნა“: ეს მამაა (თაზოზე), ჩვენ შვილები ვართო. ეს რაა, დედაც გვყავს, ის შემდეგ ფესტივალზე ჩამოვაო. ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ სისხლით ნათესავები არ ვიყავით.

**— ხალისიანი პროფესია გაქვთ მსახიობებს...**

— ერთხელ კახეთში ვიყავით ჩასულები. ახალი წლის შემდეგი პერიოდი იყო. ტელევიზიით ზოგმა მსახიობმა იმღერა, ზოგმა ლექსი წაიკითხა და როგორც ჩანს, გვიცნეს: ერთი კახელი მიყურებდა დაჟინებით: შენც არტისტი ხაარ? — მკითხა. ჰო-მეთქი. რა გენაღვლებათ, — გააგრძელა კახელმა — ვისაც გინდათ იმას ჰკოცნით... კაი პროფესია გაქვთო. ზოგიერთისთვის, რაღა ზოგიერთისთვის, თუნდაც მამაჩემისთვის, ეს არ არის სერიოზული პროფესია.

**— მოდი, ახლა, გია, თქვენს კიდევ ერთ შეძენილ პროფესიას შევეხოთ. ტელევიზიაში როგორ გრძნობთ თავს?**

— ტელევიზიის თანამშრომლებმა და ნანა თუთბერიძემ გადაწყვიტეს, ვყოფილიყავი ერთ-ერთი წამყვანი. ვიფიქრე, რა უნდა გავაკეთო, ჟურნალისტი მე არ ვარ-მეთქი... მერე დავთანხმდი. მსახიობებს ვესაუბრები, მათაც არ უჭირთ ჩემთან საუბარი.

**— დაბოლოს, კიდევ ერთი ამპლუაც — პედაგოგობა... თქვენ სტუდიაში „თეთრი ფარდა“ სამსახიობო ხელოვნებას ასწავლით ბავშვებს.**

— ამ ბავშვებისგან მე უფრო მეტს ვსწავლობ. მეც ვახედებ მათ სამსახიობო სამზარეულოში, მეტყველების კულტურას ვასწავლი. ეს მარტო მსახიობს კი არ სჭირდება! ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ადრეული ასაკიდან იწყებენ ისინი უცხო ენაზე სიარულს და მერე ინგლისურ-ქართული მეტყველება აქვთ. ინგლისური კი უნდა იცოდნენ, მაგრამ არა მშობლიური ენის ხარჯზე.

**— თქვენს შვილებს თუ ასწავლით სწორ მეტყველებას?**

— უფროსი 8 წლის არის, უმცროსი — 3 წლის. პატარამაც კი ყველა სავარჯიშო იცის. ვუსწორებ ხოლმე მეტყველებას.

**— გამართული მეტყველება დღეს აქილევსის ქუსლად გვექცა. ძალიან რთულია მისი დარეგულირება.**

— ერთს გირჩევთ ყველას, დილით, უზმოზე „ვეფხისტყაოსანი“ იკითხეთ, ხმამაღლა, გააზრებულად. მეტყველებასაც გამოისწორებთ და ისწავლით კიდეც.

**— თქვენ თუ კითხულობთ?**

— ვერ მოგატყუებთ, ახლა არ ვკითხულობ, მაგრამ იყო დრო, ვკითხულობდი.

P.S. ***საოცრად მომეწონა გია აბესალაშვილის რჩევა. მართლაც, რა უნდა იყოს ამაზე სრულყოფილი რეცეპტი ქართული მეტყველებისა და აზროვნების გამოსასწორებლად, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაა.***

***ლელა ჯიყაშვილი***

# „თავისუფალ სიყვარულში“ ვცდილობ, დაკარგული ქმარი დავიბრუნო...

ამას წინათ მეგობრებთან ერთად ახალ ქართულ ტელესერიალს „ცხელ ძაღლს“ ვუყურებდი. ფილმის დამთავრების შემდეგ ყველას მსგავსი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ შესანიშნავი ქართველი კინოვარსკვლავები ტელესერიალში ჰგვანან გალიაში გამომწყვდეულ ფრთოსნებს, რომლებსაც ფრთების გასაშლელად, ირაოს შესაკრავად არეალი არ ჰყოფნით. იმ დღეს „ცხელ ძაღლში“ **მარინა კახიანის** გმირი მოკლეს — „ამის მოკვლა ახლა ცოდვა არ იყო, რას გვერჩოდა რეჟისორი? — იკითხა ერთმა და დასძინა — ალბათ, რა სასიამოვნო იქნებოდა მსახიობისათვის, რომ იცოდეს, როგორ სწყდება მაყურებელს, თაყვანისმცემელს გული, როცა მისი პერსონაჟი კვდება ფილმში. ეს ქალი ისეთი ლამაზია და ისე კარგად თამაშობს, რომ ბოროტ პერსონაჟებსაც კი გვაყვარებს. გახსოვთ „კავკასიური ცარცის წრე“, მისი პერსონაჟი უარყოფითია, მაგრამ კახიანის მომხიბვლელობისა და სამსახიობო ოსტატობის წყალობით გატყვევებს და დიდებული პარტნიორების თამაშსაც ელვარებას მატებს“. იმ დღეს იმდენი ილაპარაკეს მარინა კახიანზე, რომ გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ შევხვედროდი მსახიობს და მისთვის თაყვანისმცემელთა სიყვარული გამეზიარებინა...

— მართლაც ძალიან სასიამოვნოა, თუ მსახიობის სიკვდილს ეკრანზე განიცდის მაყურებელი, მისი გაუჩინარება გულს სწყვეტს, ე.ი. მსახიობმა წარმატებას მიაღწია. „ცხელი ძაღლის“ ეკრანზე გასვლის შემდეგ ბაზრობაზე მომიხდა გასვლა. თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, არ მიყვარს ბაზრობაზე სიარული. ახალგაზრდა მამაკაცმა ჯერ სიყვარული და თაყვანისცემა გამომიცხადა, მერე კი მითხრა — არ მსიამოვნებს უარყოფით როლებში რომ გხედავთო. რას ვიზამთ, მსახიობებს ხან უარყოფითი გმირის თამაში გვიწევს და ხანაც — დადებითის. ჩვენ ჯარისკაცებივით ვართ, რასაც დაგვავალებენ, უნდა შევასრულოთ...

**— როგორი უნდა იყოს თქვენი აზრით, იდეალური ურთიერთობა რეჟისორსა და მსახიობს შორის?**

— არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ მსახიობსა და რეჟისორს შორის ურთიერთობა ქალისა და კაცის სიყვარულს ჰგავს. თუ არ არის რაღაც განსაკუთრებული ამ ურთიერთობაში, შედევრი, განსაკუთრებული სახე არ შეიქმნება. უამრავი ლამაზი ქალი დადის ქვეყნად, კაცი კი რომელიმე მათგანს ირჩევს, რატომ? არავინ იცის. ასევეა რეჟისორიც. უამრავ მსახიობს შორის ერთს ირჩევს, რატომ? არ ვიცი, არც მგონია, ვინმემ იცოდეს. თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, ამ კავშირით მივიღოთ ჭეშმარიტი ხელოვნების ღირებული ნიმუში, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ხდება და რატომ — არა მგონია ვინმემ იცოდეს. „კავკასიური ცარცის წრე“ საუკუნის სპექტაკლია. შედგა შედევრი, მაგრამ ყოველთვის არ ხდება ასე, მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგიც, რეჟისორიც, მსახიობებიც იგივენი არიან, ყველაფერს შესანიშნავად აკეთებენ, მაგრამ...

**— როგორც ვიცი, საკმაოდ დატვირთული შემოქმედებითი ცხოვრება გაქვთ კინოშიც, თეატრშიც.**

— რამდენიმე პროექტში ვარ ჩართული. სარდაფის თეატრის სცენაზე არ მითამაშია დღემდე. ახლა იქაც მოვსინჯავ ჩემს შესაძლებლობებს. ციცინო კობიაშვილი დგამს ნობელიანტი მწერლის, დარიო ფოსის „თავისუფალ სიყვარულს“, ორკაციან პიესას, სადაც ჩემი როლებისაგან სრულიად განსხვავებულ სახეს ვთამაშობ... ცოლ-ქმრის ცხოვრება ფუჭდება, აღარაფერი აქვთ საერთო, ჩემი გმირი კი ცდილობს, დაკარგული ქმარი დაიბრუნოს და ამ დროს საოცრად ტრაგიკულ მომენტში კომედიური სცენები შემოდის. ეს არის ფარსი, რომელიც არა მარტო სცენაზე, არამედ ცხოვრებაშიც თამაშდება.

**— კინოროლებზე რას იტყვით? რუსულ მრავალსერიიან ფილმში გადაღების შემდეგ აქაც კარგად აეწყო საქმე?**

— საბედნიეროდ, ქართული კინემატოგრაფი ილვიძებს და უსახსრობის პრობლემის მიუხედავად, მაინც იღებენ ფილმებს, მოკლემეტრაჟიანს უმეტესად. სოსო ჯაჭვლიანი, ჩემი პარტნიორი კინოდან, ამჯერად კი დიპლომანტი რეჟისორი იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმს, სადაც უბედური ქალის პატარა როლს ვთამაშობ და მიხარია, რომ ახალგაზრდა რეჟისორი, ძველი თაობის მსახიობით დაინტერესდა. ასევე მონაწილეობას მივიღებ ტელე-იმედისათვის განკუთვნილ პროექტში, ექვსერიიან ფილმში, რომელსაც ნინო ბასილაიას სცენარის მიხედვით იღებს დათო ჯანელიძე. ვითამაშებ გამომძიებელი ქალის, ირინას როლს. ფილმი დეტექტიური ჟანრისაა, მაგრამ თან ახლავს „მარადიული თემა“ — დიდი, დამანგრეველი სიყვარული, რომელმაც არც ასაკი იცის და არც არანაირი საზღვარი



გააჩნია. ჩემი გონება ახლა ყველაზე მეტად სწორედ ამ ფილმით არის დაკავებული.

**— როგორ ფიქრობთ, ქართული კინოხელოვნება ცოცხლდება?**

— მიუხედავად ჩვენი დუხჭირი რეალობისა, ფაქტია, რომ ხელოვნების გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. ხალხი ითხოვს სულიერ საზრდოს და ამიტომ არსებობს დღეს თეატრი, ამიტომ ილვიძებს კინო. სხვანაირად არ შეიძლება ამ ქვეყანაში. სადაც არსებობდა მსოფლიო თვალსაზრისით სერიოზული კინემატოგრაფი, ბუმბერაზი კინორეჟისორები. სამწუხაროდ, ერთი ხელის მოსმით ძველი დიდების აღდგენა წარმოუდგენელია.

**— და მაინც, რას ფიქრობთ, ამ მძიმე პირობებში რა აცოცხლებს ხელოვნებას? როგორ მოხდა, რომ ქვემეხების ქუხილშიც კი მუზები არ დუმდნენ ჩვენთან?**

— საერთოდ, ამ გამოთქმას ვერ ვიზიარებ. იტალიაში, როდესაც უკიდურესი გაჭირვება იყო, აღორძინდა კინემატოგრაფში ნეორეალიზმი, რომელიც მსოფლიოს მოედო. საუკეთესო კინო მაშინ მხოლოდ იტალიაში იყო. დღეს კი არანაირი პრობლემა აღარ აქვთ, მაგრამ შედევრებს ვეღარ ქმნიან. ვფიქრობ, როცა გაჭირვებაშია ერი, ადამიანებში მეტად ილვიძებს გრძნობა, იგი ფიქრს ეძლევა და შესაბამისად სულიერება იწევს წინა პლანზე.

**— მიზანსწრაფული, ინიციატივიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ გარშემომყოფებში.**

— მიზანსწრაფული საქმის კეთების დროს ვარ. ინიციატივიანი კი — არა.

**— წარმოგიდგენიათ, უცებ თეატრი, კინო რომ გაქრეს?**

— მიფიქრია და არც მინდა ამაზე ფიქრი. მაგრამ რადგან ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ალბათ გამოსავალს მაინც ვიპოვი ამ ასაკშიც, ხომ ამბობენ, რომ არასოდეს არ არის გვიან. გოგენმა 40 წლის ასაკში დაიწყო ხატვა და გენიოსი აღმოჩნდა... ალბათ წერას დავიწყებდი. ფიქრის, აზროვნების ფურცელზე გადმოტანა მიყვარს.

***ეკა ლომიძე***

საცხენოსნო ექსპედიციებს შორის, რომლებშიც მონაწილეობა მიმიღია, ყველაზე რთული კავკასიონზე მოგზაურობა გახლდათ. მარშრუტი სათავეს აფხაზეთში, დაბა ლესელიძეში იღებდა, შვიდჯერ კვეთდა კავკასიონის მთავარ ქედს, გაივლიდა ორ ათეულზე მეტ უღელტეხილს და დაღესტნიდან თუშეთში შემოდიოდა.

თუშური ჯიშის ცხენები შევარჩიეთ. ვიცოდით, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ ასეთი გრძელი (1700კმ-იანი) და ურთულესი გზის დაძლევა. ოთხი ცხენი ქვემო ალვანში მოგვცეს, ოთხიც — ზემო ალვანში. არავის ეხალისებოდა ამხელა გზაზე და ამდენი ხნით ცხენის თხოვება, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, — ცხენი მეურნეობას ეკუთვნოდა, მეურნეობა კი სახელმწიფოს. დიახ, მეურნეობის ხელმძღვანელებმა უარი ვერ თქვეს, ის კი მოახერხეს, რომ საუკეთესოები ვერ გაიმეტეს და „რიგითი“ ცხენები შეგვირჩიეს, მათში კი, როგორც შემდგომ გაირკვა, ერთი „თეთრონი“ საპენსიო ასაკისა ყოფილა...

„საზოგადოებაში“ მოხვედრამ ძლიერ გაახალისა თეთრონი და ამიტომაც გაგვიჭირდა ამ „საიდუმლოს“ ამოცნობა. თანაც, ნათხოვარ ცხენს კბილს ვინ გაუსინჯავდა? მისმა „სიდარბაისლემ“ თავიდანვე მომხიბლა და როცა განაწილებისას მარგუნეს, ერთგვარი სიხარულით შევხვდი ამ ამბავს. სიხარულს ისიც აძლიერებდა, რომ თეთრონი მეტად პრესტიჟული სახელმწიფო ნომრით (68-86) იყო ფერდზე დამღადასმული...

მოკლედ, ხალისით შევუდექით მომქანცველ გზას მე და თეთრონი. პირველ ხანებში „მზიმთა“ დავარქვი, მშვენიერი, თეთრქაფიანი მდინარის სახელი, თუმცა, უკვე ვატყობდი, მდინარისგან განსხვავებით, სისწრაფეში მოიკოჭლებდა. როცა მზიმთას ხეობას გამოვცდით, ამ სახელმა აქტუალობა დაკარგა და ისევ თეთრონს ვეძახდი.

დაღლილობის პირველმა ნიშნებმა რამდენიმე დღის შემდეგ იჩინა თავი. თუმცა არ ვაბამდი, ღამით კარავს არ შორდებოდა, როცა შესცივდებოდა, შემოყოფდა კარვის საჰაერო ხვრელში ცხვირს და ხარბად ისუნთქავდა თბილ ჰაერს. პირველად, ქშუტუნი რომ გავიგონეთ, გული გაგვისკდა. განსაკუთრებით მაშინ შეგვეშინდა, როცა ვიგრძენით, ქშუტუნთან ერთად როგორ ვიწროვდებოდა და ფართოვდებოდა ჩვენი ორადგილიანი კარავი. რატომღაც დათვი გვეგონა და ლამის ბრმად დავახალეთ ტყვია, მაგრამ გონიერებამ იმარჯვა და ბრძოლაში ჩაბმას კარვიდან გამოპარვა ვამჯობინეთ.

მთვარის შუქზე, კარავში ცხვირშემოყოფილი თეთრონის დანახვამ დიდად გაგვამხიარულა. მეგობარმა, აქაოდა, ცხენი შენია და შენვე მიხედეო, კვლავ კარავში შერგო თავი. მე კი თეთრონს მივაკითხე. სწორედ მაშინ გამომიტყდა თეთრონი, რომ ჯეელობა კარგა ხნის გავლილი ჰქონდა, რომ უკვე აღარ ეხალისებოდა არათუ ასე უგზო-უკვლოდ წანწალი, არამედ სასიყვარულო თამაშებიც კი, რომლითაც ასე ერთობოდნენ მისი თანამოძმენი.

ეს გულახდილი ღამე სევდიანად გავლიეთ მე და თეთრონმა, დილით კი, მოულოდნელად, შეკაზმვაზე უარი მითხრა.

ასეთი რამ არ სჩვეოდა და გამიკვირდა. რამდენჯერაც მივუახლოვდი, დამიფრთხა. ბიჭებმა დაასკვნეს, ეგეც უნდა დაიბორკოს, დილით დაჭერაში დრო რომ არ დაგვაკარგვინოსო. ამ სიტყვებმა მეც და თეთრონიც შეგვაშფოთა. გაბრაზებულმა ვუყვირე და ისიც შერცხვენილი გამოეშურა ჩემკენ.

მას შემდეგ ცხენზე იშვიათად ვჯდებოდი. დავიმოკლებდი სადავეს და ისიც მომყვებოდა მთის ბილიკებზე, ფეხდაფეხ. დრუნჩით ფრთხილად, ალერსიანად მეხებოდა ზურგზე. ფერებას და გამხნევებას არც მე ვაკლებდი, მაგრამ ვგრძნობდი, ნაიალაღარ ცხენს ყოველდღიური ჯაფა როგორ თვალდათვალ აბერებდა.



თითქოს ჩემ თვალ წინ წამოეზარდა ბალანი. წამოეზარდა აქა-იქ, არათანაბრად. მთლად გაუთეთრდა წამწამები, თვალიდან ხშირად სდიოდა ცრემლი, ფერდები ჩაუცვივდა. თუმცა კავკასიონის ქედს მწვანე, მუხლამდე ბალახი ფარავდა და მისი მეგობრები სულ ძოვა-ძოვით მიუყვებოდნენ გზას, თეთრონი ამ საქმეზე დროს ნაკლებად კარგავდა და სულ იმის ცდაში იყო, ქარავანს არ ჩამორჩენოდა.

საამაყოდ ისლა მქონდა, რომ მთის მდინარეებზე გადებულ ვიწრო ხიდებზე მის გარდა, პირველი, არც ერთი ცხენი ფეხს არ შედგამდა.

როცა ამგვარ ხიდს მიადგებოდნენ, შეშფოთებული ცხენები ერთბაშად ჩერდებოდნენ და მორიდებით გამოჰყურებდნენ თეთრონს, — არიქა, გვიშველე რამეო.

თეთრონი მშვიდად ჩაუვლიდა გვერდს თანამოძმეებს, ერთს დაყნოსავდა ხიდის პირველ ფიცარს და ბაკუნით აგრძელებდა გზას. ამის შემდეგღა ბედავდნენ სხვები ხიდზე ფეხის შედგმას.

არათუ ცხენს, კაცსაც აფრთხობდა აქაფებული მდინარეები, ვიწრო, კლდოვან ხეობებში რომ მიქუხდნენ და ჩემი თეთრონის გულადობა სიამაყით მავსებდა.

ექსპედიციამ ყველა გადაგვქანცა — ცხენიც და კაციც... ბარგის აკიდება უკვე აღარც ერთ ცხენს არ უნდოდა და ალიონის დადგომისთანავე ცდილობდნენ გაშორებოდნენ ბანაკს.

ასე წვალებ-წვალებით მივაღწიეთ ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვარს. ითომ-ხალოდან, რომელიც შემდგომ ალბათ მიწასთან გაასწორა რუსის ჯარმა, აგვალის მიმართულებით მივდივართ. გზა გრძელია და მომქანცველი. ცხელა, წამლად ხეს ვერ ნახავ. ირგვლივ მხოლოდ სიპი ქვით მოფენილი მთებია, სადაც ქვეწარმავალი და კაკაბი ბუდობს.

თავქვეს ვადგავართ. წინ მივუძღვები ცხენს და სერპანტინით ვკეცავთ მთის ფერდობს.

თეთრონი უცებ გაჩერდა.

ასეთი რამ ადრეც უქნია, მაგრამ ახლა ალვირის მოქაჩვაზე ყური აღარ შეიბერტყა. თავი მაღლა ასწია და სადავე ბოლომდე დაჭიმა.

— გადმოდგი ფეხი! — კვლავ მოვქაჩე ალვირს, მაგრამ შენც არ მომიკვდე.

ცოტა ვადროვე. ბიჭები დაწინაურდნენ და მალე თვალსაც მიეფარებიან, ამიტომ დრო არ ითმენს და ისევ ვექაჩები ცხენს. გაბოტილ თეთრონს სიპზე ფეხი უცურავს, დაძვრას კი არა და არ აპირებს. თავს კიდევ უფრო მაღლა სწევს, თორემ ერთი სული მაქვს, ალვირის თასმა ცხვირ-პირში მოვცხო.

— ფეხი გადმოდგი, შე სამგლევ! — მაინც ვუქნევ თასმას.

თეთრონი უცებ მოდუნდა, თავი დასწია და ლამის სახეზე მომადო.

— ვეღარ ვივლი, მაპატიე... — თითქოს მითხრა და ერთბაშად ჩაიკეცა.

ბარგი სასწრაფოდ მოვხსენი. არცთუ მძიმე იყო საპალნე, გამოცდილი მოგზაური თავისუფლად მოერეოდა. ცხენმა თითქოს შვება იგრძნო. მადლიერი თვალით შემომხედა და მთხოვა, დამტოვეო.

— როგორ დაგტოვო, — მიკვირს: — შებინდდება თუ არა, მგლის წერა გახდები!

— სანამ შებინდდება, მანამდე ხომ დროა? მეტი აღარ მჭირდება, ისედაც დიდხანს ვიცოცხლე.

— არა, სიკვდილი ჯერ ადრეა, დაისვენე და მერე გავაგრძელოთ გზა. ბარგს მოუკვდა პატრონი, აღარ აგკიდებ.

— ბარგი არაფერ შუაშია, წადი, დამტოვე... — და ცრემლით აევსო თვალი. ტიროდა კაცივით, უხმოდ, უჩუმრად.

— კარგი, დაწყნარდი, ტირილი რა საკადრისია. — თავადაც გულამომჯდარი მივეფერე თეთრონს.

— იმას ვდარდობ, სამშობლოს რომ ვეღარ ვნახავ, სხვას არას ვჩივი... ერთხელ დავტოვე თუშეთი და თურმე სამუდამოდ... — და თეთრონმა „ენა ამოიდგა“: „მახსოვს, როცა დავიბადე, მთაში ნისლი იდგა. ისეთი ნისლი, დედის მეტს ვერას ვხედავდი და მთელი სამყარო დედა მეგონა. იგი მლოკავდა და ძუძუს მიმარჯვებდა. ასეთი სამყაროც ძალიან მომეწონა, მაგრამ ცოტა ხანში, ქარმა ნისლი გადაყარა და ქვეყნიერება გამოჩნდა. მისმა მშვენიერებამ გამაოგნა. იქვე ვყოფილვართ, ბინის სიახლოვეს და მწყემსებმა რომ დამინახეს, ხმაური ატეხეს, ნიშას კვიცი მოუგიაო! თეთრწვერა მწყემსმა მაშინვე მომნათლა და „ნისლა“ დამარქვა... ძალიან მომეწონა ჩემი სახელი. ის მოხუციც ძალზე შემიყვარდა. სანამ შეეძლო, მივლიდა და მანებივრებდა. არ უნდოდა, მეც სხვა კვიცებივით დავედამღე, დაუშნოვდებაო, მაგრამ ვერას გახდა — წესი ყოფილა ასეთი“.

— მაპატიე, ნისლა, შენი სახელი არ ვიცოდი...

— ჩემი სახელი მეც აღარ მახსოვდა. მეურნეობას ვეკუთვნოდი და ნამდვილი პატრონი არასოდეს მყოლია. ახალგაზრდობაში ვისაც მოვეწონებოდი, ის მაჯირითებდა, მერე კი, ყველს ვეზიდებოდი დართლოდან ომალომდე. ჩემს სახელს იშვითად თუ გაიხსენებდა ვინმე, ცხენოო, ასე მეძახდნენ...

— მე სულ ნისლას დაგიძახებ, ოღონდ არ მოკვდე, ოღონდ ადექი და წავიდეთ აქედან. შენს სამშობლომდე სულ ცოტაღა დაგვრჩა, აი, იმ მთის გადაღმა თუშეთია, სადაც დაიბადე, სადაც ეს მშვენიერი სახელი დაგარქვეს...

ცხენმა გაოცებით შემომხედა. არ სჯეროდა ჩემი ნათქვამისა, მაგრამ როცა დაბეჯითებით გავუმეორე, თითქოს გამოცოცხლდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და წამოდგა. ბარგის დატოვებას ვაპირებდი. ბოლოს და ბოლოს, მართლაც ორიოდე დღის სავალი გვქონდა დარჩენილი და უმისოდაც იოლას გავიდოდი, მაგრამ სანამ არ ავკიდე, ფეხი არ მოიცვალა. მერე კი დინჯად დავუყევით ფერდობს.

... შენაქო რომ გამოჩნდა, შუადღე იყო წამოსული. ამდენი ხნის ხეტიალის შემდეგ, მისი დანახვა უდიდესი სიხარული იყო ჩვენთვის.

ნისლა თითქოს უცებ გაახალგაზრდავდა. მთლად ნისლისფერი გახდა, თვალებიც დაეწმინდა... წამდაუწუმ მეხებოდა დრუნჩით ზურგზე და მიბიძგებდა, ნაბიჯს მოუმატეო. ომალოში დავტოვეთ ცხენები. მე და ნისლამ შინ მშვიდობით დაბრუნება მივულოცეთ ერთმანეთს... და გამოვემშვიდობეთ კიდეც.

ხუთიოდე წლის წინათ, კიდევ ერთხელ ვესტუმრე თუშეთს, მწერალ ვალიკო სულაკაურთან ერთად ფილმს ვიღებდით ამ მშვენიერ კუთხეზე. მწყემსებსაც გადავაწყდით. ფარა მეტისმეტად შეეთხელებინათ, მაგრამ საწვალებლად ესეც გვყოფნისო.

და აი, მათთან ვახშმობისას ნისლაზე ჩამოვაგდე სიტყვა. გაიხსენეს... სახელით ვერა, მაგრამ ნომრით იოლად გაიხსენეს ჩემი ნისლა. ნომერიც „გამიშიფრეს“ — 68 დაბადების წელია, 86 კი ამ წელს დაბადებული კვიცის რიგითი ნომერიო.

დაბრუნების შემდეგ ორი დღე კიდევ უცოცხლია... გამოცდილ ფერმის გამგეს უგრძნია მისი აღსასრულის მოახლოება და რემაში აღარ გაურევია. აღარც ნისლა დარჩენილა ჯოგში, ეულად აჰყოლია ბილიკებს და სადაც დაიბადა, სულიც იქ დაულევია...

შებინდებული იყო, როცა მთელი სოფლის ძაღლებმა, თითქოს პირი შეკრესო, ერთხმად დაიწყეს ყმუილი. ტანში გამცრა. განწირულთა ღმუილში თავი ჯოჯოხეთის ბილიკზე მეგონა.

ჭრაქის ალით განათებულ ოთახში ყველაფერი ძველებურად იყო. ბებია ხელსაქმობდა, ბაბუა ბუხართან ჩაცუცქული, ბრძენის თვალით ჩაჰყურებდა კოპიტის ნაღვერდალს.

— რავა გაცოფდენ ამ შუაღამისას, აი უპატრონოები?! — ფიქრიდან გამოსულმა წამოიძახა და თუთუნს დაუწყო შეხვევა.

ბებიას ხმა არ ამოუღია, თითქოს არც კი გაეგონოს მისი ნათქვამი. ოთხმოცწლიანი ცხოვრების მანძილზე, რამდენი რამ ექნებათ ერთმანეთისთვის ნაკითხი და ყველაზე რომ ეპასუხათ?..

— გაწყდა თქვენი ჯიში! — გაგულისებით დაიწყევლა ბაბუამ და გახვეულ-გაწებილი სიგარეტი მოიმარჯვა.

— ნუ იწყევლები, ბერიკაცო! — შეუყვირა ბებიამ — საწყევრად კი გაქ საქმე, აცალე მაგ ძაღლებს თავისი ადათის ასრულება. პირველად ხომ არ ყმუიან?

ბაბუას არაფერი უპასუხია. ამ დატუქსვითაც კმაყოფილი დარჩა, რადგან შევატყვე, როგორ აუცმაცუნდა ალისფერსხივშენათებული ულვაშები. გაეღიმა.

ძაღლები კი ყმუოდნენ და ყმუოდნენ. ყოველი მხრიდან ისმოდა მათგან შეწუხებული ოჯახების შეძახილები. ერთს გააჩუმებდნენ — მეორე დაიწყებდა, მეორეს — მესამე ცვლიდა და ასე...

ძაღლური მესა გრძელდებოდა...

— რა ამბავია ნეტა? მართლა რაცხაშია საქმე, გაგონილა ასეთი აურზაური?! — ვეღარ მოითმინა ბებიამ და ფიქრიანი დუმილის ეპიზოდი დაასრულა. — კაი არაა ძაღლის ყმუილი!.. — დაუმატა ჩაფიქრებულმა და თვალი ჭრაქის ალზე შეაშტერა — მე მიმღერიენ ალბათ, ასე მონდომებით...

— კაი, ქალო, ერთი! — გაცხარდა ბაბუა — რაცხა აბდლურის ბუტბურს თავი დაანებე!.. რეიზა გინდა ყველა ღამეს მაგი სიტყვები ჩუურთო გულში? გამოგტიებს მაგი სიკვტილი თუ რას ფიქრობ, ნეტა?!

— რომ არ გამომტიებს, მაგას ვამბობ მეც. ა, ნახავ დღეის იქით დამთავრდება ჩემი სახელის ხსენება დუნიაზე... — გული აუჩუყდა ბებიას და თავისთვის ორიოდ ცრემლიც არ დაიშურა. — მერე დაწყნარდება ქვეყანა ჩემი აბეზარი სტუმრობიდან...

— ხო, ხო, წამოყარე ახლა მაი კურცხალი, რა გაქვენ მაინც, ქალებს გამუულეველი მაგ დასაფსებ თვალებში? — მისებურად მოუქცია ბაბუამ და თავისი კვიმატის შეტანა სცადა. — ისე ლაპარაკობ, ვითომ მარტო შენ დეიარებოდე ამ მიწაზე და შენ გიჭიტინებდეს, ი დასაღუპავი სიკვტილი. ბევრი ვართ ჩემო ციცა, ამქვეყნად, ბევრი!.. ამ ყაძახს ნუ შემიშინებ მაინც, მე თუ არ მერიდები! ნუ დაზაფრე ყველა საღამოს!.. რას ატყუებ, გამკვირვებია პირდაპირ! — ისევ იხუმრა და გულიანად გადაიხარხარა. — მართალი არ ვარ, ბაბუ?

— დღეს არ მოგატყუებთ, ბატონო! — სიტყვა არ დააცალა ბებიამ.

მე ფუტუროებიან ჯორკოზე ვზივარ. ფილოსოფოსივით იდაყვშემორტყმული ვცდილობ უფროსების ნათქვამის გააზრებას. რაღაც არ გამომდის. ფილოსოფია ძნელი რამაა, თვით სიბრძნის მოტრფიალეთათვისაც მიუწვდომელი...

კოშმარია. კოშმარების კი გვეშინია ადამიანებს... ვგრძნობ, ორივე მე მომჩერებია და ჩემგან რაღაცის თქმას მოელიან. ძაღლები კვლავ არ ჩერდებიან. ყმუიან...

— თქვენ რა გიჭირთ? — ამოვიძახე მე და სკამიდან წამოვფრინდი. — დამტიებთ მარტოს, რაფერც დედამ დამტია... თქვენ კი ნახავთ გზას, მე რა ვქნა თუ არა!.. — წამოვიძახე გაბრაზებულმა.

— გაი, ბიჯო, გარეთ, ი, შენი ყანყალა გააჩერე! — დამავალა ბაბუამ, ცოტაოდენი სიმკაცრით. — მაგანაც მომინდომა ოპერის მომღერლობა! ძაღლებმაც დეიწყეს ფასონის აყოლა!.. აქეთობას მკვლავი ფიჩხი წამეიყოლე — დავალება ეცოტავა ბაბუას — გამოცხვეს ეგება აი ყველპური. თვარა ბებიაშენი ბოლში გამოყვანას გვიპირობს, მგონი... — ბებიასაც გადაკრა ენამწარე მოხუცმა.

გარეთ შურდულივით გავვარდი. ერთი სული მქონდა, სუფთა ჰაერი ჩამეყლაპა. ცოტა შემაცივა სითბოდან გამოსულს. აი, ჩვენებური, სოფლური ორთქლის თერაპია!..

სიბნელეში ბებია-ბაბუის დიალოგი მიმეორდებოდა ყურებში. თვალებში კი შორს წასული დედის სახე მენათებოდა. იმ დედისა, წეღან რომ ასე უმადურად ვახსენე. დედის სიყვარულს ქება-დიდება ახუნებს!.. არაფერს ვამბობ. მისი მჯერა. არც კი ველოდები. როცა გადაწყვეტს, მოვიდეს, თუ არ მოვა, არაფერია. მე არაფერს ვთხოვ... პატიებაც ხომ აბსურდულია დედას მოსთხოვო! ბოლოს და ბოლოს, ერთი შეცდომა ვარ... შეცდომა, რომელსაც სული გააჩნია!..

აუუ... აუუ... ყმუილით ვერ ძლებიან სოფლის ოთხფეხები. ე ჩემიც რამ გააცოფა? მართლა რამეს არ გვიქადდეს ეს კუდიანები?! არა! არა! თუ რამე, ისევ მე... ან სხვა... ოღონდ აქ არა! ოღონდაც ჩემს სახლში არა!..

ყველაფერს წერტილს დავუსვამ. ბედისწერა არ არსებობს. ძაღლებს წინათგრძნობა არა აქვთ!.. თხილის ბუჩქს წვრილი შოლტი მივატეხე და აფრიკელი მეომარივით მივეპარე ეზო-კარის დარაჯს. ის ისეთი ნეტარებით მოსძახოდა თავისებურს, ერთი პირობა დამენანა კიდეც ასეთი ტკბობის, ასეთი მისტერიის ნაადრევად დასრულება...

მაგრამ, როცა სახლში დარჩენილი ბებრები გამახსენდა, სისხლი ამიღელდა... მაგრად მოვიქნიე წკეპლა... დუმილი. მეორე წკეპლით სოფლის ძაღლებზე ვიძიე შური... ელდა, წკმუტუნი. შემდეგ ყველა იმ ადამიანის გამო ვიყარე ჯავრი, მათი დასატირებელი და გამოსაგლოვი რომ გამხდარა, გახდება ან ახლა ხდება ნებისმიერ სოფელში!.. უკვე ორივე დავრბოდით, მე ორით, ის ოთხით... მე ვტიროდი, ის წკმუტუნებდა. შეიძლება ითქვას, ძაღლურად ტიროდა...

როგორც იქნა, შევჩერდი. საწყალი სადღაც შეძვრა და გაიტრუნა. მე ხმელი ფიჩხი მოხრილ მკლავებზე დავიყარე. როცა ზღურბლს მივუახლოვდი, მოხუცების ღუღუნი შემომესმა. გავიტრუნე. ყური დავუგდე. უკვე სერიოზულად საუბრობდნენ, მეც მახსენებდნენ, დედასაც, ძაღლებსაც, ერთმანეთსაც... მხოლოდ აზრის ნაფლეთებს ვარჩევდი. თუმცა კი ვგრძნობდი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო ჩვენსას...

ბებია, ამ ბოლოს თავს ხშირად იტკივებდა ხოლმე. მაგრამ მაინც თავის მეუღლეს ამხნევებდა. დღეს კი რა დაემართა? სულ იმ ძაღლების ბრალია ყველაფერი... თვალზე უნებური ცრემლი მომადგა, თუმცა ყოველი ცრემლი უნებურია!.. ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიტირია! შემაცივა... ღმერთო, შენ გვიშველე...

ფიჩხი დამიცვივდა, ბებიას ხმა მომესმა — ადე, ბიჭი მოსულა, კარი გაუღეო! არ დაველოდე. ჩემით შევაღე. დარჩენილი ტოტები კეცს დავაყარე და ისევ ჩემს ადგილას დავბრუნდი. კეცის გადმოღებამდე ხმა არც ერთს ამოგვიღია. სამივესთან ახლოს იყო ღამე, ოღონდ არა დღევანდელი! ვახშმობისას ერთიორი სიტყვა თქვეს, მე — არც ერთი. დავწექით. ძაღლები კანტიკუნტადღა თუ დაიყმუვლებდნენ. სამაგიეროდ, მამლებმა იცოცხლეთ, იმ საღამოს იყივლეს!..

ბებიას აქამდე სულ ჩემთან ეძინა. დღეს თავშექცევით დაწვნენ. არაფერი მითქვამს. არც შემშინებია, უბრალოდ, გული დამწყდა, რომ არ მაკოცა ბებიამ, არ დამემშვიდობა!..

საათზე მეტხანს არ დამძინებია. ჩემთან ახლოს ხომ ორი მოხუცი ჩურჩულებდა. ძილში ჩამყვა ბებიაჩემის ნათქვამი: „კაი არაა ძაღლის ყმუილი!..“

მთელი ღამე არაფერი დამსიზმრებია. მზის ყვითელი მარწუხები უკვე ქუთუთოებს მჭრიდა, როცა თვალი ნაძალადევად გავახილე. შიში დავძლიე და გავახილე!..

ორ წუთში ჩვენს ოჯახში ქვითინი გაისმა...

ოთხ წუთში ჩვენს ეზოში შეიცხადეს...

მერე ჩვენი სახლი ჭირისუფლებით გაივსო...

მერე ტახტზე დაასვენეს...

მაშინ პირველად შევხედე... ღმერთო, აცხონე!..

ნაღვერდლის ბოლს აღარასდროს შეერევა თუთუნი!..

# შესაძლებელია, ნატო ნიჟარაძე მალე შვილთან ერთად ვიხილოთ ეთერში



დამეთანხმებით, დილის განწყობა მთელ დღეს განსაზღვრავს — გაღვიძების შემდეგ დადებითი ემოცია, ღიმილი და ხალისიანი ამბების თუ ლამაზი სიმღერის მოსმენა თავისას შვრება — სახლიდან კარგ ხასიათზე გასული საკუთარ გუნება-განწყობილებას ჯაჭვური რეაქციით ავრცელებ — თვითონაც სიამოვნებას იღებ და სხვებსაც კეთილად განაწყობ... ამიტომ, დილის პროგრამების წამყვანებს უმნიშვნელოვანესი მისია აკისრიათ... ვინც ადრე იღვიძებს და დილის სამზადისის პარალელურად ცალ თვალს ტელევიზორისკენ აპარებს, არ შეიძლება არ იცნობდეს „რუსთავი 2“-ის წამყვანს — **ნატო ნიჟარაძეს**. ნატო ინტერვიუზე საკუთარ მაზლთან — მერაბ ნინიძესთან ერთად მოვიდა... მერაბი თვლის, რომ ამქვეყნად ყველაზე კარგი რძალი ჰყავს — ისინი პირველ რიგში მეგობრები არიან.

**— ნატო, საიდან ამდენი ენერგია?**

— რაც თავი მახსოვს, ასეთი ვარ — ენერგიული, ემოციური და ხალისიანი...

**— ვიცი, რომ პროფესიით არ ხართ ჟურნალისტი...**

— დავამთავრე უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. ჩემს სადისერტაციო ნაშრომს (რომელიც ჯერ არ დამიცავს) ეწოდება — „მეტეოროლოგიური ელემენტების როლი დაბინძურების ზონის ფორმირებაში“. ვისაც ვეუბნები, ყველას უკვირს.

**— ეი. პროფესია დაივიწყეთ?**

— ალბათ... გეოგრაფიის ინსტიტუტში ვმუშაობდი და შემცირებაში მოვყევი. მართალი გითხრათ, გული არ დამწყვეტია. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვინც შეიძლება მეცნიერებისთვის თავი გადადოს. თუმცა ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს — ატმოსფერული პროცესები ყოველთვის მაინტერესებდა...

**— ანუ თავისუფლად შეგიძლიათ შეუსწოროთ თქვენი გადაცემის „სინოპტიკოსს“?**

— დიახ, თავისუფლად შემიძლია შევუდგინო რუსო შანიძეს ყოველდღიური ამინდის პროგნოზი, მაგრამ ის ისე დახელოვნდა — ღრუბლებზე დაკვირვებით იგებს — იწვიმებს, ქარი იქნება თუ ყინვა...

**— ჟურნალისტიკაში როგორ მოხვდით?**

— ტელეკომპანია „საქართველოს ხმამ“ წამყვანების კონკურსი გამოაცხადა. იქ მირჩია ნაცნობმა, ჟურნალისტიკაში მეცადა ბედი. ინტერნიუსში ჟურნალისტიკის კურსების გავლის შემდეგ, რამდენიმე სამსახური გამოვიცვალე — „აუდიენცია“, ტელეკომპანია „იბერია“ და ასე მოვედი „რუსთავი-2“-ში. მახსოვს, ნიკა ტაბატაძე ახალი დანიშნული იყო საინფორმაციო სამსახურის უფროსად. მე „იბერიიდან“ მინდოდა წამოსვლა და ნიკას დავურეკე, თქვენთან ხომ არ მიმიღებთ-თქო. ნიკამ მეორე დღესვე გასაუბრებაზე დამიბარა და მეუბნება, ოპერატორი გელოდება და შეგიძლია გადაღებაზე წახვიდეო. გავშრი, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და პირველი სიუჟეტის გასაკეთებლად წავედი. ძირითადად სოციალურ თემებზე ვმუშაობდი, სადაც გამოვჩნდებოდი, ცოტა ხანში იწყებოდა აქცია... მაშაყირებდნენ — გამოსვლებს შენ ხომ არ კურირებო. არადა აქციის მონაწილენი რომ დამინახავდნენ, ტელევიზია გვიღებსო, სასწრაფოდ წყვეტდნენ საპროტესტო ტექსტების კითხვას. ამიტომ მეძახდნენ „აქციების დედას“... შემდეგ დეკრეტულ შვებულებაში გავედი და როცა დავბრუნდი, სწორედ მაშინ იწყებდა ფუნქციონირებას დილის პროგრამა. მეგონა, რომ უფრო მეტს დავისვენებდი, ვიდრე „კურიერის“ დროს. ასევე ფიქრობდა ნატა ამაღლობელიც — მასაც ჩემსავით პატარა შვილი ჰყავს. თუმცა დილის გადაცემა უფრო შრომატევადი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საოცრად ვიღლები, ძალიან მომწონს ის საქმე, რასაც ვაკეთებ...

**— თქვენმა მაყურებელმა უკვე იცის თქვენი მისწრაფებები — ძალიან გიყვართ სიმღერა, იუმორი... სულ კარგ ხასიათზე ხართ?**

— ვბრაზდები მაშინ, როცა მაძლევენ ბევრ შენიშვნას — რასაც ვაკეთებ, მთელ ჩემს გულს ვაქსოვ და ვინმეს რომ არ მოსწონს, წონასწორობას ვკარგავ, მეცლება ენერგია და მეწყება მინიდეპრესია, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდება... ხანდახან ხდება, რომ მთელი დღე ცუდ ხასიათზე ვარ — ვინმემ ძალიან უნდა მოინდომოს, ამას რომ მიაღწიოს. ამას ვერავინ იტანს — ოჯახშიც ბრაზდებიან, სამსახურშიც — ვერ უძლებენ უხასიათო ნატოს...

**— ამ ბოლო დროს, ეთერში ცნობილ მომღერლებთან ერთად ხშირად მღერით...**

— სიმღერა ბავშვობიდან მხიბლავს — მე და ჩემს დას ბებია ძველ მელოდიებს გვასწავლიდა. ჩემს სახლში ყველა მღერის — თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი შვილიც კი — პატარა ანასტასია, ჩემი დედამთილიც...

**— რამდენად კარგად უწყობთ დედამთილს ხმას?**

— ხმებში არ გვიცდია — იმორცხვებს ხოლმე...

**— ყველაზე ორიგინალური რეპორტაჟი, რომელიც წაგიყვანიათ...**

— ყველა ორიგინალურია, რადგან არ ვიცი, იმ ადგილიდან, სადაც ვარ, გამოჩნდება თუ არა ანძა... თქვენი სახლიდან ანძა ჩანს? — ეს კითხვა ისე გამიჯდა, უკვე ყველას ვეკითხები — ვიღებ თუ არ ვიღებ... ყველაზე გამორჩეულ ეთერად საახალწლოს დავასახელებდი... მოგეხსენებათ, ყოველ დილას ქუჩაში ვატარებ, მაშინ კი ნინო ჯაფიაშვილის ადგილას ვიჯექი სტუდიაში — თბილად, არ მციოდა, თან სტუმრად მყავდა ბატონები ედუარდ შევარდნაძე და ზურაბ ჟვანია, ანუ მათი ხმების იმიტატორები... ბევრი ვიხალისე რუსო შანიძის ხრიკებზეც — პირდაპირ ეთერში ამდენი არასოდეს მიცინია.

**— სწორედ ამ დროს, ნინო ჯაფიაშვილს — მეთვრამეტე სართულზე გარედან დაკიდებულს მიჰყავდა რეპორტაჟი...**

— ეს მართლაც სასწაული იყო. ასი პროცენტით დაცვის გარანტია არ გვქონდა და ყველას ძალიან გვეშინოდა.

**— თქვენ თუ გაგჩენიათ დაუცველობის გრძნობა?**

— რა თქმა უნდა — მაგალითად მაშინ, როცა რალის მანქანაში ჩავჯექი და მეგონა მივფრინავდი, მაშინ, როცა ბაიკერებზე მიმყავდა რეპორტაჟი... კიდევ ვგეგმავ რაღაც-რაღაცებს, მაგრამ ჯერ არ გაგიმხელთ.

**— პატარა ანასტასიასათვის ალბათ ცოტა დრო გრჩებათ...**

— თითქმის სულ არ მაქვს დრო — ძირითადად, ტელევიზორში მხედავს და ამითაც კმაყოფილია. მე კი გული მწყდება, ბევრ დროს ვერ ვუთმობ... შესაძლებელია, მალე ერთ-ერთში ჩართვა მასთან ერთად მოვამზადო... მიკროფონს ალბათ შეჭამს და კამერასთან თუ იმღერა და იცეკვა, ეს იქნება ყველაზე მხიარული დუეტი.

**— თქვენი მეუღლე ლევანი მალე სერიალის დირექტორად მოგევლინება. თქვენს გადაღებას ხომ არ აპირებს?**

**მერაბ ნინიძე:** — მე და ლევანს ეს იდეა გვაქვს, ნატოს არ ვუმხელთ. ძალიან ნიჭიერი ადამიანია... ხელოვანიც არის და ხელოსანიც. გიჟდება გაფუჭებული ნივთების შეკეთებაზე... ხშირად ნახავთ სახრახნისით და ჩაქუჩით ხელში...

შეიძლება მე და ნატომ მალე გავაკეთოთ პატარა გადაცემა, სადაც იქნება მხოლოდ სიმღერა და მელოდიები ძველი ფილმებიდან...

**— ვიცი, რომ ახლობლები ტუჩას გეძახიან — კვლავ ვუბრუნდები ნატოს.**

— ბებიამ შემარქვა. მე მგონი ნატოს დაძახებაზე მას შემდეგ ვრეაგირებ, რაც ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა...

*ეკა მახარაშვილი*

13 აპრილი კვირა [illegible]

12 აპრილი შაბათი [illegible]

11 აპრილი პარასკევი [illegible]

10 აპრილი ხუთშაბათი [illegible]

9 აპრილი ოთხშაბათი [illegible]

8 აპრილი სამშაბათი [illegible]

7 აპრილი ორშაბათი [illegible]

# დღემდენდელ „ტუსოვკებში“ რომ მიგიღონ, თავკერძა და ბაქია უნდა იყო...



უკვე ხუთი წელია ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე კონფერანსიე რიხიანად აცხადებს — მამა-შვილი ბალაშვილი... იღვრება გიტარის ჯადოსნური ჰანგები და პუბლიკა სიამოვნებით უსმენს „ბიძია თომას“ და მის ვაჟს, გიას, რომელიც დაბადებისთანავე „მოწამლულა“ მუსიკით. „ლომისის“ კონცერტების მუსიკალური ხელმძღვანელი, **უმცროსი ბალაშვილი** ამჯერად ჩვენი რესპონდენტია.

**— გია, როგორც ვიცი, სცენაზე თქვენი გამოჩენა ერთი საყოველთაოდ ცნობილი კაცის იდეა ყოფილა.**

— ეს მოხდა 1998 წელს. ვამზადებდით საახალწლო შოუს — „ბარი-ბარში“... აღმოჩნდა, რომ არ გვქონდა მუსიკოს-ინსტრუმენტალისტის ნომერი, რაც უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდიდა პროგრამას. ვისხედით და ვფიქრობდით, ვინ მოგვეწვია. ამ დროს გივი ბერიკაშვილმა შესძახა, მაიცა, მაიცა, თქვენ რომ სახლში ერთმანეთისთვის უკრავთ, აღარც კი გრცხვენიათ, კაცო? რაღა შორს ეძებთ ვიღაცას. აქ არა ხართ ორივე მამა-შვილი. ადექით და თქვენ დაუკარით გიტარაზე დუეტშიო. ასე შედგა პირველად ჩვენი დუეტი, თორემ მანამდეც არ აღვიქვამდი თავს სოლო შემსრულებლად და დიდად არც ახლა ვზრუნავ ამ კარიერაზე. მე ჩემი პროფესია მაქვს. მუსიკათმცოდნე ფოლკლორისტი გახლავართ და უკვე ვამთავრებ სადისერტაციო ნაშრომს ქართული ფოლკლორის თემაზე.

**— გიტარაზე დაკვრა ალბათ ბავშვობიდან დაიწყეთ...**

— რა თქმა უნდა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მუსიკა დედის რძესავით დაბადებიდანვე შევისისხლხორცე. თურმე, თვალს არ დავხუჭავდი, თუ ძილის წინ „ნანას“ არ მიმღერებდა დედა. ძალიან ჭირვეული და პრეტენზიული ვყოფილვარ სიმღერების შერჩევაში, თუ რომელიმე მელოდია არ მომეწონებოდა, მთელი ხმით გავკიოდი თურმე და ასე გამოვხატავდი პროტესტს. აჩემებული მქონია „შენ, ბიჭო, ანაგურელო“ და „ივერიას“ „ოდოია“. მაშინდელი უცხოური პოპ-ანსამბლის, „სმოუკის“ რომელიღაც სიმღერაზე გვიჟდებოდი თურმე კიდევ. გიტარას ოთხი წლისა წავეპოტინე და 5 წლისა უკვე ვუკრავდი მარტივ აკორდებს.

**— საბავშვო ბაღის კონცერტებზეც იწონებდით ალბათ თავს...**

— ძალიან (იცინის). მახსოვს ბატონი კოტე მახარაძე ჰყავდათ საპატიო სტუმრად მოწვეული ბაღში. ერთი სიმღერა რომ შევასრულე ჩემი გიტარით, ბატონმა კოტემ მთხოვა, კიდევ იმღერეო. ვიმღერე, მაინც არ გამიშვა „სცენიდან“ და მეც რეპერტუარი რომ ამომეწურა, შევასრულე სიმღერა, რომელსაც მამა თავისთვის მღეროდა ხოლმე სახლში და, რა თქმა უნდა, ჩემთვის არ უსწავლებია. სიმღერა ძალიან მოეწონა ბატონ კოტეს, მაგრამ დედაჩემს, პედაგოგს და ბაღის დირექტორს ნაცრისფერი დაედოთ. ეს იყო რუსული ე.წ. ბლატნოი სიმღერა, რომელშიც ბევრი უცენზურო სიტყვა იყო, რაზეც წარმოდგენაც კი არ მქონდა 5 წლის ასაკში.

**— რატომ დაინტერესდით მაინცდამაინც ქართული მუსიკალური ფოლკლორით?**

— კონსერვატორიაში სწავლისას შევხვდი შესანიშნავ პედაგოგს და მეცნიერს კუკური ჭოხონელიძეს, მასთან ურთიერთობამ გადამაწყვეტინა შემესწავლა ქართული მუსიკალური ფოლკლორი, ჩავწვდომოდი მის საიდუმლოს.

**— ამოხსენით საიდუმლო?**

— ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს ერთი საიდუმლო რომ ჰქონდეს, ჩემზე ბევრად ადრე ამოხსნიდნენ. დავრწმუნდი, რომ რაც უფრო მეტად სწავლობ ამ საოცარ იდუმალებას, მით უფრო ბევრია ამოსახსნელი. ქართველის საუკეთესო თვისებებია განსახიერებული ქართულ სიმღერაში. ეს ისეთი საგანძურია, რომელსაც შეგიძლია დაესესხო არა მარტო თანამედროვე ქართული ხელოვნების იერსახის ჩამოსაყალიბებლად, არამედ, ბევრი მისი ნიუანსი ყოფაშიც დაამკვიდრო: წესრიგი, ჰარმონიულობა, მისგან გამომდინარე თავმდაბლობა, რაც ასე გვაკლია ჩვენ, განსაკუთრებით, ქართულ ესტრადას, სადაც თავკერძობა, ბაქიაობა, მკვეხარობა კარგ ტონად ითვლება, იმდენად კარგ ტონად, რომ მის გარეშე შეიძლება „ტუსოვკებშიც“ არ მიგიღონ.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში განსახიერებულია მარადიული ზოგად საკაცობრიო ფასეულობები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე შემოინახა და სრულყო ქართულმა სიმღერამ, ეს არის ბრწყინვალე ნიმუში იმისა, თუ როგორ შევინარჩუნოთ თავისთავადობა, ვიყოთ მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილი და, ტრადიციულობასთან ერთად, მუდმივად თანამედროვეც.

**— გია, ვიცი, რომ კარატეს ერთ-ერთ სახეობაში შავი ქამრის მფლობელი ხართ...**

— იყო პერიოდი, როცა აღმოსავლური ორთაბრძოლების შესახებ სიტყვის თქმაც კი იკრძალებოდა ჩვენთან. საბჭოთა კავშირში ვინმესთვის ლიტერატურა რომ ეპოვნათ ამ თემაზე, სისხლის სამართლის მუხლით გაასამართლებდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მამას უცხოეთიდან ჩამოჰქონდა ლიტერატურა და ასე შემყარეს მამამ და ზურა ლეჟავამ კარატეს „ბაცილა“. მაგრამ 18-19 წლის ასაკში უარი ვთქვი, გავყოლოდი კარატეს. მიზეზი კი ის იყო, რომ კარატეში ხელის მტევანი ზიანდებოდა ხშირად, რაც გიტარისტისთვის დამღუპველია. მინდა გავიხსენო ერთი რამ, მამაჩემი ჩემი აღზრდის დროს არასდროს არ შემოიფარგლებოდა ლოზუნგებით. ყოველთვის მაგალითს მიჩვენებდა. რაც მე კარატეში ვარჯიში დავიწყე, ორი წლის განმავლობაში კიმონოში გამოწყობილი ჩემ გვერდით ვარჯიშობდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ახირებაში თემურ წიკლაური და ნუგზარ კვაშალიც ჩარია და ყველანი ერთად ვვარჯიშობდით, მაგრამ კარატეს მაინც მუსიკამ სძლია.

*ეკა ლომიძე*




# „ურემი გადაბრუნდა?“

## ნუ გაიმეტებთ ჯანდაბისთვის, ბატონებო, ნურც ქუთაისს და ნურც საქართველოს!

ჯერ კიდევ ორი წლის წინ ერთმა კარგმა ქუთაისელმა, რომელსაც ბევრი რამის გამო დიდი ხნის წინ შეეძლო მშობლიური ქალაქიდან წასვლა და უცხოეთში უზრუნველად ცხოვრება, ინტერვიუში თქვა: „ასე მგონია, დედამიწა სხვა პლანეტის მცხოვრებთათვის ჯოჯოხეთია, სადაც სიკვდილის შემდეგ ხვდებიან სიცოცხლეში ჩადენილი ცოდვების გამო. საქართველო და ქუთაისი კი ის მეცხრე შრეა, სადაც თავად ლუციფერი ზის ცელით. ჯოჯოხეთია, მაგრამ უცეცხლო — ცივი, უწყლო და უშუქო!..“ სხვათა შორის, იმ კაცს არც დედაქალაქში გადასვლა უფიქრია ისევ და ისევ ერთი უბრალო მიზეზის გამო — რად უნდა წავიდე, მე ხომ ქუთაისელი ვარო!

ქუთაისელობა კი ძალიან ბევრს ნიშნავს!

„...და შენ, ვინც ქუთაისში დაბადებულხარ და გაზრდილხარ, არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქუთაისი სატახტო ქალაქია, ის დიდი საოცრებაა, რასაც ქართული სული ჰქვია. თავზე ბაგრატის ტაძარი გვადგას, მოწამეთას და გელათის სიწმინდეები გვინათებს გზას.

ეს ბევრმა ძალიან კარგად იცის, მაგრამ თვალს არიდებს წარსულს, ის კი ავიწყდება, რომ წარსულის გარეშე არც აწმყო არსებობს და არც მომავალი...

დღეს ქუთაისი გაპარტახებული, შეურაცხყოფილი და ყოველმხრივ მიწასთან გასწორებულია. აქ არც დრო მოქმედებს თბილისური, არც კანონები და არც გადაწყვეტილებები... ოდესღაც დიდი, ინდუსტრიული საწარმოებით განთქმული ქალაქი ერთიანად ბაზრობადაა ქცეული, სადაც ადამიანის სახედაკარგული ყოფილი ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები სხედან გაუსაძლის ქარ-წვიმასა და სიბინძურეში და არარსებული მყიდველის მოლოდინში თავ-ბედსაც იწყევლიან და მთავრობას ხომ არ აკლებენ თავის წილ „ლოცვა-კურთხევას...“



მთავრობასთან საერთო არაფერი უნდა, დამოუკიდებლად ცდილობს ჰესების თუ თეც-ების გამართვას; კორპუსებშიც კი გენერატორებს ყიდულობენ გაჭირვებით შეკრული მეზობლები: გაზში თუ ბენზინში ორმაგ თანხებს იხდიან და მაინც ის ურჩევნიათ, თავად ჩართონ და გამორთონ საკუთარ ოთახში ნათურა... უფრო მეტიც, ბუნებაში არარსებული, ე.წ. „კომერციული დენი“ მოიგონეს, რომლებსაც ხშირად „სასიცოცხლო ობიექტად“ მიჩნეული დაწესებულებების მეპატრონეები ასევე ორმაგ ფასად ყიდიან და მეორე-მესამე სართულის სიმაღლეზე ლამის კუსტარული გაყვანილობებით გადაიხურა ქალაქი. უფუნქციოდ დარჩენილი ელექტროგანათების რკინის ბოძები თუ ხეები მავთულების ბადეში გაეხვია და ქარების ქალაქში რომ რომელიმე გაიხეხოს, წარმოიდგინეთ, რა უაზროდ შეეწირება უდანაშაულო გამვლელის სიცოცხლე ამ არეულობას...

ელექტროენერგიას ქარხნის მუშა ან დარაჯი ვერ გაყიდის. მისი მოპარვით ისევ ის სარგებლობს, ვისაც ამ სფეროში წესრიგის დამყარება ვერაფერს ახეირებს და გაიძახის, — მოსახლეობა არ იხდის მოხმარებული ენერგიის საფასურსო... რასაც არ აძლევ — რას გადაგიხდის. სხვათა შორის, იმ „სასიცოცხლო ობიექტიდან“ კუსტარული მეთოდებით სახლში დენის შეყვანა თითოეულ ოჯახს 150-200 ლარი უჯდება და თავად დაასკვენით — მოსახლეობა არ იხდის თანხებს თუ?!.



დღეს ბაგრატის ტაძრის გვერდით ქურდის სასახლე ავსებს სივრცეს.

მოსახლეობა წარმოუდგენლად გაჭირვებული და დაძაბუნებულია. მათ აღარავისი და აღარაფრის სჯერათ — აღარც ენერგიული და სიტყვაუხვი გუბერნატორისა და აღარც მუდამ მოღიმარი ქალაქის მერისა, რომელიც თემურ შაშიაშვილისგან განსხვავებით „ჩუმად“ ცდილობს საქმის კეთებას, თუმცა გაკეთებული არც მისი ჩანს სადმე. ბოლო ხანებში ნუგზარ ფალიანმა საზღვარგარეთ ვოიაჟებს მოუხშირა, აქეთაც ხშირად ჩამოჰყავს ვითომ პარტნიორობის იმედით და სურვილით, უცხოელები, მაგრამ პირველყოფილი თემური წყობილების ეპოქაში მოხვედრილები, დამდუღრულები გარბიან უკან — რა პარტნიორობა და რის პარტნიორობა ქალაქთან, სადაც წყვდიადია გამეფებული და წყალი ხახაგამშრალ ონკანებში ყოველ მესამე-მეოთხე დღეს თუ გადმოწვეთავს სულ რაღაც ერთიორი საათით და მაშინაც შეუძლებელია მარაგის გაკეთება, რამეთუ წლობით გამოუცვლელი დაჟანგულ-დაზიანებული მილებიდან 10-15 წუთი ჟანგი და ტალახი გადმოდის...

ხალხმა გამოსავალი არტეზიული ჭების დამონტაჟებაში პოვა, მაგრამ იქაც ისეთი შემადგენლობის წყალია — ორ საათში მომინანქრებულ ვედროებს რომ ჟანგავს და კაცს რას უზამს — ადვილი წარმოსადგენია.

რაც შეეხება ელექტროენერგიას, ქუთაისელები აღარც ოცნებობენ, რომ მთავრობა მათთვის რაიმეს გაიმეტებს. როგორაც უნდა იბობოქროს თემურ შაშიაშვილმა, არის უბნები, სადაც შეიძლება კვირა გავიდეს ისე, რომ ათი წუთითაც არ ჩაირთოს შუქი. მსგავსი მდგომარეობა მოსახლეობას ძვირი უჯდება, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობითაც. შერყეული ფსიქიკა და დაცვეთილი ნერვები კაცს რა დღეში ჩააგდებს, გასაგებია. ამიტომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სიკვდილიანობამ ერთი-ორად იმატა ქუთაისში, შობადობა კატასტროფულად მცირდება, ბუნებრივია, ქორწინებებიც...

თუ ვინმეს ორიოდე გროშის შოვნის საშუალება გაუჩნდა, რომც ეხვეწო, მთავრობასთან საერ-

ალარაფერს ვამბობ იმაზე, რაც ყველამ კარგად იცის!

ვიტყვი მოკლედ, რომ ქუთაისში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, წესრიგი არავის არაფრად სჭირდება...

თუ იმ ანდაზის მიხედვით ვიმსჯელებთ — ქურდს რა უნდა და, ბნელი ღამეო, — საქართველოში კიდევ კარგა ხანს არ უნდა ველოდოთ ალბათ „სინათლეს ჩვენს ფანჯრებში“!..

სულაც არ მინდა იმერეთის მეოცნებე გუბერნატორს გული ვატკინო, მაგრამ მისი ყველა ინიციატივა თუ ხელშეკრულება ჩაშლისთვისაა განწირული: როგორც გითხარით, ხალხმა ყველა „ხელშეკრულება“ მთავრობისგან დამოუკიდებლად გააფორმა და კაბალურ პირობებზეც წავიდა. მას აღარც შაშიაშვილისა სჯერა და აღარც ქვეყნის პრეზიდენტის, რომელმაც ჯანდაბაშიც კი გაგზავნა პირველ რიგში ხალხი და მერე ის ურჩი ხელქვეითები, ვინც შენიშვნის მიცემა გაუბედა: „არ შეიძლება ხალხის ასე გამეტება, რა იცი, რა დროს დაგჭირდებათო!..“

ისე, ჯანდაბაში შეიძლება არც იმგვარი ცუდი პირობები იყოს ქუთაისთან და მთლიანად იმერეთის რეგიონთან შედარებით, მაგრამ რამდენიც უნდა ვილაპარაკო, ვიცი, მაინც ვერანაირი ფანტაზიის პატრონი ვერ შეძლებს იმის წარმოდგენას, რაც აქ ხდება!..

გახსოვთ ალბათ ოტია იოსელიანის ცნობილი პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ახლა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში იმავე ავტორის ახალი პიესა გადის და მას „ურემი გადაბრუნდა“ ჰქვია...

დიახ, ბატონებო! ურემი დიდი ხანია გადაბრუნდა და მაინც არ ვიცი, რატომ არ გამოჩნდა გზა...

ვისაც ქუთაისთან არასოდეს არაფერი ჰქონია საერთო, ვიცი, მის გულს სიმსაც ვერ შეურხევს ჩემი წერილი, მაგრამ ვისაც უყვარს ეს ქალაქი, უყვარს მთლიანად საქართველო — შეუძლებელია არ ეტკინოს, რომ ბაგრატის ტაძრის წინ ქურდის სასახლე ავსებს სივრცეს, უცხოეთში გადახვეწილი ქურდები აკონტროლებენ პოლიტიკურ მოვლენებს, მათი მოთაყვანე პატარა ბიჭები ქურდობაზე ოცნებობენ და 16 წლისანებს შეუძლიათ ყუმბარა შეუგდონ ოჯახში პატიოსან გლეხს (როგორც სოფელ ჯიმასტაროში მოხდა) გაყიდული ხარის საფასურის წასართმევად, ან 15 წლის ბიჭი გაიტაცონ და მერე იტრაბახონ, ქურდის დედა კი ისე თავაღერილი დადიოდეს ქუჩაში, თითქოს გმირი გაეზარდოს!..

ეს აღარაა ის ქუთაისი და საქართველო, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის სახელებს რომ ეკადრება... და ვფიქრობ. ჩვენ უკვე კარგა ხანია ჯანდაბაში ვცხოვრობთ.

P.S. **ახლა ერაყში ომია და ბუნებრივია, მთელი მსოფლიოს ყურადღება იქითაა მიმართული. რაც არ უნდა ვიძახოთ, „ამერიკელებს ვეუხადებთ სოლიდარობასო“, შეუძლებელია ერაყის მშვიდობიანი მოსახლეობის თანაგრძნობაც არ მოგინდეთ...**

**გვეცოდება ისინი და... არ ვფიქრობთ, რომ „თბილისს იქითა საქართველოშიც“ ომია დიდი ხანია, გადარჩენისთვის და არსებობისთვის იბრძვიან ადამიანები და მსხვერპლი არანაკლებია ამ გამოუცხადებელ ომში, ვიდრე იქ...**

**არ ვამტკიცებ არაფერს და ვისაც შეგიძლიათ, კიდეც უნდა იფიქროთ ამაზე და რაც მთავარია, უნდა იმოქმედოთ — არ უნდა გეგონოთ, რომ ეს თქვენ არ გეხებათ! საქართველოს გადარჩენა თითოეული ჩვენგანის ვალია!**

P.P.S. **მიზეზთა გამო დავიფიცე, პოლიტიკაზე არასოდეს ვიტყოდი რამეს და არც დავწერდი!...**

**ფიცი გავტეხე!**

**ახლა დუმილი უნამუსობაა და იმიტომ...**

**ნუ გაიმეტებთ, ბატონებო, ჯანდაბისთვის ნურც ქუთაისს და ნურც დანარჩენ საქართველოს, რომლის გარეშეც თქვენ არავინ და არაფერი არა ხართ!..**

***ინგა ჯაყელი***

## ჩვენ გვწერენ!

***გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს, ქალბატონ ლალი გუნთაიშვილს გაზეთ „ლანჩხუთი Plus“-ის რედაქტორს, ქალბატონ ქეთევან ნაკაშიძეს!***

ქალბატონებო!

გთხოვთ წერილის გულწრფელობაში ეჭვი არ შეიტანოთ. მე თქვენი გაზეთების მუდმივი მკითხველი ვარ და არა მარტო მკითხველი. ოთხი წელია „კვირის პალიტრის“ ყველა ნომერს თანამიმდევრულად ვაწყობ და ვინახავ.

წერილის მოწერის მიზეზი ბევრია. თუნდაც ის, რომ ვეჭვობ ქვეყნის ხელმძღვანელები კითხულობდნენ იმ გაზეთებს, სადაც ქვეყნის ჭირ-ვარამზე გულისტკივილით არის ლაპარაკი, ე.ი. „რად გინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი“, ან „აბა, რას მარგებს მე ის გუთანი, რომე აჩეჩოს მარტო მიწანი“ და ა.შ.

შეგახსენებთ რეზო ჭეიშვილის წიგნს „რკინის სახკომი“, რომლის მე-18 გვერდზე ასეთი რამ სწერია: რუსეთის სათათბიროს რომელიღაც წევრს იმ შორეულ 1906 წელს უთქვამს: „ლურჯი ვირის ნახვა უფრო იოლია, ვიდრე ჭკვიანი ქართველისა“. მიმდინარე წლის 2002 წლის პირველი ივლისის ნომერში „კვირის პალიტრამ“ გამოაქვეყნა ზურაბ მჭედლიშვილის ინტერვიუ რამაზ კლიმიაშვილთან, სადაც იგი ერთგან ამბობს: „მომკალით და, ქართველ ჩინოვნიკებს, პოლიტიკოსებს ჭკუა არა აქვთ“.

გულახდილად გეტყვით, გამაგიჟა ამ პარალელის აღმოჩენამ. საუკუნის წინ ამბობდნენ, რომ ქართველებს ჭკუა არა აქვთ და ახლაც იმავეს გვიმეორებენ.

მე, ერთ რიგით ქართველს, სრული უფლება მაქვს ხმამაღლა ვიკითხო: ხალხო, მართლა არა გვყავს საქართველოში ჭკვიანი კაცი? ნუთუ ისე გადავჯიშდით და გადავგვარდით, რომ ერთი კაციც არ მოგვეპოვება ჭკუასაკითხავი? არადა, რას ვკითხულობთ გაზეთებში, რას ვისმენთ რადიოთი და ტელევიზიით? როგორ მამლაყინწა ქუჩის ბიჭებივით ამკობენ ერთმანეთს, რაებს უჩხრეკავენ, რაებს უგონებენ, ლამის არის ლოგინის თეთრეულზე ლაქები დაუთვალონ, თვალში ბეწვი ამოაცალონ.

ვისი იმედი უნდა მქონდეს — ამ მოყაყანე და ფინანსურ მაქინაციებში ჩაბმული პარლამენტარებისა, ფულსა და სიმდიდრეში ჩამხრჩვალი მინისტრებისა, უხელფასო და უპასუხისმგებლო სამართალდამცავებისა თუ უღონო პრეზიდენტისა, რომელსაც თავისივე გაზრდილი ლეკვები შეჭმას უპირებენ?

რა ბედნიერი ვიქნებოდი, არაფერი რომ არ მესმოდეს, ვერაფერს ვხვდებოდე, რომ აშკარად არ ვკითხულობდე იმ მიზნებს, რისთვისაც ეს ჩვენივე არჩეული ხალხი მზად არის ქართველების გვამებს გადააბიჯოს, ოღონდ კი თვითონ იყოს კარგად.

აღარავისი და აღარაფრისა მჯერა! ჩემი ხალხი გაბრიყვებული და გადაგდებულია... მშიერ ადამიანებს ღირსების ორდენებს ურიგებენ. რად უნდა ღირსებადაკარგულ კაცს ორდენი?! ეს ხომ დაცინვაა, კაცს ლუკმაპური ენატრება და რაღაც სათამაშოთი გინდათ მოატყუოთ? რად გვინდა ტყუილებზე აგებული სახელმწიფო? რამდენი მოთმინება შესძლებია ჩემს ხალხს!

როდემდე მოითმენს?

***ზაურ წილოსანი***
***დიპლომიანი მწყემსი***



ალბატონი ია პროვინციული ქალაქის თეატრის მსახიობია. თბილისში დაბადებული და გაზრდილი საკუთარი ნებით გადმოიხვეწა უცხო მხარეში, სადაც არც ნათესავი ჰყავდა და არც მეგობარი...

ეს ერთადერთი გამოსავალი იყო 22 წლის გოგონასთვის, რომელმაც სიყვარული დაკარგა და საოცრად უბედურად გრძნობდა თავს!..

— ერთ სკოლაში ვსწავლობდით მე და დავითი, ოღონდ ის ოთხი წლით იყო ჩემზე უფროსი. თავიდან კარგა ხანს ვერ ვხვდებოდი, რომ სიყვარული იყო იმ ყურადღების მიზეზი, ჩემ მიმართ რომ იჩენდა. სკოლას ვამთავრებდი, სიყვარულში რომ გამომიტყდა და ჩემზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ მეგონა. ბევრს შურდა ჩემი, რადგან ულამაზესი და უნიჭიერესი ბიჭის რჩეული აღმოვჩნდი. არაფერი დაეწუნებოდა დათოს და არც ჩემს მშობლებს ჰქონდათ საწინააღმდეგო რამე, მაგრამ... მე მსახიობობაზე ვოცნებობდი, რისი კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ დათოც და მისი ოჯახის წევრებიც, რომლებიც მედიცინის მუშაკები იყვნენ და რძალიც ექიმი სურდათ. რომ მომენდომებინა, არც მე გამიჭირდებოდა სამედიცინოზე ჩაბარება, რადგან მართლა ნიჭიერი ვიყავი, მაგრამ... ვერ ვთქვი უარი ოცნებაზე...

მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა და მუქარისა — ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდება, თუ თეატრალურში ჩააბარებო, — ჩემი გავიტანე.

დათომ მუქარა შეასრულა. კარგა ხანს ველოდებოდი, რომ წყენა გაუვლიდა, მაგრამ ამაოდ... მალე კი გავიგე, რომ ცოლი შეირთო, თავისი თანაკურსელი, მომავალი ექიმი...

თვითმკვლელობა ვცადე, ძლივს გადამარჩინეს... სანამ სტუდენტი ვიყავი, საოცარ ტკივილს მაყენებდა დათოსთან შემთხვევითი შეხვედრები, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა — გია და ია... ჰო, მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი სახელი დაერქმია გოგონასათვის...

ინსტიტუტის დამთავრებისას თავად მოვითხოვე ამ პატარა ქალაქში გამოშვება. ოჯახისა და მეგობრების წინააღმდეგობის მიუხედავად, უკვე 32 წელია აქ ვცხოვრობ, ვმუშაობ და... აღარცა ვარ უკვე თბილისელი!..

**— თქვენ არ გათხოვდით, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თაყვანისმცემელი გყავდათ!..**

— მივხვდი, რომ დათოს შემდეგ არ შემეძლო ვინმეს შეყვარება, თავის მოტყუება კი არც მინდოდა და არც შემეძლო, თანაც... სამიოთხი წლის წამოსული ვიქნებოდი თბილისიდან, 1974 წელი იდგა, კარგად მახსოვს, პრემიერა გვქონდა იმ დღეს და საგრიმიოროში წითელი ვარდების ულამაზესი თაიგული შემომიტანეს: „ვიღაც კაცმა გვთხოვა, თქვენთვის გადმოგვეცაო!..“ სულ რამდენიმე წინადადებიანი ბარათი იდო თაიგულში, რომელიც დღემდე შენახული მაქვს: „ჩემო ია, ჩემო მზეო და სიხარულო, მიყვარხარ და საოცრად უბედური ვარ უშენოდ!.. ეს რა ჩავიდინეთ, როგორ გავიმეტეთ საკუთარი ბედნიერება?!“ — და ხელმოწერა...

გამოვვარდი გარეთ გიჟივით, მაგრამ არავინ მელოდა ხელგაშლილი. წასულიყო კაცი და მართალიც იყო, ჩვენ შორის ჩატეხილ ხიდს ვეღარაფერი გაამრთელებდა. ტირილით თეთრად გავათენე ის ღამე და მაშინ მივხვდი, რომ ვეღარასოდეს შევიყვარებდი ვერავის და ვერც ვინმეს ცოლი გავხდებოდი ვერასოდეს...

ასეც მოხდა. მით უმეტეს, როცა დავითმა საოცარი სიურპრიზი მომიწყო, ჩემი ცხოვრების ერთადერთი დღესასწაული და დაუსრულებელი მოლოდინი: აპრილში ვარ დაბადებული და არ მახსოვს, ერთხელ მაინც დავვიწყებოდი. არა, თავად არ მოდიოდა... ყოველ შემთხვევაში, მე არ მეჩვენებოდა. ჩემს დაბადების დღეზე, უფრო ხშირად დილის თორმეტ საათამდე, ხან ვისი ხელით, ხანაც ვისით — მიგზავნიდა ხოლმე ულამაზეს თაიგულებს.



აპრილში, ხომ იცით, რამდენნაირი ყვავილი ხარობს: მიმოზა, ნარგიზი, ტიტა... ვარდები!... მე კი არა, მეზობლებიც შეეჩვივნენ და სულმოუთქმელად ელოდნენ ხოლმე ჩემს ყვავილებს, ბავშვებს ჟრიამულით ამოჰქონდათ კიბეზე გულში ჩაკრულები...

**— ეზომდე ვიღას მოჰქონდა?!**

— ყვავილების გამყიდველს — ვიღაც კაცმა ფული გადამიხადა, ტაქსშიც ჩამსვაო!..

1998 წელს გარდაიცვალა დავითი. სიმსივნე ჰქონია და აღარც ოპერაციამ უშველა. მისმა სიკვდილმა თავზარი დამცა. ჯერ სახლში ვიტირე და ვითავცემე, მერე საფლავზეც მივედი მარტო. ახლა მე დავუფარე საფლავი ყვავილებით და წამოვედი მართლა უბედური, ისეთი შეგრძნებით, რომ დამთავრდა ჩემი სიცოცხლე და სიხარული...

განსაკუთრებით უბედური აპრილში ვიყავი, ჩემი დაბადების დღე რომ მოახლოვდა, დარწმუნებული ვიყავი, არავინ მომიტანდა ყვავილებს... არც მაინტერესებდა სხვისი მოტანილი, დავითი აღარ იყო, არც მისი სიყვარული და აღარც მოლოდინს ჰქონდა აზრი... ნამტირალევს ეტყობა, გამთენიისას ჩამეძინა და მესმის ძილში ბავშვების ჟრიამული და კარზე კაკუნი: „ია დეიდა, ია დეიდა!“. გავაღე კარი და... სიზმარში მეგონა თავი, ყვავილებით იყო დაფარული კიბე და მთელი სადარბაზო, ბავშვებსაც ეჭირათ ხელში...

აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა, დავითი მკვდარი იყო, სხვას კი... სხვას არავის შეეძლო ასეთი სასწაული მოეწყო ჩემთვის. თავიდან ჩემი მეგობრების გაკეთებული მეგონა, ვისაც ჩემს დარდს შევჩიოდი ხოლმე, მაგრამ დაიფიცეს — არც მოგვსვლია ასეთი რამ ფიქრადო.

1999-ში მოხდა ეს...

2000 წლის აპრილში დილაადრიან წამოვხტი და ფანჯარასთან დავუდარაჯდი — აბა, ვნახო, ვინ მოვა-მეთქი. ამ დროს დამიკაკუნა მეზობელმა — გამოიხედე, რა ხდება შენს კართანო. ალბათ ღამით მოიტანეს ყვავილები, ისევ სავსე იყო იქაურობა...

მომკლა ცნობისმოყვარეობამ, მაგრამ არსად იყო პასუხი. მეგობრებმა იხუმრეს:

„ისე უყვარდი დავითს, ამ ერთ დღეს ეტყობა, საიქიოშიც ვერ აკავებენო“.

2001 წლის აპრილში კი სავარძელი დავიდგი კართან და მოლოდინად ვიქეცი. ისე ვიყავი დაძაბული და აღგზნებული, არც მეძინებოდა, მაგრამ რომც ჩამძინებოდა, უთუოდ უნდა გავეღვიძებინე სადარბაზოდან ხმაურს...

ასეც მოხდა... 3 თუ 4 საათი იქნებოდა. ფრთხილი ნაბიჯების ხმა და ხმადაბალი ლაპარაკი გავიგონე... კარი გავაღე და... ღამეული სტუმრები ხომ დავაფრთხე, ლამის მეც შიშით ჩავიკეცე: ჩემ წინ „ახალგაზრდა დავითი“ იდგა, შორეული წარსულიდან მობრუნებული... ხელი რომ არ შეეშველებინა, წავიქცეოდი...

თქვენც რომ არ გაგაწვალოთ ცნობისმოყვარეობით, მოკლედ გეტყვით: დავითის შვილი, გია იყო თავის მეგობართან ერთად. სიკვდილის წინ უამბნია მამას ჩვენი სიყვარულის შესახებ და შეხვეწნია, — სანამ ცოცხალი იქნება, ჩემს სახელზე სულ მოუწყვე ყვავილების დღესასწაულიო...

გიაც ექიმია, მისი ტყუპისცალი იაც. უკვე შვილებიც ჰყავთ. დავმეგობრდით, გიას ძალიან ვუყვარვარ, სულ მეუბნება, — თქვენ კიდევ არ იცით, როგორ უყვარდით მამასო.

მეც ვიცი, რომ ვუყვარდი და... ახლაც ვუყვარვარ!

**— არც ახლა ნანობთ, რომ არ დაუჯერეთ დავითს თავის დროზე და თეატრს ანაცვალეთ ასეთი სიყვარული?!**

— ყველაფერი ბედია, თანაც... მისი ცოლი რომ გავმხდარიყავი, შეიძლება ისე გაუბრალოებულიყო ყველაფერი და მათ შორის სიყვარულიც, რომ ეს სილამაზე არ ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში... არ ვიცი, მართლა აღარ ვიცი...

...მართლაც ძნელი სათქმელია, რა სჯობდა და როგორ... ზემოთ მოთხრობილი კი კიდევ ერთი დასტურია სიყვარულის საოცარი ძალისა, სიყვარულისა, რომლის წინაშე სიკვდილიც კი უძლური ყოფილა!..

ვინა თქვა, რომ რომანტიზმის ეპოქა დასრულდა?!.

***ინგა ჯაყელი***

**ჩინელები ძველთაგანვე ამბობდნენ ხოლმე, — აუცილებელი, როგორც ბრინჯიო. მაგრამ ბრინჯი მარტო გემრიელი და სასარგებლო როდია, მას ისეთი შემადგენლობა აქვს, რაც სხვა ბურღულეულს არ გააჩნია. ნორვეგიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ბრინჯი ფსიქიკაზე დამამშვიდებლად მოქმედებს და საკუთარი ძალების რწმენას ანიჭებს ადამიანს. კანადელი მეცნიერები მოხარშული ბრინჯის მირთმევას ოჯახის განსამტკიცებლადაც ურჩევენ ცოლ-ქმარს — სასიყვარულო ემოციებს მეტწილად ქიმიური ბუნება აქვს, რომელიც ორგანიზმში ქიმიური ნივთიერების — ფენილეტილამინის — გამოყოფას უწყობს ხელს. დროთა განმავლობაში ორგანიზმი ეჩვევა ამ ნივთიერებას და ბობოქარ სიყვარულსაც ბოლო ეღება. მოხარშული ბრინჯის ხშირი მიღება ფენილეტილამინის სიცოცხლისუნარიანობას ახანგრძლივებს. ამასთან ერთად, ბრინჯის შემადგენლობაში გაცილებით მეტი რაოდენობის კალციუმი და ფოსფორია, ვიდრე სხვა პროდუქტში.**

**სხვათა შორის, იმისათვის, რომ ბრინჯს მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს ყველა ვიტამინი, მიკროელემენტი და არომატი, აღმოსავლურ სამზარეულოში არ არის მიღებული მისი შეკაზმვა.**



## შემწვარი ბრინჯი ბანანებით

**მასალა: ბრინჯი — 200 გ; წყალი — 400 გ; ზეითუნის ზეთი — 4ს/კ; ხახვი — 1 თავი; ბანანი — 1 ც.**

ბრინჯს დავასხათ წყალი და მოვხარშოთ. ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი ოქროსფრად შევბრაწოთ, მზა ბრინჯში ავურიოთ და გემოვნებით მარილი მოვაყაროთ. გაფცქვნილი ბანანი პატარა ნაჭრებად დავჭრათ, ოდნავ მოვწვათ ზეითუნის ზეთში და ბრინჯი მოვრთოთ.

## ბრინჯიანი ჩაროზი

**მასალა: ხურტკმელი — 1 ჩ/ჭ, წყალი — 50 მლ, ყურძნის წვენი — 50 მლ, კივი — 1 ც., გოგრა — 50 გ, ბრინჯი — 1 ს/კ, შაქარი — 2 ჩ/ჭ.**

ცოცხალი ან გაყინული ხურტკმელი (КРЫЖОВНИК) გავრეცხოთ და გავაშროთ. წყლის, ყურძნის წვენის, შაქრის ფხვნილისა და ვანილის ნარევი ადუღებამდე მივიყვანოთ. დავუმატოთ ხურტკმელი. დავახუროთ ხუფი და 15 წთ ვხარშოთ. ჩავაყაროთ კუბიკებად დაჭრილი, გაფცქვნილი კივი და გოგრა, მივიყვანოთ ადუღებამდე, ჩავუმატოთ მოხარშული ბრინჯი და გავაცივოთ.



**— ჭკვიანი ქმრები არ არსებობენ, — ამბობს ერთი მამაკაცი.**

**— ვითომ რატომ? — ბრაზობს მეორე.**

**— ჭკვიანი ცოლს არ ირთავს!**

**ოდესღაც მატრიარქატი ბატონობდა. ერთპიროვნული ლიდერი ქალი იყო. სამწუხაროდ, ისტორიული ცნობები ამ პერიოდის შესახებ ნაკლებად მოიპოვება (ბოროტ ხმებს თუ დავუჯერებთ, მათი უმრავლესობა მამაკაცებმა გააქრეს) და თითქმის შეუძლებელია გავიგოთ, როგორ ცხოვრობდნენ მაშინ სუსტი და ძლიერი სქესის წარმომადგენლები, ან ვინ ზრდიდა ბავშვებს, ვის რა ფუნქცია ჰქონდა და სულაც ვინ ვის სთხოვდა ხელს, ანუ როგორ იქმნებოდა ოჯახი. როცა ორ ახლობელ ისტორიკოსს ამის შესახებ ვკითხე, მცირე ყოყმანის შემდეგ ორჭოფულად მითხრეს, ალბათ მაშინაც კაცი ირთავდა ცოლად ქალს. აბა, კაცის ცოლად შერთვა ვის გაუგიაო. მივხვდი, შორეული წარსულის ქექვით ხეირს ვერ ვნახავდი და ვცადე, ჩვეულებრივი სატელეფონო გამოკითხვით დამედგინა, რა გუნებაზე დადგებიან მამაკაცები, თუ ქალები თავის თავზე აიღებენ ოჯახის შექმნის ინიციატივას და კაცი კი აღარ სთხოვს ხელს ქალს, არამედ პირიქით, ლამაზმანები შეირთავენ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს.**



**ირაკლი (34 წლის):** — თუ ქალები ემანსიპაციისთვის იბრძვიან და ყველაფერში კაცებს უთანაბრდებიან, რატომაც არ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა? მე რომ ახლა უცოლო ვიყო, რატომ არ შეიძლება გოგომ ქმრად გაყოლა შემომთავაზოს (იცინის)? ისე, უცებ მაინც ვერ დავთანხმდები. ცოტას დავფიქრდები და მერე ვნახოთ. ალბათ წავყვები...

**ზურა (26 წლის):** — თანახმა ვარ, რა თქმა უნდა. სიმართლე გითხრათ, ხშირად მიფიქრია მსგავს საკითხებზე. ახლა რომ კაი გოგო მოვიდეს და მითხრას, მინდა ჩემი გახდეო, უარს როგორ ვეტყვი. აჯობებს, ეგ ტრადიცია დავამკვიდროთ. ქალები უფრო გაბედულები, უფრო პრაქტიკულები არიან და დრო თვალსა და ხელს შუა აღარ გაგვიფრინდება, კაი მომავლის მოლოდინში აღარ იქნებიან ამდენი შინაბერები და ბერბიჭები.

**დიმიტრი (52 წლის):** — ეგ ხომ ყოველთვის ეგრე ხდებოდა და ხდება, ქალები ირთავენ კაცებს და არა კაცები — ქალებს. თუ ქალი უარს იტყვის, არაფერიც არ გამოგივა, ე.ი. გადამწყვეტი სიტყვა თქვენია და ვითომ მეორე ვიოლინოები ყოველთვის პირველები ხართ. ჩემმა სიდედრმა, მაგალითად, თავის დროზე აქეთ შეირთო ჩემი სიმამრი. ლამაზი ბიჭი ყოფილა სიმამრი, მაგრამ ღარიბი და უქონელი. სიდედრი კიდევ კაი გოგო, თანაც მდიდარი კაცის შვილი. შეუყვარდა ბიჭი და ოჯახში განუცხადებია, თუ მაგას არ შემრთავთ, სხვა არ მინდა და თავსაც არ ვიცოცხლებო. მამამისმა თურმე სასწრაფოდ მოძებნა უქონელი და გლახაკი სასიძო და უბრძანა, თბილისიდან „აუსვიო“. იმას კიდევ უთქვამს: შენი შვილი „ათესე“, თუ კაია, მე სულაც არ მინდა შენი სიძეობაო. მოკლედ, ამ ყველაფრის შეტყობის შემდეგ ქალი გამოეცხადა ბიჭს და უთხრა, — თუ მამაჩემის გეშინია, თქვი, მაგას მე გავაჩერებ. უშენოდ სიცოცხლე არ მინდა და ქვესკნელში რომ ჩაძვრე, თავს ვერ დაგანებებო. რაღას იზამდა ბიჭი, დაჰყოლია ბედს და სულაც არ არის დღეს უკმაყოფილო.

**ლევანი (42 წლის):** — თუ კაცი ვერ ხვდება, როგორ უნდა მოიქცეს, ისევ ქალმა უნდა ივაჟკაცოს და იქეთ სთხოვოს ხელი. მერწმუნეთ, ასეთი ოჯახი უფრო მტკიცე და შინაარსიანი იქნება. ქალი მაგარი ვინმეა, თუ რამე საქმეს ხელი მოჰკიდა, შესანიშნავად გაართმევს თავს. ასე რომ, მოინდომეთ, ქალებო და გაიმარჯვებთ, თანაც დემოგრაფიულ პრობლემებსაც უშველით.

**გიორგი (37 წლის):** — ეგ თუ მოხდა, ავშენდებით კაცები საქართველოში. რა ამბავი ატყდება? ერთ კაცზე მგონი 11 ქალი მოდის. წარმოიდგინეთ, რა ნადირობა წავა ჩვენზე. მერე შეიძლება პარლამენტში კანონმდებლობის შეცვლა და მრავალცოლიანობის შემოღებაც იოლად მოხდეს.

**ლიკა (19 წლის):** — უკვე გოგოები სთხოვენ ბიჭებს ხელს, გოგო ირჩევს შეყვარებულს, ურთიერთობის ფორმებს და კატეგორიულად სვამს საკითხს დაქორწინების შესახებ. აბა, ერთი გაბედეთ და წინააღმდეგობა გაუწიეთ. შეიძლება მალე გოგოებმა ბიჭების მოტაცებაც დაიწყონ. რა თქმა უნდა, არა გამოსასყიდის მისაღებად (იცინის).

***ეკა ლომიძე***

P.S. *ისე, რით არის ცუდი, რომ კაცს რომელსაც გამბედაობა არ ჰყოფნის და ვერ გვეუბნება — ცოლად გამომყევითო, ხვედრი შევუმსუბუქოთ და გადაწყვეტილების მიღებაში დავეხმაროთ?*





მდინარე კანადასა და აშშ-ს შორის

ფიროსმანი

ქართლის წარმართული ღვთაება

კოპოლას გახმაურებული ფილმი

ლითონი

მარგარიტა გოტიეს საყვარელი ყვავილი

პურეულის სალეწი ადგილი

თბილისის ზღვაში ჩამდინარე მდინარე

უძლიერესი ფიგურა ჭადრაკში

ხელოვნების დარგი

უმაღლესი სახელმწ. სამეცნ. დაწესებულება

სანდრო ქურიძის ფსევდონიმი

სტერეოს ანტიპოდი

აუცილებ. პროცედ. ერბოკვერცხის დამზადებისას

ფული გურულად

თმის ძღალად შესაღები

ამაღლებული ადგილი

სკოლაში სამეურნეო საქმით დაკავებული

ქვევრიდან ღვინის ამოსაღები

71,12 სმ

კომპიუტერის მანიპულატორი

მდინარე დასავლეთ ევროპაში

ქრისტიანობის მიმდევარი

თანხმობა იტალიურად

ა. კრისტის გამომძიებელი

ცხელი, სპირტიანი სასმელი



თორაძის ბალეტი

ბანქოს ფურცლების ერთობლიობა

ფრანგი მწერალი

სასტუმრო მძღოლებისთვის

კაჟი

მოსწავლის „დოსიე“

ავადმყოფ. განვითარ. უმაღლესი წერტილი

როსინის მამის საყვარელი ინსტრუმენტი

რკალის მომჭიმავი სწორი ხაზი

ფსევდონიმით დამალული ვოლტერის გვარი

„ისტვიკელი ჯადოქრები“ (მსახიობი)

ქანქარით ცნობილი ფრანგი ფიზიკოსი

ხშირი, დაბურული ტყე

ნადირთა დასაჭერი მოწყობილობა

ბავშვთა ექიმი

ლენინის „შალაშის“ ადგილმდებარეობა

იშტვან საბოს ისტორიული კინოფილმი

კანი გერმანულად

მგალობელი ჩიტი

ბელადი (გერმანულად)

ფერფლი

აუცილებელი თვისება გუშაგისთვის

დათვის ნაშიერი

1-3-მარცვლიანი პარკოსანი მცენარე

სანიმუშოდ აღიარებული ხელოვნების ნაწარმოები

სამხრეთელთა მხედართმ. აშშ-ის სამოქ. ომში




სინამდვილე

ბალახიანი უტყეო ვაკე

ქართული სიგარეტი

ცისარტყელას ქალღმერთი



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. „შერეკილები“; 2. მერინოსი; 3. რანტი; 4. ესკიმო; 5. კიოსკი; 6. რიმე; 7. ნაგანი; 8. დანტისტი; 9. ემისარი; 10. ტიბალდი; 11. კომპასი; 12. იოგი; 13. ლობიო; 14. ლაფშა; 15. ვლტავა; 16. ჯინი; 17. იოდი; 18. პენსია; 19. მაგია; 20. გოგია; 21. ქსილოფონი; 22. ლა; 23. ევა; 24. ქვა; 25. ფონი; 26. ნარდი; 27. ოტავა; 28. ტრილოგია; 29. „მინარდი“; 30. „ზაირა“; 41. დენი; 42. ნოტა; 43. „მი“; 44. „დინამო“; 45. ადლი; 46. ტევადობა; 47. პლატო; 48. ყაიმი; 49. ლავა; 50. ნიაცინი; 51. ინკი; 52. სეპია; 53. ნდობა; 54. ხენდრო; 55. ტრიო; 56. სიმღერა; 57. თარჯიმანი; 58. ენდრო; 59. ბრამსი; 60. ანოა; 61. ტიკი; 62. ნარკოტიკი; 63. ვერნი; 64. ჩეკი; 65. ავერნი; 66. ბარონი; 67. ჩიხი; 68. კაა; 69. „კოდაკი“; 70. კიბორჩხალა; 71. ხალა.

1. შინაგანი მაგნეტიზმი; 2. ვივიენ ლი; 3. ასანთის ტახტი; 4. ოცნება; 5. ბაჯაღლო ოქრო.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# რატომ არ მუშაობს ცირკი?

**— რატომ არ მუშაობს ამჟამად ცირკი. ხმები გავრცელდა, რომ იგი ბადრი პატარკაციშვილმა შეისყიდაო. ნუთუ ეს შენობაც რიტუალების სასახლის მსგავსად კერძო სახლად გადაკეთდება და თუ ეს ინფორმაცია არასწორია, მაშინ რატომ აღარ მუშაობს ამჟამად ცირკი. არადა გაზაფხულსა და ზაფხულში ყოველთვის იმართებოდა საცირკო სანახაობანი.**

***მარიამ ხურცილავა***





რედაქცია შეეცადა დაკავშირებოდა ცირკის ახალ ადმინისტრაციას და გაერკვია თქვენთვის საინტერესო დეტალები. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცირკის შენობაში ამჟამად კაპიტალური რემონტია. რაც შეეხება მის ყოფილ დირექტორს, თემურ ჯაფარიძეს, მასთან დაკავშირება უბრალოდ შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომაც ვცადეთ დავკავშირებოდით ასევე ცირკის ყოფილ დირექტორს **ბორის წიფურიას**. აი, რა გვითხრა ბატონმა ბორისმა:

— ცირკი მართლაც გაიყიდა და მისი ახალი მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილია. მიხარია, რომ ეს ადამიანი დაეპატრონა მას, რადგანაც ვიცი, რომ იგი ძალიან ბევრ ახალს და ლამაზს შესთავაზებს მაყურებელს. მაგრამ, ეს შენობა, ჩემი აზრით, მაინც არ უნდა გაყიდულიყო, რადგანაც ცირკი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა იყოს... მაშინ გავყიდოთ ფილარმონიაც!.. რაღა გვიკვირს, დღეს ხომ სრულიად საქართველო იყიდება.

თავის დროზე ცირკი ჩალის ფასად გაიყიდა — 135 ათას დოლარად, შემდეგ კი მისმა დირექტორმა თემურ ჯაფარიძემ იგი ერთი მილიონ 500 ათას დოლარად გაყიდა. იმ ფულით კიდევ პარლამენტში სკამი იყიდა... როგორც მე ვიცი, ახლა ცირკს არემონტებენ. სულ რაღაც ერთ თვეში ალბათ ამ სამუშაოებს დაასრულებენ. მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც კარები ამომიჭედეს და ცირკიდან წამოვედი, იქ ფეხი აღარ შემიდგამს. ამჟამად ცირკს სათავეში საქართველოს სახალხო არტისტი ჯუმბერ ბერაძე უდგას და თუ არ ვცდები, სულ მალე იქ მუშაობა განახლდება. (აქვე იმასაც დავძენთ, რომ ბატონი ბორისი თურმე „კვირის პალიტრაზე“ „განაწყენებულიც“ ყოფილა — შოუმენების რეიტინგში ათეულშიც ვერ მოვხვდიო... და ეჭვი გამოთქვა, დავიჯერო მარტო სტუდიაში მაქებენ მაყურებლებიო?!).

# სიტყვათა კონა

*(გაგრძელება)*

**ბაბანი** — თრთოლა, კანკალი, ძაგძაგი.

**ბაბაყული** — უჟმური, უცხვირპირო ადამიანი.

**ბაბაჭუა** — იგივეა, რაც ობობა.

**ბაბილო** — იგივეა, რაც უსურვაზი (ველური ვაზი).

**ბაბლი** — 1. ჩვეულებრივ მრავლობითში: ბაბლები (ძვ.) — საბნის თავსა და ბოლოში მიკერებული ნაჭრები (სხვა ქსოვილისა). 2. სამკუთხა ნაჭრები, რომლისგანაც იკერება საბანი (იციან ქართლში).

**ბაბრი** (სპ.) — 1. იგივეა, რაც ჯიქი. 2. დიდი დათვი.

**ბაგა** — 1. საკვების ჩასაყრელი დაბმული საქონლისათვის (წნული ან ფიცრული). 2. ახალი ვენახი.

**ბაგბაგი** (კუთხ.) — იგივეა, რაც ბაბანი, (კანკალი).

**ბაგვი** — 1. მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ (იციან რაჭაში). 2. ნაბდის თბილი, ყელიანი ფეხსაცმელი.

**ბადაგი** — ყურძნის წვენი, შესანახად მოდუღებული.

**ბადალი** — ტოლი, სწორი.

**ბადახში** (სპ.) — წითელი ფერის ძვირფასი ქვა..

**ბადექონი** — ქონის ფენა, რომელიც მუცლის არეში შიგნეულზეა შემოკრული.

**ბადია** — ქუსლიანი დიდი ჯამი.

**ბადიმი** — ორმოს სახურავი (ფიცრისა).

**ბადრი** (არაბ). — სავსე, სრული (ითქმის მთვარეზე).

**ბადიში** (კუთხ.)— შვილიშვილი.

**ბადურა** — ბადისებურად ნაქსოვი რამ. 2. თვალის გუგის შიგნითა გარსი.

**ბავლი** — დასაგეში ქორ-შავარდნის პირველად დაჭერილი ფრინველი.

**ბაზი** (სპ.) (ძვ.) — მონადირე ფრინველი (შავარდენი, მიმინო, ქორი და მისთ.)

# ქეთი ფარესაშვილს სიყვარულის სჯერა!..

**— ქეთი ფარესაშვილი საკმაოდ ნიჭიერი და ლამაზი მომღერალია. „ნოსტალგია 2“-ის შემდეგ იგი არც ერთ სატელევიზიო პროექტში აღარ ჩანს. რაშია საქმე, სად არის ახლა ქეთი, ხომ არ გათხოვდა? იქნებ თავად გვიპასუხოს ამ კითხვებზე.**

***ნიკა ლომაური***

კითხვაზე უპასუხებს **ქეთი ფარესაშვილი**.



— ამჟამად ვმღერი მხოლოდ კლუბებში. ვთვლი, რომ ასე უფრო ვმუშაობ საკუთარ თავზე და პროფესიონალური თვალსაზრისითაც ვიზრდები. მინდა დახვეწილი და სერიოზული მომღერლის იმიჯი მქონდეს, კლუბში მუშაობა და ხალხთან უშუალო კონტაქტი კი ამაში ძალიან მეხმარება. ყოველთვის კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ და სწორედ ამიტომ არ ვჩანვარ ტელეეკრანებზე. მხოლოდ მაშინ ჩავწერ დისკს, როცა დავრწმუნდები, რომ იგი მაღალი პროფესიონალური დონის იქნება. თანაც მინდა დისკს ჩემი ხელწერა ეტყობოდეს და წლების შემდეგ საკუთარი ნამოღვაწარის არ შემრცხვეს. ამიტომაცაა ჩემთვის კლუბებში სიმღერა ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო. სხვა ხიბლი აქვს „ფართომასშტაბიან“ პოპულარობას, მაგრამ ამავე დროს სრულიად განსხვავებული გრძნობაა, როდესაც შენს მოსასმენად მოდიან კლუბში. ძნელია რომელიმე მათგანზე უარის თქმა, მაგრამ ალბათ ყველა მომღერალმა უნდა გაიაროს ეს პირველი ეტაპი. არ უარვყოფ, რომ კლიპის გადაღება თუ დისკის ჩაწერა მნიშვნელოვან თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ჩემი ჩრდილში ყოფნისა ზემოაღნიშნულთან ერთად ისიც გახლავთ, რომ საკმაოდ პასიური ადამიანი ვარ. თანაც თავმოუბმელი... მიუხედავად იმისა, რომ მქონდა არაერთი შემოთავაზება კლიპის გადაღების თუ სიმღერის ჩაწერისა, არ მოვინდომე. თუმცა, ეს სამომავლოდ პოპულარობის აუცილებელი პირობაა. რაც შეეხება ჩემს ოჯახურ მდგომარეობას, გიპასუხებთ, რომ გათხოვილი არ ვარ. ოჯახის შექმნაზე კი მაშინ ვიფიქრებ, როცა დიდი სიყვარული მეწვევა. მჯერა, რომ იგი არსებობს...

# ვინ არის «ჰოლივუდის» ყველაზე ლამაზი მამაკაცი?

**— ყოველთვის მაინტერესებდა, ვინ არის ჰოლივუდში აღიარებული როგორც ყველა დროის ულამაზესი მსახიობი მამაკაცი.**

***მაიკო კორძაძე***

— სამწუხაროდ, მსგავსი სტატისტიკური მონაცემი ვერსად აღმოვაჩინეთ. თუმცა, ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება — ყველა დროსა თუ თაობას თავისი სათაყვანებელი გმირი ჰყავს ყოველთვის. რაც შეეხება ყველაზე ლამაზ ოსკაროსან მამაკაცებს, გიპასუხებთ, რომ ამერიკის კინოაკადემიამ თავისი 75-ე წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა, რათა გაერკვია, თუ ვინ არის ყველაზე ლამაზი მამაკაცი მათ შორის, ვისაც კი ოდესმე „ოსკარი“ მიუღია მთავარი როლის შესრულებისთვის. გამოკითხვა ჟურნალმა Hello-მ ჩაატარა და სწორედ მისმა მკითხველებმა აარჩიეს ყველაზე ლამაზი მამაკაცის ათეული 75 მსახიობს შორის. თანაც, გამოკითხულებს უნდა გაეთვალისწინებინათ არა მარტო სილამაზე და სექსუალობა, არამედ მსახიობის ნიჭი და ინტელექტიც.



გამოკითხვაში გაიმარჯვა რასელ ქროუმ, ხოლო საუკეთესოთა ათეული ასე გამოიყურება:

1. **რასელ ქროუ**
2. **ნიკოლას კეიჯი**
3. **პოლ ნიუმენი**
4. **დენზელ ვაშინგტონი**
5. **დენიელ დეი-ლუისი**
6. **რობერტ დე ნირო**
7. **ჯეიმს სტიუარტი**
8. **გრეგორი პეკი**
9. **კლარკ გეიბელი**
10. **მარლონ ბრანდო**

P.S. ალბათ შენიშნეთ, რომ თანამედროვე მაყურებელი თანამედროვე მსახიობებს უფრო იცნობს.

# მუშახელი საუკუნის მაგისტრალისთვის, ანუ არ ენდოთ თაღლითებს

**— გთხოვთ დაგვეხმაროთ და გვირჩიოთ, თუ როგორ შეიძლება მოვხვდეთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე. ვის უნდა მივმართოთ იქ დასაქმების მსურველებმა?**

***კ. ჭოქინაშვილი, ალ. იოსელიანი, მ. იოსელიანი***

კითხვაზე უპასუხებს **გივი ბადაშვილი**, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების ეკონომიკური უსაფრთხოების და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი.

— ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე სამუშაოზე აყვანის უპირატესობა ენიჭება იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომელზედაც გადის მილსადენის მარშრუტი და წარმოებს სამშენებლო სამუშაოები. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ საშუალო და მაღალი სახის სპეციალისტებზე კონკურსი ცხადდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგალითად, ისეთ ვაკანსიებზე, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგი, ტექნოლოგის ასისტენტი, მძღოლი, შესყიდვების სპეციალისტი და სხვა. როგორც წესი, მსგავს ვაკანსიებზე კონკურსი ერთი თვით ადრე უნდა გამოცხადდეს პრესისა თუ მასმედიის სხვა საშუალებებით და შერჩევა მოხდეს ქვეყნის მაშტაბით, ხოლო რაც შეეხება დამხმარე და დამატებით სამუშაო ძალას, საჭიროების შემთხვევაში, მუშახელის აყვანა მოხდება მხოლოდ და მხოლოდ რაიონის თუ ადგილობრივი მცხოვრებლების კონტინგენტიდან. რამდენჯერაც დაიწყება ამა თუ იმ რაიონში მილსადენთან დაკავშირებული ობიექტის მშენებლობა, იმდენჯერ ჩატარდება კონკურსიც. შესაბამისი სამშენებლო კომპანიები „ბი-პის“ უშუალო ხელმძღვანელობით მოსახლეობას ერთი თვით ადრე დაურიგებს უფასო ანკეტას. შევსებულ ანკეტას მოსახლეობა თან დაურთავს ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან. პროცედურის მიუკერძოებლობისა თუ პროტექტორობისაგან დასაცავად შევსებულ ანკეტას მოქალაქეები ჩაყრიან მათთვის წინასწარ მითითებულ რკინის ყუთებში. შერჩევა მოხდება სახალხოდ, მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით. აქვე აღვნიშნავ, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც მოქალაქეები შეცდომაში შეჰყავთ თაღლითებს, რომლებიც ჰპირდებიან მათ პროექტში დასაქმებას, ახდევინებენ სოლიდურ თანხას და შემდეგ უკვალოდ იკარგებიან. თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ გავაფრთხილებ მოსახლეობას, რომ ნუ მოტყუვდებიან. „ბი-პი“ და „სპი კაბაკ-პეტროფაკი“ ყველა კონკურსანტს თანაბარ პირობებში აყენებს და გარდა ამისა, დასაქმებულთა შერჩევა უფასოდ ხდება. ბორჯომის, ადიგენისა და ახალციხის ტერიტორიაზე მუშა-მოსამსახურეების დასაქმების პროცესი სულ რამდენიმე კვირაში დაიწყება; რაც შეეხება წალკას, თეთრიწყაროს და მარნეულის რაიონებს, აქ უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს ეტაპობრივად მილსადენის ობიექტების მშენებლობა და პარალელურად მუშახელის დაქირავება.

# ამერიკას ებრაელი პრეზიდენტი არ ჰყოლია?

**— მართალია თუ არა, რომ ამერიკის კონგრესის უმრავლესობას ებრაული წარმოშობის კონგრესმენები შეადგენენ. ასევე მაინტერესებს, ებრაული წარმოშობის რამდენი პრეზიდენტი ჰყავდათ ამერიკელებს?**

***ჯანო ჩხაიძე***



კითხვაზე უპასუხებს **გივი ბოლოთაშვილი**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისა და ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი.

— ებრაული წარმოშობის პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰყოლია. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ აბრაამ ლინკოლნი სწორედაც რომ ებრაელი იყო, მაგრამ ამას თავად ებრაელები უარყოფენ. არც ერთ ებრაულ ცნობარში ლინკოლნი მოხსენიებული არ არის, როდესაც ჰენრი კისინჯერი (პოლიტიკური მოღვაწე, ყოფილი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი) ყველა ცნობარში ჰყავთ აღნიშნული. რაც შეეხება ამერიკის კონგრესთან დაკავშირებულ მითქმა-მოთქმას, რომ მასში ებრაელები უმრავლესობას წარმოადგენენ, არც ეს გახლავთ სიმართლე. ამჟამად შტატებში მთელ კონტინენტზე დაახლოებით 5-6 მილიონი ებრაელი ცხოვრობს. ისინი ძირითადად განსახლებულნი არიან აღმოსავლეთ ამერიკის დიდ ქალაქებში, ასევე ამერიკის სანაპირო ზოლში, ქალაქ ლოს-ანჯელესში, სან-ფრანცისკოში და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით ებრაელები შტატებში გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი საკმაოდ მდიდარი ხალხია, ამიტომაც ამერიკაში მცხოვრებმა ებრაელებმა ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია „ამერიკა-ისრაელის თანამშრომლობის კომიტეტი“, რომლის ძირითადი წევრები მდიდარი ებრაელები არიან. ისინი ყოველწლიურად 700-800 მილიონ დოლარს აგროვებენ. ნაწილს შემდგომ საკუთარ სახელმწიფოს, ანუ ისრაელს უგზავნიან, ხოლო ნაწილს კონგრესში ებრაელების ინტერესების ლობირებას ახმარენ. ამიტომაც იმის თქმა, რომ კონგრესში ებრაელები ბევრნი არიან, არ შეიძლება და არასწორიცაა.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# რამდენად უსაფრთხოა ტატუირება?

**— შეიძლება თუ არა ტატუირების მოშლა. ისიც მაინტერესებს, კეთდება თუ არა ტატუირება ჩვენთან და რა ღირს. შეიძლება თუ არა მას ჯანმრთელობისთვის სავალალო შედეგი მოჰყვეს?**

***მ. თოთლაძე***

კითხვაზე უპასუხებს **გიო შხვაცაბაია**, მხატვარი.

— ტატუს მოშლის რამდენიმე მეთოდი არსებობს, მაგრამ ყველაზე ეფექტური გახლავთ ლაზერის სხივებით ზემოქმედება სხეულის დასვირინგებულ ადგილზე. თუმცა, საქართველოში ეს მეთოდი ჯერ არ დამკვიდრებულა. ერთ-ერთი ხერხი გახლავთ ასევე ნახატის ამორეცხვა, ანუ იგივე წესი, რა წესითაც ხდება მისი დახატვა. არსებობს ასევე ე. წ. „შლიფოვკის“ მეთოდი, — როდესაც კანს იწვავენ ან იჭრიან. ეს უკანასკნელი შეიძლება ითქვას ყველაზე სადისტური და მიუღებელია თანამედროვე მსოფლიოში. ამ ბოლო დროს დამკვიდრდა ტატუირების პერმანენტული მეთოდი, მაგრამ ამ მეთოდით სვირინგის გაკეთებას არავის ვურჩევ. ეს არის „ხანმოკლე“ ნახატი, რომელიც სრულდება ისეთი საღებავებით, დროთა განმავლობაში რომ თავისით იშლება. თუმცა, სხეულზე დარჩენილი ლაქების გაქრობასაც ხანგრძლივი დრო სჭირდება. რაც შეეხება სვირინგის ფასს, იგი ნახატის ზომაზე, მოცულობასა და სირთულეზეა დამოკიდებული. მაგალითად, სულ პატარა პეპელა ან ყვავილი 30 დოლარი ღირს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ნებისმიერ სალონში გაკეთებული ტატუირება გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე კუსტარული წესით. სალონში, როგორც წესი, ხდება ერთჯერადი ინსტრუმენტის გამოყენება. ტატუირება საშიშია იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს ადამიანის კანთან, ნემსით ვჩხვლეტთ ქსოვილს... ნებისმიერი დაავადება, რომელიც ნემსის მეშვეობით გადადის, შესაძლებელია განვითარდეს. მაგალითად ჰეპატიტი, ვენერიული დაავადებები და სხვა. ტატუირება ხომ ჩვეულებრივი ჭრილობა გახლავთ, რომელსაც ორი კვირა მაინც სჭირდება მოსაშუშებლად. ამიტომ მასაც გარკვეული მოვლა და ყურადღება ესაჭიროება.

CMYK

# .com კომპიუტერი

## საინტერესო ამბები

palitra@kviripalitra.com

### „პანკისის“ გაგრძელება ისევ პოპულარულია

ევროპული და რუსული „ონლაინ“-მაღაზიების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შედგა პოპულარული თამაშების ათეული, რომელშიც ერთ-ერთი სალიდერო პოზიცია Ghost Recon-ის ახალმა ლეგენდამ, „უდაბნოს ალყამ“ მოიპოვა. ეს თამაში ადრე სკანდალურად გახმაურებული, ჩვენში „პანკისის ხეობად“ წოდებული თამაშის ერთგვარი გაგრძელებაა. „პანკისიც“ ძალზედ პოპულარული იყო რუსეთში, იმის მიუხედავად, რომ რუს მოთამაშეებს საკუთარი სახელმწიფო ინტერესებისა და სამხედრო შენაერთების წინააღმდეგ უწევდათ ბრძოლა. მათთვის, ვინც „სროლებისა“ და „სტრატეგიების“ მოყვარული არ არის, დავაზუსტებთ, რომ „პანკისის“ რამდენიმე ეტაპის მოქმედების არეალად საქართველო, კერძოდ კი ე.წ. სამხრეთ ოსეთი, პანკისის ხეობა და თბილისის ქუჩები მოიაზრებოდა. მოთამაშეს რამდენიმე საპასუხისმგებლო მისია ეკისრებოდა: კონტრაბანდისტ პაპაშვილის (რატომღაც, შევარდნაძის დაცვის უფროსის მოგვარე) დატყვევება; ქართული შტაბის რუსული ტანკებისგან დაცვა; უცხოელი დამკვირვებლების გადარჩენა (რამე ხომ არ გახსენდებათ?) და... თბილისიდან აშშ-ის საელჩოს ევაკუირება. თამაშის სცენარის მიხედვით, თბილისს რუსები იკავებენ, ამერიკელები გარბიან... თუმცა იმედია, დიდი ხნით არა, იმიტომ რომ ბრძოლები ბალტიისპირეთსა და მოსკოვშიც იმართება. ჩვენს მიწა-წყალზე „გამობრძმედილი“ მოთამაშე კი შემდეგ ეტაპებს უკვე ადვილად გადის და კრემლსაც შტურმით იღებს.

საბედნიეროდ, ახალი ლეგენდის, „უდაბნოს ალყის“ მოქმედების არეალი შორს გასცდა საქართველოს. თუმცა თუ აშშ-მა ირანსაც შეუტია, არ არის გამორიცხული, რომ „სათამაშოების“ მკეთებლები ისევ დაუბრუნდნენ ქართულ თემას და ცნობილი საავიაციო სიმულატორების რუკებზე ქართული აეროდრომები და ქალაქები გაჩნდეს. თუ გავითვალისწინებთ თამაშების ხარისხს, მაშინ მსგავსი სიმულატორის გამოშვების შემდეგ ქართულ ჯარსაც ერთიორად გაუადვილდება „პროფესიონალი“ პილოტების მომზადება.



palitra@kviripalitra.com

### ანეკდოტი

კომპიუტერული ფირმის აგენტი ცდილობს მდიდარ კლიენტს ახალი თაობის „ნოუთბუქი“ მიჰყიდოს და ყველანაირად უქებს საქონელს:

— წარმოიდგინეთ, ამ კომპიუტერმა ყველა კითხვაზე იცის პასუხი.

— ჰმ, საინტერესოა, აბა, მიპასუხოს, სად არის ახლა მამაჩემი?

კომპიუტერმა რამდენიმე წამში ამოაგდო პასუხი:

— ამ კაცის მამა ტბაზე თევზაობს და სამი თევზი ჰყავს დაჭერილი.

— ეს რა სისულელეა, მამაჩემი ორი წელია, რაც გარდაიცვალა.

აგენტი არ დაიბნა და კომპიუტერს კითხვა თავიდან დაუსვა: „სად არის ამ კაცის დედის ქმარი?“

კომპიუტერმა ისევ სწრაფად უპასუხა.

— ის ორი წლის წინ გარდაიცვალა, დასაფლავებულია საგვარეულო სასაფლაოზე, მეორე საფლავია მარჯვნიდან. ამ კაცის მამამ კი, უკვე მეოთხე თევზი დაიჭირა.

***კომპიუტერის გარეშე ცხოვრება რომ თანდათან შეუძლებელი ხდება, ამას 84 წლის ბებიაჩემიც მიხვდა. თუმცა ბევრს მაინც აშინებს ეს ზომაზე მეტად ჭკვიანი მანქანა. ზოგს მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენია, ზოგი კი ყველა უბედურების მიზეზად სწორედ მას ასახელებს. ძნელია სიმართლის დადგენა, თუმცა ცდა მაინც შეიძლება. სწორედ ამიტომ „ჩავუსაფრდი“ ჩვენი გაზეთის ჟურნალისტს, დაჩი გრძელიშვილს, რომელიც დღედაღამ კომპიუტერგადაკიდებული დადის და რამდენიმე კითხვაც დავუსვი. მგონი საინტერესოდ ვისაუბრეთ და კომპიუტერის ავ-კარგობაც თავისთავად გახდა ნათელი...***

## რისთვის აგინა დაჩი გრძელიშვილმა იაპონელებს და ამერიკელებს

**— რამდენი წელია, რაც კომპიუტერის მომხმარებელი ხარ?**

— კომპიუტერს 6-7 წლის წინ, პროფესიიდან გამომდინარე, „გავეცანი“. მაგრამ მაშინ არანაირ პროგრამაში მუშაობა არ შემეძლო — უბრალოდ, ვიცოდი, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა მისი მეშვეობით. რაც შეეხება კომპიუტერზე დამოუკიდებლად მუშაობას, 3 წლის წინ, მეგობარმა „ნოუთბუქი“ მაჩუქა და კომპიუტერთან ჩემი ახლო ურთიერთობაც მაშინ დაიწყო.

**— თვლი თუ არა, რომ ფლობ უპირატესობას სხვა, უკომპიუტერო ჟურნალისტებთან შედარებით?**

— რასაკვირველია. ეს თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ დაარქივებული მაქვს უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ჩემი მასალები. ამა თუ იმ სტატიაზე ან რეპორტაჟზე მუშაობისას ხშირად გჭირდება საარქივო მასალები. თუ კომპიუტერის გარეშე რაიმეს მოძებნას 2-3 საათი სჭირდება (ისიც, თუ შენახული გაქვს გაზეთის ნომერი, ან ზოგადად, ობიექტის გარშემო შეგროვილი მასალები...), მე შემიძლია კომპიუტერში რამდენიმე წუთში მოვნახო ჩემთვის სასურველი ინფორმაცია — მათ შორის, აუდიოჩანაწერის სახითაც. არის სხვა უპირატესობაც — როგორც სტატიის, ისე რეპორტაჟის მომზადების პროცესში, საჭიროა სიტყვების ელემენტარული გადაადგილება, სტილისტური ჩასწორება და ა.შ. ხელით წერისას ეს არის ჯღაბნისა და გადასწორების უთავბოლო მარათონი — მით უმეტეს, თუ გეჩქარება. ამას კიდევ რედაქციაში, ტექსტის ამკრეფის მოღუშული სახე ემატება, რომელიც შენს ნაწერს ვერ არჩევს...

მოპოვებული ინფორმაციის დროული დამუშავება და მომხმარებლისთვის მიწოდება ჩვენს სფეროში ყველაზე პრობლემატური საკითხია. კომპიუტერის მეშვეობით მომზადებული მასალა გაზეთამდე ჩვეულებრივზე სამოთხჯერ სწრაფად აღწევს.

**— რამდენად კარგად ფლობ კომპიუტერს და რომელ პროგრამებს ხმარობ?**

— როდესაც „ჩემი ცხოვრების პირველი კომპიუტერი“ მაჩუქეს, პრაქტიკულად, არაფრის გაკეთება არ შემეძლო. თუმცა, როგორც გითხარი, თეორია ვიცოდი. ეს იყო პაწაწინა კომპიუტერი, პ-ა-ა-ტარა მეხსიერებით, რომელსაც მხოლოდ „ვორდის“ ამუშავება შეეძლო. ალბათ ამიტომაც, სანამ ეს კომპიუტერი მქონდა, შემიძლია ვთქვა, რომ „ვორდს“ და ზოგადად, „ვინდოუსის“ პროგრამათა შორის ურთიერთობის სისტემას საფუძვლიანად დავეუფლე (კომპიუტერში სხვა არაფერი იყო და...). ვფიქრობ, ჟურნალისტისთვის ყოველდღიურობაში გამოსადეგი სწორედ ეს პროგრამაა, რადგან ინდივიდუალური ტექსტის მომზადებისა და რედაქტირებისთვის არის შექმნილი. რაც შეეხება სხვა პროგრამებს, უშუალოდ, მუშაობას თეორიულად ვერ ისწავლი, მაგრამ რისი გაკეთება შეიძლება ამა თუ იმ საგამომცემლო, ან თუნდაც სამაუწყებლო („ონ ეარ“) სისტემით, ამის თეორიული ცოდნა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაზეთის დამკაბადონებელთან ან რეპორტაჟის მემონტაჟესთან გამუდმებული პრობლემები გექნება — მდიდარი ფანტაზიის წყალობით, ისეთ რამეს მოსთხოვ, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია. ან მოგატყუებს და ადვილად მოგიშორებს თავიდან, თუ რაიმე რთული მონტაჟი გჭირდება, მას კი ეზარება... სანამ „ერთპროგრამიანი“ კომპიუტერი მქონდა, „პეიჯმეიკერი“ და „ფოტოშოფის“ მართვა ჩემთვის ჩინური იყო. როდესაც შედარებით მძლავრი კომპიუტერი შევიძინე, ამ პროგრამებთან ერთად სამაუწყებლო პროგრამებშიც — „ინსაიდი“, „ავიდი“, „პრემიერი“, „საუნდფორჯი“ — გავერკვიე და მათი შესაძლებლობები კარგად ვიცი.



კომპიუტერს იმდენად მივეჩვიე, რომ ხელით მასალის დაწერა ჩემთვის წამებაა

**— კომპიუტერთან დაკავშირებულ კურიოზს ხომ არ გაიხსენებ?**

— ჩემს პირველ კომპიუტერში შვილმა ერთი ჭიქა წყალი ჩამისხა, საწყალმა „ნოუთბუქმა“ თვალები აატრიალა და მერე მთელი დღე აივანზე, სარეცხის თოკზე მქონდა გაკიდული.

**— სამსახურში თუ შეგქმნია პრობლემა კომპიუტერის გამო.**

— ერთხელ, ღამენათევი ვიყავი, საშინლად დაღლილი და რედაქციაში გვიან მოვედი — მასალა ორ საათში უნდა ჩამებარებინა. მთელი გვერდი მქონდა დასაწერი, თან საკმაოდ მნიშვნელოვანი, გამხსნელი გვერდი. ამას ისიც დაემატა, რომ დიქტოფონში ჩანაწერი წამეშალა... მოკლედ, გავიჭირვე, 7 ჭიქა ყავა დავლიე და მასალა მეხსიერებიდან გამომდინარე მოვამზადე. ზუსტად ბოლო აბზაცს ვამთავრებდი, რომ უცებ კომპიუტერი გაითიშა... რომ ჩავრთე, აღარც მასალა იყო და აღარც სათაური. თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა... დაახლოებით, 8-10 თაბახი ხელნაწერის ტოლფასი მასალა უცბად, ერთ წამში გაქრა. აი, მაშინ კი ვლანძღე და ვაგინე სულით და გულით იაპონელებსაც და ამერიკელებსაც, კომპიუტერის გამოგონება-განვითარებისთვის... მაგრამ ბედად, ჩემს გაჭირვებას რედაქციის თანამშრომელი, კომპიუტერის სპეციალისტი — ნინო შეესწრო. ალბათ, ღვთის წყალობა იყო — მეათე თუ მეთხუთმეტე მცდელობაზე ჩემი მასალა ვიპოვეთ. ასე იშვიათად გამხარებია რამე...

**— როგორ თვლი, უკომპიუტერო ჟურნალისტები შურის თვალით გიყურებენ?**

— სერიოზულად არა. ზოგჯერ, თუ გამაშაყირებენ ხოლმე — ლოკოკინასავით, მთელი ოფისი ზურგზე გკიდიაო... აქ კიდევ ერთი კურიოზის მოყოლა შემიძლია — ნოუთბუქზე მუსიკა მქონდა ჩართული და თან მასალას ვამზადებდი. რედაქტორმა გამომიძახა და ოთახიდან გავედი. ჩემ გვერდით მაგიდასთან ჟურნალისტი მარინა მამისაშვილი მუშაობდა. შემაგვიანდა, ჩემი კომპიუტერი კი უკვე კლასიკურ მუსიკაზე გადავიდა. მარინა რაღაც სასტიკ მკვლელობაზე წერდა და ვივალდის „გაზაფხულის“ მოსმენა არანაირად არ აწყობდა... მოკლედ, მოეშალა ნერვები. მერე (თანამშრომლები მომიყვნენ) მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერში ვერ ერკვევა, გადაწყვიტა გამოერთო. ფრთხილად მიუახლოვდა კომპიუტერს და რაღაც კლავიშს დააჭირა ხელი. კომპიუტერზე პაროლი მეყენა და ბუნებრივია, არაფერი შეცვლილა. კიდევ დააჭირა, კიდევ, კიდევ... მერე გამორთვის ღილაკი უპოვია და ის მოუსინჯავს — მაინც არაფერი. ბოლოს, გამწარებულს, პირდაპირ დენის ქსელიდან გამოუგლიჯავს „შტეკერი“... „ნოუთბუქი“ კი აკუმულატორის კვებაზე გადავიდა და მუსიკა განაგრძო. აკივლებული, ნაღდად ფეხებით შესდგებოდა, ბედად, ოთახში იმ წუთში რომ არ შევსულიყავი...

**— რამდენად გეხმარება ინტერნეტი და ვირუსები თუ გიქმნის პრობლემებს?**

— ინტერნეტი ძალიან მეხმარება — როგორც ინფორმაციის მოპოვებაში, ისე გადაცემა-გავრცელებაში. თუმცა, უნდა გითხრა, რომ იმდენად დიდია ინტერნეტის შესაძლებლობები, სრულად მის 1%-საც კი ვერ ვიყენებ. რაც შეეხება ვირუსებს, საშინელი პრობლემაა — ჩემი პირველი კომპიუტერი სწორედ ვირუსმა, ე.წ. „ჩერნობილმა“ შეიწირა. მას შემდეგ ძალიან ვფრთხილობ...

**— თამაშობ თუ არა თავისუფალ დროს კომპიუტერზე?**

— ძალიან იშვიათად. ჩემთვის ასეთ შემთხვევაში გართობა (როცა დრო მაქვს) ახალი პროგრამის სწავლა, ან ძველის უკეთ ათვისებაა. თამაშს ნამდვილად მირჩევნია — თან ვერთობი, თან დროც არ იკარგება. ეს კომპიუტერული თამაშები კი ნამდვილი უაზრობაა. ზიანის მეტი არაფერი მოაქვს — მეხსიერებას აბინძურებს, ნერვულ სისტემას აღიზიანებს, დროთა განმავლობაში კი ვირტუალური სამყაროს ხიბლი გეუფლება და რეალურ ცხოვრებას გაურბიხარ...

**— შენ ჯიბის კომპიუტერიც გაქვს, ის რაღაში გჭირდება თუ უბრალოდ, საკუთარი თავის წარმოჩენის მცდელობაა?**

— რა ვიცი, შეიძლება, თუმცა, ნაკლებად. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, თუ არ მჭირდება, საზოგადოებაში მაქსიმალურად იშვიათად გამოვაჩინო, იმიტომ, რომ, აინტერესებთ, როგორ მუშაობს, აჭერენ ათას ღილაკს... არა, „ღორი“ ნამდვილად არ ვარ, ბავშვობაში ველოსიპედზე უარს არავის ვეუბნებოდი ხოლმე. უბრალოდ, მერე აკუმულატორი ჯდება და საქმისთვის ვეღარ ვიყენებ. თან, მეშინია, შემთხვევით რამე საჭირო არ წამიშალონ.

რაც შეეხება გამოყენებას — ვთვლი, რომ ჯიბის კომპიუტერი ჟურნალისტისთვის აუცილებელი ატრიბუტია — ყველაზე მსუბუქ „ნოუთბუქსაც“ კი ყოველთვის თან ვერ ატარებ, მით უმეტეს, ექსტრემალურ სიტუაციაში. ჯიბის კომპიუტერით კი ყველაფრის გაკეთება და შემდეგ მისი „დედა“ კომპიუტერამდე მიტანა შეგიძლია. აღარაფერს ვამბობ ტელეფონებზე, მისამართებზე და სხვა ინფორმაციაზე, რასაც ეს პატარა ნივთი განუსაზღვრელი რაოდენობით იტევს...

**— ბევრი კომპიუტერთან მუშაობის შემდეგ დისკომფორტს განიცდის, რამდენად სწრაფად შეეჩვიე ასეთ სამუშაოს და გადაეჩვიე თუ არა ხელით წერას. ხომ არ გაგაზარმაცა ტექნიკამ?**

— თავიდან მეც ძალიან გამიჭირდა, მაგრამ დროთა განმავლობაში იმდენად მივეჩვიე, რომ ხელით დიდი მასალის დაწერა ჩემთვის ჯოჯოხეთური წამებაა (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე), თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, უარს არც ამაზე ვიტყვი. ტექნიკამ კი ნამდვილად გამაზარმაცა — ისედაც ვერ ვიყავი დიდი მათემატიკოსი, მაგრამ ახლა საერთოდ, ელემენტარულ მიმატება-გამოკლებასაც ძალიან დიდ დროს ვანდომებ. აღარაფერს ვიტყვი ხელწერაზე, რომლის წაკითხვაც მოხუც ჩინელ პალეოგრაფსაც კი გაუჭირდება...

**— საბოლოოდ მითხარი, ღირდა კომპიუტერის გამოგონება?**

— რა თქმა უნდა, ღირდა! მაგრამ მისი განვითარება ისეთი ტემპებით მიმდინარეობს, რომ ზოგჯერ მეშინია კიდეც — რაც არ უნდა თქვა, ადამიანს ვერაფერი შეცვლის... ისე არ უნდა მოხდეს, რომ ბოლო-ბოლო სუპერკომპიუტერის მსახურებად ვიქცეთ — პირიქით, ის უნდა იყოს ჩვენი მსახური.

***გიორგი ჟორჟოლიანი***

### ძვირფასო მკითხველო!

**თქვენმა გაზეთმა გადაწყვიტა ამ ახალი რუბრიკით გამოეხმაუროს კომპიუტერული სფეროს მომხმარებელ მკითხველს. ვიმედოვნებთ, რომ რუბრიკის გასამრავალფეროვნებლად თქვენც აქტიურად ითანამშრომლებთ ჩვენთან: მოგვაწვდით საინტერესო კითხვებს და იქნებ თქვენი კომპიუტერულ-ინტერნეტული გამოცდილებაც გაგვიზიაროთ.**

## რა ხდება ინტერნეტში

palitra@kviripalitra.com

### ჩრდილოელმა ჰაკერებმა სამხრეთ კორეა „გამორთეს“

ჩრდილოკორეელმა ჰაკერებმა სამხრეთ კორეაზე იერიში მიიტანეს და ფაქტობრივად ინტერნეტიდან გამორთეს. „ინტერნეტ-დეფიციტი“ უცბად, ჯერ წამყვან სატელეკომუნიკაციო კორპორაციებში, ხოლო შემდეგ ქვეყნის



მთელ ტერიტორიაზე დაიწყო და რამდენიმე საათს გასტანა. სერვერები ვერ უძლებდნენ ჰაკერების მიერ გაგზავნილი უზომოდ დიდი რაოდენობის მიმართვების დამუშავებას და მასობრივად იტვირთებოდნენ.

სიტუაციის ნაწილობრივ გამოსწორება მხოლოდ 3-4 საათის შემდეგ მოხერხდა, თუმცა იმ დროისთვის მომხმარებელთა მხოლოდ 10 პროცენტს თუ შეეძლო ინტერნეტით სარგებლობა. სისტემების საბოლოო აღდგენას რამდენიმე დღე დასჭირდა. ქვეყნის ინფორმაციის მინისტრმა ჩრდილოელი „კეთილისმყოფელები“ ბინ ლადენს შეადარა.

palitra@kviripalitra.com

### ამერიკა გამოინტერნეტდა

„ინტერნეტი ყველა საინფორმაციო საშუალებაზე მნიშვნელოვანია“ — განაცხადა ამერიკაში გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ. გამოკითხულ ოჯახთა მხოლოდ 50% უყურებს ტელევიზორს, 32% — უსმენს რადიოს, 38% — ეცნობა ნაბეჭდ გამოცემებს. თუმცა თითქმის ყველა სარგებლობს ინტერნეტით. იმ 18.3%-ს, რომელიც ინტერნეტს არ წყალობს, უბრალოდ კომპიუტერი არა აქვს, თორემ...

გამოკითხვამ ასევე ცხადყო, რომ ამერიკაში ინტერნეტი აქტიურად ჩაერთო ბავშვთა და მოზარდთა აღზრდაშიც: მშობლები ახლა ტელევიზორის ყურებას კი არ უშლიან ონავარ პატარებს, არამედ ინტერნეტში ფოთიალს.

palitra@kviripalitra.com

### ინტერნეტი დირიჟაბლზე



ერთ-ერთმა ინგლისურმა კომპანიამ გამოიგონა ინტერნეტმომსახურების ახალი სერვისი. მათ შექმნეს დირიჟაბლი, რომლის გონდოლაში დამონტაჟებულია სარეტრანსლაციო სადგური LIBRA. მისი სამუშაო რადიუსი 3000 კმ-ია, ფრენის სიმაღლე კი 1500 მ. ფირმის სპეციალისტების აზრით, 18 ასეთ დირიჟაბლს შეუძლია დიდი ბრიტანეთის ინტერნეტმომხმარებელთა 87%-ის მომსახურება. თან ამისთვის არც გამოყოფილი ხაზი იქნება საჭირო და არც — მოდემი. საიმედო კავშირისთვის იაფფასიანი სპეციალური რადიომიმღებიც საკმარისია.

CMYK

# მედიცინა

## ჩაი ყველა დაავადებისგან დაგვიცავს

მეცნიერები სულ ახალ-ახალ სასარგებლო თვისებებს პოულობენ ჩაიში. თურმე, საკმარისია დღეში 3 ფინჯანი ჩაის მირთმევა, რომ გავამაგროთ ორგანიზმის დაცვითი ფუნქცია და დავიცვათ ის გაციებისგან, გრიპისა და ყველა ტიპის ინფექციისგან. ახლა კიდევ დაასკვნეს, რომ ჩაი ებრძვის ატიპურ პრევმონიას. ჰარვარდის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაიში აღმოაჩინეს ძალიან ფასეული ნივთიერება, რომელიც თურმე შესანიშნავად ებრძვის სიმსივნეს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დღეში 2 ფინჯანი ჩაი ამცირებს გულის დაავადების რისკს! ხოლო კატეხინი, რომელსაც ჩაი შეიცავს, არტერიას ელასტიკურობით უზრუნველყოფს.

*ჯენტი*

## რა ყოფილა ეს კოცნა?!



გერმანელმა ფსიქოლოგმა ონურ გუნტურკუნმა დაადგინა, რომ შეყვარებულთა უმრავლესობა, ასაკის მიუხედავად, კოცნის დროს თავს მარჯვნივ სწევს და მხოლოდ ერთეულები იხრებიან მარცხნივ.

საერთოდ, სექსოლოგები ამტკიცებენ, რომ 45 წელს გადაბიჯებული ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე ახალგაზრდებისა. ამ აზრისანი არიან ორივე სქესის წარმომადგენლები. ასაკის მატებასთან ერთად უფრო დავაფასეთ სექსიო, — ამტკიცებენ, ვინაიდან ამ დროს გამოიყოფა ძალზე საჭირო ჰორმონი, რომელიც საგრძნობლად აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას. აღმოჩნდა, რომ წლოვანება საერთოდ არ უშლის ხელს მგზნებარე სიყვარულს. ხნიერნი გაცილებით თავდაჯერებულად მოქმედებენ, ვიდრე დაბნეული მოზარდები. ბრიტანელი მანდილოსნების 63% იმასაც ამტკიცებს, რომ ახალგაზრდობაში თავისუფალ დროს წიგნის კითხვა და ტელევიზორის ყურება სჯობს, ხოლო შუახნის ასაკში — სექსი, რადგან აღარ აწუხებთ სახსრები, წნევა რეგულირდება, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და გაცილებით მხნედ გრძნობენ თავს. უნდა აღინიშნოს, რომ სექსში ისინი კოცნას გულისხმობენ, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობა მაინც...

*პარი მატჩი*

ვმკურნალობთ

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**




თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ლაბორატორია „დნმ — დიაგნოსტიკა“ გთავაზობთ:



36 37 95
899556197

სადავო მამობის დადგენას, მემკვიდრული დაავადებების, ფილტვების, სქესობრივი გზით გადამდები და სხვა ინფექციების (ქლამიდია, მიკოპლაზმა, ჰერპესი, ციტომეგალოვირუსი, პაპილომა ვირუსის, ტოქსოპლაზმა, გონორეა, ტრიქომონა და ა.შ.) ინფექციური მონონუკლეოზის, B და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკას გენური ინჟინერიის საფუძველზე შექმნილი დნმ (ДНК) დიაგნოსტიკის ულტრათანამედროვე - პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით. გამოკვლევები ტარდება ИПФ „Литех“ (რუსეთის) და „Maxim Biotech.Inc.“ (აშშ) ფირმების ტესტ-სისტემებით.

**ზუსტი დიაგნოზის 100%-იანი გარანტია**

ჩიქოვანის (ყოფ. ხილიანის) ქ.№ 14, (ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორია)

პირველად საქართველოში!

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ანონიმურობა დაცულია!**

**რა არის განცალკევებული კვება? გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია მისი პრინციპების შესახებ, როგორ დავიცვათ იგი.**

*ნ. ქათამაძე, ქ. ქუთაისი*

## როგორ უნდა ვიკვებოთ

საკვების შეთავსებადობის პრინციპი ჯერ კიდევ ძველ რომში, ცელსიუსის დროიდან იყო ცნობილი. სწორედ მან გამოყო პირველად პროდუქტების ისეთი დაჯგუფება, რომლებსაც საჭმლის მომნელებელი სისტემა ერთად ნაკლებად შეითვისებს.

ცნობილია, რომ თითოეული სახის საკვების მიღებისას გამომუშავდება განსხვავებული შემადგენლობისა და რაოდენობის საჭმლის მომნელებელი წვენი.

არსებობს საკვების მიღების შემდეგი წესი:

**1.** არასოდეს მიიღოთ კონცენტრირებული ცილა და კონცენტრირებული ნახშირწყალი ერთად, ანუ არ ჭამოთ ხორცი, კვერცხი, ყველი, კაკაო და სხვა ცილოვანი პროდუქტი ნამცხვართან და ტკბილ ხილთან ერთად. ერთ ჯერზე უნდა მიირთვათ კვერცხი, თევზი, რძე, ყველი და მეორე მიღებაზე — პური და ფაფა.

**2.** ნუ მიირთმევთ ერთად ცხიმსა და ცილას; არ მიიღოთ ხორცთან, კვერცხთან, ყველთან, კაკაოსთან ერთად არაჟანი და ნაღები. ცხიმი თრგუნავს კუჭის ჯირკვლების ფუნქციონირებას და აფერხებს კუჭის წვენის გამოყოფას.



**3.** არ ჭამოთ მჟავე ხილი ცილებთან ერთად. ფორთოხალი, ლიმონი, პომიდორი, ანანასი, ალუბალი, მჟავე ქლიავი და ვაშლი არ შეიძლება ხორცთან, კვერცხთან და თხილთან ერთად მიირთვათ.

**4.** არ მიიღოთ სახამებელი და შაქარი ერთად. ჟელე, ჯემი, კარაქიანი პური კარტოფილსა და ფაფებთან ერთად ნაწლავებში ლპება და ორგანიზმი იწამლება.

**5.** ერთ მიღებაზე მიირთვით ერთი სახის კონცენტრირებული სახამებლის შემცველი საკვები; თუკი ერთდროულად მიიღებთ ორი სახის სახამებელს, მაგ., კარტოფილს ან ფაფას პურთან ერთად, მხოლოდ ერთი სახის პროდუქტი მოინელება. ვითარდება სიმძიმის შეგრძნება, დისკომფორტი, ლპობის პროცესი, ბოყინი და სხვ.

**6.** არ ჭამოთ ნესვი სხვა რომელიმე საკვებთან ერთად.

**7.** რძე უმჯობესია ცალკე მიიღოთ ან საერთოდ არ მიიღოთ. რძე შეითვისება არა კუჭის, არამედ თორმეტგოჯა ნაწლავის საშუალებით.

წონის შესანარჩუნებლად დღეში უნდა მიიღოთ 1700-2000 კკალ.

*მაია მუხიგული*

## პატარა სამყარო ნაჭუჭში



უძველესი დროიდან ფილოსოფოსები დაუსრულებლად კამათობდნენ, თუ რა იყო სამყაროს საწყისი — კვერცხი თუ ქათამი... დღეისათვის ეს საკითხი ძალზე მარტივად არის გადაწყვეტილი, ზუსტად ცნობილია, რომ ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლოა კვერცხი და არა ქათამი.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კვერცხი ენერგიის უნიკალური წყაროა, ის შეიცავს ცილას, სასარგებლო ცხიმებს და ვიტამინებს. 100 გ ქათმის კვერცხში — 157 კკალორიაა, ამასთან, ბალანსირებული შემადგენლობით. იგი შეიცავს:

**მიკროელემენტებს** — ნაჭუჭი მდიდარია კალციუმით, რკინით, მანგანუმით, სპილენძით, ფოსფორით, ფტორით, გოგირდით.

**ქოლესტერინს** — ორგანიზმს აუცილებლად სჭირდება ეს ნივთიერება დღეში 250-300 მგ რაოდენობით. ერთი კვერცხი შეიცავს 70მგ ქოლესტერინს.

კვერცხი სამკურნალო დანიშნულებითაც გამოიყენება:

**ბრონქიტის** დროს — ღორის ქონში შეწვით 2 ცალი ახალი კვერცხი, გააგრილეთ და დაიფინეთ მკერდზე. დაიტოვეთ მთელი ღამის განმავლობაში.

**ართრიტის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის** დროს — მოამზადეთ სამკურნალო ბალზამი: 1ც მთლიანი უმი კვერცხი ჩადეთ ჭიქაში, დაასხით ძმრის ესენცია და 2 დღე გააჩერეთ (კვერცხი მთლიანად უნდა გაიხსნას). შემდეგ დაამატეთ 100 გ კარაქი, კარგად აურიეთ და შეინახეთ ცივ ადგილას. მალამო ფრთხილად წაისვით მტკივნეულ ადგილზე.

**გრიპის** დროს — 1/2 ჩ/ჭ არაყში ჩაახალეთ 1 ცალი უმი კვერცხი, დაამატეთ 1 ს/კ შაქარი, გულმოდგინედ ათქვიფეთ და ღამით დალიეთ.

*ლიზა-ჰოროსკოპი №4*

## გახდით მთის ჰაერით



ჩინელი პროფესორები გახდომის მსურველებს სთავაზობენ მაღალ მთაში 2-3 თვის გატარებას. პროფესორ ჩუერილის (პეკინის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი) დაკვირვების თანახმად, მთებში არსებული ჟანგბადის უკმარისობა ხელს უწყობს რამდენიმე კილოგრამის დაკარგვას. შარშან ჩუერილის ცენტრმა გამოიკვლია 1500 მუშა, რომლებიც რკინიგზას აგებდნენ ტიბეტის მთებში. ისინი 4 კილომეტრის სიმაღლეზე მუშაობდნენ და დაკარგეს წონის 10,2%, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იკვებებოდნენ.

პროფესორი ჩინეთის ხელისუფლებას სთავაზობს მაღალმთიან რაიონებში სანატორიუმების აშენებას გახდომის მსურველთათვის და ჰპირდება მომავალ პაციენტებს, რომ მათი ერთადერთი დიეტა იქნება მთის ჰაერის ღრმად სუნთქვა.

*ნიუ ზუიქი*

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვიღებ ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონულ აბებს. შეიძლება თუ არა ხანგრძლივად მისი მიღება და აუცილებელია თუ არა გარკვეული შესვენება?**

*პატივისცემით, მაიკო, 20 წლის*

პრეპარატის მიღებისას საჭიროა შესვენებები. გადაბმულად ასეთი პრეპარატის მიღება შეგიძლიათ 9 თვის განმავლობაში. შემდეგ კი უნდა შეისვენოთ 2-3 თვე მაინც, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამ პერიოდში მკვეთრად მატულობს ორსულობის ალბათობა.

**ჩემს 5 წლის გოგონას დაახლოებით ერთი წლის წინ თვალში აღმოაჩნდა სტაფილოკოკი უხვი ზრდით. ჩავუტარე მკურნალობის რამდენიმე კურსი (სტაფილოფაგი, ლევომიცეტინი, ტობრექსი, მალამოები — ჰიდროკორტიზონი და ტეტრაციკლინი). შემდეგი ანალიზის პასუხით აღინიშნებოდა სტაფილოკოკი ზომიერი ზრდით, მაგრამ ერთი თვის წინ დაეწყო სპაზმური ხველა დილით და ღამით. ანალიზით გაირკვა, რომ ყელშიც ჰქონია სტაფილოკოკი. ვუმკურნალე პიობაქტერიოფაგით, მაგრამ ხველა არ შეუწყდა. თვალიდანაც დაეწყო ჩირქდენა. კომპლექსური მკურნალობა ხომ არ არის საჭირო, განკურნებადია თუ არა და რამდენად გადამდებია ეს დაავადება?**

*ნათელა. თ*

ჩანს, რომ ბავშვს ესაჭიროება კომპლექსური გამოკვლევა დიაგნოზის დასაზუსტებლად. სტაფილოკოკი დაჩირქების გამომწვევი ბურთისებრი ფორმის მიკრობია, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია და ჯანმრთელ ადამიანშიც გვხვდება ხოლმე, მაგრამ ჩირქოვან ინფექციას იწვევს, როდესაც ორგანიზმის იმუნიტეტი დაქვეითებულია და სტაფილოკოკის გამრავლებისათვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზი კი შეიძლება მრავალგვარი იყოს. მაგალითად, ვირუსული ინფექციის დროს იფიტება იმუნური სისტემა და მეორადად აქტიურდება ჩირქოვანი ინფექციის გამომწვევი ბაქტერიები (ამას ვირუსული ინფექციის მეორად გართულებას უწოდებენ) და ვითარდება ფილტვების ანთება, ყურის ან ჰაიმორის ღრუს ანთება და ა.შ. ასევე ასუსტებს ორგანიზმს სხვადასხვა ქრონიკული დაავადებები თუ ინფექციები. შესაძლოა მათ ფონზე ჩირქოვანი ინფექცია იმდენად მოძლიერდეს, რომ ყველაზე მძიმე გართულება — სეფსისიც კი განვითარდეს. ამიტომ, როდესაც ადამიანს წლების განმავლობაში აქვს ქრონიკული ჩირქოვანი ინფექცია, მით უმეტეს, რომ სახეზეა სტაფილოკოკის ინტენსიური ზრდა თვალისა და ცხვირ-ხახის ლორწოვანზე და ანტიბიოტიკოთერაპია შედეგს არ იძლევა, საჭიროა ჩატარდეს დამატებითი კვლევა იმის დასადგენად, თუ რამ გამოიწვია ორგანიზმის დასუსტება, მკურნალობისას კი აუცილებელი იქნება ასევე კომპლექსური მიდგომა პრობლემისადმი. ანტიბიოტიკოთერაპიის გარდა, უნდა მოხდეს ორგანიზმის იმუნოსტიმულაცია და აგრეთვე იმ მიზეზებთან ბრძოლაა აუცილებელი, რომლებიც აღნიშნული ინფექციის გამომწვევი გახდა. სტაფილოკოკი ინფექციის გამომწვევი მიკრობია, მაგრამ იგი დაავადებას მხოლოდ მისთვის ხელსაყრელ პირობებში იწვევს. ამდენად, ეპიდემიური თვალსაზრისით სტაფილოკოკური ინფექცია განსაკუთრებით საშიში არ არის და ავადმყოფის იზოლაციას არ საჭიროებს. თუმცა გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვა მაინც საჭიროა.

გირჩევთ, მიმართოთ გამოცდილ პედიატრს, რომელიც ბავშვის ზოგადი ფიზიკური გამოკვლევის შემდეგ უფრო კონკრეტულ დასკვნას გააკეთებს და გამოკვლევისა და მკურნალობის კონკრეტულ გეგმასაც შემოგთავაზებთ.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

**კატარი**

## „ალ-ჯაზირამ“ დამოუკიდებლობა დაკარგა

არაბულ ტელეკომპანიათა შორის თითქოს ყველაზე თავისუფალი — კატარის „ალ-ჯაზირაა“, მაგრამ მასაც თითი დაუქნიეს — შენს თავისუფლებასაც აქვს საზღვარიო. ყოველ შემთხვევაში, კომენტატორებმა ამგვარად შეაფასეს გენერალური დირექტორის, მოჰამედ ალ-ალის დათხოვ-



ნა. იგი შექმნის დღიდან — 1996 წლიდან — ხელმძღვანელობდა ტელეარხს. მას ხშირად ადანაშაულებდნენ ტერორისტების ხელშეწყობაში. ბინ ლადენის გამოსვლების ჩანაწერების ჩვენებამ „ალ-ჯაზირა“ ყველაზე პოპულარულ ტელეარხად აქცია.

ბოლო დროს ამერიკისა და ევროპის გაზეთები ალ-ალის ამხელენ სადამ ჰუსეინის რეჟიმთან კავშირსა და მისთვის გაწეული სამსახურისათვის ქრთამის აღებაში. ოფიციალურად სწორედ ეს გახდა ალ-ალის დათხოვნის მიზეზი, რომელსაც კარგა ხანია ამერიკელთა მითითებით ეძებდა კატარის ხელისუფლება.

*იტოგი №22*

**ერაყი**

## გაერო ერაყში შეშვებს




ბაღდადში ჩავიდა გაეროს საგანგებო წარმომადგენელი ერაყის საკითხებში, ბრაზილიელი დიპლომატი სერჟიუ ვიერა დი მელიუ. იგი ოთხ თვეს დაყოფს ერაყში. უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციის თანახმად, დი მელიუს ევალება აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ერაყის კანონიერი მთავრობის შესაქმნელად.

ამერიკის წარმომადგენლები ერაყში აცხადებენ, რომ ნაციონალური კონფერენციის მოწვევის იდეა შეიძლება 25-30 ადამიანისაგან შემდგარმა პოლიტიკურმა საბჭომ შეცვალოს, რომელიც ერაყის მოსახლეობის განსხვავებული ინტერესების გამომხატველი იქნება.

ერაყის მოსახლეობას უჭირს საერთო ენის გამონახვა „განმათავისუფლებლებთან“. ბაღდადში პიკეტებს მართავენ ყოფილი სამხედროები, რომლებიც სადამის ჯარის დათხოვნას აპროტესტებენ. ფაქტობრივად, მონარქისტებიდან დაწყებული, კომუნისტებით დამთავრებული, ოკუპანტებს ყველა აკრიტიკებს. ქურთთა დემოკრატიული პარტიის ლიდერმა მასუდ ბარზანიმ საერთოდ შეწყვიტა მოლაპარაკება ამერიკელებთან და ერაყის ქურთისტანში დაბრუნდა. ერთ-ერთი დამკვირვებლის თქმით, ოკუპანტებსა და ადგილობრივებს შორის სადავოდ იქცა ერაყის სახელმწიფო მოწყობის საკითხი. თითქმის გაირკვა, რომ ერაყი ფედერაციული იქნება, მაგრამ გაურკვეველია ამ ფედერაციაში შემავალი სუბიექტების ურთიერთობის საკითხი. თავიდათავი კი მაინც ის არის, რომ ერაყის ქურთისტანის საზღვრები არ ემთხვევა სადამის მიერ შექმნილ ქურთთა ავტონომიის საზღვრებს, რაც, რა თქმა უნდა, დიდი შეხლა-შემოხლის მიზეზი გახდება.

*ნეზავისიმაია №109*

# დიდი „რვიანი“ ევიანში



ერაყის ომმა დიდი რვიანი შუაზე გახლიჩა. ომი დამთავრდა, მაგრამ „ერაყის სინდრომს“ თავი მაინც ვერ დააღწიეს. ამან აიძულა საფრანგეთში შეკრებილი „რვიანი“ ეთამაშა ის, რაც აღარ არსებობს ლიდერთა ურთიერთობაში — ერთიანობა.

თითქმის 30 წლის განმავლობაში „ექვსეული“, „შვიდეული“, მერე „რვიანი“ — იყო მსოფლიო ლიდერთა არაფორმალური სამიტი, რომელმაც უერთგულა მისი დამაარსებლის, საფრანგეთის პრეზიდენტის, ვალერი ჟისკარ დ`ესტენის იდეებს.

1975 წელს, ნავთობის მსოფლიო კრიზისის დროს, ელისეს სასახლის მაშინდელმა პატრონმა თავისი კოლეგები — წამყვანი სახელმწიფოების მეთაურები — პარიზის მახლობლად, რამბუიეს კოშკში მიიწვია შინაურულ სიტუაციაში, ლიდერებმა გაცილებით მალე იპოვეს საერთო ენა. ეს შეხვედრები ტრადიციად იქცა. წელიწადში ერთხელ, ზაფხულის დამდეგს, მსოფლიოს ყველაზე ელიტარული კლუბის წევრები კვლავ პროტოკოლის გარეშე იკრიბებიან.

წლეულს დიდი „რვიანი“ საფრანგეთის კურორტ ევიანში შეიკრიბა. სახელმწიფოს მეთაურები ჟენევის აეროპორტში ჩაფრინდნენ, რადგან ევიანი მასთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე პარიზის აეროპორტი.

სხდომაზე, რომელსაც „რვიანის“ გარდა კიდევ 12 ქვეყნისა და 5 საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ესწრებოდა, შირაკმა თქვა, — აღტაცებული ვარ იმ მიღებით, რომელიც სულ ახლახან პეტერბურგში მოგვიწყვეს.

პეტერბურგისგან განსხვავებით, ევიანში ყველა ლიდერი ერთ სასტუმროში დაასახლეს. იგი 1909 წელსაა აგებული, ნომერი დღე-ღამეში 1300-დან 2400 ევრომდე ღირს.

„რვიანის“ ისტორიაში ამ შეხვედრაზე პირველად მიიწვიეს ჩინეთის, ინდოეთის, მექსიკის და ბრაზილიის წარმომადგენლები. სხდომებზე განიხილეს ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, საერთაშორისო ურთიერთობები, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები.

*იზვესტია №96*

# ერევანი და ანკარა დაივიწყებენ წარსულს?



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, აბდულა გიულემისა და მისი სომეხი კოლეგის ვარდან აქსანიანის დაუგეგმავმა შეხვედრამ სომხეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ალაპარაკდნენ იმაზე, რომ შესაძლოა ორი ქვეყანა, რომელნიც თითქმის 100 წელია მტრობენ ერთმანეთს, დასაახლოებლად ნაბიჯებს დგამენ.

1915-1922 წლებში, აღმოსავლეთ თურქეთში სომხების ამოწყვეტის შემდეგ, ორ ხალხს შორის უნდობლობა გამეფდა. სომხეთი ირწმუნება, რომ ეს იყო გენოციდი, რამაც მილიონ-ნახევარი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სომხეთის აზრით, თანამედროვე თურქეთმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ოსმანთა იმპერიის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მონანიების გარეშე ორი ქვეყნის ურთიერთობა ვერ მოწესრიგდება, — ირწმუნებიან სომხები. საპასუხოდ, თურქი ისტორიკოსები აცხადებენ, — სომხები მართლაც განწყვიტეს, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რამდენსაც ასახელებენ. თანაც ეს ხელისუფლების მითითებით არ მომხდარა. თურქი და ქურთი გლეხები გაუმკლავდნენ სომხებს, რომლებიც გაუთავებლად ესხმოდნენ თავს მათ სოფლებს და ძარცვავდნენო.

გასაკვირი არ არის, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო წარმოქმნილ კონფლიქტში თურქეთი ეთნიკურად ახლობელ აზერბაიჯანელებს ემხრობა. ანკარა ითხოვს — ერევანთან მოლაპარაკებას მანამ არ დავიწყებ, ვიდრე სომხეთის ჯარი არ დატოვებს მის მიერ 90-იან წლებში ოკუპირებულ აზერბაიჯანის ტერიტორიასო. ორივე ქვეყნის დაახლოების მცდელობას ჯერჯერობით, შედეგი არ მოჰყოლია. თურქეთი ცდილობს, აშშ-ის დახმარებით თავისი გავლენა მთელ კავკასიაზე გაავრცელოს. ამ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია ნავთობსადენი ბაქო-ჯეიჰანი. მაგრამ ვიდრე გრძელდება კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, სტრატეგიამ შესაძლოა ნაყოფი ვერ გამოიღოს. მრავალწლიანი უნდობლობის აღმოსაფხვრელად, ერევანმა და ანკარამ ფრთხილი ნაბიჯები უნდა გადადგან.

*ბი-ბი-სი*

# შარონმა ისრაელელთა მიერ პალესტინის მიწების დაკავებას ოკუპაცია უწოდა



„საგზაო რუკის“ მიღებით აღშფოთებული „ლიკუდის“ ფუნქციონერების წინაშე გამოსულმა არიელ შარონმა წარმოთქვა ფრაზა, რომელიც უეჭველად შევა ისტორიაში. „შესაძლოა ტერმინი არ მოგვწონდეს, მაგრამ ეს ნამდვილი ოკუპაციაა“. ამ ფრაზამ გააოგნა ისრაელელებიც და პალესტინელებიც. აქამდე ეს სიტყვა არავის და არასოდეს უთქვამს ისრაელის მხრიდან პალესტინის მისამართით.

ისრაელელი პოლიტიკოსები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, მსჯელობენ იმაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს შარონის პოზიციის ასეთი მკვეთრი შეცვლა. ერთი ვერსიით, შარონმა, რომელსაც ანტიარაბული შეხედულებების გამო „ბულდოზერი“ შეარქვეს, ახლა დიდი მშვიდობის მტრედის სახელით მოინდომა ისტორიაში შესვლა. სხვათა აზრით, შესაძლოა იფიქრა, — სულ კრიჭაში ხომ არ უნდა ვედგე ამერიკელებსო. მით უმეტეს, რომ გულის სიღრმეში დარწმუნებულია — ისრაელელებს არ მოუწევთ პალესტინის დატოვება, რადგან პალესტინელები თავად დაარღვევენ მშვიდობას. თუ ეს ასე მოხდა, შარონს ველარავინ დაადანაშაულებს და სწორედ ეს გახდება პალესტინელთა დამარცხების მიზეზი. ერთ-ერთმა ცნობილმა ისრაელელმა პოლიტიკოსმა ხაზგასმით აღნიშნა: „შარონმა ერთხელ კიდევ გვაჩვენა პოლიტიკური ოსტატობა. მან მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა — ოკუპაცია. ამის შემდეგ უკვე პალესტინელებს მოუწევთ იმის დამტკიცება, რომ მშვიდობისთვის იღვწიან“.

*ვლასტი №21*

## მოკლედ

**ბრიტანეთის** დედოფალმა პირველად მიიწვია პრინც ჩარლზის მეგობარი, კამილა პარკერ-ბოულზი უინძორების ოჯახის წევრებთან ერთად ვესტმინსტერის სააბატოში საზეიმო წირვაზე, რომელიც ელისაბედ -ის კორონაციის 50-ე წლისთავს ეძღვნება. ეს მიწვევა დედოფალსა და მის შესაძლო რძალს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მაჩვენებელია.

**ნიუ-იორკელ** ხელოვნებათმცოდნეს უილიამ ჰეილს სარესტავრაციოდ მიჰქონდა რამდენიმე ნახატი, მათ შორის პიკასოს ნამუშევარიც. ტყავის საქაღალდეში ჩაწყობილი ნახატები ჰეილს მეტროს სადგურში დარჩა. შარშან პიკასოს „შიშველი ქალი“ კრისტის აუქციონზე 23,9 მლნ დოლარად გაიყიდა. ალბათ არც დაკარგული ნახატი ეღირება იაფი.

**კორეის** სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ფხენიანში ამერიკელ კონგრესმენებთან შეხვედრისას განაცხადეს — ჩრდილოეთ კორეას ბირთვული იარაღიც აქვს და ახალი ტიპის შექმნაც შეუძლიაო.

**იტალიის** პარლამენტის ზედა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც სამართლებრივი ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს ქვეყნის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის და მთავრობის კიდევ 5 მაღალჩინოსანს.

**ინდოეთში** საშინელი პაპანაქებაა. ანდჰრა-მრედეში სიცხისაგან უკვე ათასამდე ადამიანი დაიღუპა. ზოგიერთ რაიონში თერმომეტრი 50 გრადუსს უჩვენებს. დაშრა ჭები და წყალსატევები.

**ევროპის** ზოგიერთ ქვეყანაში დაიწყო მასობრივი გაფიცვები. აღმოსავლეთ გერმანიის მუშებს არ სურთ იმუშაონ დასავლელ კოლეგებზე მეტი. საფრანგეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები აცხადებენ — ჩვენ კერძო კომპანიების მუშაკებზე ადრე უნდა მივიღოთ პენსიაო. არ დაფრინავენ თვითმფრინავები, არ დადიან მატარებლები, მასწავლებლები არ ატარებენ გაკვეთილებს. ყველას ახსოვს, რომ რვა წლის წინ გაფიცვებს ზოგან მთავრობის გადადგომა მოჰყვა.

**ლოს-ანჯელესის** მჭიდროდ დასახლებულ ჰოლივუდის რაიონში, სამსართულიან სახლს პატარა, ერთმოტორიანი თვითმფრინავი დაეცა. დაიღუპა პილოტი და კიდევ ერთი ადამიანი, 8 დასახიჩრდა. თვითმფრინავი სანტა-მონიკას აეროპორტიდან აფრინდა. შენობაში, რომელსაც ის დაეცა, 14 მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხოვრობს. ლოს-ანჯელესელი მეხანძრეები ამბობენ, — სასწაული მოხდა, რომ ასეთი მცირე მსხვერპლი იყოო.

**აშშ**-ში მალე დაიწყებენ ტელეფილმის გადაღებას აშშ-ის ყოფილ პირველ ლედიზე — ჰილარი კლინტონზე. სცენარი თავისი წიგნის „ჰილარის არჩევანის“ მიხედვით დაწერა ცნობილმა ჟურნალისტმა ჰეილ შიხიმ. ჰილარის როლზე მიწვეულია შარონ სტოუნი.

**ავღანეთის** სამხრეთ პროვინციაში მთავრობის ჯარის ნაწილებსა და თალიბთა შეტაკებას 47 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, ვინ ხელმძღვანელობდა თალიბებს, რადგან 3-საათიან ბრძოლაში შეტაკების მონაწილე ორმოცივე თალიბი დაიღუპა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*



# საკუთრების პრეტენზია მხოლოდ იმაზე შეიძლება გამოთქვა, რასაც თვითონ აწარმოებ

***ჩვენი მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება იმ ადამიანის აზრი, რომელიც დიდი ხანია ამერიკაში ცხოვრობს და რომლისთვისაც ამერიკული მენტალიტეტი ისეთივე ახლოა და მშობლიური, როგორიც ქართული.***

***როგორია საქართველო განვითარებული, სუპერსახელმწიფოს გადმოსახედიდან — ამ თემაზე ვესაუბრებით ამერიკაში ქართული სათვისტომოს დირექტორატის წევრს, რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორს, ასოციაცია „კვალის" დამფუძნებელს შოთა ვაშაკიძეს:***



**— როგორი ჩანს საქართველო დასავლეთიდან. როგორ აღიქვამენ ამერიკაში ჩვენს ქვეყანას?**

— სამწუხაროდ, მიზეზთა გამო ჩვენ საერთაშორისო არენაზე ეროვნული სახე დავკარგეთ. ქართველები, ძირითადად, საკუთარი თავის გარეგნულ მხარეზე ვმუშაობთ, რაც არასწორია, — გარეგნული ფაქტორით დიდხანს ვერავის მოატყუებ.

გაიხსენეთ გასული საუკუნის დასაწყისი და შემოდგომის აზნაურები, მათი ამპარტავნობა, წამხედურობა, სიზარმაცე... საქართველოში კაპიტალიზმმა ვერ მოიკიდა ფეხი. რატომ იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისი ინტერნაციონალური ქალაქი? იმიტომ, რომ მრეწველობასა და ეკონომიკას უმეტესად არაქართული მოსახლეობა წარმართავდა. ჩვენი გასაკეთებელი სხვას გადავაბარეთ და ყოველივე ამას ქართული კაცთმოყვარეობის ინტერპრეტაცია მივეცით. ეს თვისებები ახლაც ღრმად არის ჩვენში გამჯდარი. არადა, დემოკრატიული, კაპიტალისტური წყობა მეტად დაუნდობელი და მომთხოვნია ეროვნული თვისებებისადმი. პრაგმატულობა, შრომისუნარიანობა და შრომისმოყვარეობა, დაგეგმვისა და განხორციელების მაღალი კულტურა, შრომითი და ფინანსური დისციპლინა და შრომის ხარისხი — ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ თვისებებისა, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრავს და განაპირობებს ეკონომიკის განვითარებას. საქართველო პატარა ქვეყანაა, დასავლეთის ეკონომიკური დახმარება და გავლენა ძალზე დიდია, მოსახლეობის დიდი ნაწილი უცხოეთში საქმიანობს. საჭიროა ამ გარემოებების სწორი გამოყენება.

**დღეს მთელი ერი მთავრობის ჯიბეში იყურება. მთავრობაც უხმოდ იღებს ამ არაკორექტულ პრეტენზიებს და თავის ფუნქციას არ განუმარტავს ხალხს.**

**— იდეოლოგიური კრიზისი რომ სახეზეა, სადავო აღარ არის, თუმცა ჩვენში სულიერ დეგრადაციას მატერიალური კრიზისით ხსნიან. როგორ აფასებთ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას?**

— ხომ გაგიგიათ ასეთი ტერმინი — „შრომითი თერაპია". ეს მარტო ფიზიკურ, ხორციელ მხარეს არ შეეხება. უმუშევრობა და უმოქმედობა უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს ფსიქოლოგიაზე. ყველა ადამიანს, მეტნაკლებად, აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება რაღაცის შექმნისა. თუმცა ხშირად არ იცის, როგორ დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება. ამისთვის არის საჭირო სწორი ეკონომიკური მოდელი და სისტემა, რომელიც საქართველოში არ არსებობს და რომლის შექმნა არცთუ ისე იოლია იმ საწყისი პირობებიდან გამომდინარე, საიდანაც ჩვენ დავიწყეთ დამოუკიდებელი საქართველოს შენება სულ რაღაც 10 წლის წინ. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ხნის მანძილზე ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით და გამოსწორების ნაცვლად, მკვეთრად გავიუარესეთ მდგომარეობა. ამაში დიდი როლი ჩვენმა გამოუცდელობამ და არაადეკვატურმა ფსიქოლოგიამ ითამაშა. შედეგად, მთლიანად დაირღვა მორალური და ეთიკური ნორმები და გამეფდა განუკითხაობა. ჩვენ დაუკვირვებლად გავითავისეთ ისეთი ეგოისტური ნორმები, როგორიცაა: „მთავარია, ყველა საშუალებით თავს ვუშველოთ", „სახელმწიფო ჩემზე არ ზრუნავს და მე უნდა მივხედო ჩემს თავს", „არაფრის კეთებას აზრი არა აქვს, მაინც არაფერი გამოვა" და სხვა. ყველა ამ ნორმას ერთი რამ აქვს საერთო — გამოირიცხება თანამშრომლობა და თანადგომა, აზრი ეკარგება შრომას, მის გარეშე კი ეკონომიკას ვერ ააღორძინებ. ასე შედგა ფარული ალიანსი იდეოლოგიასა და ეკონომიკას შორის, რომლის დარღვევა საქართველოში ახლა დიდ პრობლემას წარმოადგენს, თუმცა მისი გადაჭრა შეუძლებლად არ მიმაჩნია. იდეოლოგიური კრიზისის გამწვავებაში მასმედიასაც საკმაო წვლილი მიუძღვის. საქართველოს ახლა სჭირდება გაერთიანება და საერთო ძალებით კრიზისიდან თავის გაღწევის გზების ძიება. ამის ნაცვლად კი ტელევიზია, რადიო და პრესა, ძირითადად, სკანდალური დაპირისპირებებით, პოლიტიკოსების მდაბიო და დამამცირებელი კინკლაობით, ჩხუბითა და მათ შორის მტრობის გაღვივებით იქცევს თავს. ქართველები გულფიცხი ხალხი ვართ და საჩხუბრად ჩვენს გამოწვევას დიდი პროფესიონალიზმი და ცოდნა არ სჭირდება. როდესაც რამდენიმე ჟურნალისტს შევჩივლე ქართულ მასმედიაში ამ ტენდენციების არსებობის შესახებ, მათგან საკმაოდ პრიმიტიული პასუხი მივიღე — ხალხს ეს აინტერესებს და ჩვენ რა ვქნათო. სამართლიანად შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს ამ ნათქვამის სისწორეში: ჯერ ერთი, არა მგონია, ქართველებს მხოლოდ უსაგნო კინკლაობა მოსწონდეთ და მეორეც, გაუგებარია, რატომ უნდა მისდევდეს ჟურნალისტიკა ხალხის მოთხოვნებს უკან?! ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველ მაყურებელს, მსმენელსა თუ მკითხველს მონატრებული აქვს მაღალი დონის ანალიზური და პუბლიცისტური ნარკვევები, რომლებიც განმარტავენ, ახსნიან და შეამსუბუქებენ იმ გაურკვევლობასა და ნიჰილიზმს, რომელიც დღეს ქართულ საზოგადოებას დაუფლებია. და მაინც, ჩემი აზრით, ყველაფრის საფუძველი, თავი და ბოლო, ისევ და ისევ ეკონომიკაში უნდა ვეძებოთ. საქართველოში კი, სამწუხაროდ, ძირითადი აქცენტი რატომღაც ყოველთვის პოლიტიკაზე კეთდება. საქართველოს, ეკონომიკური თვალსაზრისით, დღეს არც აქვს უფლება, სახელმწიფოდ იწოდებოდეს. ქვეყნის სახელმწიფოდ მოხსენიების უფლებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

**საქართველოს, ეკონომიკური თვალსაზრისით, დღეს არც აქვს უფლება, სახელმწიფოდ იწოდებოდეს.**

**— კონკრეტულად?**

— სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა შექმნას ეკონომიკურად ჩაკეტილი სისტემა, რომელიც საარსებო პირობებს შეუქმნის მოსახლეობას. ისტორიულად, სახელმწიფო წარმატებით ვითარდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფოებრივი ინტერესები ემთხვეოდა მოსახლეობის პირად ინტერესებს. დღევანდელ საქართველოში კი აშკარად შეიმჩნევა კონფლიქტი პირადულ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის.

ყველაზე მეტად თვალს ის ფაქტი გჭრის, რომ მთელი ერი დღეს მომხმარებელია — ყველა რაღაცას შოულობს. ის იმას ნიშნავს, პრიორიტეტი ენიჭება გადანაწილებასა და არა წარმოებას, ხოლო გადანაწილება თავისთავად წარმოშობს კორუფციას, შურსა და დაპირისპირებას. სახელმწიფოში მოხმარება უნდა უდრიდეს მიწოდებას, ანუ წარმოებას. საქართველოში კი ეს განტოლება დარღვეულია.

თუ ჩვენ კორუფციასთან ბრძოლა ნამდვილად გვინდა, აუცილებლად უნდა მოიძებნოს ალტერნატიული გზები. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ საკუთრების პრეტენზია მხოლოდ იმაზე შეიძლება გამოთქვან, რასაც თვითონ აწარმოებენ. მთავრობის დახმარების იმედად ყოფნა, არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ არის მიღებული. ჩვენი კომუნისტური ფსიქიკის გამო, დღეს მთელი ერი მთავრობის ჯიბეში იყურება და ჰგონია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არის ის წყარო, საიდანაც ყველა უნდა იღებდეს შემოსავალს. აბსოლუტურად გაუგებარია ისიც, რომ მთავრობაც უხმოდ იღებს ამ არაკორექტულ პრეტენზიებს და თავის ფუნქციას არ განუმარტავს ხალხს.

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ ყველაფრის გასაანალიზებლად საზოგადოება მზად არ არის?**

— ამ ყველაფერს სჭირდება ახსნა და, სწორად ახსნის შემთხვევაში, გაგება გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენს. სამწუხარო ფაქტია, რომ ხალხის მასას არა აქვს ელემენტარული ეკონომიკური ცოდნა. უცხოეთში ამ ცოდნას ადამიანი ბავშვობიდან იძენს სკოლაში, ოჯახში, სამსახურში, პრესითა თუ ტელევიზიით. საქართველოში კი სათანადო გარემო არ არის. საბჭოთა სისტემის დროს ასეთი ცოდნა არ იყო საჭირო, მისი დაშლის შემდეგ კი არავის მოსვლია აზრად, რომ აუცილებელია ხალხის გათვითცნობიერება ეკონომიკასა და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებში. ამის გაკეთება კი მასმედიის გარეშე შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ერთი-ორი საგაზეთო სტატიით ვერ გაუმჯობესდება მკვეთრად მდგომარეობა. სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა და მექანიკის განმარტება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს დიდ პროფესიონალიზმს, ცოდნასა და გამოცდილებას. მაგალითისთვის მოვიყვან სახელმწიფოში ისეთ ფინანსურ დაწესებულებებსა და ინსტრუმენტებს, როგორიცაა: საბანკო სისტემა და მისი ფუნქციების მრავალსახეობები (მაგალითად — საანაბრო, საინვესტიციო, საკრედიტო), სადაზღვევო სისტემა — მისი არსი და მექანიკა, გრანტები, საპენსიო სისტემა, საგადასახადო სისტემა და მისი ძირითადი ფუნქცია. ამ სისტემების გამართვის გარეშე წარმოუდგენელია განვითარებული ქვეყნის არსებობა. საქართველოში კი არც ერთი მათგანი არ მუშაობს და არ ასრულებს თავის ფუნქციას. ამისი მთავარი მიზეზი არის ხალხის მასის მეტად დაბალი განათლება ფინანსურ საკითხებში, რაშიც ძნელია თავად ხალხი დაადანაშაულო. საქართველოში ალბათ მოიძებნება რამდენიმე ეკონომისტი, რომლებიც გასაგებად, მარტივად აუხსნიან და განუმარტავენ ხალხს ამ საკითხებს.

ამ სფეროში განათლების მიღება თვითონ ხალხის ინტერესებში შედის. ალბათ გახსოვთ რამდენიმე წლის წინანდელი საბანკო სკანდალები საქართველოში, როდესაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ანაბრებზე შეტანილი თანხები დაკარგა. ძნელია სხვა დაადანაშაულო, როდესაც თვითონ ვერ ხვდები, რამდენად არარეალურია 10-15% თვიური შემოსავალი, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც წარმოება არ მუშაობს და შრომის ნაყოფიერება მეტად დაბალია. იოლად გამდიდრების ცდუნება დიდია, მაგრამ ასევე ცხადია მისი ილუზორობა და თუ ილუზიებს იწამებ, აუცილებლად დაისჯები.

ამის ძირითადი მიზეზი ისევ ჩვენი მომხმარებლური ფსიქოლოგიაა, რომელიც ვერა და ვერ შეეჯერდა მწარმოებლური მენტალიტეტით. ყველა ითხოვს იქიდან გამომდინარე, რომ მას ეს საარსებოდ სჭირდება და არა იმიტომ, რომ გამოიმუშავა. 60-70-იან წლებში ყველა მოსწავლემ იცოდა, რით განსხვავდებოდა სოციალიზმი კომუნიზმისგან. ეს განსხვავება მეტად მარტივი ფორმულით ხასიათდებოდა: სოციალიზმის დროს დოვლათის გადანაწილება ხდებოდა გამომუშავების მიხედვით, კომუნიზმის დროს უნდა მომხდარიყო მოთხოვნილების მიხედვით. ახლა ყველა გეტყვით, რომ კომუნიზმი უტოპია იყო, მაგრამ ცოტას თუ აქვს გათავისებული, რამდენად მოიკიდა ფეხი ჩვენს მენტალიტეტში კომუნისტურმა ფსიქოლოგიამ. ამით ვიღაც აუცილებლად მოითბობს ხელს თავის სასარგებლოდ და ხალხის საზიანოდ. ჩვენ ხომ ჭეშმარიტად ეკონომიკური პარადოქსების ქვეყანა ვართ, რომლის ახსნა და განმარტება აუცილებელიცაა და შესაძლებელიც.

**ენერგიისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება დაუშვებელია და ამისთვის ვისჯებით კიდევაც...**

**— არსებობს თუ არა რაიმე გამოსავალი?**

— გამოსავალი არსებობს. ჩვენი არასწორი და დოგმატური ხედვა რადიკალურადაა შესაცვლელი, რაც ერთბაშად არ მოხდება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმის გათავისება, რომ დღევანდელი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა ყველას საზრუნავია და ამ მიზნით უნდა გაერთიანდეს ერი. ქართველებმა შევძელით 1989 წლის აპრილში გაერთიანება და ახლაც უნდა შევძლოთ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. გათითოკაცებულნი ჩვენს პრობლემებს ვერ მოვუვლით.

თუმცა, ისიც უნდა გვესმოდეს, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება და საერთო პრობლემის, კრიზისის დასაძლევად გაერთიანება სხვადასხვა აზროვნებასა და კულტურას მოითხოვს. ამ მხრივ ამერიკის მაგალითია მეტად საყურადღებო და ჩვენთვის მისაბაძი — კრიტიკულ სიტუაციებში ამერიკელები ერთ მუჭად იკვრებიან და შესაშურ ერთიანობასა და თანადგომას ავლენენ, რაც მაღალი კულტურის მაჩვენებელია.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენთვის მეტად მწვავე — ენერგეტიკის თემა. ამერიკაში სამოცდაათიანი წლების კრიზისის დროს პრობლემის გადასაჭრელად მთელი ერი დაირაზმა. გადაისინჯა მთელი მრეწველობის ნორმები და, აქედან მოყოლებული, ენერგიის დაზოგვა გახდა ყველას საზრუნავი. ამერიკის ეკონომიკის აყვავების ყველაზე ხანგრძლივ ფაზაში — ოთხმოცდაათიან წლებშიც კი, როდესაც ენერგომატარებლებზე ფასი ძალიან დაბალი იყო, ამ პრობლემისადმი ყურადღება არ მოდუნებულა. ავტომანქანა თუ მაცივარი, წყლის გამაცხელებელი თუ საჭმლის პროცესორი — ყველაფერი, რაც ენერგიას მოითხოვს, ხასიათდება მისი მოხმარების ეფექტურობით და ამას ყველა დიდ ყურადღებას აქცევს. ამ დროს გამოჩნდა სენსორიანი ჩამრთველები, რომლებიც შუქს ავტომატურად რთავენ, თუ ოთახში არავინ არ იმყოფება; განვითარდა განათების ახალი ტექნოლოგიები.

გადავხედოთ, რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში. ნაცვლად იმისა, რომ ენერგია ყაირათიანად დავხარჯოთ, ვცდილობთ, რამენაირად მოვიპაროთ და შემდეგ დაუდევრად ვხარჯოთ. ასეთი დამოკიდებულებით საქართველოში ენერგეტიკის პრობლემა არასოდეს მოგვარდება და არც გვაქვს უფლება, ამის პრეტენზია გვქონდეს. ენერგიისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება დაუშვებელია და ამისთვის ვისჯებით კიდევაც, თუმცა, ხშირად თავი დამნაშავედ არ მიგვაჩნია.

ენერგეტიკა ის სფეროა, რომელშიც სახელმწიფოს, წარმოებისა და ხალხის თანამშრომლობა აუცილებელია. მაგრამ ამისთვის საჭიროა სწორი პროგრამის ჩამოყალიბება და დიალოგის სწორად წარმართვა. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ენერგიის ეკონომიკური მოხმარების მეთოდებისა და ფორმების ჩამოყალიბებას და მათ გატარებას მომხმარებლის დონეზე. რამდენადაც უპერსპექტივო არ უნდა მოგვეჩვენოთ ეს მიდგომა, უნდა გვესმოდეს, რომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სამოცდაათიან წლებში ამერიკაში, პირველი, რაც ხალხს აუხსნეს, იყო ის, რომ სახლებში სწორი თბოიზოლაციის ნორმების გამოყენების შემთხვევაში, სახლის გასათბობად სამჯერ ნაკლები ენერგია იხარჯება. ამისათვის კი საჭიროა საამშენებლო ინდუსტრიის განვითარება, რაც ეკონომიკურად გაცილებით უფრო მომგებიანია, ვიდრე ენერგიის შეძენაზე დოტაციური თანხების გაღება.

იმედისმომცემია ის ფაქტი, რომ ბევრი რამ უკვე ცხადი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. შეცდომებზე ვსწავლობთ, ახლა მთავარია მონდომება არ დავაკლოთ და რაც შეიძლება მეტი სწორი დასკვნა გავაკეთოთ. შეცდომის აღიარება და მისი გამოსწორების მცდელობაც შინაგანი ძალისა და კულტურის მაჩვენებელია. მე მჯერა, რომ ამ თვისებების მატარებლები ვართ.

***პავლე წერეთელი***

მეტალოპლასტმასის და ალუმინის
ფირმა „სხივი" კარ-ფანჯარა, ვიტრაჟი
სწრაფად და იაფად
ადგილზე მიტანით და მონტაჟით
ფერები სხვადასხვა
მის: გამსახურდიას 28
☎ 38-17-40; 72-05-72;
53-55-94; 899-97-51-10

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის UAB „Bilijardai" ექსკლუზიური წარმომადგენელი
ბილიარდის მაგიდები აქსესუარები
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

შპს „გეოკორი" აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

„ტონზტრონის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

# ცხოვრებისეული კურიოზები

## მშობელთა კრება... ჯახურად



კახეთის ერთ-ერთი სკოლის X კლასის მოსწავლეებს დამრიგებელმა ერთი კვირით ადრე გამოგვიცხადა: — ამა და ამ დღეს მშობელთა კრება გვექნება და ყველა მშობლის დასწრება სავალდებულოა, დირექტორი დაგვესწრებაო (დირექტორი უცოლშვილო კაცი იყო).

კლასში ერთი ტანმორჩილი, წყნარი, უპრეტენზიო ბიჭი გვყავდა, სულ უკანა მერხზე იჯდა ხოლმე ჩუმად. მისი მშობელი არასოდეს მოდიოდა კრებაზე. ეს ბიჭი კატეგორიულად გააფრთხილეს.

დანიშნულ დღეს მართლაც ჩატარდა კრება, მაგრამ ამ ბავშვის მშობლის გარეშე.

მეორე დღეს, დილით ადრე შემოდის კლასის დამრიგებელი დირექტორთან ერთად.

— ბაცანაძე, ადექი! — გამოსცრა დირექტორმა. — რა მიზეზით არ მოვიდა შენი მშობელი კრებაზე?

— ?!

კვლავ გაუმეორა, კვლავ დუმილი.

— აღარ იტყვი, ბაცანაძე? — ხმას აუწია დირექტორმა.

— იწვნენ და ხო არ გავაღვიძებდი... — ამოიკნავლა ბაცანაძემ.

დგას გაოგნებული დირექტორი. კლასში ისეთი სიჩუმეა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებ. მონუსხულები მივჩერებივართ დირექტორს.

მერე კი იფეთქა, მაგრამ რა იფეთქა:

— შე „რაზბონიკო“, შენი მშობლები იქა სიამოვნებენ და მე ნერვებს მიშლი აქა!?

***ნინო ცერცვაძე, გურჯაანის რაიონი, სოფელი კაჭრეთი***

## დიალოგი „დეზერტირების“ ბაზარში



ჭაღარა მანდილოსანი ყიდის მარწყვს. მას უახლოვდება 80-ს მიტანებული მოხუცი მამაკაცი.

— რას აფასებთ?

— ერთ ლარს.

— მომეცით 2 კილოგრამი.

გამყიდველი იღებს პარკს და იწყებს მარწყვის ჩაყრას.

მყიდველი:

— უკნიდან ნუ მაძლევთ, მომეცით წინიდან!

გამყიდველი ბუზღუნით იწყებს დახლზე დაყრილი მარწყვის წინა მხრიდან ჩაყრას.

— არა, არა, არც წინიდან მომწონს!

— აბა, რა გიყო კაცო, ვერ გავიგე, რა გინდა, არც უკნიდან მოგწონს, არც წინიდან!

— მარჯვენა გვერდიდან მომეცი!

— თავი დამანებე, არ გაძლევ, ქალი ბაზარში დავბერდი და პირველად მესმის, გვერდიდან მომეციო!

ახლა მყიდველი გაბრაზდა.

— რაც დამიფასე, ხომ გიხდი, ვალდებული ხარ, საიდანაც მინდა, იქიდან მომცე!

— შარზე ხარ? გაიარე, საქონელი ჩემია, მინდა მოგცემ და მინდა არა!

საუბარში ჩაერია გვერდით მდგომი ახალგაზრდა გამყიდველი გოგონა:

— მიდი რა, მოხუცი ადამიანია, მადლია, საიდანაც გთხოვს, იქიდან მიეცი!

— ახლა მე მაგის ხუშტურებზე ვიარო? მორჩა, არ მინდა და არ ვაძლევ. თუ ასე ძალიან გინდა, შენ მიეცი!

***გოგი ხატისკაცი, თბილისი***

## იოლი ამოცანა



გიგო გელაძე ცოტა ხელმოკლედ გახლდათ, მაგრამ ცხოვრებისეული ხალისი და იუმორის გრძნობა არასოდეს დაუკარგავს. აი, კარის მეზობელი კი, ზურაბ კეთილაძე მდიდარი ჰყავდა...

ერთხელაც, კომუნალური მომსახურების განყოფილების მუშაკები ეწვივნენ და რადგან ეზოში ავი ძაღლი ეგულებოდათ, გარედან შესძახეს: — მეზობლებიდან რომელიღაცას ქუჩაში საზამთროს ნარჩენები გადმოგიყრიათ და უნდა გავარკვიოთ, რომლისააო!...

— მაგის გაგებას რა უნდა, თუ ქერქი ბოლომდეა დაღრღნილი, ჩვენი იქნება, ხოლო თუ საზამთროს წითელი ზოლი ადევს, მეზობლისაო! — ეზოდანვე მიუგო გიგომ.

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხომ ჯარიდან ტანკის ფოტოსურათი გამოაგზავნა შინ. ტანკის ქვემოთ ეწერა: „შიგა ვზივარ!“

***მერაბ გრიგალაშვილი, ხაშური***



კოლმეურნეობაში დილით შეკრებილ ხალხში მისული საქულას ბიჭი ერიკა ამბობს: — გაიგეთ, ხალხო, ბალიას ბიჭს მიშას გუშინ გველმა უკბინა!

— რას ამბობ, კაცო, ხომ არაფერი მოუვიდა.

— რაღა უნდა მოუვიდეს, მოკვდა.

— უი, საწყალი კაცი.

— კაცი კი არა, გველი მოკვდა, — იცინის მიშა.

***გოდერძი პოპიაშვილი, დედოფლისწყარო***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## თანამედროვე ოპერაცია

იუმორესკა



— გამარჯობათ, ექიმო! საოპერაციოდ ყველაფერი მოვიტანე: ზეწარი, პირსახოცი, ბინტი, ბამბა, ძაფი, სკალპელები, ნემსები, შპრიცები, საწვეთელი, წამლები, საჭმელ-სასმელი. ხომ არაფერი დამაკლდა? კიდევ კარგი! შეიძლება მაგიდაზე დავწვე? კარგი, დაიწყეთ. მე თვითონ? ანესთეზიოლოგი სად არის? შეამცირეს? გასაგებია. რა გაეწყობა. ადგილობრივი გავიკეთო თუ... სად ვიჩხვლიტო ნემსი? თუ შეიძლება, მიმითითეთ. არ იცით? რა თქმა უნდა, თქვენ ხომ ანესთეზიოლოგი არა ხართ. კარგი, კარგი, უკვე გავიკეთე. ახლა რა უნდა ვქნა? სკალპელი ავიღო? კი, მაგრამ თქვენ? — ქირურგი არა ხართ? ისიც შეამცირეს? მაშ თქვენ რა სპეციალობის ბრძანდებით? ბუღალტერი?! ჰო, ყველაფერი გასაგებია. არც მე გენდობოდით. ესეც ასე, ვიღებ სკალპელს, სიგანეზე გავჭრა თუ სიგრძეზე? მაპატიეთ, თქვენ ხომ ქირურგი არ ბრძანდებით... მაშინ, ჯერ სიგრძეზე გავჭრი. უჰ, ძალიან მეტკინა! ალბათ ნარკოზის ნემსი სხვაგან გავიკეთე, რას იზამ, მე თავად შემეშალა და უნდა მოვითმინო. მზადაა. ეს რა არის? არ იცი, რა არის ეს მწვანე? აი, კედელზე რომ ადამიანის ნახაზია... ჰო, ვიპოვე, 32 ნომერი ნაღვლის ბუშტი ყოფილა. ისევ შემეშალა, მე ხომ თირკმელში მაქვს ქვა. რატომ არ მირჩიეთ, სხვაგან გამეჭრა? არა, არა, პრეტენზიას არ გიყენებთ. ბუღალტერს ოპერაციასთან რა ესაქმება. ისე, კი მიკვირს, რას აკეთებთ საოპერაციოში? ვერ დაეტიეთ ბუღალტერიაში? რაო? ასეა საჭირო? კი, ბატონო, იყავით, ხელს არ მიშლით. ახლა სიგანეზე გავჭრათ. ეს მუხუდოს ფორმის რაღა უნდა იყოს. აბა, ვნახოთ ნახაზზე 43 ნომერი. ვაშა, თირკმელს მივაგენი, მაგრამ ქვა სადღაა. აა, გეგონა ვერ მოგაგნებდი? — აბა, ახლავე ამოძვერი. უჰ, რა ბედნიერებაა, უცებ მომეშვა. მორჩა. ახლა შევკეროთ. იცით, კარგად ვერ ვხედავ, ნემსში ძაფს ვერ გაუყრით? ვერა? რა თქმა უნდა, თქვენ ხომ ბუღალტერი ხართ, ის კი, ვერ გამიგია, აქ მაინც რას აკეთებთ?

ეს რა რთული ყოფილა ჭრილობის გაკერვა... ცოლი უნდა წამომეყვანა, ჭრა-კერვა კარგად ეხერხება... როგორც იქნა, გავკერე, შეიძლება ავდგე? დიდი მადლობა! ახლა, წინააღმდეგი თუ არ იქნებით, პალატაში გადავალ. რა? თავისუფალი საწოლები არა გაქვთ? არა უშავს, ცოლს დავურეკავ, დასაკეც საწოლს მოვატანინებ, მანამდე კი იატაკზე დავწვები. მოკლედ, მე წავედი. რაო, რა მითხარით? უნდა გადავიხადო? რისთვის? ოპერაციისთვის? მაგრამ მე, მე ხომ თვითონ... აჰ, მაგიდის საამორტიზაციოდ? ამას ემატება ვენტილაცია, გათბობა და ელექტრობის გადასახადი? სულ რამდენია? 700 დოლარი? ლარებში არ შეიძლება? კი, ბატონო, ახლავე მოგართმევთ. ხელი სად მოვაწერო? გმადლობთ. ახლა კი მივხვდი, რატომ იყავით საოპერაციოში...

***პაციენტ-ოპერატორის დიალოგი ჩაიწერა ნანა ცინცაძემ***

## აი, კურიოზი კარა, ვარესი ამბავია!..

პაროდიის კუთხე

ჩვენს სოფელში, ზვარბეთში (ოზურგეთში) ვინცხა მოკვტა გუშლამ. ვორი ახალგაზრდა ყაზილარი, გელაიე და ბადრიე გუუშვენ კონჭკათში სასახლიზა, ცხენშებმული კაჩკით. ხოდა, რომ შევიდნენ ხელოსნის ჭიშკარში, პურმარილი დახდათ გახაზირებული ხეჭეჭურა მსხლის ჩეროში. თვითონ ოჯახის უფროსი, სასახლის ხელოსანი ჭოლაიე შოვნაძე უძღვებოდა სუფრას, რათ უნდა ლაპარაკი, ბადრიე და



ვისთვისაც სასახლე მიგაქვენ, მადლია.

რას იზამდენ?! — აი იმფერი სადღეგრძელოს შესმას უჩიოდნენ, რომ ვარის თქმაი არ შეიძლებოდა. იგიც რომ დალიენ და კიდო ვორ-ვორი, ქი დეებლიტათ თვალები, ჩაათრნენ ჭოლაია შოვნაძეს ხელში.

— ვინ მოკტა, ბიძიკოებო, გვითხრათ იქნება!

— კალისტო ყაჭეიშვილს თუ იცნობდით, იგი მოკვტა, აცხონა მისი სული ღმერთმა, მის ხნობამდე მიგვაწევია ნეტაი, ქე იყო ასე 90-95 წლის...

— უჰ, ია მოკვტა, კაცო? — კალისტოს ვინ არ ცნობდა, კაი კაძახი იყო. ამ ბოლოს გუუჭირდა პაწა ცხოვრება, რაფერც ყველა, ფორჩიხობდა რაცხას! ცხონებული. რამ მოკლა უბედური?

— 14 თვის ოუღებელი პენსია ქონდა მისაღები და ბუღალტერს უთქვამს, ნახევარს თუ დამიტიებ, მოგცემ, თუ არა და წაი სახშიო... გუუსკტა საწყალს გული, აპა!.. წავალთ აწი, ჭოლა ბიძია, კაი დიდი გზაი გვაქვენ გასარები, აგერ თქვენ ზომები და მუალთ ხვალე წასაღებად, მარა, იმფერი სასახლე გუუკეთე კალისტო ბიძიას, შენი ოჯახის წევრიზა რომ მეინდომებ. ფულზე არ დევიხევთ უკან, რეთია გადასახადი, დაგიტიებთ თანხას ახლავე.

— რაის ზომებს მიტიებთ, ბიძიკო? — ეგერ მიდგანა სახელოსნოში გამზადილი სასახლეები. შემოით აქით, ა, რომელიცხა გინდებიან, იგი წეიღეთ, ზომა სტანდარტულია. გამეიტანეთ ახლა, რომელიცხა გენებოთ და დადევით კაჩკაზე.

გამეიტანეს ყაზილარებმა სასახლე ბანდალ-ბანდალით, დადვეს კაჩკაზე და წევიდენ მის სოფელში. მარა, კონჭკათის ბოლო

მარა, სადაა კაჩკა? რას იზამდენ? მიაყუდენ სახურავი ისოვლე ჭიშკარზე და წევიდნენ ცხენის და კაჩკის მოსაძიებლად. გამევიდა ამასობაში მარგალიტა ეზოში, რომ დეინახა კუბოს სახურავი, მუუვიდა გულზე და ეიკვაჭა ჭიშკართან. ვერ დიეწიენ ცხენს ყაზილარები და მიბრუნდნენ იქით, საცხა სახურავი დატიენ. დაინახენ ჭიშკართან აკვაჭული ქალი, მიხვდენ რაშიც იყო საქმე. ეიღენ სახურავი უცფათ და გაშპენ. კაი 10 კილომეტრი ატარენ ხელით იგი სახურავი სოფლამდე, მარა მაი არაფერი. ცხენმა რომ კაჩკა შეაგორა ჭიშკარში და ზეთ არც ყაზილრები იყვნენ და არც სახურავი ეხურა სასახლეს, ჭირისუფლებს დაავიწყდათ კალისტო ყაჭეიშვილი და იგინი შეიცხადეს. დამარცხდნენ საცხაო, იფიქრენ. გამევიდნენ კაცები შარაზე და გუუყვნენ კონჭაკათის მიმართულებით გზას, მარა გამოჩნდნენ პაწა ხანში გელაიე და ბადრიე ამოჩლიაღვებული სახურავით. აქანე დამთავრდებოდა აი ტრაგიკომედია, მარა გასვენების დღეს მოხდა, რაც მოხდა! — რავარც კი გამობჟუტურებული ბადრიე და გელაიე მივიდენ კუბოსთან, ჭირისუფალმა იკივლა:

— მაგენს არ მოაკიდებინოთ ხელი თვარა, კტარიანათ დამიკარგავენო.

***მთხრობელი დათო ლესელიძე, ჩაიწერა ნიკოლოზ იოსებიძემ***

C M Y K

## გურამ ტატიშვილის ხსოვნას!



გარდაიცვალა გურამ ტატიშვილი — დიდსულოვანი, სიკეთით აღსავსე, დაბეჯითი ინტელიგენტი, ფაქიზი სულის, იშვიათი მეოჯახე და მეგობარი.

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი მის ლამაზ სულს...

*დუმბაძეების ოჯახი*

---

გაზეთი „კვირის პალიტრა" თანაუგრძნობს ნუცა დუმბაძეს მამიდაშვილის

**გურამ ტატიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

## ჯული გელიაშვილის ხსოვნას!



ძვირფასო ჯულე, ძალიან მწარეა შენი დაკარგვა, უშენობა... ურთულეს გზე გიხსენებთ. მოგონებად დარჩა შენი სიხალისე, კეთილი გული, ტკბილი სიმღერა და მუდამ სხვის დასახმარებლად მზადყოფნა. როგორ ჩქარობდა, [illegible] შენი ერთადერთი შვილი, შენი მშვენიერი ნათია, [illegible]

*მეგობრები*

---

## ჯუმბერ ფანცულაიას ხსოვნას!



მორიგ გაზაფხულს დგება უშენოდ. 12 აპრილს დაბადების დღის მილოცვის მაგივრად, მარადისობაში გადასულ შენს სულს მოვიხსენიებთ. ყველას ახსოვხარ და ენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ოჯახი*

---

## შალიკო კილასონიას გახსენება



ცრემლის და მწუხარებაში გავიდა ტკივილით და მოგონებებით სავსე ორი წელი, რაც შენ აღარ ხარ. [illegible] ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ოჯახი: მეუღლე ანგელინა, შვილები ნინო და გიორგი*

---

## მერის!



მერი დედაო, უსაზღვროა მწუხარება, რაც შენი ამქვეყნიდან წასვლით დაგვიტოვე შენს შვილებს, შენს საშვილიშვილოს. [illegible]

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მარინა კობახიძე, ოჯახი*

---

## ჩემო ვასიკო!



უზომო ტკივილს იწვევს ჩემში 8 აპრილი. სამი წელი ხდება, რაც ჩვენგან წახვედი. [illegible]

ნათელში იყოს შენი სული, ჩემო სიცოცხლე.

*დედა*

---

## გია ურუშაძის გახსენება



31 მარტს 11 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. [illegible]

*ავთო, მარინა, მაკო და ნუკრი მიქელაძეები*

---

## პაატა ამბროსაშვილის ხსოვნას!







[illegible] 1989 [illegible]

*დედა: [illegible]*

---

## ლია სოფრომაძის მონატრება



როგორ ლამაზად შემოდის გაზაფხული. ამ სილამაზეში დაგკარგეთ, ჩვენო დიდო ტკივილო. 23 წლისამ დაასრულე შენი ხანმოკლე სიცოცხლე. თითქოს ყველაფერს ასწრებდი.

ვერფერი გაანელებს იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც შენი მონატრებით განიცდიან შვილი, მშობლები და დედმამიშვილები.

ლია, შენთვის უცნობი რძალი ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ შენი სახით დიდი მეგობარი დავკარგე — მარტო მე კი არა, მთელმა შენმა სამეგობრომ, რომელიც დღესაც დიდი სიყვარულით გიგონებს. ასეთმა პატარა გოგომ, როგორ შეძელი შენი შვილისათვის ამხელა სამეგობროს სიყვარული გიჩუქებინა, რომელთაც დღესაც ახსოვთ სამართლიანობით, სიმტკიცით და დიდი ერთგულებით გამორჩეული ლია სოფრომაძე.

*შენი მონატრებული ოჯახი*

---

## შოთა მარიამიძის ხსოვნას!



ერთი წელი შესრულდა 8 აპრილს შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები. ენატრები ახლობლებს, მეგობრებს. აკლიხარ შენს საყვარელ ბალდათს და ბალდათელებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, დიდო ადამიანო.

*შენი თამუსია, მაიკო, ეკა, კატო*

---

## ალეკო (ალიტუნა) კვეტენაძის მონატრება



9 აპრილს ორმოცი დღე შესრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, დიდი სიყვარული დათესე. დიდმა სიყვარულმა კი დიდი მონატრება იცისო, და მართლაც, ყველას ძალიან გვენატრება შენი ლამაზი და ღიმილიანი სახე. გაუსაძლისად ენატრები შენს დედას და მამას, შენს ტყუპ და-ძმას, სიბერეგამწარებულ ბაბუას, ყველა ახლობელს და ყველა მეგობარს. შენს ხანმოკლე სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან შენ დიდი სიყვარულითა და სიკეთით სავსე კაცის სახელი დატოვე.

ამიტომ ყველა ჩვენგანის გულში, ღია ჭრილობად, ხატად ქცეულ საფლავად, მარადიული სიკეთის სიმბოლოდ დარჩები, ალიტუნა.

*შენი მამიდაშვილები: ლალი და სალომე ტეფნაძეები*

---

## ანზორ ჯახველაძის მონატრება



როგორ მიყვარდა გაზაფხულის მოსვლა — განსაკუთრებით აპრილის თვის. ამ დროს ყველაფერი ყვავის და ლამაზდება. ამ დროში დაგკარგე, ჩემო კეთილო მამიკო.

აღარ მიყვარს გაზაფხულის მოსვლა, აღარც ის ადგილები, სადაც შენ აღარ დამხვდები. დაუმშვიდობებლად დაგვტოვე, უთქმელად, ჩუმად გაგვეპარე. დაგვიტოვე უსაზღვრო სიყვარული, ყველას გაჭირვების გულთან მიმტანი, ერთგული კაცის სახელი. იმ გულმა გიმტყუნა, რომელიც სიყვარულს ვერ იტევდა. მამიკო, ვერ ვუძლებ ტკივილს, რომელსაც მონატრება ჰქვია. ვერავინ შეუმსუბუქებს დარდს შენს გულდამწვარ მეუღლეს. გამოეცალე დიდი იმედი და სიყვარული შვილებს, შვილიშვილებს, რძლებს და სიძეს. მხოლოდ მოგონებით და მონატრებით დაგვტოვე. სიზმრად დარჩი, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო.

შენი სულისთვის მუდამ მლოცველი

*ცოლ-შვილი, შვილიშვილები, რძლები და სიძე*

---

## გიგა ფორჩხიძის მარადიულ ხსოვნას!



არასოდეს ყოფილა აპრილი ისეთი ცივი, როგორიც მაშინ... არასოდეს ყოფილა ცრემლი ისეთი მწველი, როგორიც იმ ღამეს... და არასოდეს შემშინებია იქამდე ტელეფონის ზარის... მას შემდეგ სულ მგონია, რომ მაშინ, როცა ყველას სძინავს, მე ისევ შენი დაღუპვის ამბავს მეტყვიან და ისევ დავემხობი ლოგინზე ატირებული!

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაგვაოგნე... წახვედი და წაიღე სიხარული, ბავშვური სიხალისე, რომლითაც ასე სავსე იყავი! ძალიან დიდი დრო გავიდა, გიგა და ვაი, რომ წინ კიდევ ბევრია.

ჩვენ ერთად ვიყავით ქაშვეთის ტაძარში. მე ღვთისმშობელს დავუნთე სანთელი, შენ კი — წმინდა გიორგის! ახლა დავდივარ იმ ტაძარში და სანთლებს შენ მაგივრადაც ვანთებ.

დედიკო უვლის შენს საფლავს. მეგობრები დათუთქული გულებით გითბობენ მიწას.

გიგა! ლოცვით გინათებთ გზას... მჯერა, გფარავს შენი წმინდანი და უფალმაც შეგინდო ცოდვები — შენ ხომ ასეთი კეთილი იყავი.

*ნინიკო*

---

## გელა ხარძეიშვილის ხსოვნას!



გაუნელებელი ტკივილითა და ცრემლით გავიდა წელიწადი, მოვიდა გაზაფხული და შენი დაბადების დღე უშენოდ, ჩვენო გამორჩეულო, კეთილო, რაინდული სულის ვაჟკაცო. შენ ხომ ღირსეული მამის ტრაგიკული ბედი გაიზიარე — ახალგაზრდა გაშორდი დაუნდობელ წუთისოფელს. შორეულ ხაბაროვსკში განისვენებს შენი ლამაზი სხეული, შენი ცოლ-შვილის ცრემლი გაათბობს შენს მარადიულ სამყოფელს. აქ კი მუდამ ვილოცებთ შენი სულის საოხად. შენი კარგი კაცობის კვალი მარადიულად გასხივოსნდება შენი სულით.

*დედა ნანი, ძმა, რძალი და ძმისშვილები*

---

## ავთო (ავთანდილ) ტეტიაშვილის მონატრება



49 წლის 29 დეკემბერს სოფელ ხოშარაში, გიორგი და თამარ ტეტიაშვილების ოჯახში, მზით გამთბარი, გაცისკროვნებული დილა გაგვითენდა. 4 ასულის შემდეგ, ავთანდილ გიორგის ძე დაიბადე. დიდი ხნის ოცნება აგვიხდა ოთხ დას. სიხარულით შემოვუსხედით ოთხივე კუთხით აკვანს და ვიწყეთ იანანის სიმღერა. ოხ, როგორი ტკბილი და თბილი იყავი, თვალებბრიალა, მოუსვენარი, ვაჟკაცური, ბოხი ხმით აკვანში. გაიზარდე, დავაჟკაცდი, ჩვენო ჭირისუფალო და დიდო იმედო. ეს არაერთხელ დაგიმტკიცებია ჩვენთვის. შენ თავი არ დაგიზოგავს, ვაჟკაცურად გვედექი მხარში დებს და დისშვილებს, მაგრამ ყველაფერი შეგვეცვალა. შენმა უეცარმა ავადმყოფობამ თავზარი დაგვეცა. სულ რაღაც 20 დღეში, 2001 წლის 7 აპრილს სიზმარივით გამოგვეცალე ხელიდან. ჩამოწვა ბინდი და ბურუსი, ყველაფერი გაიყინა. წახვედი და ცხოვრების შუა გზაზე გაწყვეტილი სიცოცხლის ნათელი კვალი დაგვიტოვე ოთხივე დას. აკვნის მაგივრად ოთხივე კუთხით შემოვუსხედით შენს სასახლეს, გაყინულ სხეულს, ჩამქრალ თვალებს და ვიწყეთ მოთქმა და გოდება. ვაი, რა მწარე და ცივი იყავი მაშინ, რაც სამარადისოდ დარჩა ჩვენში, ჩვენო სიცოცხლევ. რა ძნელია დებისაგან ძმის ტირილი და დღენიადაგ ცრემლთა დენა. ფიქრი იმაზე, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ ორი წელია. გვიმძიმს უშენობა. ვინუგეშებთ თავს, რომ სიკვდილი რჩეულთა ხვედრია. ვიწვით და ვიფერფლებით, ჩვენო უცეცხლოდ დამწველო ძმაო. დაგეძებთ დაგლეჯილი გულით, აფორიაქებული სულით, ცრემლიანი თვალებით, ვერ გპოულობთ. სადაც გაგივლია, ფეხის ნატერფალი წაშლილია. შენი წასვლიდან 40 დღის მერე, ჩვენ შენი გამოკეტილი სახლის კარი არ შეგვიღია, რადგანაც შავი ურჩხულია ზღურბლზე გაწოლილი, სისინებს და იგესლება.

გაფრქვევთ მდუღარე სინანულის ცრემლს, ჩვენო საოცნებო, სიამაყევ, სიხარულო, სიყვარულო, მოფერებავ, მისამართო, ჩვენო გულის დარდო, ცრემლთა დენავ. ათასჯერ სისხლდაღვრილო, ცხოვრებადატანჯულო ძმაო, ერთადერთო.

ნახვამდის, ზეციურ სასუფეველში გწყალობდეს ღმერთი. იძინე მშვიდად, დედ-მამასთან და პატარა დასთან ერთად.

*შავ ძაძებში შენი დები: ბაბალე, ეთერი, თეო, ელო*

---

## ლამარა პერტაიას გახსენება



მიდიოდა თავჩაქინდრული და ფიქრებში გართული ვერც ამჩნევდა, რომ წვიმა სხეულს უსველებდა. უცებ შეკრთა და მხარზე სათუთად მობინადრე წამლებით სავსე ჩანთა გულში ჩაიხუტა. მიდიოდა... არ ეძნელებოდა მძიმე ტვირთის ტარება; განა მთელი ცხოვრება ლოდივით არ ზიდა ამქვეყნიური ცხოვრების ავ-კარგი?!. „იქნებ ვინმეს დაევეხმარო, იქნებ ადამიანი კვდება..." ვერა, ვერ აუვლიდა გვერდს. მაშინ ფრთები გამოესხმებოდა მის აბგას და ჯადოსნურ ჯოხად იქცეოდა — გადაარჩინა. კიდევ ერთი კეთილი საქმე მიემატა წარსულში ჩადენილთ. მის სიახლოვეს ადამიანი არ უნდა მომკვდარიყო. ის ტკივილამდე განიცდიდა ამას. იგი ხომ სულით ხორცამდე ექიმი იყო. როდესაც მორიგი სამუშაო დღიდან დაბრუნებული, დაქანცული, ბედნიერი სახით იტყოდა, — ახლა კარგად არისო, ეს იყო მთელი მისი დიდბუნებოვნების ჭეშმარიტი დადასტურება. ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა უკვე ცხოვრების წესად ექცა. ახალი სიცოცხლის მოვლინებას აგებებდა თავის მადლიან ხელებს და როცა მომავალი დედები მასთან მოხვედრას ნატრობდნენ და დახმარებას სთხოვდნენ — ეს მისთვის ბედნიერება იყო. უამრავი სიკეთე დათესა ცხოვრების მანძილზე და მაინც საკუთარი თავის უკმაყოფილო იყო. შეუდარებელი იყო მისი თავგანწირვა ოჯახისათვის, შვილებისათვის. როგორი მწარეა ფიქრი იმაზე, რომ მის ნაზ სხეულში ჩაბუდებული ავი სენი სწორედ დასტურია მისი თავმდაბლობისა და სიალალის; საკუთარ თავზე ხომ ძალიან გვიან იფიქრა. როგორი მწარე იყო, მისთვის აფხაზეთი; გავერანებულ კუთხეში მორიდებული დაბრუნება, მეუღლის სიკვდილი...

წუთისოფლის სიავისაგან ქანცგაწყვეტილი მაინც ვერ ივიწყებდა რომანტიკას... სასიკვდილოდ განწირული, ხარბი თვალებით შეჰყურებდა შვილებს, შვილიშვილებს, უსაყვარლეს ადამიანებს... გვემშვიდობებოდა თვალებით... სიტყვით კი... თვალზე მომდგარი ცრემლი შრებოდა მისი მშვიდი შეგონებებით.

9 აპრილს გაეყარა ტკივილით გატანჯულ სხეულს მისი სპეტაკი სული და წელიწადია, აღარ ანათებენ ჩვენთვის ზღვისფერი თვალები. ჟამმა ხელი მოხვია მისად ქცეულ ერთ წელიწადს და სათაყვანო დედა, ბებია, დაია, დეიდა, მამიდა გვატკივილა, სული გაგვიბზარა და ფიქრი დაგვინაოჭა...

გვენატრება... უსაშველოდ მტკივნეულია ეს მონატრება და მოგონებათა სკივრში ჩახედვა თბილ სიოდ იღვრება სულში... მისი გახსენება ხომ სიკეთის მოგონებაა და ადამიანური მისიის აღსრულების ფრთაშესხმული ნიმუში.

*შვილები ირმა, თამარი, შორენა*

---

## მურად (იურა) ოთარის ძე თუთაშვილის მონატრება



10 აპრილი მოვიდა, მურად, შენი დაბადების დღე, მაგრამ ვაი, რომ უშენოდ უნდა შევხვდეთ ამ ლამაზ და ძალიან მწარე დღეს.

მურიკო! რომ იცოდე, როგორ ძალიან გვენატრები, ჩვენო საამაყო, ერთადერთო იმედო; რა მწარეა უშენობით გამოწვეული სიცარიელე, შენი უბედური მშობლებისთვის, რომლებისთვისაც ყველაფერმა დაკარგა აზრი და ახლა მხოლოდ შენთან მოსვლაზე ოცნებობენ. უსაშველოდ ენატრები შენს საყვარელ ცოლ-შვილს, დებს, სიძეს, დისშვილებს; ყოველი დღე შენი მოგონებით იწყება და მთავრდება. სიცოცხლით სავსეს რამე თუ მოგერეოდა, ვერ ვიფიქრებდით. რამხელა იმედი იყავი, რამხელა ტკივილი ხარ ახლა.

ჩვენო მურად! შენ ისე ლამაზად იცხოვრე შენი ხანმოკლე ცხოვრებით, ისეთი თბილი, ხელგაშლილი და კეთილი ადამიანი იყავი, რომ ყველას გაუნელებელი გულისტკივილი დაგვიტოვე. გვენატრები უსაზღვროდ, დაუვიწყარია შენი ხსოვნა. შენი ოჯახი მუდამ ილოცებს შენთვის.

მარად ნათელში გვიმყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული.

*ოჯახი*

---

## პეტრე კიპაროიძის ხსოვნას!



ჩვენო საყვარელო მამა! უკვე ერთი წელი გასულა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, მაგრამ ის გულისტკივილი, რაც შენი დაკარგვის დღეს განვიცადეთ, ოდნავადაც არ ცხრება.

აპრილის თვე რამდენადაც სასიხარულო იყო ჩვენთვის, იმდენად მტკივნეულია ახლა, რადგან ბუნებით რჩეული, უფალმაც გამორჩეულ, ხარება დღეს წაგიყვანა. 29 აპრილს კი, 68 წელი უნდა შეგსრულებოდა.

მამა, ყველას ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვენატრები. შენ ხომ ამაგდარი მეუღლე, მამა, ბაბუა და სიძეებისთვის საყვარელი სიმამრი იყავი. შენს შვილიშვილებს, შენს თათიას და თიკოს ახლაც ახსოვთ საავადმყოფოს საწოლიდან, გამომშვიდობებისას ძლივს რომ ასწიე ხელი, მაგრამ მაინც ღიმილით გამოემშვიდობე ბავშვებს. თურმე თქვენი შეხვედრა საბოლოო ყოფილა.

ძალიან გვაკლია შენი აზრიანი, ჭკვიანური რჩევები. ყველა საკითხში, ყველა სფეროში მცოდნე და განათლებული იყავი. „ოქროს კაცს" გეძახდნენ, ალბათ იმიტომ, რომ მართლაც ოქროსავით ხალასი და ლამაზი ბუნების, კაცური კაცი იყავი.

დედის ტკივილის ფურცელზე გადმოტანა შეუძლებელია, ფიქრებში და საუბარში სულ შენ გარშემო არის, შენი გადიდებულ სურათების შეხედვაც კი არ შეუძლია.

გვწამს, რომ უფალმა სასუფეველში რჩეულთა შორის დაგიმკვიდრა სამუდამო სავანე, ჩვენ კი შენს საფლავს არ მოვაკლებთ ყვავილებს და წმინდა სანთლებს, რათა უფრო გაბრწყინდეს სასუფეველში შენი სპეტაკი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი*

---

## ქეთინო კიკაძის გახსენება



40 დღე გავიდა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. 10 ულამაზესი ბავშვობის წელი გვაკავშირებდა. შენ პირველმა შექმენი შენი ლამაზი ოჯახი. ღმერთსაც რჩეულები მიჰყავსო ზეციურ სასუფეველში და შენც სწორედ ასეთი გამორჩეული იყავი, შენი ლამაზი ღიმილით.

გვიყვარხარ, გვენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. დაე, შენთვის ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული სასუფეველი.

თანაკლასელების სახელით

*ლიანა ცქიტიშვილი, ლალი მონადირიშვილი*

---

## ალექსანდრე (ალიკა) დარმანტის ძე სულაშვილის მონატრება



მოვიდა გაზაფხული და ვაი, ჩვენ უშენოდ. დაბადების დღეს გილოცავთ, ახლა უკვე 30 წლის ჩვენო ვაჟკაცო. გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეს — 9 აპრილს მოევლინე ამ ქვეყანას. გვეგონა ამქვეყნად უამრავჯერ უნდა მოგველოცა შენთვის ეს დღე, მაგრამ მეხუთედ ვხვდებით უშენოდ. ახლა კი ამ დღეს გლოვით, ცრემლით და უდიდესი ტკივილით აღვნიშნავთ. მხოლოდ 25 წელი იცხოვრე ამქვეყნად. სრულიად ახალგაზრდამ, ისეთი სიყვარული და სახელი დატოვე ყველას გულში, ზოგს ათეული წელი რომ დასჭირდებოდა ამისთვის. ტრაგიკულმა შემთხვევამ შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩვენო საფიცარო, გაზაფხულივით მშვენიერო, აღარ გვიხარია ეს დღე უშენოდ. ყოველი დღე შენი მოგონებით იწყება და მთავრდება. არარაობაა ეს ცხოვრება შენ გარეშე ჩვენთვის. ძნელია იმ დიდი ტკივილისა და მწუხარების გადმოცემა, რასაც განვიცდით უშენოდ, მწუხარებისგან ადრე დაბერებული შენი მშობლები, შენი მოხუცი ბებია და პაპა, შენი საფიცარი ძმები და რძალი, შენი პაწია ძმისშვილები, რომლებიც სურათით გიცნობენ და გეფერებიან, შენი ეულად დარჩენილი მამიდა, შენი დიდი სამეგობრო, ვაჟკაცი ბიჭები, რომლებიც დღემდე არ ტოვებენ და არ ივიწყებენ ჩვენს ოჯახს, ახლა უკვე შენს ძმებს უდგანან გვერდში. უკვე ხუთი წელია, რაც გვასწავლე ახალი გზა, გზა რომელიც შენს საფლავამდე მოდის. შენი ცხოვრების სულ პატარა მანძილზე, დიდი სიყვარული და სიკეთე თესე. დიდმა სიყვარულმა კი, დიდი მონატრება იცის. შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ყველა გიგონებს, ყველას ენატრები, ყველას უჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ. კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების 30-ე წლისთავს.

დაუვიწყარია შენი ხსოვნა, ჩვენო ლამაზო ბიჭო. შენს საფლავს არ მოვაკლებთ ცრემლს, სანთელსა და ყვავილებს. ვეფერებით შენი საფლავის ქვაზე გაცივებულ სურათს.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო სიხარულო.

*უშენობას ვერშეგუებული შენი ოჯახი*

---

## ანიკო შალამბრიძეს!



ჩვენო ტკბილო მეგობარო, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები! რა მწარეა იმაზე ფიქრი, რომ ველარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს გაზაფხულზე, როგორ მოუთმენლად ელოდი ამ შეხვედრას. გარეწრის ბოროტმა ხელმა ჩააქრო შუქი შენს ალერსიან თვალებში, გააჩერა სიყვარულით სავსე შენი გული. გაყინა მუდამ მოფუსფუსე ხელები, არ დაგაცალა გახარება. როგორი კეთილი, მზრუნველი, ერთგული მეუღლე, დედა, მეგობარი იყავი, თავდადებული და ოჯახზე გაგიჟებული. აკი სიცოცხლეც ასე თავდაუზოგავად გაწირე საყვარელი ადამიანებისთვის. ყველას ძალიან გვიყვარდი, შენი არაჩვეულებრივად მშვიდი ხასიათის, სინაზის, სიკეთის გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ანიკო! შენ მუდამ ჩვენთან იქნები, არასოდეს დაგივიწყებთ.

*თანაკურსელები*

---

ფონდის აბაშის რაიონული განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან *სერგო ფერცულიანის* მეუღლის

**ნინო კალაძე-ფერცულიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

## კაია, კაი!!!



სტუმრად მაზლი ავთანდილი მყავდა. შემოდგომის პირი იყო და გაზის ღუმელს ვდგამდით. ჩემი ვაჟი და მისი მეგობარი დათო მამალაძე ხელებდაკაპიწებულები მუშაობენ: აერთებენ, ჭრიან, ბურღავენ...

ავთანდილი ტელევიზორის წინაა მოკალათებული და ტელესერიალს დიდი ინტერესით ადევნებს თვალს, დროდადრო, რამე რომ არ მოეწონება, ან პირიქით, ხვნეშის კიდეც. ბიჭებმა დაავალეს, როცა ღუმელი აინთება, კაია, კაი დაგვიძახეო.

... ყველაფერი დამთავრდა და ღუმელიც აინთო, ბიჭები შემოლაგდნენ და ტელევიზორის წინ დასხდნენ. უცებ, სავარძელში ჩაძინებული ჩემი მაზლი ავთანდილი წამოკარდა, ღუმელს გახედა, ხელები გაშალა და ხმამაღლა, გარეთ რომ გაეგონათ, იბღავლა:

— კაია, კაიიი!

ჯერ შიშით გულები გადაგვიტრიალდა, მერე კი მივხვდით, რაშიც იყო საქმე.

***ხათუნა ფოფხაძე, თბილისი***

## კატამ ბაბო აგვიფეთქა



ჩემი მამიდაშვილი თემური ჩხირკედელა ბიჭი იყო. პატარაობიდან თავისი ხელით აკეთებდა ათასნაირ იარაღს. დანა და შურდული რაა, ისეთი მშვილდისარი ჰქონდა, პაპუასებს შეშურდებოდათ. ერთხელ ჟანგიანი, სქელი ქლიბი ვიპოვეთ. სამი დღე ჩარხა, ხეხა, ხანჯალი გააკეთა, საახალწლოდ დასაკლავ ინდაურებს ერთი მოქნევით აყრევინებდა თავებს. ბაბოჩემს ქვეყნის კრუხ-წიწილა ჰყავდა. — იმათზე იყო გადაგებული. ვიღაცის კატა შეეჩვია ერთ ზაფხულს და ნახევარზე მეტს მუსრი გაავლო. გვეხვეწებოდა, დაიჭირეთ ეგ ოხერი, გააძევეთ სადმეო. ჩვენც დავიჭირეთ. გაგონილი გვქონდა, კატას ცხრა სული უდგასო, ვერ მოვკლავდით. ჩავსვით ტომარაში, მოვუკარით თავი, წავიყვანეთ ტყეში. აცოცდა თემური უშველებელი მუხის კენწეროზე და იქ დაკიდა. საცოდავად კნაოდა. თავქუდმოგლეჯილები გამოვიქეცით. ორიოდე დღის მერე კატა ბეწვდაწმენდილი გამოგვეცხადა, ვითომც აქ არაფერიაო. ისევ აქოთქოთდა ბაბოჩემი: ტყუილად გაჭმევთ პურს, ერთი კატა ვერ მომაშორეთ, სამი ჭუკი თვალწინ დამტაცაო.

იფიქრა, იფიქრა თემურმა და... მოდი, ავაფეთქოთო! დილიდან საღამომდე რაღაცას ჩხირკედელაობდა. დინამიტი გავაკეთეო — მახარა. მუშტისოდენა რაღაც იყო მოჩხლართული. კატა თევზის ნარჩენებით მოვიტყუეთ, გამოვაბით „დინამიტი“ კუდზე და გავუშვით. ბაბოჩემი დილის ნამზე წიწილებს არ უშვებდა. ჩვენც არხეინად გვეძინა. მზე რომ კარგად ამოიწვერა, წამოვხტით და დაველოდეთ. თუ კატა აღარ გამოჩნდებოდა, ესე იგი, სადღაც უნდა აფეთქებულიყო. ცოტა ხანში ღობეზე გადმოხტა. „დინამიტი“ ისევ კუდზე ება. ამიტყდა სიცილი. თემურმა პირზე ხელი დამაფარა — მოიცაო. კატას გამოუდგა, უნდა დააცხრეს. ბაბოჩემი ზის ქვაზე, გრძელი კაბის კალთები მიწაზე მოსთრევს, დაუყრია წიწილებისთვის ღოლოს თესლში შეზელილი სიმინდის ცომი და სათითაოდ ითვლის. უკანიდან კატა ეპარება. ისკუპა თემურმა და სტაცა ხელი. კატა გაუსხლტა, დაფეთებულმა ბაბოჩემის კალთის ქვეშ დურთა თავი. აფეთქების ხმამ იქაურობა გააყრუა. გულგახეთქილი ბაბოჩემი უკუღმა გადავარდა, კრუხ-წიწილა გაიფანტა, კატა საით გავარდა, თვალი ვერ მოვკარით. ფეხებაშვერილ ბაბოჩემს ლურჯი ნიფხვის ტოტები ძონძებად ეკიდა. თემურს მიტკლის ფერი ედო. მომკიდა ხელი და მოვუსვით იქიდან ბაყაყური. სოფლის ბოლოში მეორე მამიდა ცხოვრობდა. იქ მივცვივდით. იმათი ვირგლა გოგია ტახტზე გაშოტილიყო და არხეინად ეძინა. — გვიშველე, ბაბო მოვკალითო — დავაცხერით. წამოხტა. რომ ვუამბეთ, ჩაბჟირდა სიცილით. წამოგვყვა. ბაბოჩემი ბოსტანში ხახვის კვლებს მარგლიდა და თავისთვის ისევ ქოთქოთებდა.

***თუთი რატიანი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანს ეძინებოდა და კედლის ხალიჩაზე დაწვა...

***სანდრო მახარობლიძე, ხაშური***

ჭიჭიკია სერჟანტს ეუბნება:

— უფროსო, პარაშუტით ვერ გადავხტები.

— რატომ?

— დედაჩემმა სიზმარი ნახა, შენი პარაშუტი არ გაიშლებაო.

გაცვალეს პარაშუტები და გადმოხტნენ, მიწას რომ მიაღწიეს, მიიხედმოიხედეს, სერჟანტი არსად ჩანს, ეძებეს და ვერ იპოვეს. ბოლოს ჭიჭიკიამ ამოილუღლუღა:

— ალბათ ის იყო, რომ ჩამიქროლა და მომაძახა, — შენი დედაც და მისი სიზმარიცო.

***ნ. გრიგალაშვილი, ხაშური***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## ცხოვრებისეული კურიოზები

### არყის გამოხდა ღვინით



მე და ჩემი მეგობარი მალხაზ რაზმაძე სოფელ სართიჭალაში არაყს ვხდიდით. კარის მეზობელმა, გაიოზ ჩარკვიანმა გამაფრთხილა:

— სახლში არ ვიქნები, წყალი თუ შეწყდა, ჩემგან გადაიტანეთ, სავსე მაქვს 500-ლიტრიანი კასრები.

პირველ დღეს ორი ქვაბი გამოვხადეთ და კარგადაც მოვილხინეთ. მესამე დღეს დილაუთენია ავდექით. ვნახეთ, რომ წყალი არ მოდიოდა, გაიოზის დანაბარევი გაგვახსენდა და დავიწყეთ წყლის ზიდვა. წყლის ფერი არ მოგვეწონა, მაგრამ ვიფიქრეთ, ალბათ კასრის გამონარეცხია-თქო და გავაგრძელეთ გამოხდა.

მოგვიანებით მეორე მეზობელი, გრიშა გელენიძეც გვეახლა მოსახმარებლად. ჩაიხედა თუ არა გობში, სადაც ქვაბის მილს ვაცივებდით, შეიცხადა:

— რას შვრებით, ხალხნო, არაყს ღვინით ხდით?!.

ჩვენ ხუმრობა გვეგონა, მაგრამ თურმე სახუმაროდ არ გვქონია საქმე. წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავცვივდებოდით, როცა წყლის ნაცვლად ღვინის გემო ვიგრძენით — უკვე 150 ლიტრი ღვინო გვქონდა ჩამოსხმული 500-ლიტრიანი კასრიდან. ისე, მთლად ჩვენი ბრალიც არ იყო — გაიოზს არ გავუფრთხილებივართ, რომ სამი კასრიდან ერთ-ერთში ღვინო ესხა.

***თ. მაისურაძე***

## ჩვენი სტუმარია სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ფილთაქვა

ცოლი მშობიარობს. ქმარი სამშობიაროს შესასვლელში ელოდება. იმშობიარა ქალმა და ზანგი ბავშვი შეეძინათ... ცოტა ხანში ცოლი დერეფანში ყვირილით მორბის:

— ვისთან იწექი, შე მათხოვარო?!.





ძმაკაცები საუბრობენ:

— ბიჭებო, სანადიროდ უნდა წაგიყვანოთ ვეფხვზე. მაგარი ადგილი ვიცი. ოღონდ ერთი საათი ლოდინი მოგვიწევს, სანამ ვეფხვი გამოვა.

— რატომ მოგვიწევს ლოდინი?

— რატომ და, ჯერ ჯამბაზები გამოდიან, მერე — ჟონგლიორები, მერე — „ფოკუსნიკი“ და ა.შ.

კაცმა თევზაობისას ბოთლი დაიჭირა, მოხსნა თავსახური და იქიდან ჯინი ამოხტა:

— ჩემო ახალო მბრძანებელო, ინატრე, რაც გინდა და შეგისრულებ.

— ოთხოთახიანი ბინა მინდა ვაკეში...

— შენ გიჟი ხომ არა ხარ? ვერ ხედავ, მე თვითონ რაში ვცხოვრობ?



### ფილთაქვას არქივი



# მისტიკა თუ?..



ეს ამბავი შეემთხვა ცნობილ რუს მსახიობს ირინა მიროშნიჩენკოს. მექსიკაში ყოფნისას ირინა საიუველირო სალონში შევიდა და თვალი მარჯნისთვლიანმა ბეჭედმა მოსტაცა. მოიზომა, ამოილო საფულე და აპირებდა მოწონებული ნივთის საფასურის გადახდას, რომ სალონის მეპატრონის დაჟინებული მზერა იგრძნო.

— ამ ბეჭდის ყიდვა მინდოდა, — წყნარად წარმოთქვა ირინამ.

— კარგია. დღეიდან ეს ბეჭედი შენი თილისმა გახდება და წარმატებებს მოგიტანს, — უპასუხა ოსტატმა, — ჩემს დამზადებულ სამკაულებს შევულოცავ ხოლმე და ისე ვყიდი.

მსახიობმა მადლობა გადაუხადა მას და კარისკენ გაემართა. გზად მისწვდა ოსტატის ჩურჩული: — დიდხანს იცოცხლებ, მაგრამ ორჯერ დაგმარხავენ.

ირინა ზღურბლზე გაშეშდა. შეშინებულმა მიხედა მოხუცს. ის კი წყნარად ლოცულობდა. მერე გაუღიმა: — ნუ გეშინია, ორი სიკვდილი არ არსებობს.

გაიარა ცოტა ხანმა. მოსკოვში დაბრუნებული მსახიობი თეატრში მიიჩქაროდა. პიკის საათი იყო და საცობში აღმოჩნდა. დროის გასაყვანად რადიომიმღებში მუსიკის ძებნა დაიწყო, თან გუნებაში როლს იმეორებდა. უეცრად დიქტორის ხმამ გამოიყვანა ფიქრებიდან, რომელიც იუწყებოდა მშვენიერი მსახიობის, ირინა მიროშნიჩეკოს უდროოდ გარდაცვალებას...

მაშინვე თავში გაუელვა: „ეს რომ დედაჩემმა გაიგონოს, გაგიჟდებაო“. ძლივს მიაღწია დედის სახლამდე. საბედნიეროდ, დედას რადიო არ ჩაერთო. ახლა თეატრისკენ გაქანდა. იქ უკვე წერდნენ ნეკროლოგს და უკვეთდნენ თაიგულებს.

მალე გაირკვა, რომ გარდაცვლილიყო მსახიობი რაისა მიროშნიჩენკო...

ირინა დარწმუნებულია, რომ ბეჭედმა დაიფარა.

***ოტდოხნი! №16***

## ჩვენ გვწერენ — როცა კაცს ამქვეყნად სიარულის ვადა ამოეწურება...



უამრავი რამ მსმენია სარკის უცნაურობებზე. ამიტომაც გადავწყვიტე თქვენთვის მომეთხრო ამბავი, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენს ოჯახში ხდებოდა და სარკეს და აწ გარდაცვლილ ბებიაჩემს უკავშირდება.

ბებო 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. სარკის წინ დამჯდარიყო გამოპრანჭული და ღიმილით გარდასულიყო იმ ქვეყანაში. 42 წლისა დაქვრივებულა და მას მერე ძაძა არ გაუხდია, მხოლოდ იმ დღეს ამოელაგებინა სათუთად შენახული მწვანე კაბა, გულქანდაც გაეკეთებინა. თმაც ლამაზად დაევარცხნა — თითქოს წინასწარ ეგრძნო აღსასრულის მოახლოება ისე, როგორც მანამდე გრძნობდა უამრავ რამეს და გვაკვირვებდა ხოლმე.

9 წლის ვიყავი, პირველად ბებიისა და სარკის უცნაური ურთიერთობა რომ შევამჩნიე. მოხუცი თითქმის მთელი საათი თვალის დაუხამხამებლად იჯდა სარკესთან, მე ვთამაშობდი, მაგრამ მზერა რატომღაც სულ მისკენ გამირბოდა. უცებ თქვა, — მორჩაო და ადგა. რომ ვკითხე, რა მორჩა, ბებია-მეთქი, მიპასუხა — საქმეს მოვრჩიო. კი, მაგრამ, რას აკეთებდი, შენ ხომ სარკის წინ უხმოდ და გაუნძრევლად იჯექი-მეთქი. დავალებები მივიღეო, — თქვა და ოთახიდან გავიდა. მივედი სარკესთან. მასში მხოლოდ ოთახი ირეკლებოდა. ვერაფერი უცხო რამ ვერ დავინახე. მეც ბებიასავით დავჯექი და დაველოდე დავალების მიღებას, მაგრამ ამაოდ. მას მერე ჩავუსაფრდი ბებიას. დაჯდებოდა თუ არა სარკის წინ, ვუთვალთვალებდი. ის კი იჯდა გაუნძრევლად, მშვიდად. თითქოს ამქვეყნად აღარც იყო. ერთხელაც ჩავაცივდი, — ბებია, რა გინდა მაგ სარკესთან, თუ დასვენება გინდა, სხვა ადგილი ვერ ნახე? გულს რას მიხეთქავ ფიქრით-მეთქი. ამ სარკიდან გავდივარ და ამბებს ვგებულობო, — მითხრა. ეგ როგორ-მეთქი. რაც არ უნდა აგიხსნა, ვერ მიხვდები, მოკლედ იმის თქმა შემიძლია, რომ შენს მომავალზე ბევრი რამ ვიცი და რასაც გთხოვ, შენთვის გთხოვ. ამიტომ დამიჯერე და ნუ იცუღლუტებო. აბა, რა უნდა მთხოვო-მეთქი. სკოლიდან ექსკურსიაზე წასვლას დააპირებენ. არ წახვიდე, თორემ იქიდან დაინვალიდებული დაბრუნდებიო. შემეშინდა, მაგრამ ბებიას ყური არ ვათხოვე და მართლაც სვანეთიდან ხელმოტეხილი დავბრუნდი. ბეწვზე გადავურჩი სიკვდილს. ექვსი თვე მქონდა ხელი თაბაშირში. მას მერე ბებიის მესაიდუმლე გავხდი. მისი მჯეროდა და ახლაც, როცა ის აღარ არის, სარკესთან მჯდარს ბებიაჩემის ხმა მიდგას ყურში. მესმის მისი რჩევა-დარიგებანი — იგივე დავალებები და უფრო მეტად მინდა გავიგო, რას გრძნობდა ბებია სარკესთან. მისი რჩევით გაიკეთა დედამ საშვილოსნოს ოპერაცია. ეგონა, არაფერი აწუხებდა, მაგრამ ბებიამ არ მოასვენა — ექიმთან წადიო და კისტა აღმოაჩნდა. ბებიის ახირების გამო უარი თქვა ერთ-ერთმა მეზობელმა სადღაც გამგზავრებაზე და ის ავტობუსი, რომლითაც მას უნდა ემგზავრა, კატასტროფაში მოხვდა. ყველანი დაიღუპნენ. ბებიაჩემის რჩევით თქვა უარი ჩემმა ძმამ ერთი ქალის ცოლად შერთვაზე და მერე ყველანი მივხვდით, რა გველეშაპს გადაგვარჩინა მოხუცმა. ის გოგო მალე სხვას გაჰყვა და თავისი ავხორცობით უამრავი უბედურება დაატეხა თავს ოჯახს. ბებიამ მითხრა, როგორ შევხვდებოდი მომავალ ქმარს, ზუსტად ამიხდა ყველაფერი, მაგრამ დღემდე მკლავს ინტერესი, რა ძალა ჰქონდა სარკეს, ან როგორ იღებდა მისგან ინფორმაციებს ბებია, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ლამაზი სახის კანი, მშვენიერი კბილები და მხედველობა მისცა ღმერთმა. ასე მგონია, სასიცოცხლო ძალებსაც კი სარკიდან იღებდა. ერთხელ მითხრა, როცა კაცს ამქვეყნად სიარულის ვადა ამოეწურება, ენერგიის წყაროს გამოურთავენ ზევიდან და მიწიერ სხეულშიც სიცოცხლე თანდათან შუქივით ქრება, ამას ჰქვია გარდაცვალება. მაგრამ თუ აქედან განწყდა ენერგიის წყაროსთან დამაკავშირებელი ძაფი, მაშინ ადამიანი კვდება და სულს ხეტიალი მოუწევს სამყაროში მანამ, სანამ საკუთარ ადგილთან მისვლის დრო არ დაუდგებაო.

დღესაც ვერ ამიხსნია იდუმალებით მოცული ეს სიტყვები, მაგრამ ფაქტია, რომ ბებიაჩემი ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო...

***ეკატერინე ვეფხვაძე***

# უჩვეულო განკურნება



ბექა ახლა ერთ-ერთი სკოლის ფიზიკის მასწავლებელია და თანდათან ეჩვევა სკოლას, ბავშვებსაც დაუმეგობრდა. მანამდე კი ლამის დაღუპა ნარკოტიკმა...

— არა მხოლოდ ნარკოტიკმა... მამაჩემი „შავი სამყაროს“ ავტორიტეტია, თუმცა მე მის უკანონო შვილად ვითვლები, ყურადღებას არ მაკლებდა არასოდეს. 18 წლისას ცალკე ბინაც მქონდა, ფულიც, მანქანაც, არაფერი მაკლდა, მე კიდევ მეტი მინდოდა და... ნარკოტიკი მოვსინჯე, მაგრადაც ჩამითრია. ერთი-ორჯერ გავები კიდეც, მაგრამ მამაჩემის შიშით თუ ხათრით, მიშვებდნენ პოლიციიდან... ერთი ხანობა მამამ კისლოვოდსკის ცნობილ ნარკოლოგიურ ცენტრშიც გამიშვა სამკურნალოდ, მაგრამ... ისევ მივუბრუნდი ნარკოტიკს, მომენატრა „კაიფი“...

მამა დამემუქრა — თუ ნარკოტიკს არ შეეშვები, არც ფულს გამოგიგზავნი და არც პოლიციისგან დაგიცავო!..

ნარკოტიკს კი დავანებე თავი, მაგრამ მძაფრი განცდების გარეშე არ შემეძლო ცხოვრება და კაზინოში დავიწყე სიარული. იშვიათად ვიგებდი, უფრო ხშირად ვაგებდი, მაგრამ მთავარი მოგება კი არა, აზარტი იყო...

ჯერ იხდიდა მამაჩემი ჩემს ვალებს, მერე მობეზრდა და მითხრა, თავი შემეკავებინა...

ვალებში ისე ჩავეფალი, რომ სხვა გზა არ მქონდა, ბინა უნდა გამეყიდა... ვიპოვე კიდეც კლიენტი. იმის ფიქრში ვიყავი, სად უნდა მეცხოვრა, ან მამისთვის როგორ გამემხილა ბინის დაკარგვა. სასოწარკვეთილმა გადამალული ნარკოტიკი მოვძებნე და გავიკეთე...

უჩვეულო ხილვა მქონდა: ვიღაც ბიჭი მოვიდა, რომელიც ისე მგავდა გარეგნულად, მეგონა, საკუთარ თავს ვუცქერდი სარკეში და ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა, ნარკომანი რომ სარკეში თავის თავს დაინახავს და გაუკვირდება: „ვაი, იქაც მე ვარო..“

იმ ბიჭმა კარგა ხანს მიყურა და მითხრა, — ხვალ ამა და ამ მისამართზე უსათუოდ მიდიო.

დილით ისე მკაფიოდ მახსოვდა იმ ბიჭის ნათქვამი მისამართი, გამიკვირდა, თუმცა არსად წასვლა არ მიფიქრია — იმ დღეს ბინის მყიდველს ველოდებოდი. მოვიდა კიდეც და... გავაგდე. სადღაც გაეგო, რა დღეშიც ვიყავი და ფასს მიგდებდა!..

ფული სამ დღეში უნდა მიმეტანა. საშინელ გუნებაზე ვიყავი. ნერვებაშლილს „ლომკები“ დამეწყო... ჩამეძინა და ისევ ვნახე ის ბიჭი: „რატომ არ მიდიხარ იმ მისამართზე. აუცილებლად დაგეხმარებიანო!..“

დილით წავედი იმ უბანში. გავიკითხე, ვინ ცხოვრობდა იმ მისამართზე. მითხრეს, უმდიდრესი ოჯახია, სამი წლის წინათ ერთადერთი ვაჟი დაელუპათო...

ამის შემდეგ ვერ გავბედე მისვლა, ან კი რა უნდა მეთქვა — ვიღაცა ძილში მკარნახობს თქვენს მისამართს-მეთქი?!. არადა იმ ღამესაც მეხვეწა ბიჭი, — მიდი ჩემს სახლშიო!..

ეს რომ მითხრა, შემეშინდა — მგონი, მკვდარი მეცხადება, მეც ხომ არ ვკვდები-მეთქი. არ ვიცი, როგორ ვაიძულე თავი, იმ სახლში წავსულიყავი. ჭირის ოფლმა დამასხა, მაგრამ მაინც ამოვღერღე, რაც მჭირდა...

ამის თქმა იყო და, გულწასული დაეცა ოჯახის უფროსი. ატყდა კივილი... ძლივს მოაბრუნეს... მერე კაცმა მითხრა, — ერთადერთი შვილი გვყავდა, ნიკა. არაფერს ვაკლებდით და ამიტომ ძალიან თავნება გაიზარდა. 16 წლიდან კი არც ნარკოტიკზე ამბობდა უარს... ამ სამი წლის წინ კაზინოში იმხელა თანხა წააგო, უარი ვუთხარი გადახდაზე და შინიდან გავაგდეთ...

სასოწარკვეთილ ბიჭს, როცა ვერც ფული გადაუხდია და ვერც რამე გამოსავალი უპოვია, თავი მოუკლავს...

მერე კი უნანია მამამისს, მაგრამ რაღა დროს?! — შვილის საფლავთან დაუფიცია — შენს სახელზე აუცილებლად გადავარჩენ სხვის შვილს, თუ გავიგე, რომ მსგავს უბედურებაშია ჩავარდნილი და კაცადაც ვაქცევო!..

მან მართლაც გადამიხადა ვალი და დამაფიცა, ცუდი არაფერი ჩამედინა, მისი შვილის ხსოვნისთვის მაინც მეცა პატივი...

**— სიზმარში მოსული ბიჭი ძალიან მგავდაო, თქვი...**

— მართლაც ვგავართ ერთმანეთს. ამას ამტკიცებს დედამისი, ანიკო დეიდა, რომელსაც შვილივით ვუყვარვარ და ლუკმას არ შეჭამს, თუ არ მივედი... მამაჩემსაც ვუამბე, როგორ გადამარჩინა გარდაცვლილი ბიჭის სულმა. ახლა ორი მამა და ორი დედა მყავს, ყველას ჩემი იმედი აქვს და პასუხისმგებლობაც დიდი მაწევს... ძალიან შემცვალა ამ სასწაულმა, თითქოს თავიდან დავიბადე...

**— ფიქრობ, რომ სასწაული მოგივლინა განგებამ?**

— გარდაცვლილმა ბიჭმა თავად მასწავლა მისამართი ძილში და ეს უჩვეულოდ არ გეჩვენებათ?!.

**— მას შემდეგ აღარ გამოგცხადებია ნიკა?!**

— ზოგჯერ მესიზმრება ხოლმე, მაგრამ აღარაფერს მეუბნება, შორიდან მიცქერის და სევდიანად მიღიმის... მხოლოდ ერთხელ „მთხოვა“: — სანამ ცოცხლები არიან, მშობლებს მიმიხედეო! არც მიფიქრია მათი მიტოვება...

**— მასწავლებლობა რატომ გადაწყვიტე?**

— ფიზიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. თანაც 16-17 წლის ბიჭებს სხვა „გაკვეთილებსაც“ ვუტარებ, „მისიონერი მღვდლის“ მოვალეობა ვიკისრე და ვიცი, ჩემი მოსწავლეები ჩემს შეცდომებს არ გაიმეორებენ!.. ნარკოტიკი სატანის იარაღია, რომლითაც იგი ღმერთს ებრძვის. ღმერთმა კი სასწაული მომივლინა და დაამარცხა სატანა თავისი სიმართლით, სისუფთავით, სიყვარულით. არ ვიყავი ღირსი და მაინც მაპატია!

**— რწმენაც გაგძლიერებია...**

— გიკვირთ? — კითხვა შემომიბრუნა ბექამ... არ მიკვირს... ნამდვილად არ გვიკვირს, ბექა და ძალიან მიხარია შენ გამო!...

***ინგა ჯაყელი***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — დ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — გ); 5) — გ); 6) — გ).

**II.** მე-2 და მე-5 ფინჯნებზე.

**III.** სიზარმაცე ჭკუისა და სხეულის ჟანგია.

**IV.** სპილო.

**V.** ა) კასრიდან მე-4 და მე-8 ყვავილები; ბ) კასრიდან მე-5, მე-6 და მე-9 ყვავილები; გ) კასრიდან 1-ლი, მე-2, მე-3, მე-7 და მე-10 ყვავილები.

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:



საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

დიდი საგაზაფხულო ფასდაკლება

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება
მსმენელებს უფასოდ გადაეცემა სასწავლო ლიტერატურა

გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?
გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?
გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.
დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, ახალციხეში გურჯაანში და დედოფლისწყაროში.
დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ოზურგეთი 899 966 488; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 812.

## ჰარი პოტერის ახალი ეკრანიზაცია გაცილებით მძაფრი იქნება...

**— გავიგე, რომ დაიწყო „ჰარი პოტერის“ მესამე ნაწილის გადაღება. ვინ შეასრულებს ჰარი პოტერის როლს?**

***რამაზ კუსიანი***



— „ჰარი პოტერის“ მესამე ნაწილს, სავარაუდოდ, 2003 წლის ნოემბერში იხილავს მაყურებელი. კინოვერსიის მე-3 ნაწილს მექსიკელი რეჟისორი ალფონსო კუარონი გადაიღებს. წინა ორი ვერსიის შემქმნელი კრის კოლამბუსი („მარტო სახლში“ რეჟ.) ფილმის პროდიუსერი იქნება. წიგნის ავტორმა, ჯოან კეტლინ როულინგმა მე-3 წიგნის შინაარსი შეცვალა და, როგორც ამბობენ, ამჯერად ფილმი გაცილებით მძაფრსიუჟეტიანი იქნება.

ფილმის გადაღება დაწყებულია. შეიცვალა მსახიობთა შემადგენლობა. გასულ წელს გარდაცვლილი მსახიობის, რიჩარდ ჰარისის ნაცვლად — ბრძენი ალბუს დამბლდორის როლს პიტერ ო'ტული შეასრულებს. რაც შეეხება ფილმის ახალ პერსონაჟს, ჰარი პოტერის ნათლიას, მას ცნობილი მსახიობი ჰარი ოლდმანი განასახიერებს.

ჰარი პოტერს კი კვლავაც 13 წლის დენიელ რედკლიფი ითამაშებს.

## ქართულ სიტყვათა კონა

**ერი თავისი ენით ფასობს... ენას ლექსიკა ქმნის, ლექსიკას — ხალხი. გადავწყვიტეთ, შეგახსენოთ, ან სულაც პირველად შეგახვედროთ ჩვენი უმდიდრესი ენის ცალკეულ სიტყვას... ნახეთ, იქნებ ისე მოიწონოთ, ზოგს საკუთარ სიტყვათწყობაშიც მიუჩინოთ ადგილი.**
**ყოველ ნომერში სიტყვებს შემოგთავაზებთ ანბანის მიხედვით.**

**აბედი** — ნაცარტუტაში გამოხარშული ერთგვარი სოკო ხისა; იყენებენ ტალკვესთან ერთად ცეცხლის გასაჩენად. 2. დაკორძებული კანი.

**აბეჩხარი** — მოუვლელობით შიგადაშიგ გამხმარი, გამეჩხერებული (ვენახი, ბაღი).

**აბზინდა** — ლითონის ენიანი შესაკრავი ქამრისა და მისთანათა.

**აბოჟირება** (კუთხ.) აწიოკება.

**აბრაგი** — (ძვ) მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი. 2. (კუთხ.) მძარცველი.

**აბრანძული** — ბრანძებში, ძონძებში გახვეული.

**აბრუ** — აბრუს არ გაიტეხს — იგივეა, რაც იხტიბარს არ გაიტეხს.

**აბრუნდი** — თაღლითურად შეცვლა ერთი დებულებისა მეორით; ხრიკი.

**აბუეტი** — შტერი, ჩერჩეტი.

**აგანგალაობა** — საბავშვო თამაში ერთგვარი.

**აგუნა** — (აგუნას გადაძახება) (ძვ..) ყურძნის ღვთაების პატივსაცემი საახალწლო რიტუალი (იცოდნენ გურიაში).

**ადესა** — ყურძენ იზაბელას ხალხური სახელწოდება.

**ადიდა** — მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო.

**ადლი** — (ძვ) სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა დაახლოებით მეტრს.

**ადლაბიჯა** — დაუდეგარი, ქარაფშუტა.

**ადრესი** — (ფრ.) წერილობითი მისალმება, ჩვეულებრივ, იუბილარისადმი.

**აეტკრიცება** — წამოუწითლდება, წითლად შეეფაკლება, აელეწება (სახე).

**ავანგი** — (სპ.) თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა.

**ავანდასტა** — (სპ.) თითბრის როდინი.

**ავანჩავანი** — (საუბ.) 1. მესაიდუმლე, ამყოლი, ხელის შემწყობი. 2. ვისიმე საქმის ვითარება (არავინ იცოდა მისი ა.).

## ცისანა მალე დაბრუნდება

**— შემთხვევით შევიტყვე, რომ ცისანა სეფიაშვილს შვილი შესძენია. ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ. მაინტერესებს ახალშობილის სქესი და დაუბრუნდება თუ არა ცისანა ახლო მომავალში ესტრადას?**

***მაიკო ჩაფიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ცისანა სეფიაშვილი.**



— დიდი მადლობა თაყვანისმცემლებს გულშემატკივრობისთვის. რაღა დაგიმალოთ და ძალიან გამიხარდა. 25 მარტს შემეძინა ქალიშვილი — კატო ზაქარეიშვილი. მისი წონა 3.400კგ-ია, ხოლო სიმაღლე 51სმ (იცინის). რაც შეეხება კითხვას, დავუბრუნდები თუ არა სცენას, გიპასუხებთ მოკლედ — აუცილებლად დავუბრუნდები.

ფეხმძიმობისას მთელ დროს პატარას ვუთმობდი და ახლო მომავალშიც დროის დიდი ნაწილი მხოლოდ მას მიეძღვნება. ზაფხული, მოგეხსენებათ, ახალშობილისთვის პრობლემატურია და სცენას, ალბათ მხოლოდ შემოდგომაზე თუ დავუბრუნდები. ვაპირებ ახალი სიმღერების ჩაწერას და ალბომის გამოშვებას. თუ შესაძლებელი იქნება, კლიპსაც გადავიღებ, თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. იმიჯის შეცვლას არ ვაპირებ. საზრუნავი კი მომემატა, მაგრამ მიმაჩნია, რომ დედობას სიმღერა ხელს არ შეუშლის.

## იულიუსის კალენდარი

**— როგორც ცნობილია, იულიუსის კალენდარი (ე. წ. ძველი სტილი) ოფიციალურად არც ერთ ქვეყანაში არ გამოიყენება. როგორც ვიცი, მას მხოლოდ სამი მართლმადიდებელი ეკლესია იყენებს (ქართული, რუსული და სერბული). გთხოვთ, მოგვაწოდოთ უფრო ზუსტი ინფორმაცია.**

***ზაზა ბატიაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ ცხოვრებაძე**, საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის თანამშრომელი.

— მე-20 საუკუნის დასაწყისში მართლმადიდებლური ეკლესიების ნაწილი გადავიდა ჩასწორებულ იულიუსის კალენდარზე. მიუხედავად იმისა, ძველია თუ ახალი იულიუსის კალენდარი, მართლმადიდებლური ეკლესიები ერთდროულად აღნიშნავენ მოძრავ დღესასწაულებს, ანუ აღდგომას, ამაღლებას. რაც შეეხება ისეთ უძრავ დღესასწაულებს, როგორიცაა შობა, ხარება, ნათლისღება და ა. შ., ჩვენგან განსხვავებით, ისინი უკვე ჩასწორებული კალენდრით, 13 დღის განსხვავებით აღინიშნება. გარდა საქართველოს, რუსეთისა და სერბეთის ეკლესიებისა, იულიუსის კალენდრით ხელმძღვანელობენ იერუსალიმის ეკლესია და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ათონის მთა. მოგეხსენებათ, ათონის მთა მართლმადიდებლობის მნიშვნელოვანი სულიერი ცენტრია. ზოგჯერ ერთი და იმავე ეკლესიის წიაღში ორივე კალენდრის სტილი მოქმედებს; ანუ ძირითადი ეკლესია შესაძლოა იყოს ახალი, ჩასწორებული სტილის მიმდევარი, როგორც ეს კონსტანტინეპოლშია, მაგრამ სამრევლოს ნაწილი ეკლესიის მეთაურის ლოცვა-კურთხევით იყენებდეს ძველ სტილს. ანალოგიურ მაგალითებს ვხვდებით სლოვაკეთისა და ჩეხეთის მართლმადიდებლური ეკლესიების წიაღში. ჩასწორებულ იულიუსის კალენდარსა და ძველი სტილის კალენდრებს შორის განსხვავება არ მოქმედებს მართლმადიდებლური ეკლესიების ღვაწლმოსილებაზე. რაც შეეხება გრიგორიანულ კალენდარს (ე. წ. საერო), მას მართლმადიდებლური ეკლესიები არ იყენებენ.

## პირველი შუქნიშანი...

**— როდის გამოიგონეს შუქნიშანი და რომელ ქვეყანაში გამოიყენეს იგი პირველად?**

***მალხაზ მიგრიაული***



**1920 წელს ლონდონში ასეთი შუქნიშნებიც კი გაჩნდა, თუმცა დიდხანს არ უმუშავიათ**

— მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ინგლისის ქუჩებში მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთა შორის უბედური შემთხვევების მომრავლებამ საგზაო წესების სრულყოფის აუცილებლობა მოიტანა. შუქნიშანი პირველად ინგლისის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე, პარლამენტის შენობის წინ აღიმართა 1868 წელს და მისი გამომგონებელი ინჟინერ-მექანიკოსი ჯინ ნაიტომი გახლდათ. მოწყობილობაში მოთავსებული იყო 2 გაზის ჩირაღდანი, რომელსაც წითელი და მწვანე ფერი მექანიკურად ეცვლებოდა. გამოგონებამ მხოლოდ ოთხი კვირა იარსება, მერე კი შუქნიშანი აფეთქდა და ერთი პოლიციელის სიცოცხლეც შეიწირა. ამ გარემოებამ შუქნიშნის გამოყენების აუცილებლობა ეჭვქვეშ დააყენა და დროთა განმავლობაში იგი დავიწყებას მიეცა.

შუქნიშანი ხელმეორედ 1914 წელს გამოჩნდა ამერიკის რამდენიმე ქალაქში. პირველი ორფერა ელექტროშუქნიშანი კლივლენდში, ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში დაამონტაჟეს. მესამე — ყვითელი ფერი მას მოგვიანებით, 1918 წელს, ქალაქ ნიუ-იორკში დაემატა.

## დასავლეთი საქართველო რადიოთი მხოლოდ პრეზიდენტის ხმას უსმენს...

**— გურიის რეგიონში (კერძოდ, ოზურგეთში) ვერ ვუსმენთ ქართულენოვან რადიოგადაცემებს (ვერც გრძელტალღიანსა და ვერც მოკლეტალღიანს). ველით კომპეტენტური პირის პასუხს.**

***ეთერ ცეცხლაძე***

**— ქ. ტყიბულში 2 წელია, რაც არ მუშაობს მთავარი რადიო. მხოლოდ ორშაბათობით გადმოსცემენ შევარდნაძის რადიოინტერვიუს. რაშია საქმე?**

***მ. ლომაძე***

კითხვებზე უპასუხებს **ბორის ადამია**, შპს საქართველოს ტელე-რადიოცენტრის მთავარი ინჟინერი



— სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოში ვერ ხერხდება 24-საათიანი რადიომაუწყებლობის უზრუნველყოფა. საქართველოს რადიოს პროგრამის გასავრცელებლად დუშეთში არსებობს მძლავრი გრძელტალღიანი რადიოსადგური, რომლის მოხმარებული ელექტროენერგიის დანახარჯი ძალზე დიდია. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს არც ელექტროენერგიით მომარაგების 24-საათიანი რეჟიმის უზრუნველმყოფი ენერგოკომპანია და არც მოხმარებული ელექტროენერგიის გადამხდელი ორგანიზაცია. დუშეთის რადიოსადგურის დახარჯული ელექტროენერგიის დავალიანება ჯერაც არ არის სრულად დაფარული. სწორედ ამიტომაა, რომ იგი მხოლოდ ორშაბათობით მუშაობს, საქართველოს პრეზიდენტის რადიოინტერვიუს დროს. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, სახელმწიფო რადიოარხის მოსმენა FM დიაპაზონითაც შეიძლება. თუ თქვენს ოზურგეთელ რესპონდენტს აქვს ძველი რადიომიმღები, რომელსაც FM დიაპაზონის ტალღა არ აქვს, ბუნებრივია, იგი ვერ შეძლებს გადაცემების მოსმენას. ამიტომ საჭიროა შედარებით ახალი რადიომიმღების შეძენა. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო სიხშირის დიაპაზონის სადგურსა და FM დიაპაზონის ტალღებზე უამრავი კერძო, ლიცენზირებული რადიოარხის მოსმენაა შესაძლებელი.

რაც შეეხება მეორე კითხვას, სამწუხაროდ, ჩემთვის არ არის ცნობილი, რა ხდება ამჟამად ტყიბულში, ამიტომ გამიჭირდება ამომწურავი პასუხის გაცემა.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## გლობალური დათბობა

**— გთხოვთ, გვიამბოთ დედამიწაზე გლობალური დათბობის შესახებ, ემუქრება თუ არა ჩვენს პლანეტას საფრთხე უახლოეს მომავალში?**

***ბესიკ ჩიტორელიძე***

კითხვაზე უპასუხებს **კუკური თავართქილაძე**, გეოფიზიკის ინსტიტუტის ბუნებრივი პროცესების მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის გამგე, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

— დედამიწაზე გლობალური დათბობის ტენდენცია ბოლო დროს მართლაც მკაფიოდ გამოიკვეთა. ეს პროცესი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლო წლებიდან დაიწყო. აქტიური დაკვირვება კლიმატის ცვალებადობაზე კი მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან მიმდინარეობს. 60-80-იან წლებში უკვე საეჭვო აღარ იყო, რომ კლიმატი დედამიწაზე რადიკალურად იცვლებოდა და მიმდინარეობდა გლობალური დათბობის პროცესი. სამეცნიერო წრეებში ამის მიზეზად არაერთ ფაქტორს ასახელებდნენ, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი გამართლდა: კერძოდ, ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მომატება და ატმოსფეროს დაბინძურება.

მოგეხსენებათ, დედამიწის დიდი ნაწილი ყინულის ფენითაა დაფარული. თუ დედამიწაზე თანდათანობით დათბება, ბუნებრივია, გამყინვარების ზონა უკან დაიხევს, ყინულის ლღვობადობა წლიდან წლამდე გაიზრდება. ეს კი გამოიწვევს ოკეანეებისა და ზღვების დონის მომატებას. მეცნიერების გამოანგარიშებით, თუ დედამიწის ტემპერატურა +3-4 გრადუსით გაიზრდება, მსოფლიოს დიდი საფრთხე დაემუქრება. დედამიწაზე არსებული ყინულოვანი საფარი მთლიანად გალღვება და ოკეანეთა თუ ზღვების დონე 6 მეტრით მოიმატებს. ზღვისპირა ქალაქებსა თუ სახელმწიფოებს წყალი დაფარავს. იმადროულად დაიწყება გაუდაბნოების პროცესი, რომელიც მსოფლიოში, ფაქტობრივად, დაწყებულია და ამ მხრივ, არც საქართველო გახლავთ გამონაკლისი. დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ დედამიწის ენერგეტიკული დონე, რომელიც მის კლიმატსა და, კერძოდ, საშუალო ტემპერატურას განსაზღვრავს, ნელ-ნელა იზრდება. 90-წლიანი დაკვირვების შედეგად დამტკიცდა, რომ ტემპერატურა დედამიწაზე +0,6 გრადუსით გაიზარდა. მაშინ, როცა დედამიწის საშუალო ტემპერატურა +8-10 გრადუსს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს, დათბობის პროცესი ყველგან ერთნაირად როდი მიმდინარეობს. მართალია, დათბობის ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ საქართველოს ზოგ ნაწილში აცივებაც მიმდინარეობს. მაგ. შავიზღვისპირა აუზი აცივების ზოლშია — მათ შორის, დასავლეთი საქართველო.

რთულია წინასწარ იმის განჭვრეტა, რა იქნება მომავალში, როგორი ინტენსივობით გაიზრდება დედამიწის გლობალური ტემპერატურა? რა ფაქტორები მოახდენენ მასზე გავლენას? ამიტომ მოსალოდნელი საფრთხის, ანუ გლობალური დათბობის ათწლეულებითა თუ ასწლეულებით განსაზღვრა არასწორი იქნება. არსებობს უამრავი ჰიპოთეზა, რომელთა დიდი ნაწილი შესაძლოა არ გამართლდეს და ამიტომ დასკვნის გამოტანა ნაადრევია.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

# ავტოსალონი



— უფრო სწორად კი, შედარებით უსაფრთხო მანქანები. ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნება ავტოტესტირების საერთაშორისო კომპანია EuroNCAP-ი. მის მიერ ჩატარებული ტესტირების მიხედვით, შეფასების 5 საპატიო ვარსკვლავი უახლოეს წარსულში პირველად „რენო ლაგუნამ“ დაიმსახურა. მას თანმიმდევრობით მოჰყვნენ „რენო მეგანი“, „სააბი“ და „მერსედეს E კლასი“. ამჯერად კი „5-ვარსკვლავიანთა“ რიცხვს „ტოიოტას“ ახალი მოდელიც შეუერთდა.

ექსპერტთა მოწონება ავტომობილმა განსაკუთრებით იმიტომ დაიმსახურა, რომ მასში პირველად გამოიყენეს უსაფრთხოების ბალიშები მგზავრთა მუხლების დაცვისთვის. ასეთი კონსტრუქცია სალონში მსხდომი ყველა მგზავრისთვის არის გათვალისწინებული.



ფართო წრეებისთვის ნაკლებცნობილმა ესპანურმა ავტოკომპანია Fuore Design-მა „იაგუარის“ ბაზაზე საკმაოდ საინტერესო, სპორტული მოდელი შექმნა. ესპანელი ავტომშენებლების სურვილი კლასიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმა იყო. როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდში, სპორტულ, ელიტურ ავტოწარმოებაში რეტროსტილი უაღრესად პოპულარული გახდა. შეიძლება ითქვას, რომ ესპანელმა დიზაინერებმა ჩანაფიქრი დიდი წარმატებით განახორციელეს. განსაკუთრებულ ინტერესს კი ავტომობილის ტექნიკური პარამეტრები



იწვევს — თუნდაც იმის გამო, რომ ესპანეთი ანალოგიური კლასის „სამშობლოდ“ სულაც არ ითვლება. მიუხედავად ამისა, 600 ცხ.ძ სიმძლავრეს ბევრი პრესტიჟული მარკა ინატრებდა. მით უმეტეს, რომ ახალი მოდელი წონისა და გაბარიტების მიუხედავად, 100 კმ/სთ სისწრაფეს სულ რაღაც 3,8 წამში ავითარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოდელი თავდაპირველად მხოლოდ საერთაშორისო ავტოსალონისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა მან იმხელა პოპულარობა და დაინტერესება გამოიწვია, რომ შესაძლოა, ესპანელებმა მისი შეზღუდული რაოდენობით წარმოებაც დაიწყონ.

თავის დროზე „ფოლკსვაგენმა“ ჩეხური ავტოფირმა აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ბაზრისთვის გათვალისწინებული, იაფფასიანი მოდელების წარმოებისთვის შეიძინა. თუმცა, ჩეხებმა მალე გაითქვეს სახელი და რამდენიმე წელიწადში მათ მიერ წარმოებული მოდელები გერმანულს არც პოპულარობით ჩამოუვარდება და არც გაყიდვით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გერმანელები ცდილობენ, „შკოდას“ ფასი მაინც მაქსიმალურად დაბალი იყოს — ყოველ შემთხვევაში, „ფოლკსვაგენის“ ანალოგიური კლასის მოდელებთან შედარებით. ახლახან კი ჩეხებმა ახალი, უკვე ელიტური მოდელი წარმოადგინეს. კომფორტული ლიმუზინი 2,8ლ მოცულობის ძრავით არის აღჭურვილი და მის სალონში ყველა ის სიკეთეა, რაც კი ბევრად უფრო ძვირად ღირებულ, პრესტიჟული მარკის ავტომობილებში შეიძლება იხილოთ. Superb-ის სალონი ძვირფასი ხით და ნატურალური ტყავით არის დამზადებული. ავტომობილი აბსოლუტურად ავ-



ტომატიზებულია. მასში დამონტაჟებული საკომუნიკაციო აპარატურა კი კავშირზე თანამგზავრული სისტემის დახმარებით გადის. ჯერჯერობით, ახალი ავტომობილის ფასი უცნობია, თუმცა მენეჯერები ირწმუნებიან, რომ იგი დასავლეთევროპელ „თანამოძმეებთან“ შედარებით, გაცილებით იაფი ეღირება.




ფრანგულმა კომპანია „რენომ“ Clio V6-ის ახალი ვერსია გამოუშვა. სხვადასხვა სიახლეთა შორის, რომლითაც მოდელი თავისი წინამორბედებისგან განსხვავდება, მთავარი უპირატესობა ძრავასა და სავალ ნაწილში მდგომარეობს. საკმაოდ მომცრო ზომის ჰეტჩბეკის კაპოტქვეშ „მძვინვარე მხეცია“ დამწყვდეული —„რენოს“ მიერ შემუშავებული, ახალი 3-ლიტრიანი ძრავა 255 ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. ასევე საგანგებოდ იქნა შერჩეული 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფიც, რომელიც ძრავის კინემატიკას უკანა თვლებზე გადასცემს. მცირე გაბარიტების გამო, უსაფრთხოების გაზრდის მიზნით კონსტრუქტორებმა ავტომობილის დიზაინში მთელი რიგი აეროდინამიკური ცვლილებები განახორციელეს. ამავე მიზნით, ავტომობილს ახალი, უფრო ფართო საბურავები დაუყენეს. ახალი „რენო“ 250 კმ/სთ სიჩქარეს განავითარებს და მისი ფასი საკმაოდ მაღალი, დაახლოებით 65 ათასი ევრო იქნება.

როგორც ჩანს, „ავტოვაზი“ ფართოდ რეკლამირებულ სახალხო ავტომობილს, „კლასიკას“ ვეღარ გამოუშვებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ხელისუფლებაც და ექსპერტებიც აღნიშნულ პროექტს რუსული ავტომშენებლობის გადარჩენის ერთადერთ გზად მიიჩნევდნენ, მისი განხორციელებისთვის აუცილებელი 850.000 დოლარის მოძიება ბიუჯეტში ვერ მოხერხდა. რაც შეეხება ძველი თაობის „ჟიგულებს“, ისინი სამი მოდიფიკაციით კვლავაც გამოვა, რადგან „ნივას“, „2107“-ს და „სამარას“ საკონვეირე ადაპტაცია არ სჭირდება. მრავალი წლის შემდეგაც კი ეს მოდელები ძველი სისტემით ეწყობა და დიზაინსა თუ სავალ ნაწილში მხოლოდ მცირე ცვლილებებს თუ განიცდის. თუ ავტოექსპერტებს და დასავლურ ტესტებს დავეყრდნობით, ეს ცვლილებებიც, ძირითადად, უარესობის მხრივ ვითარდება. თუმცა, რუს ავტომშენებლებს მეტი გზა არც დარჩენიათ. თავის დროზე საბჭოთა წარმოების ავტომობილები მხოლოდ იმიტომ იყო პოპულარული, რომ მათი მწარმოებლები ლითონს და სხვა რესურსებს “არ იშურებდნენ“. დღევანდელი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ასეთი გულუხვობა შეუძლებელია. სხვა ტექნიკური მიღწევებით თავის მოწონება კი რუსეთის ავტომშენებლობას არ შეუძლია...



ალბათ ცნობილ ავტოფირმებს შორის ყვალგანმავალის კლასი მხოლოდ „მაზერატის“ არ ჰყავდა. როგორც ჩანს, კონკურენციამ მასზეც იმოქმედა და სპორტული, ელიტური მოდელებით ცნობილმა კომპანიამ შესაძლოა, უახლოეს მომავალში ყველგანმავალი გამოუშვას. ყოველ შემთხვევაში, ახალი, სპორტული ჯიპის ესკიზი და ტექნიკური მონაცემები უკვე დამუშავებულია.

აღსანიშნავია, რომ მოდელის დიზაინზე ცოცხალი ლეგენდა — ჯუჯარო მუშაობდა. მას მსგავსი პროექტი „ლამბორჯინთანაც“ აქვს განხორციელებული, თუმცა, „ლამბორჯინის“ ელიტური, სპორტული ჯიპი მხოლოდ საუდის არაბეთში, შეიხებს შორის გახდა პოპულარული (ამ მოდელის შესახებ „კვირის პალიტრის“ მკითხველებს უკვე მოვუთხრობდით). „მაზერატის“ ჯიპი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ მძლავრი, 12-ცილინდრიანი ძრავით აღიჭურვება, რომელსაც 350კმ/სთ სისწრაფის განვითარებაში ორი ტურბოგამაძლიერებელი „დაეხმარება“. ჯერჯერობით, ახალი მოდელის ფასი უცნობია. მაგრამ ფაქტია, რომ იგი „მაზერატის“ მსუბუქ კუპეზე გაცილებით ძვირი ეღირება (ყველაზე „იაფფასიანი“ მაზერატი 100 ათასი ევრო ღირს...).

როკფელერის ცნობილი ცენტრი რამდენიმე დღეა, გასული საუკუნის ყველაზე პოპულარულ მოდელებს მასპინძლობს. გამოფენაზე წარმოდგენილ 40-მდე მოდელს შორის ყველაზე პოპულარული და შესაბამისად, ძვირად ღირებული 1939 წელს გამოშვებული კაბრიოლეტია — Delage 8. მისი ფასი თითქმის მილიონ დოლარს აღწევს. შედარებით „თავდაჭერილი“ კლიენტებისთვის როკფელერცენტრში უფრო „იაფფასიანი“ მოდელებიც იყო წარმოდგენილი — მაგალითად, Lamborgini Miura, რომელიც თავის დროზე ლეგენდარულ ფრენკ სინატრას ეკუთვნოდა. ავტომობილი-ისტორია დღეს 250 ათასი დოლარი ღირს.


Lamborgini Miura

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***



საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ივო შუშაკის მეთაურობით, ირლანდიასთან საბრძოლველად სრულ მზადყოფნაშია. რუსეთის ნაკრების დამარცხებით შუშაკმა უკვე გაითავისა დიდი მხედართმთავრისა თუ რაზმის წინამძღოლის შესატყვისი ზედწოდებები და ჩვეული იუმორით ხვდება ქართველი ჟურნალისტების მიერ ძველ ქართულში მოძიებულ ახალ-ახალ ეპითეტებს.

ქართველთა მწვრთნელი საგულდაგულოდ ემზადება ირლანდიის ნაკრებთან შესახვედრად და საამმატჩოდ ნაკრების ყველა ჯანმრთელ კანდიდატს უხმო — ლეგიონერსა თუ შინაურ ჩემპიონატში მოასპარეზეს, მათ შორის, შოთა არველაძესაც. შუშაკს შოთა არველაძესთან მომხდარი კონფლიქტი ახლა მხოლოდ ღიმილს გვრის, თუმცა, საკითხს ამოწურულად არ თვლის და მის, ასე ვთქვათ, საქვეყნო და სანაკრებო დონეზე განხილვას მაინც აპირებს.

**ივო შუშაკი:** როცა ყველა ერთად შეიკრიბება, დავსხდებით, განვსჯით და დამნაშავესაც ერთად დავსჯით. მე გუნდში მუშაობის გამჭვირვალე პოლიტიკის მომხრე ვარ — ვგულისხმობ თბილისის „დინამოს“, ასევე ღია და გამჭვირვალე იქნება ჩემი თუნდაც იძულებითი გადაწყვეტილებები ნაკრებშიც. ეროვნული ნაკრები ხალხს ეკუთვნის, ხალხს კი, მე ვერაფერს დავუმალავ.

— **მაინც, რა სახის დანაშაულს იმსახურებს შოთა არველაძე, რომელმაც თვითნებურად მიატოვა რუსეთის ნაკრებთან შეკრება და შოტლანდიაში გაემგზავრა? თქვენგან მკაცრ და ქმედით გადაწყვეტილებას ელიან ქომაგები, თუნდაც იმიტომ, რომ ამ პრეცედენტზე შესაფერისი რეაგირებით ნაკრებში ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს დისციპლინაზე ლაპარაკი.**

— შოთა ჩვენთან არის, დავსხდებით, ვისაუბრებთ და მერე გამოვიტანთ განაჩენს. სხვადასხვა დანაშაულზე სხვა და სხვაგვარი სასჯელი არსებობს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის დახვრეტა და ჩამოხრჩობაც ნებადართულია (იცინის)...

— **საქართველოს კანონმდებლობით ორივე აკრძალულია.**

— გამონაკლისს დავუშვებთ!

— **ეი. შოთას დახვრეტას უპირებთ?**

— არა, ჩამოვახრჩობთ... გვეყოფა ხუმრობა, ჟურნალისტები მალე შეიტყობთ, რა რეაგირება მოჰყვება ძველ ინციდენტს.

— **ბატონო ივო, ნაკრებში მოულოდნელად პრობლემები გაგჩენიათ. მოკლე დროში როგორ აპირებთ ამდენი ტრავმირებული ფეხბურთელის მორჩენას?**

— სამწუხაროა, რომ თითქმის გამორიცხულია ირლანდიელებთან ლევან კობიაშვილის, ლევან ცქიტიშვილისა და დავით კვირკველიას თამაში. კობიაშვილი საერთოდ არ ჩამოვიდა თბილისში, რადგან მას სერიოზული ტრავმა აწუხებს, ცქიტიშვილი და კვირკველია კი მკურნალობენ, მაგრამ საეჭვოა, მოესწროს მათი საირლანდიოდ მომჯობინება. ძალიან სამწუხარო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, მაგრამ ეს დეფიციტი უნდა შევავსოთ, ნაწილობრივ ჩემი ტაქტიკური ცვლილებებითა და სიახლეებით, ნაწილობრივ თავად ფეხბურთელები იტვირთებენ ამ ბიჭების საქმესა და საკეთებელს — ქინქლაძე, იაშვილი, კალაძე და სხვები გაინაწილებენ იმ სამუშაოს მინდორზე, რასაც ცქიტიშვილი, კვირკველია და კობიაშვილი ასრულებდნენ.

— **კახა კალაძე ჩემპიონთა თასის მფლობელის რანგში ჩამოვიდა თბილისში, შოთა არველაძემ „რეინჯერსთან“ ერთად შოტლანდიის ჩემპიონატი და თასი მოიგო, თბილისის „დინამოს“ ნაკრების კანდიდატებმაც თქვენთან ერთად მოიგეს ქვეყნის თასი და ჩემპიონობა. ამდენი გამარჯვებული და გამარჯვების რწმენით აღსავსე ფეხბურთელი კარგა ხანია არ გვყოლია ნაკრებში. ეს აღმაფრენაც, ალბათ, სასიკეთოდ წაგადგებათ დუბლინში.**

— ცხადია, როცა დადებითი ემოციებით დამუხტულები მივდივართ საბრძოლველად, ეს ჩვენს წარმატების შანსებს ზრდის. ორიოდ დღის წინ ბიჭები სხვადასხვა სიმაღლის, მაგრამ მაინც კვარცხლბეკზე იდგნენ და საკუთარი ძალა და შესაძლებლობა ირწმუნეს. ეს სასიკეთოდ წაგვადგება. ამაზე მეტს ნუ მკითხავთ, თორემ, ვატყობ, პროგნოზისკენ მიგყავთ საუბარი. ჟურნალისტებმა ასე იცით — შეპარვით, შეფარვით და.. უკაცრავად, მომავალი მატჩის შედეგს ხომ ვერ მეტყვით?

— **უკაცრავად, მომავალი მატჩის შედეგს მართლა ხომ ვერ მეტყვით?**

— აი, ხომ გითხარით (იცინის). არა, არა, 11 ივნისს, საღამოს მეცოდინება... ერთს გპირდებით — თავს არ დავზოგავთ, რომ ირლანდიიდან რაც შეიძლება მაქსიმუმი წამოვიღოთ. ქულებს ვგულისხმობ, ცხადია.

— **თითოეული მატჩის ტაქტიკას კონკრეტული მეტოქის, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით აგებთ. ალბათ, არც ეს მატჩი იქნება გამონაკლისი.**

— რასაკვირველია, ჯერ გავარკვევ, ვისთან მაქვს საქმე, მერე საკუთარ შესაძლებლობებს კიდევ ერთხელ გადავამოწმებ და ამის შემდეგ ტაქტიკა-სტრატეგიაზე ვიფიქრებ. ხანგრძლივი და აუჩქარებელი განსჯა მოგვიწევს, მეტოქე სერიოზულია, ჩვენ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია, თანაც მეტად კრიტიკული სატურნირო მდგომარეობა გვაქვს. ფეხის დაცდენის უფლება აღარ გვაქვს — წინ უფსკრულია.

ივო შუშაკს თავისთავად და ყველა ფეხბურთელს ბოლომდე აქვს შეგნებული ირლანდიელებთან მატჩის პრინციპულობა და მნიშვნელობა. სატურნირო მდგომარეობასა და ევროპის 2004 წლის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსებსაც თავი დავანებოთ, თითოეულ ფეხბურთელს, ასე ვთქვათ, სათავისო კარიერისტული მოტივაცია ამოძრავებს და მათი მომავალი დიდად არის დამოკიდებული ირლანდიასთან კარგ თამაშზე. ჯერ ერთი, ნაკრების თბილისის დინამოელ დებიუტანტებს ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ანდო მათ გუნდში ადგილი. სატრანსფერო სეზონი იწყება, ცხადია, ირლანდია-საქართველოს მატჩს არაერთი ევროპელი სკაუტი დაესწრება და ბევრ მათგანს სწორედ ქართველ ფეხბურთელთა თამაშის, შესაძლებლობების შესწავლა და მონაცემების შეგროვებაც ექნება დავალებული. ზურაბ ხიზანიშვილი, ფაქტობრივად, გადასულია „დანდიდან“ „რეინჯერსში“, მაგრამ ცნობილია, რომ დუბლინში მის სანახავად „რეინჯერსის“თავკაცი მაკლიში ჩადის, „ლივერპულის“ ფრანგი მწვრთნელი გიორგი ქინქლაძის საქმეში ნახვას აპირებს ირლანდიაში, მეორე ფრანგი, „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი თავად თუ არა, თანაშემწეების გაგზავნას აპირებს გიორგი ლომაიას ოსტატობის სახილველად, ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წასვლას მიხეილ აშვეთია ეშურება და უკეთეს შანსს, ევროპელ მენეჯერებს რომ თავი მოაწონოს, ვერც ინატრებდა. მაინც და მაინც, არც გიორგი დემეტრაძეს მისდის სული დონეცკის „მეტალურგზე“ და ისევ ევროპაში დაბრუნებას ეშურება.

მოკლედ, მოტივაცია და მიზეზი თავიანთი ოსტატობის დამტკიცებისა ჩვენს ბიჭებს არ აკლიათ; იმედია, არც იღბალი დააღალატებთ და იქნებ რევანშშიც შედეგს ორიოდე თვის წინ თბილისში განცდილი მარცხისთვის.

*ჯაბა ლეონიძე*

ჯერ ისედაც თითზე ჩამოსათვლელი გვყავს ქართველებს მსოფლიო მასშტაბის სპორტსმენები, ბოლოდროინდელმა სიდუხჭირემ გამარჯვებები სპორტშიც გაგვიძვირა და თითო-ოროლა ჩვენებურ გოგო-ბიჭს ვეფერებით, ველოლიავებით — თავიანთი საქმე და საკეთებელიც რომ ჩინებულად გამოუდით და ჩვენსასაც, საქვეყნოსაც აკეთებენ — მთელ ქვეყანაზე და მთელი ქვეყნის გასაგონად გააქვთ ქართველთა სიჩაუქის, სიმარდის, ჯერაც გაუტეხელობისა და ძლევამოსილების ამბავი. უცნაურია, რომ ამ თავნასახელები ქართველი სპორტსმენებიდან ზოგიერთები იმ საქმის კეთებაზე უარს აცხადებენ, რაც ყველაზე უკეთ გამოსდით და ახალი საქმის, ჩვენში, რატომღაც, ყველაზე ბინძური საქმის კეთებას აპირებენ.

დიდი ხანი არ არის, რაც გაცხადდა, რომ მოკრივე გიორგი კანდელაკი და ძალოსანი გიორგი ასანიძე მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აპირებენ კენჭისყრას. მოკლედ, პოლიტიკაში მიდიან. ორივე მათგანი აცხადებს, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა მათ ხელს არ შეუშლის სპორტულ კარიერაში, მაგრამ ეს ახლა ფიქრობენ ასე. დილემის წინაშე რომ დადგნენ, საქვეყნო საქმემ სპორტული ინტერესები მსხვერპლად რომ მოსთხოვოს, მაშინ რას იზამენ პატრიოტი ბიჭები და ნაღდი სპორტსმენები? მათ ძალიან კარგად ვიცნობთ ყველა. მართლაც ჭეშმარიტი პატრიოტები არიან და ეს არაერთგზის დაუმტკიცებიათ. დილემა კი, ეჭვი არაა, სპორტულ ინტერესებზე აღებინებს ხელს. ის მედალი და თასი, რომელიც პოლიტიკას უნდა შესწირონ, ისევ სამშობლოს არ დააკლდება? ჰოდა,



დილემაც იმიტომაა დილემა, რომ ვერ გადალახავ, გამოსავალს ვერ მოძებნი. ტყუილად იქადნებიან სპორტში ყოვლისშემძლე ჩვენი ბიჭები, ჩვენი გაპოლიტიკოსებით არაფერი დააკლდება ჩვენსავე სპორტულ კარიერას, ისევ ძველებური შემართებით ვიბრძოლებთ მედლებისა და ტიტულებისთვისო.

დააკლდება, ძალიან ბევრი დააკლდება ქართულ სპორტს! პოლიტიკა კი რას შეიძენს თქვენით, აი, ეგ არის საკითხავი. კი, ბატონო, ფაქტია, თუკი მომავალ პარლამენტში მოხვდით, მინიმუმ 2 პატიოსანი დეპუტატი ეყოლება ქართულ პარლამენტს.

იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ მათი პატიოსნება, სამშობლოსთვის გაწეული გარჯა და ამაგი საკმარისია, რომ კანდელაკმა და ასანიძემ კენჭი უნდა იყარონ, მოხვდნენ პარლამენტში და ჩვენც ამ ამბავს ტაშის გრიალით უნდა შევხვდეთ. თავად სპორტული სამყარო წინააღმდეგია, რომ მოქმედი სპორტსმენები პოლიტიკაში მოვიდნენ. მათი პოზიცია ცალსახა და გასაგებია: მოილიონ სპორტში საკეთებელი საქმე, ამოწურონ ამ მხრივ საკუთარი შესაძლებლობები და მერე — კი ბატონო!

ამ საკითხთან დაკავშირებით გავესაუბრეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს, **ემზარ ზენაიშვილს**:

— **ბატონო ემზარ, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ გიორგი კანდელაკისა და გიორგი ასანიძის გადაწყვეტილება — რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აპირებენ კენჭისყრას?**

— ვერც ერთს ვერ მოვუწონებ გადაწყვეტილებას. ორივე ძალიან მიყვარს, ძალიან დიდ პატივს ვცემ და სათქმელს პირდაპირ ვეტყვი. ორივე დიდი სპორტსმენია, ჯერ სპორტში საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი. შეიძლება ითქვას, ორთავე სპორტული დიდების ზენიტშია და რა დროს დეპუტატობაა! მე ეჭვი არ მეპარება მათ გონებრივ შესაძლებლობებში, მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ სპორტული სარბიელის მიღმაც შეუძლიათ თუნდაც საქვეყნო, მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღება, ინტელექტუალური ტიპის სპორტსმენები არიან და დიდი ავტორიტეტიც გააჩნიათ. შეიძლება არც პარლამენტში გაუჭირდეთ მოხვედრა, მაგრამ სპორტს ძველებურად ვეღარ მიხედავენ. მე კარგად ვიცი სპორტსმენის ცხოვრება, მისი ცხოვრების წესი, რეჟიმი... ის ძალთა წარმოუდგენელ მობილიზაციას მოითხოვს, ერთი გაცდენილი ვარჯიში, შესაძლოა, მთელი კვირის ჯოჯოხეთურ შრომად დაგიჯდეს. აბა, ასეთ პირობებში, რომელ შეთავსებადობაზეა ლაპარაკი? მე აქცენტს გიორგი ასანიძეზე გავაკეთებ. მიუხედავად იმისა, რომ ერთ ხელზე ურთულესი ოპერაცია გაიკეთა, ხოლო მეორე ხელის ქრონიკული ტრავმა ტანჯავს, ყველა აცხადებს, რომ მას ათენის ოლიმპიადაზე გამარჯვების ძალიან სერიოზული შანსი აქვს.

— **ვინ ყველა აცხადებს?**

— ძალოსნობის სპეციალისტები, თვით მისი პირადი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი. ვანო გრიქუროვზე უკეთ არავინ იცის გიორგის შესაძლებლობები.

— **ათენის ოლიმპიადის მერე გიორგი ასანიძე, როგორც ვიცი, ისედაც აპირებს სპორტიდან წასვლას.**

— მერე შესაძლოა, მართლა წავიდეს. მისი ქრონიკული ტრავმების პატრონმა კიდევ დიდხანს გაძლო, მაგრამ გამოვიდეს ათენშიც, დეპუტატობა ხელს შეუშლის, ძალოსნობა ძალიან სპეციფიკური სახეობაა, აქ ორ საქმეს ერთმანეთს ვერ შეუთავსებ — გამორიცხულია. საპარლამენტო არჩევნები კიდევ იქნება, ათენის ოლიმპიადა თუ არ შემატებს, არაფერს მოაკლებს მის სახელსა და ავტორიტეტს. ბოლოს და ბოლოს, კიდევ ერთხელ ეძლევა შანსი გახდეს დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველი ოლიმპიური ჩემპიონი. გახდეს და მერე წავიდეს სპორტიდან და თუ უნდა — პოლიტიკაში! იმავეს ვიტყვი გიორგი კანდელაკზეც.

**ბიძინა გეგიძე** — საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი, თბილისის საკრებულოს წევრი:



— ნორმალურ ქვეყანაში და ნორმალური ქვეყნის პარლამენტში დეპუტატი რაიმე საქმის შეთავსებაზე არ ფიქრობს, შეიძლება იმდენად მოუცლელი იყოს, საკუთარ ოჯახსაც ვერ მიხედოს რიგიანად. საუბედუროდ, ჩვენში სხვაგვარად არის საქმე, ჩვენს, მოცლილი და მთქნარებით დაღლილი დეპუტატებით სავსე პარლამენტს რომ უცქერ, ილუზია გიჩნდება, რომ დეპუტატობასაც შეძლებ, სპორტსმენობასაც, იქნებ შოუბიზნესშიც სცადო ბედი და გაგიმართლოს.

მე ვიცი, რომ არც კანდელაკსა და არც ასანიძეს აზრად არ მოუვიდოდათ დეპუტატობა, პოლიტიკური პარტიების ლიდერები რომ არ მისძალებოდნენ მათ. ამ ბიჭებს, საერთოდ, ერთეულ ქართველ სპორტსმენებს, აქვთ სახელი, ავტორიტეტი და პარტიებს საარჩევნო მარათონში დიდად წაადგებათ მათი ეს ავტორიტეტი. თუნდაც ხმების მოპოვების პროცესში. ვფიქრობ, უპირველესად ის პარტიებია დამნაშავე, ვინც ისინი ერთგვარი ცდუნების წინაშე დააყენა. მე არ ვიცი, რას ჰპირდებიან პოლიტიკური პარტიები კანდელაკსა და ასანიძეს დეპუტატობის საფასურად, მაგრამ ისინი ყველა ვარიანტში უფრო მეტს დაჰკარგავენ — იმ ტიტულებს, ჯილდოებსა და მედლებს, რომელთა მოპოვება ჯერ კიდევ შეუძლიათ. პოლიტიკაში მოსვლით კი ამ ყველაფერზე იძულებით მოუწევთ უარის თქმა.

ჯერ ადრეა მათთვის კარიერის მიტოვება, წინ ბევრი გამარჯვება ელით, ჯერ სპორტული კარიერა დაამთავრონ და არსად არ გარბის არც პარლამენტი და არც პოლიტიკა. ქვეყნის წინაშე ვალმოხდილნი ჩაებან ახალ საქმიანობაში, ისე, რომ საკუთარი სპორტული ნიჭი და შესაძლებლობა მთლიანად უძღვნან ხალხს. აი, ამას მივესალმები.

*ბაჩი ჭანკვეტაძე*

# გაზაფხული მსაჯმა გადაარჩინა

7 ივნისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგი ტური გაიმართა. რასაკვირველია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო X ჯგუფში გამართული შეხვედრები იყო საქართველოს ნაკრების მეტოქეთა მონაწილეობით. დუბლინში ირლანდიის ნაკრებმა ალბანეთისას უმასპინძლა, ბოლო წუთზე შეძლო გამარჯვების გოლის გატანა და 2:1 მოიგო. შვეიცარიის ქალაქ ბაზელში კი შვეიცარიის ეროვნული გუნდი რუსეთისას დაუზავდა — 2:2. რუსები მარცხისაგან მსაჯმა იხსნა, რომელიც მთელი შეხვედრის მანძილზე უსამართლოდ ჩაგრავდა მასპინძლებს, ბოლოს კი შვეიცარიელთა კარში არარსებული პენალტიც დანიშნა.

**შვეიცარია — რუსეთი 2:2**
**ირლანდია — ალბანეთი 2:1**

## X ჯგუფი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვეიცარია** | 5 | 2 | 3 | 0 | 9:5 | 9 |
| **რუსეთი** | 5 | 2 | 1 | 2 | 11:9 | 7 |
| **ირლანდია** | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| **ალბანეთი** | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| **საქართ.** | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |

*შაბათს გამართული სხვა შესარჩევი შეხვედრები კი ასე დასრულდა:*

## I ჯგუფი
**მალტა — კვიპროსი 1:2**
**ისრაელი — სლოვენია 0:0**

## II ჯგუფი
**დანია — ნორვეგია 1:0**
**რუმინეთი — ბოსნია 2:0**

## III ჯგუფი
**მოლდოვა — ავსტრია 1:0**
**ბელორუსია — ჰოლანდია0:2**

## IV ჯგუფი
**უნგრეთი — ლატვია 3:1**
**სან მარინო — შვედეთი0:6**

## V ჯგუფი
**შოტლანდია — გერმანია 1:1**
**ისლანდია — ფარერები 2:1**

## VI ჯგუფი
**ესპანეთი — საბერძნეთი0:1**
**უკრაინა — სომხეთი 4:3**

## VII ჯგუფი
**სლოვაკეთი — თურქეთი 0:1**
**მაკედონია — ლიხტენშტ. 3:1**

## VIII ჯგუფი
**ბულგარეთი — ბელგია 2:2**
**ესტონეთი — ანდორა 2:0**

## IX ჯგუფი
**ფინეთი — სერბეთი 3:0**

K

## №13 (339) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 765 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 315-მა ქალმა და 443-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა მიგაჩნიათ პოლიტიკოსისათვის ყველაზე შეურაცხმყოფელ შეფასებად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 47%-ს პოლიტიკოსისათვის ამქვეყნად ყველაზე შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ შეფასებად „კორუმპირებული“ მიაჩნია. რესპონდენტთა მხოლოდ 0,9%-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **6,99** საშუალო ქულით „კორუმპირებული“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „არაეროვნულობა“, საშუალო ქულაა 5,81. მაქსიმალური — 8 ქულით ეს გრაფა მკითხველთა 36%-მა შეაფასა.

ჩვენი მკითხველების აზრით, პოლიტიკოსისათვის ასევე საკმაოდ შეურაცხმყოფელი იქნება, თუ მას „გრანტიჭამიას“ ვუწოდებთ — რესპონდენტთა 6%-მა დაუწერა „გრანტიჭამიას“ 8 ქულა.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა პოლიტიკოსთათვის სალანძღავ შეფასებათა პირველი სამეული — კორუმპირებული, არაეროვნული, გრანტიჭამია. რაც, უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ ქართველი ამომრჩევლისთვის ხმის მიცემისას ძირითადად პოლიტიკოსთა პატიოსნება და ეროვნულობაა განმსაზღვრელი.

პოლიტიკოსებო! თუ თქვენს პატიოსნებასა და პატრიოტიზმში ამომრჩეველს ეჭვი შეეპარება, მათგან ნამდვილად ვერ მიიღებთ იმას, რაც ასე ძალიან გსურთ.

რესპონდენტების აზრით, მერყევი, გაუწონასწორებელი და ამბიციური, აქ ჩამოთვლილ შეფასებათა შორის, შედარებით უწყინარად გამოიყურებიან. მით უფრო „ამბიციური“ — მკითხველთა 41%-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით და 2,42 საშუალო ქულით იგი სულ ბოლო ადგილზეა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 45 წლის **ციცინო ჭოხონელიძე** და 29 წლის **გიორგი მამულაშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 9 აპრილს, 17 საათზე.

## №14 (340) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში*.

**№14 (340) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 9 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 10 აპრილის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება!** საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.

თემა №14 (340) — ოჯახური წყვილები

**რომელი ცნობილი ოჯახური წყვილი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№14(340) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სესილი გოგიბერიძე და ზაზა შენგელია | |
| 2 | მაია კერვალიშვილი და ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 3 | ნანული ცაგარეიშვილი და ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | სანდრა რულოვსი და მიხეილ სააკაშვილი | |
| 5 | ნინო ბურჯანაძე და ბადრი ბიწაძე | |
| 6 | ბელა ალანია და შალვა ნათელაშვილი | |
| 7 | ნინო ქადაგიძე და ზურაბ ჟვანია | |
| 8 | მაგული გოგიტიძე და ასლან აბაშიძე | |

*მკითხველის რეიტინგი*

**თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელ პარლამენტარს შეეფერება როლი კომედიური ჟანრის ფილმში?**

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______ ტელეფონი ______

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**ახლა რომ საარჩევნო ურნასთან იდგეთ, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლეიბორისტული პარტია | 32,0% |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა | 26,9% |
| 3. | ახალი მემარჯვენეები | 6,2% |
| 4. | გაერთიანებული დემოკრატები | 4,1% |
| 5. | აღორძინება | 3,4% |
| 6. | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 2,3% |
| 7. | მდპ | 1,3% |
| 8-10. | ერთობა | 1,0% |
| 8-10. | სემ | 1,0% |
| 8-10. | ტრადიციონალისტთა კავშირი | 1,0% |

რესპონდენტთა 16,7% აცხადებს, რომ არც ერთ პარტიას არ მისცემს ხმას; 1,5%-ს კი გაუჭირდა კონკრეტული პარტიის დასახელება. 2,6%-მა სხვა პარტიები დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში მკითხველებს ვთხოვეთ დაესახელებინათ პარტია, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს მათ კეთილგანწყობას. პირველი ოთხეული პარტიათა დღევანდელი რეიტინგის ზუსტად იდენტურია. მეხუთე ადგილზე მაშინ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ იყო, დღეს კი როგორც ვხედავთ, მას მაშინდელ რეიტინგში მერვე ადგილზე მყოფი „აღორძინება“ ჩაენაცვლა. „კეთილგანწყობის რეიტინგში“ პირველ ათეულში სოციალისტური პარტიაც შედიოდა, დღევანდელ ათეულში სოციალისტები ვერ მოხვდნენ.

და ერთი საგულისხმო ფაქტიც — მაშინდელ რეიტინგში მკითხველთა 8,8%-მა განაცხადა, რომ მის კეთილგანწყობას არც ერთი პარტია არ იმსახურებს. დღეს კი ეს რიცხვი (არც ერთ პარტიას არ მივცემ ხმას), როგორც ვხედავთ, 16,7%-მდეა გაზრდილი.

***მკითხველის რეიტინგში 616-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

## ფოტოანეკდოტი © • ფოტოპალიტრა •



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— პოლიტიკაზე ფიქრი ბავშვობაშიც მიტაცებდა...

**კ.ნ.** — ამ ბოლო დროს, ჩემო კახა, მაგნიტი ნაკლებად გეწებება.

**კ.თ.** — აქ, ჩემო კობა, რკინას ფასი სულ არა აქვს, ტაილანდში ჯართიც კარგად ფასობს.

***ვოვა ლომთათიძე, ჩოხატაური***

**კ.ნ.** — გაიგე, კახა, ელენე მორფსადენიდან წილსა მთხოვს!

**კ.თ.** — ჰე, ჰე, დაუთმე, თორემ შოუს ბედი სანატრებელი გაგიხდება, ჩემი კი, ტკბილ სიზმრად მოგეჩვენება.

***ნუგზარ ტუაევი, თბილისი***

**კ.თ.** — *(იხედება სარკეში):* ეს რა ჯადოსნური სარკეა?! ცხვირი ჩემია, ყურები ჩემია, სიცილი ხომ ჩემია და ჩემია, ეგაა, ცოტა ახალგაზრდა ვჩანვარ.

***გივი მეტრეველი, თბილისი***

**კ.ნ.** — ეს თქვენი წილია, ბატონო კახა!

**კ.თ.** — მაგათ ჰგონიათ, პენსიაზე გამიშვეს... ჰა! ჰა! ჰა!

***„სონი“, ჭიათურა***

**კ.თ.** — კობა, რა ხდება სადოყლაპიეთში?

**კ.ნ.** — თქვენი ლოცვა-კურთხევით არა გვიშავს. ბრძანება გამოვეცი, თანამშრომლებს სარკეში ჩახედვა ავუკრძალე.

***ზურა ქართველიშვილი, თბილისი***

**კ.ნ.** — კახა, რა კარგ დროს გეკავა თანამდებობა, დოლარებს აწყობდი.

**კ.თ.** — არც შენ ხარ ცუდ დროს მოსული, ევროებს აგროვებ.

***ავთო ძოწენიძე, ქუთაისი***

**კ.ნ.** — მითხარი, კიდევ როგორ კეთდება ფული ჩვენს სისტემაში?

**კ.თ.** — ვაი, შე უჭკუო, ჩივაძის არ იყოს, მეც ისევ დავბრუნდები სათავეში და შენ რატომ გასწავლო?!

***ნუგზარ ლოლაძე, რუსთავი***



კობა ნარჩემაშვილი, კახა თარგამაძე

**კ.ნ.** — ვერ ყოფილხარ კარგი მასწავლებელი, რატომ არ მასწავლე კრიმინალებთან ბრძოლა?

**კ.თ.** — მაგი რომ მცოდნოდა, ჩემო კობა, ახლაც შენს ადგილას ვიქნებოდი.

***მათე სულწაძე, წყალტუბო***

C

## ფოტო განწყობისთვის



— ახალი ქართველის ახალი დალმატინელი

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



10/IV
პირველი მეოთხედი
მაგნიტური დღეა
10/IV 5-დან 7 საათამდე

# მილიონ-ნახევარი ნიჟარაში



ბენ აფლეკი და ჯენიფერ ლოპესი ჯერ არ დაქორწინებულან, ბენი კი საცოლეს უკვე დესპოტურად ეპყრობა. მაგალითად, მკაცრად აუკრძალა „ოსკარის“ ცერემონიაზე დოლჩე და გაბანას გამჭვირვალე კაბით წასვლა. ბენს არც ის მოსწონს, როცა მისი საყვარელი ქალი თავის ფორმებს საჯაროდ უკეთებს დემონსტრირებას. „კლიპებში — კი ბატონო, გააშიშვლოს სხეულის ნებისმიერი ნაწილი, მაგრამ თუ საზოგადოებაში მის გვერდით ვარ — წესიერად უნდა გამოიყურებოდეს“, — ამბობს იგი. კიდევ ერთ შემთხვევაზე მოგახსენებთ, რომელიც ხაზს უსვამს მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ახლახან ჰოლივუდის ერთ-ერთ უბრწყინვალეს რესტორანში ვახშმობისას ჯენიფერი ხელის დასაბანად გავიდა და შემთხვევით ნიჟარაში ჩაუვარდა ნიშნობის ბეჭედი. საცოდავმა



შიშისგან შეჰყვირა: „მიშველეთ, უბედური შემთხვევაა! ბენი მომკლავს, თუ ბეჭედს დავკარგავ!“ სასწრაფოდ გამოიძახეს ხელოსნები, გახსნეს მილები და იპოვეს ბეჭედი. ჯენიფერი ისეთი მადლიერი იყო, რომ 100-100 დოლარი აჩუქა მათ. თუმცა, ეს არცთუ ისე დიდი თანხაა, თუ გავიხსენებთ, რომ მისი ვარდისფერ ბრილიანტისთვლიანი 6-კარატიანი ნიშნობის ბეჭედი, მილიონ-ნახევარი დოლარი დაჯდა...


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***



**თარაზულად:** 1. ცნობილი კოლუმბიელი მწერალი, ავტორი რომანებისა „მარტოობის 100 წელი“, „პატრიარქის შემოდგომა“ და სხვ. 4. სატყორცნი იარაღი, ბარჯი, რომელსაც იყენებენ ვეშაპებზე სანადიროდ; 6. მაცოცხლებელი უხილავი სუბსტანცია ინდურ ფილოსოფიაში; 7. მატყლის სქელი მკვრივი ქსოვილი, რომელსაც ძირითადად, საპალტოედ იყენებენ; 8. იაპონიის სიდიდით მეორე ქალაქი; 9. კიევის დიდი მთავარი, რომელმაც 941 და 942 წლებში ბიზანტიაზე გაილაშქრა; 10. წყვილი ერთიანები კამათელზე; 13. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი, იტალიელი ექიმი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა ახალი „ჰონკონგის გრიპის“ ვირუსი და შეეწირა მას; 16. ლატვიელი საესტრადო მომღერალი ..... ვაიკულე; 18. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველის „წოდების“ მქონე პეპელა; 19. ფერმწერი; 20. სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 22. მეტყველების არქონა ან შეზღუდვა ბავშვებში; 23. შტატი აშშ-ში, ცნობილი თავისი „გართობისა და დასვენების“ ინდუსტრიით, ქალაქებით — რინოთი და ლასვეგასით; 27. წარწერა კინოფილმის კადრზე; 28. ორელექტროდიანი რადიო-მილაკი; 29. ძვირფასი ქვა, ფერთა ცისარტყელასებრი თამაშით; 30. ხანის წერილობითი ბრძანება, სიგელი; 31. ჭაბუკი სპორტსმენი.

**შვეულად:** 1. იარაღი საპარიკმახეროში; 2. ცხენთსარბიელი; 3. პერსონაჟი პუჩინის ოპერაში „ტოსკა“; 4. უძველესი დროის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი; 5. უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა; 11. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი. 12. თამაში, რომელშიც მოგება ან ოინი, ან მარსია; 14. ფრანგი მწერალი — ჰუმანისტი, ავტორი რომანისა „გარგანტუა და პანტაგრუელი“; 15. რუსი საბავშვო მწერალი... ბარტო; 16. ქართველი კინომსახიობი ... ელიავა; 17. დიდი უქოჩრო თუთიყუში; 21. იტალიელი მსახიობი, რომელსაც თითქმის ყველა ცნობილ იტალიელ რეჟისორთან უთანამშრომლია; 22. მცირე პლანეტა, რომელმაც შეიძლება იმსხვერპლოს სიცოცხლე დედამიწაზე; 24. მცურავი აეროდრომი; 25. ყველაზე დიდი სასპორტო ნაგებობა; 26. მდინარე ახალ ორლეანში.

**შეადგინა რამაზ ალანია**






ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (14) უფასო განცხადების ქვითარი



განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№14 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 10 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.




ნახე! სულ ახალი ბომონდი



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი ©518**
**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.